MARIKA ODZELI

ON THE HISTORY OF GEORGIAN-ENGLISH LITERARY CONTACTS

TBILISI 1998

მარიკა ოძელი

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის

თბილისი 1998

ნაშრომში ნაჩვენებია ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ამსახველი სისტემატიზებული, დოკუმენტური ისტორიული პროცესი; წარმოჩენილია რა სახის კონტაქტები აქვს ამ ორ ლიტერატურას და როგორ მიიღო, შეითვისა და გაიაზრა ქართულმა მწერლობამ ინგლისური ლიტერატურა და პირიქით, ინგლისურმა — ქართული. ამასთანავე პრობლემურადაა დამუშავებული ამ ურთიერთობათა ზოგიერთი არსებითი საკითხი.

წიგნი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ ბაკალავრებისა და მაგისტრების მოსამზადებლად ლიტერატურათმცოდნეობის სპეციალობით.

The study deals with a systematized, documentary history, reflecting Georgian-English literary contacts: An attempt is made to show the type of contacts these two literatures have, and how Georgian literature adopted and interpreted its English counterpart, and vice versa. Besides, some topical questions of these relations are studied problematically.

რეცენზენტები: პროფ. **ნატალია ორლოვსკაია**

დოც. **ნინო ჟღენტი**

რედაქტორი **გოგი სალიაშვილი**

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998

4603010000

. ო ————————

608(06) — 98

ISBN 5—511—00806—0

შ ი ნ ა ა რ ს ი

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ 9

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი. მეთოდური შენიშვნები ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის კვლევისა და სწავლებისათვის 11

I. წინამდებარე ნაშრომი და მისი პრობლემატიკა . . . 11

II. ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტებისა და რეცეფციების კვლევისა და სწავლების მიმართულებანი . . 14

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე. ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების ისტორიულ-ფილოლოგიური წანამძღვრები 19

I. ქართულ-ბრიტანულ კულტურულ ურთიერთობათა სათავეებთან . 19

II. ქართულ-ინგლისური ლექსიკოგრაფიული კავშირები . . 28

III. ლიტერატურული აზრის განვითარების პროცესი საქართველოსა და ინგლისში 37

ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე. ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტებისა და მათი კვლევის ისტორიისათვის 43

I. ქართულ-ინგლისური ლიტერატურული და სამეცნიერო კონტაქტები 43

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კავშირების დასაწყისი 43

ქართული თემა ინგლისურ მწერლობაში და მისი კვლევა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიერ . . . 48

მოგზაურული ჟანრი — ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფორმა . . . 54

ქართული ლიტერატურის ბრიტანელი მკვლევრები და მთარგმნელები 58

ინგლისური მწერლობა ქართულ თარგმანებსა და სალიტერატურო კრიტიკაში 75

II. შოთა რუსთველი ინგლისურ ლიტერატურაში . . . 85

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანები . . . 85

„ესე ამბავი სპარსული...“ . 96

„ვეფხისტყაოსანი“ და შუასაუკუნეების აზროვნება . 98

სიყვარულის თემა „ვეფხისტყაოსანში“ . 104

მეგობრობის თემა „ვეფხისტყაოსანში“ . 110

სუფიზმის კვალი „ვეფხისტყაოსანში“ . . 111

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის თანამედროვე ინტერპრეტირება . 116

რუსთველის გარშემო . . 120
დასკვნისათვის . . . 121
III. უილიამ შექსპირი ქართულ ლიტერატურაში . . 123
შექსპირის ქართული თარგმანები 123
შექსპირის ბიოგრაფიის საკითხები ქართულ კრიტიკაში . . 131
ტრადიცია და ნოვატორობა 135
შექსპირული პერსონაჟები ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში 144
შექსპირი და ქართული მხატვრული ლიტერატურა . . 159
დასკვნისათვის 160
ნ ა წ ი ლ ი მ ე ო თ ხ ე. ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კავშირები: ლიტერატურათმცოდნეობითი ძიებანი . . 164
I. ინგლისური რომანტიზმი ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და თარგმანებში 164
II. სიყვარულის განცდის ტიპოლოგიური მიმართებისათვის ქართულ და ინგლისურ რომანტიზმში 174
III. XIX საუკუნის ინგლისური რეალიზმის რეცეფცია საქართველოში 180
IV. კომიკური თხრობის საკითხისათვის XIX საუკუნის ქართულ და ინგლისურ რეალისტურ მწერლობაში . . . 194
ნ ა წ ი ლ ი მ ე ხ უ თ ე. დამატებანი 207
I. ნ ი ნ ო უ ო რ დ რ ო პ ი. მარჯორი და ოლივერი . . . 208
II. ქეთრინ ვივიენის პორტრეტისათვის 238
III. კენტერბერის კონფერენციის პანორამა . . . 243
IV. დ ე ვ ი დ დ ი კ ე ნ ს ი. ჩარლზ დიკენსი და დიკენსების ოჯახი . 247
V. ე ლ ა ნ უ ო ტ ს ი. ჰანს ქრისტიან ანდერსენის ვიზიტი ჩარლზ დიკენსთან 255
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 263
დამოწმებული ლიტერატურა 265

CONTENTS

By the author 9

Part One. **Methodological Notes on the Study and Teaching of Georgian-English Literary Contacts** . . . 11

I. The present study and its problem 11

II. The trends of the study and teaching of Georgian-English literary contacts 14

Part Three. **Towards the History of Georgian-English Literary ment of Georgian-English Literary Contacts** . . 19

I. At the sources of Georgian-British cultural relations . 19

II. Georgian-English lexicological contacts 28

III. The process of development of literary thought in Georgia and in England 37

Part Three. **Towards the History of Georgian-English Literary Contacts and their Study** 43

I. Georgian-English literary and scholarly contacts . . 43

II. Shota Rustaveli in English literature . 85

III. William Shakespeare in Georgian literature . . . 123

Part Four. **Georgian-English Literary Connections: Literary Research** 164

I. English romonticism in Georgian literary criticism and translations 164

II. Towards the typological relationship of love in Georgian and English romanticism 174

III. The perception of 19th-century English realistic literature in Georgia 180

IV. Towards the problem of comic narration in 19th-century Georgian and English realistic fiction . . 194

Part Five. Appendices 207
I. Nino Wardrop. Marjory and Oliver . . . 208
II. For the portrait of Katharine Vivian . 238
III. The Canterbury Conference, 1990 243
IV. David Dickens. Charles Dickens and the Dickens Family 247
V. Alan S. Watts. Visit of Hans Christian Andersen to Charles Dickens 255
On the History of Georgian-English Literary Contacts (Summary) 263
References 265

ავტორისაგან

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლა ოთხმოციანი წლებიდან დავიწყე. ლიტერატურულ ურთიერთობათა მრავალმხრივი პრობლემატიკის გაანალიზებისას გამოიკვეთა მათი კლასიფიკაციისა თუ თეორიული პრინციპების შემუშავების აუცილებლობა. ლიტერატურათმცოდნეობის ამ დარგის თეორიული დებულებების ჩამოყალიბების შედეგად შეიქმნა ნაშრომი „ნარკვევები ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ისტორიისა და თეორიის საკითხებზე" (თბ. 1987). ამასთანავე ვიკვლევდი მეცხრამეტე საუკუნის ინგლისური რეალიზმის რეცეფციას საქართველოში, რასაც მოჰყვა ორი მომდევნო ნაშრომის გამოცემა—„ჩარლზ დიკენსი და უილიამ თეკერეი ქართულ ლიტერატურაში" (თბ., 1989) და "The Artistic World of Charles Dickens in Georgian Literature" (თბ., 1991). ამავე დროს ვმუშაობდი ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიის ძირითადი მიმართულებების გამოვლენა-კლასიფიცირებასა და სისტემატიზებაზე. მოძიებული მასალის საფუძველზე შევეცადე შემექმნა ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კავშირების ისტორიის განზოგადებული სურათი.

მუშაობის პერიოდში ხშირი კონტაქტი მქონდა ჩემს ინგლისელ კოლეგებთან და მეგობრებთან, რომლებიც საშუალებას მაძლევდნენ მესარგებლა ბრიტანეთის წიგნთსაცავებში დაცული მასალით, გამეზიარებინა ჩემი ნააზრევი სამეცნიერო სიმპოზიუმებზე ინგლისში, დანიაში, გერმანიაში. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ბრიტანელი ქართველოლოგები ქეთრინ ვივიენი და დევიდ ბარეტი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ სლეთერი, ლესტერის უნივერსიტეტის პროფესორი ფილიპ კო-

ლინზი, დიკენსის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი დევიდ დიკენსი, გენერალური მდივანი ედუარდ პრესტონი, ამ საზოგადოების წევრები — ბრიტანელი დიკენსოლოგები ელან უოტსი, ჯოის კოლინზი, გორდონ ფილოუ, ამერიკელი მეცნიერი ჯინ ბრეჰენი, დანიელი ლიტერატურათმცოდნე ბირგიტ ნერლანდი, გერმანელი დიკენსოლოგი რუთ კელერი. მათთან თანამშრომლობითა და მათი ხელშეწყობით იწერებოდა ეს გამოკვლევა. იგი ფაქტობრივად 1995 წლის ბოლოსთვის დასრულდა. შემდეგ მოხდა მისი გადამუშავება სახელმძღვანელოდ ბაკალავრებისა და მაგისტრებისათვის. ნაშრომი იქმნებოდა თსუ ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ბაზაზე. დასასტამბად მის მომზადებაში დახმარებას მიწევდნენ ამ ლაბორატორიის თანამშრომლები — ლელა შანიძე, მანანა ერქომაიშვილი, ნანა ინგოროყვა, რისთვისაც მათ გულითადი მადლობა მინდა გადაეუხადო.

1996 წლის მაისი

ნაწილი პირველი

მეთოდური შენიშვნები ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის კვლევისა და სწავლებისათვის

I. წინამდებარე ნაშრომი და მისი პროგლემატიკა

თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში უკვე საკმაო ხანია ჩამოყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ ქართული ლიტერატურის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ლიტერატურის, ლოკალიზებულად შესწავლა ლიტერატურათმცოდნეობის დღევანდელ ეტაპზე არასრულფასოვანია. მისი კვლევა მსოფლიო ლიტერატურული პროცესის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს. ცხადია, ვერც ერთი ქვეყნის ლიტერატურა ვერ განვითარდებოდა ამა თუ იმ ეპოქის საერთო სააზროვნო სივრციდან მოწყვეტილი. სხვადასხვა ეროვნულ მწერლობას შორის ყოველთვის არსებობდა შინაგანი კავშირები და განვითარების საერთო კანონზომიერებანი. ქართული ლიტერატურა ადრეულ ეტაპზევე შევიდა მსოფლიო ლიტერატურის ორბიტაში — ისტორიული პროცესების შესაბამისად იგი ჯერ აღმოსავლურ და ბიზანტიურ, ხოლო შემდეგ დასავლეთის ლიტერატურულ წრებრუნვაში მოექცა. ქართული ლიტერატურის კვლევამ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესთან სხვადასხვა კუთხით მიმართებაში კი თავი იჩინა XIX საუკუნიდან.

XIX საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ქართველმა მწერლებმა, კრიტიკოსებმა, ლიტერატურათმცოდნეებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ეროვნული მწერლობის კრიტიკული ანალიზის დროს დაიწყეს უცხოური ლიტერატურის ძეგლებთან ერთგვარი ანალოგიების დაძებნა, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების დამოწმება, პერსონაჟების, ჟანრების, მხატვრული ხერხების მსგავსება-განსხვავების ძიება, ქართული ლიტერატურის შიგნით მიმდინარე პროცესების სხვა ლიტერატურასთან მიმართე-

ბაში შესწავლა, უცხოეროვნული ლიტერატურის ანალიზი. მკვლევრები პარალელების მოხმობისა და მსგავსება-განსხვავებათა წარმოჩენის საფუძველზე ასაბუთებდნენ ქართული ლიტერატურის წვლილს ერთიან ლიტერატურულ პროცესში. ილია ჭავჭავაძემ 80-იანი წლების მიწურულს ტერმინი „შედარებითი მეთოდის" განსაზღვრებაც მოგვცა (1, 20—29). ამგვარი ხასიათის კვლევა თანდათან ვითარდებოდა, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საგრძნობლად დამუხრუჭდა. ყურადღების გადატანამ სსრკ ხალხთა ლიტერატურულ ურთიერთობებზე და საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ერთიანი პრინციპების ფორმირებამ შეზღუდა როგორც უცხოეროვნულ ლიტერატურასთან ქართული ლიტერატურის ურთიერთობის, ასევე ამ სფეროს კვლევის გეოგრაფიული არეალი და განსაზღვრა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი მიმართულებაც. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა სრულიად მოწყვეტილი აღმოჩნდა მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობისაგან და იწყო ჩიხში შესვლა. აქედან გამოსვლის ერთადერთი სწორი გზა ისევ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეებმა მონახეს. დაახლოებით 60-იანი წლებიდან დაიწყო ლიტერატურულ ურთიერთობათა ფართო მასშტაბით კვლევა. კვლევის ამ სფეროს აღსანიშნავად შესაბამისი ახალი ტერმინები გაჩნდა: კომპარატივიზმი, ლიტერატურული კომპარატივისტიკა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, შედარებითი მიდგომა, შედარებითი შესწავლა, შედარებითი მეთოდი, ლიტერატურული ურთიერთობები, ლიტერატურული ურთიერთობა და ურთიერთქმედება, ტიპოლოგია, ლიტერატურული ურთიერთგამდიდრება, ლიტერატურული კავშირები, ლიტერატურულ ურთიერთობათამცოდნეობა, ლიტერატურული კავშირები და მიმართებანი, ლიტერატურული ურთიერთობები და ურთიერთმიმართებანი და სხვ. ეს უკანასკნელი ტერმინი ჩვენს მიერ იყო შემოთავაზებული (2, 5—7) ტერმინთა ასეთი სიმრავლე თავისთავად მეტყველებს ლიტერატურული პროცესების ამ ახალი კუთხით შესწავლის აღმავლობაზე. მიმდინარეობს ლიტერატურულ ურთიერთობათა ხანგრძლივი ისტორიის შესწავლა-სისტემატიზაცია, ტიპოლოგიური ძიება, ლიტერატურათშორისი შინაგანი თუ გარეგანი კონტაქტების გამოვლენა-გაანალიზება, თეორიული დებულებების შემუშავება და სხვ.

ეროვნული ლიტერატურის ამ ასპექტით კვლევა ამოავსებს იმ ხარვეზს, რომელიც არსებობდა ქართული ლიტერატურის ისტორიასა და სალიტერატურო კრიტიკაში. ლიტერატურული ურთიერთობები ლიტერატურის ისტორიის შემადგენელი ნაწილია და ბუნებრივია, ისინი კომპლექსურად უნდა იქნეს შესწავლილი. ქართული მწერლობის სხვა ქვეყნებთან ლიტერატურულ ურთიერთობებზე დაკვირვებისას ჩანს, რომ ორიგინალური მწერლობისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარება მეტნაკლებად თანაბარი ინტენსიობით მიმდინარეობს. ლიტერატურული კონტაქტები უმეტესად სწორად ასახავს სხვადასხვა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში გაბატონებულ მხატვრულ-ესთეტიკურ თუ იდეურ-შემოქმედებით პრინციპებს და ლიტერატურული პროცესის საერთო დონეს (2, 54—90). თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ქართული მწერლობის მოაზრება მსოფლიო ლიტერატურულ პროცესთან მიმართებაში, მისი მრავალმხრივი ურთიერთობებისა და ურთიერთმიმართებების შესწავლა უცხოეროვნულ ლიტერატურასთან, რის შედეგადაც ქართული ლიტერატურის ისტორია ერთი მხრივ უფრო ფართო და სიღრმისეულ ხასიათს ღებულობს, ხოლო მეორე მხრივ კუთვნილ ადგილს იმკვიდრებს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

ჩვენი კვლევის ობიექტს ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობა წარმოადგენს. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა, რა სახის კონტაქტები აქვს ამ ორ ლიტერატურას და როგორ მიიღო, შეითვისა და გაიაზრა ქართულმა მწერლობამ ინგლისური ლიტერატურა და პირიქით, ინგლისურმა — ქართული.

მეტნაკლებად მოწესრიგებული, სისტემური ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობა იწყება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. დაახლოებით ამავე პერიოდს განეკუთვნება მათი კვლევის დასაწყისიც. ეს პროცესი დღესაც გრძელდება: ერთი მხრივ ღრმავდება თვით ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტები, ხოლო მეორე მხრივ მყარ მეცნიერულ საფუძველზე დგება ამ კონტაქტებისა და ამ ორი ლიტერატურის ურთიერთმიმართებათა კვლევა.

ქართულ და ინგლისურ ლიტერატურას შორის ორმხრივი კავშირი არსებობს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც ქართველი, ასევე ბრიტანელი მწერლები, მთარგმნელები, ლიტერატურათმცოდნენი. ისინი ცდილობენ შემოქმედებითი და სამეცნიერო კონტაქტების გაფართოებას. რაც შეეხება სამეცნიერო სფეროს, აქ შეიძლება ორი მიმართულება გამოიყოს: ერთი მხრივ ბრიტანელი მკვლევრების მიერ ქართული ლიტერატურული პროცესების გაანალიზება და ქართველი მეცნიერების მიერ ინგლისური მწერლობის ძეგლების კვლევა, ხოლო მეორე მხრივ ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისა და ქართული და ინგლისური მწერლობის შიგნით მიმდინარე პროცესების შედარებით-ლიტერატურათმცოდნეობითი შესწავლა.

ბრიტანელი ქართველოლოგების კვლევის არეალი უმეტესად ქართული მწერლობის შესწავლით განისაზღვრება, ხოლო ქართველი მკვლევრები გარდა იმისა, რომ სწავლობენ ინგლისურ ლიტერატურას, ამასთანავე იკვლევენ ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიის სხვადასხვა ასპექტს და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდით განიხილავენ ქართულ და ინგლისურ მწერლობას. ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიის კვლევა და მისი სწავლება სწორედ ამ საკითხებს ითვალისწინებს.

II. ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტებისა და რეცეფციების კვლევისა და სწავლების მიმართულებანი

წინამდებარე ნაშრომში ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში პირველად არის თანმიმდევრულად წარმოჩენილი ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების პროცესი და საზოგადოდ ლიტერატურათმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული თუ ლექსიკოგრაფიული კონტაქტები. მასში გამოყენებულია უცხოეთის სამეცნიერო წრეებში მოპოვებული შედარებით უცნობი და დაუმუშავებელი ლიტერატურა, მოსკოვის, ლონდონისა და ოქსფორდის ბიბლიოთეკებში მოძიებული მასალები, ჩემს პირად არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ხელნაწერები.

ნაშრომის მეორე ნაწილში შეკრებილი და გამთლიანებულია საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებული კულტურული კავშირების ამსახველი ფრაგმენტული მასალა იმ დრომდე, ვიდრე ამ ორი ქვეყნის ლიტერატურა დაუკავშირდებოდა ერთმანეთს; განხილულია ქართულ წყაროებში მოძიებული ცნობები ბრიტანეთსა და ბრიტანელებზე, ინგლისურ წყაროებში მიკვლეული ცნობები ქართველურ მოსახლეობაზე, მათ ქრისტიანობაზე, საქართველოს ადგილმდებარეობაზე; ინგლისურ წყაროში მიგნებული გვაქვს სოხუმის კათოლიკეთა ეპისკოპოსის წერილი კენტერბერის არქიეპისკოპოსთან, 1330 წლით დათარიღებული, რომელშიც საუბარია დასავლეთ საქართველოს იმდროინდელ რელიგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე; ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაზე ინგლისურ ძეგლებში და დიდი ბრიტანეთისა და ბრიტანელების სახელწოდებებზე ქართულში; დამუშავებულია ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცული ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული ლექსიკონები; მიკვლეულია ინგლისურ-კავკასიურ ენათა პირველი ლექსიკონის ავტორის ვინაობა; ნაჩვენებია ის გზა, რომელიც განვლო ქართულმა და ინგლისურმა ლიტერატურამ დასაწყისიდან XIX საუკუნის შუახანებამდე, ე. ი. იმ დრომდე, როცა ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობებს უფრო გამოკვეთილი ხასიათი მიეცა.

სახელმძღვანელოს მესამე ნაწილი ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ და ლიტერატურათმცოდნეობით კონტაქტებს ეხება. მისი პირველი თავი, რომელშიც სისტემატიზებულადაა წარმოდგენილი ინგლისური ქართველოლოგია და ქართული ანგლისტიკა — აღწერილობითი ხასიათისაა. იგი აერთიანებს ქართველ და ინგლისელ მთარგმნელთა და მეცნიერთა ნაშრომებს და ჩვენს მიერ შევსებულია ახალი და ნაკლებცნობილი ლიტერატურული ფაქტებით. ამავე თავშია შესწავლილი, როგორ წარმოჩნდა ქართული თემა ინგლისურ მწერლობაში და როგორ მიმდინარეობს მისი კვლევა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიერ; ცალკეა განხილული ინგლისური მოგზაურული ჟანრის ლიტერატურა, სადაც ასახულია საქართველოში მოგზაუ-

რობის შთაბეჭდილებები. ნაშრომის ამ თავის ენციკლოპედიური მიმოხილვის სტილით შესრულებამ ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობისა და მათი კვლევის ისტორიის გამთლიანების და თანმიმდევრულად წარმოჩენის საშუალება მოგვცა.

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტებისა და რეცეფციების ძალზე მნიშვნელოვან და ყველაზე მოცულობით ნიმუშებს ქმნიან ინგლისური რუსთველოლოგია და ქართული შექსპიროლოგია, რასაც ნაშრომის მესამე ნაწილის მეორე და მესამე თავები ეთმობა. ჩვენ შესწავლილი გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ თითოეული ინგლისური თარგმანის მნიშვნელობა მთარგმნელთა მიზანდასახულებიდან გამომდინარე. ინგლისური რუსთველოლოგიური ნააზრევი კი კვალიფიცირებული გვაქვს პრობლემების მიხედვით. მასალის დამუშავებისას დიდი დახმარება გაგვიწია თსუ რუსთველის კაბინეტის მიერ გამოცემულმა კრებულმა „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“ (მთავარი რედაქტორი ლ. მენაბდე) (3) და ლ. მენაბდის ნაშრომმა „რუსთველი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში“. ჩვენი მხრივ შევეცადეთ საზღვარგარეთული რუსთველოლოგიის უახლესი მასალები შემოგვეტანა მეცნიერული კვლევის არეალში. კერძოდ, შევისწავლეთ პოემის ფინურად თარგმნის ისტორია, ვინაიდან იგი მრავალმხრივი ლიტერატურული კონტაქტების შედეგს წარმოადგენს; დავამუშავეთ დევიდ ბარეტის გამოუქვეყნებელი სტატია „ვეფხისტყაოსანი: პროლოგის გაგების ცდა“; ჩემს პირად არქივში დაცული ქეთრინ ვივიენის წერილი „ვეფხისტყაოსნის თარგმნის ზოგიერთი პრობლემა“; ემიგრანტი ქართველი მეცნიერის ტიტე მარგველაშვილის წერილი „ქართული ეპიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გამოქვეყნდა ლონდონში გამომავალ ჟურნალ „გეორგიკაში“.

მესამე თავში შესწავლილი გვაქვს როგორ მიიღო და შეითვისა ქართულმა ლიტერატურამ შექსპირის გენია და რა საკითხებით დაინტერესდნენ ქართველი მკვლევრები. შექსპირის ქართულად თარგმნის ისტორია ქრონოლოგიისა და თარგმანთა ხასიათის გათვალისწინებით პირობითად დავყავით პერიოდებად და ისე წარმოვაჩინეთ შექსპირის თხზულებათა თარგმნის ხანგრძლივი პროცესი; განვიხილეთ ქართველ მკვლევართა შექს-

პიროლოგიური მოღვაწეობა XIX საუკუნის შუახანებიდან ჩვენს დღევანდელობამდე და გამოვავლინეთ ის ძირითადი მიმართულებანი, რომლითაც მიმდინარეობს შექსპიროლოგიური კვლევა; ამავე პრინციპით შევისწავლეთ ხუთტომეული „ქართული შექსპირიანა“ (რედაქტორი ნ. ყიასაშვილი), რომელშიც ასახულია შექსპიროლოგიური კვლევის თანამედროვე დონე. საკვლევი მასალისადმი ასეთმა მიდგომამ გარკვეული განზოგადებული დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა, რაც შეჯამებულია ნაშრომის აღნიშნულ თავში. ფაქტობრივად ამით სრულდება ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის განმსაზღვრელი ეტაპების ისტორია.

წიგნის მეოთხე ნაწილი, რომელიც ოთხი თავისაგან შედგება, ეთმობა ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის რამდენიმე ნიმუშს. მასში მოცემულია საქართველოში ინგლისური მწერლობის აღქმის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტის შესწავლის ცდა. კერძოდ, ნაჩვენებია როგორ აისახა ინგლისური რომანტიზმი ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და ჟარგმანებში; წარმოჩენილია XIX საუკუნის ინგლისური რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების რეცეფცია საქართველოში; შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდითაა შესწავლილი XIX საუკუნის რომანტიზმისათვის ერთი ყველაზე ნიშანდობლივი თემა — სიყვარულის განცდა ქართულ და ინგლისურ პოეზიაში. იგივე მეთოდით გვაქვს დამუშავებული XIX საუკუნის რეალიზმისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი სტილური კომპონენტი — კომიკური თხრობა ქართულ და ინგლისურ მწერლობაში.

მეხუთე ნაწილი წიგნის ერთგვარ დამატებას წარმოადგენს. იგი ქართულ-ინგლისური კულტურული ურთიერთობის ისტორიასა და დღევანდელობას აკავშირებს ერთმანეთთან. აქ ქართულ თარგმანშია წარმოდგენილი თანამედროვე ინგლისელი მოღვაწეების ნინო უორდროპის, დევიდ დიკენსის, ელან უოტსის ნარკვევები წარსულის დიდ მოღვაწეებზე; მოთხრობილია, როგორაა დაფასებული დიკენსის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჩვენს დროში; შექმნილია ინგლისელი ქართველოლოგის ქეთრინ ვიეიენის ლიტერატურული პორტრეტი.

ნაშრომში გამოვლენილია ურთიერთობის ის ძირითადი ფორმები, რომელთა საშუალებითაც ქართული და ინგლისური ლიტერატურა უკავშირდებოდა ერთმანეთს — მხატვრული თარგმანი, უცხოეროვნული თემატიკა მხატვრულ ლიტერატურაში, მოგზაურული ჟანრი, შემოქმედთა პირადი კონტაქტები და აქედან გამომდინარე ლიტერატურული ინტერესები, პირადი მიმოწერა, მოგონებები, ლიტერატურათმცოდნეობითი კონტაქტები, სამეცნიერო სიმპოზიუმები, ინგლისის ქართველოლოგიური ჟურნალი და საქართველოს ინგლისურენოვანი გაზეთები და სხვ.

ამგვარად, ჩვენმა მიზანმა — გვეჩვენებინა ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების თანმიმდევრული და მთლიანი სურათი ამ ურთიერთობის ძირითადი ფორმების გათვალისწინებით, განაპირობა ის, რომ ნაშრომი ერთი მხრივ აღწერილობითი ხასიათისაა — გაერთიანებულია როგორც ჩვენამდე შესწავლილი მასალა, ასევე ჩვენს მიერ მიკვლეული ახალი ფაქტები და დეტალები, ხოლო მეორე მხრივ პრობლემურადაა დამუშავებული ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტებისა და რეცეფციების ზოგიერთი პრინციპული საკითხი.

ნაწილი მეორე.

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების ისტორიულ-ფილოლოგიური წანამძღვრები

მიგვაჩნია, რომ ლიტერატურათშორისი ურთიერთობის კვლევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ისტორიულ-ფილოლოგიური საფუძველი, რომელზეც ესა თუ ის ლიტერატურა ვითარდებოდა. ამიტომ შევეცადეთ მოკლედ და ზოგადად მიმოგვეხილა ქართულ-ინგლისურ კულტურულ ურთიერთობათა დასაწყისი; სხვადასხვა ხალხებს შორის კულტურული კავშირების დამყარება ხშირად ენობრივი ბარიერის დაძლევით იწყება. აქედან გამომდინარე, კულტურულ-სამეცნიერო კონტაქტების პირველ ეტაპზე ლექსიკოგრაფიული ინტერესი ჩნდება ხოლმე. ამიტომაც ჩვენ ყურადღება მივაქციეთ და თანმიმდევრულად წარმოვაჩინეთ ქართულ-ინგლისური ლექსიკოგრაფიული კავშირების ამსახველი მასალა; გარდა ამისა თვალი გავადევნეთ როგორ წარიმართა ლიტერატურული აზრის განვითარების პროცესი ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ ინგლისში ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ჩასახვამდე და რა წანამძღვრები ჰქონდა ამ ურთიერთობების აღმოცენებას.

I. ქართულ-ბრიტანულ კულტურულ ურთიერთობათა სათავეებთან

ამ ორი ქვეყნის ლიტერატურულ ურთიერთობათა უშუალო ფაქტებს წინ უსწრებდა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ლიტერატურულ ძეგლებში ფრაგმენტულად და თანთადანობით გამოვლენილი ცნობები; პირველში— ბრიტანეთზე და მის კულტურაზე, ხოლო მეორეში— იბერიასა და კოლხეთზე.

პირველი წერილობითი დოკუმენტები ბრიტანეთსა და ბრიტანელებზე საქართველოში და ქართველურ მოსახლეობაზე ბრიტანეთში შუა საუკუნეებიდან არსებობს.

კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, რომ მეათე საუკუნის ქართულ მწერლობაში მოხსენიებულია ბრიტანეთის კუნძული და იქ დასახლებული ტომები (1, 177). ექვთიმე ათონელს უთარგმნია მაქსიმე აღმსარებლის თხზულება „ნეტარისა თალასეს მიმართ" (იგი ცნობილია Questiones ad Thallasimus-ის სახელით). ექვთიმეს თარგმანს გამოკლებული აქვს მთელი რიგი თავები და შევსებულია ეპიფანე კვიპრელის თხზულებიდან Diamerismos და იპოლიტე რომაელის „ქრონიკიდან". ეს ნაშრომი წარმოადგენს Liber Generationis ქართულ ვერსიას და შედგება 100 კითხვა-მიგებისაგან. კ. კეკელიძე განიხილავს 29-ე კითხვა-მიგებას, რომელშიც საუბარია სემის, ქამისა და იაფეტის შთამომავალ ერებზე. ექვთიმე ათონელს სემისაგან წარმომდგარ ქართველ ტომებიდან აღუნიშნავს ქართველნი, მეხურელნი, ჰერნი, მეგრელნი. იაფეტისაგან — ქალიბელნი, მოსუნუკელნი (იგივე მოსვინიკები), კოლქელნი და ტიბრანელნი. იაფეტის შთამომავალთა ჩამოთვლისას ექვთიმე მოიხსენიებს „კელტნი...., კელტქართველნი დასავლისანი..., ბრეტანელნი". ამის შესახებ კ. კეკელიძე წერს: „იპოლიტე თავის ქრონიკაში ასახელებს Θκροεὶς ἀρ ὁὺ Ἰβηρες οἱ καὶ Τυρηνού = Tarsis, ex guo Hiber, qui et Tyrenni (H. 1. LibC 1. BarSac. A. ChrPas); იაფეტის შთამომავალთა შორის ის უჩვენებს არა მარტო კ ე ლ ტ ი ბ ე რ ე ბ ს, რომელნიც ექვთიმეს თარგმანით არიან „ქართველნი დასავლისანი" (როგორც ცნობილია მისი ბიოგრაფიიდან, ერთ დროს ექვთიმე და მისი მამა იოანე ათონიდან ამ „ქართველთა ქვეყანაში" აპირებდნენ გადასახლებას). არამედ ი ბ ე რ ე ბ ს ა ც, რომლებსაც, ამბობს ის, მწერლობაც აქვთ თავიანთ ენაზეო, მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმებიან არა ქართველები, არამედ ესპანიის იბერები" (1, 177).

შემდეგ ექვთიმე აგრძელებს — „ხოლო ამათ ნათესავთა ჯალაკნი არიან: პირველი ბრეტანიად, დიდი ივი ჯალაკი..."

ამდენად, X საუკუნის მოღვაწე ექვთიმე ათონელი ქართველთაგან პირველი დაინტერესდა Liber Generationis პრობლემით. მის ქართულ ვერსიაში მოხსენიებულნი არიან ინგლისელი ერის

წინაპრები — კელტები, იბერები, ბრიტანელები და ამ ტომებით დასახლებული დიდი ბრიტანეთის კუნძული.

გარდა ამისა, ძველ ქართულ თარგმანებში ბრიტანეთის ხსენების სხვა ფაქტსაც ვხვდებით. ნ. ქაჯაია მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ ბასილი კესარიელის ძეგლის „ექუსთა დღეთაჲ"-ს ორი ქართული თარგმანი არსებობს. გვიანდელი თარგმანის ავტორია XI საუკუნის მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი. ამ თხზულებასა და მის ბერძნულ თარგმანებში ბერძნულ-ქართულ ფონეტიკურ შესატყვისობებზე დაკვირვებისას მკვლევარი აღნიშნავს, რომ ადრეულ ქართულ თარგმანში საქმე გვაქვს ჩ-ს ბან-ით, ხოლო გიორგი მთაწმინდელის თარგმანში ვინ-ით გადმოტანის შემთხვევასთან. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია Βρεττανικη — ბრიტანიაჲ ჭალაკი — ვრეტანია (2, 20).

ასე რომ, ქართულ წერილობით წყაროებში დიდი ბრიტანეთი და იმდროინდელი მისი მოსახლეობა შუასაუკუნეებიდან იხსენიება.

რაც შეეხება პირველ ცნობებს საქართველოზე ინგლისურ წყაროებში, ამის შესახებ საკმაოდ მწირ, მაგრამ საგულისხმო მასალას იძლევა XIII საუკუნის ინგლისელი ქრონისტების — ბართლომე ინგლისელის, როჯერ ბეკონისა და მათე პარიზელის თხზულებანი.

ფრანცისკიანელთა ორდენის ბერის ბართლომე ინგლისელის (დაახლ. 1190—1250 წწ.) თხზულების „საგანთა თვისებების შესახებ" (3) გეოგრაფიულ ნაწილში ვხვდებით მცირე ინფორმაციას, რომელშიც აღნიშნულია, რომ იბერია არის ოლქი აზიაში, პონტოს ახლოს, სომხეთის მეზობლად, სადაც იზრდება ნაყენებისათვის სასარგებლო ბალახეული. ავტორი თვითონვე მიუთითებს, რომ მას უსარგებლია ადრე შუასაუკუნეების ავტორის ისიდორე სევილიელის მონაცემებით. ამასთანავე ცნობილია, რომ ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ბერძენი და რომაელი ავტორები არაერთხელ ახსენებენ კოლხეთსა და იბერიაში გავრცელებულ სამკურნალო მცენარეებს (4, 87). შუასაუკუნეების ქრონისტების თხზულებათა საქართველოსთან დაკავშირებული ნაწილების განხილვისას გურამ კუტალია მიუთითებს, რომ ბართლომე ინგლისელი ეხება ასევე კავკასიის მთას და მისი სახელწოდების ეტიმოლოგიასაც (5). თუ დავეყრდნობით ბართ-

ლომე ინგლისელის ცნობას, ამ მთის მრავალ სახელწოდებათა შორის ყველაზე გავრცელებული ყოფილა „კავკასია“, რაც აღმოსავლურ ენაზე სითეთრეს ნიშნავსო, დასძენს ავტორი. გურამ კუტალია მიიჩნევს, რომ აღმოსავლურ ენებში ნაგულისხმევია სკვითური ენა (5, 88).

ბართლომე ინგლისელის ცნობას საქართველოს სამკურნალო ბალახეულის შესახებ ერთგვარად ავსებს როჯერ ბეკონი (დაახლ. 1214—1292 წწ.), რომელიც თავის „დიდ თხზულებაში“ (6) აღწერს მონღოლების მიერ დაპყრობილ ხალხებს და ამბობს, რომ ამ თათრული მხარის სამხრეთით, პონტოს ზღვის გადაღმა ცხოვრობენ იბერები და გეორგიანები. სატახტო ქალაქს ტეფელისი ეწოდება და იქ ძმა-მქადაგებლებს აქვთ ტაძარი. გ. კუტალია მიუთითებს, რომ იბერებისა და ქართველების სხვადასხვა ხალხად ხსენებისას ბეკონი იმეორებს პლანო კარპინის მიერ დაშვებულ შეცდომას (5, 92). როჯერ ბეკონის თხზულება ერთერთი პირველია ინგლისურ წყაროებში, სადაც მოხსენიებულია იბერთა და გეორგიანთა სახელმწიფო და მისი სატახტო ქალაქი. გარდა ამისა, ერთგვარი მინიშნებაა ქართველების ქრისტიანობაზეც. ტექსტში მოხსენიებული ტაძარი, გურამ კუტალიას აზრით, არის 1240 წელს თბილისში რომის პაპის მიერ გამოგზავნილი „წმინდა დომინიკეს ორდენის მონაზვნების“ მიერ დაარსებული მონასტერი (5, 92).

ქრისტიანული ეკლესიისა და მისი „მტრების“ შესახებ უფრო ფართოდ არის საუბარი ბენედიქტეანური მონასტრის ბერის მათე პარიზელის (დაახლ. 1200—1259 წწ.) „დიდ ქრონიკაში“ (7), რომელმაც შემოგვინახა კონსტანტინოპოლის პატრიარქის გერმანე მეორის (1222—1240 წწ.) მიერ რომის პაპ გრიგოლ IX-სთან 1232 წელს გაგზავნილი მიმართვა. ვალენტინა მატუზოვა მიუთითებს, რომ ბერძნული ტექსტი არაა გამოცემული. „დიდ ქრონიკაში“ შესულია მიმართვის ლათინური თარგმანი (8, 108). ამ მიმართვაში ქართველები მოხსენიებულნი არიან „მრავალ დიდ ხალხთა“ და „ძლიერთა“ შორის. კონსტანტინოპოლის პატრიარქი სიამოვნებით იგონებს იმ დროს, როდესაც ბერძნები და ლათინები ერთი რწმენით იყვნენ გაერთიანებული და ერთად გამოდიოდნენ „ეკლესიის მტრების“ წინააღმდეგ, როცა რომი იფარებდა აღმოსავლეთიდან დევნილ ქრისტიანებს,

როცა აღმოსავლეთის ქრისტიანები თავისუფლებას უბრუნებდნენ ბარბაროსებისაგან დაპყრობილ რომს და სურვილს გამოთქვამს, რომ ბერძნულ და ლათინურ ეკლესიებს შორის აღმართული კედელი კვლავაც მოისპოს და გაერთიანებული ძალით შეებრძოლონ „ეკლესიის მტრებს“. ამასთანავე პატრიარქი პაპს არწმუნებდა, ბერძნების მსგავსი რწმენის ხალხები აღმოსავლეთშიც არიან და მათ დიდი სიკეთის მოტანა შეუძლიათ მთელი საქრისტიანოსთვისო. იგი აღმოსავლეთის „მრავალ და დიდ ხალხთა“ შორის პირველ რიგში ასახელებს ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებთ — ეთიოპებს, სირიელებს, ხოლო „კიდევ უფრო მნიშვნელოვნად და ძლიერად“ მოიხსენიებს იბერებს, ლაზებს, ალანებს, გოთებს, ხაზარებს, რუსებს, ბულგარელებს. ვალენტინა მატუზოვა შენიშნავს, რომ ამ ხალხთა ჩამოთვლაში მათე პარიზელს ლათინურ თარგმანში გამორჩენია ბერძნულ ტექსტში მოხსენიებული აფხაზები „ავსგი“ (8, 162), ხოლო გურამ კუტალია მიუთითებს, რომ ფრანგული გამოცემა, რომელიც ორიგინალიდან შესრულდა, დაცულია ამ უზუსტობისაგან, მაგრამ მასში ამოვარდნილია „ლაზები“ (5, 89). გ. კუტალია განიხილავს XIII საუკუნის დასაწყისის ისტორიულ ვითარებას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა, რომ ტექსტში მოხსენიებული „ეკლესიის მტრები“ იმ კონკრეტულ შემთხვევაში და კონკრეტულ დროში იყვნენ ის მუსლიმანები, რომლებმაც საფრთხე შეუქმნეს ნიკეის იმპერიას და ასევე მონღოლებიც, რომლებმაც არაერთხელ გაილაშქრეს ქრისტიანულ ქვეყნებზე.

ზემოაღნიშნული მიმართვის დაწერიდან ერთი საუკუნის შემდეგაც არსებითი ცვლილებები არ მომხდარა ქრისტიანულ სამყაროში. ერთი საუკუნის შემდეგაც კვლავ იგივე პრობლემებს დასტრიალებდნენ მორწმუნე ქრისტიანები. მათ კვლავ ბერძნული და ლათინური ეკლესიების გაერთიანება და საერთო მტრის — სარაცინელების წინააღმდეგ გალაშქრება ეწადათ. ამ ვითარების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია სებასტოპოლისის (სოხუმის ისტორიული სახელწოდება — მ. ო.) კათოლიკეთა ეპისკოპოსის პეტრე გერალდის მიერ კენტერბერის არქიეპისკოპოსთან და ინგლისის სხვა ეპისკოპოსებთან გაგზავნილი წერილი. იგი დაწერილია სებასტოპოლისში, საქართველოს სამეფოში, ინგლისის მეფის წმ. ედუარდის სახელწოდების დღეს, ქრისტე-

შობიდან 1330 წელს (9, 268—269). მიხეილ თამარაშვილის ცნობით, XIV საუკუნის 20—30-იან წლებში მეფე გიორგი მეხუთესა და რომის პაპს იოანე XXII-ს შორის საყურადღებო მიმოწერა წარმოებდა. აღსანიშნავია, რომ 1329 წელს რომის პაპმა სმირნის (იზმირის) კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადმოიტანა (10, 29—39). ამ ფაქტის შესახებ ვაჟა კიკნაძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ რომის პაპის ყურამდეც იქნებოდა მიღწეული გიორგი მეხუთის მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის ექო. რაც შეეხება სმირნის საეპისკოპოსო კათედრის თბილისში გადმოტანას, ესეც შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. ამის მიზეზად ვ. კიკნაძე თვლის იმას, რომ იმ დროისათვის საქართველო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა (11, 73). ამასთანავე 1330 წელს პაპმა სოხუმშიც დანიშნა კათოლიკეთა ეპისკოპოსი, რომელსაც ეკუთვნის სწორედ ზემოაღნიშნული წერილი. წერილში მას აღწერილი აქვს მისი თანადროული დასავლეთ საქართველოს ვითარება. დოკუმენტის მიხედვით ცნობილი ხდება, რომ კათოლიკოსის რეზიდენცია იმხანად ცხუმში იყო და ქალაქში რამდენიმე ეთნიკურ-რელიგიური ერთეული ცხოვრობდა (ქართველები, ლათინები, მაჰმადიანები, ებრაელები). იგი სწერს ინგლისის ეპისკოპოსებს აღმოსავლეთის ქრისტიანთა სატკივარს, რომ მათი ქრისტიანი ძმები შევიწროებული არიან სარკინოზთაგან ღალატით, წამებით, ომებით ზღვასა და ხმელეთზე, საფლავების აოხრებით. ამასთანავე სარკინოზები იმონებენ და შემდეგ ბაზარზე ჰყიდიან ქრისტიანებს. პეტრე გერალდი ერთგვარი სინანულით აღნიშნავს, რომ თუმცა ამ მხარის მბრძანებლები ქრისტიანები არიან, ბევრ რამეში არ მიჯერებენ, ვინაიდან ბერძნული სქიზმის წარმომადგენლები არიანო და გამოთქვამს ბერძნული და ლათინური ეკლესიების გაერთიანების სურვილს მით უფრო, რომ რომის პაპის მხრიდან იყო დაბეჯითებითი ცდები და ამ მცდელობებს დადებითი გამოხმაურებაც მოჰყოლია საქართველოში. ამის მაგალითად იგი ასახელებს დასავლეთ საქართველოს მბრძანებელს, რომელიც ამავე დროს მთელი საქართველოს მხედართმთავარიც იყო. ვ. კიკნაძე ფიქრობს, რომ ეს უნდა ყოფილიყო მამია დადიანი, რომელსაც ალბათ გიორგი მეხუთემ მიანიჭა ამირსპასალარობა და რომელიც ვახუშტის ცნობით, სწორედ იმ პერი-

ოდში გადასულა დასავლეთ საქართველოში (11, 157). წერილში ნათქვამია, რომ იგი თანახმაა რომაული ეკლესიისადმი მორჩილებასა, კათოლიკობის მიღებასა და სარწმუნოების ერთიანობაზე. ამასთანავე მზად არის თავისი ლაშქრით დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად იომოს. ბოლოს ეპისკოპოსი პეტრე თხოვნით მიმართავს კენტერბერის ეპისკოპოსებს, რომ თუ მათ სამეფოში გაბედული მეომრები მოიძებნებიან, რომელთაც სურთ იომონ ქრისტიანების გათავისუფლებისთვის და სარწმუნოების გასამტკიცებლად, ამასთან, უნდათ კარგი მამულის, სამეფოს და სასახლეების შეძენა, გამოგზავნეთ ისინი ამ საქმისათვის. პეტრე გერალდი იმედს გამოთქვამს, რომ ასეთ შემთხვევაში შეძლებენ ქრისტიანები მაჰმადიანთა მათრახის განადგურებას მთელ მსოფლიოში.*

მოკლედ, ასეთია ის დოკუმენტური მასალა, სადაც ასახულია ქართველი და ინგლისელი ხალხის ერთმანეთით დაინტერესების, ერთმანეთის ცოდნის და ურთიერთობის დონე შუა საუკუნეებში. ასე ფრაგმენტულად დაედო სათავე ამ ორი ხალხის კულტურულ ურთიერთობას, რომლებიც შემდგომ პერიოდში უფრო მრავალფეროვანი გახდა. მას ვაჭრებმა, მოგზაურებმა, დიპლომატებმა კიდევ სხვა მიმართულებები შესძინეს.

---

* აღნიშნულ წერილს ჩვენ მივაკვლიეთ XIX საუკუნის 70-იან წლებში ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოცემული მოგზაურული ჟანრის ლიტერატურის დამატებებში (9, 268—269). ქართული ისტორიოგრაფიისთვის კი იგი ცნობილი გახდა XIX საუკუნის 50-იან წლებში მიუნხენში გერმანულ ენაზე გამოცემული სამეცნიერო ლიტერატურის საშუალებით (12, 182—188). სავულისხმოა, რომ ორივე წიგნში ეს დოკუმენტი შესულია დედნის (ლათინურ) ენაზე. გერმანულ გამოცემაში იგი მოიძია, ქართულ ენაზე თარგმნა და განმარტებები დაურთო ვაჟა კიკნაძემ (13, 156—160). მისი ცნობით, ეს წერილი ინახებოდა ვენეციელი ისტორიკოსის მარინო სანუტო უფროსის პირად არქივში, რომელიც შემდგომში შეისწავლა და გამოაქვეყნა ფრ. კუნსტმანმა. წერილის ასლი მარინო სანუტოსთან მოხვედრილა წერილშივე მოხსენიებული პირის იაქინუს დე-კრემონას საშუალებით, რომელმაც, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, თვითონ იკისრა ეპისკოპოს პეტრეს წერილის წაღება საქართველოდან ინგლისს. იგი დაახლოებული ყოფილა მარინო სანუტოსთან, რომლის მოღვაწეობის ძირითად მიზანს „წმინდა მიწების“ და საერთოდ „ურწმუნოთაგან“ აღმოსავლეთის განთავისუფლება წარმოადგენდა. ამდენად გასაგები ხდება, როგორ შეიძლება მოხვედრილიყო ამ დოკუმენტის ასლი მასთან.

ეს ადრეული პერიოდის ინგლისური წყაროები საინტერესო მასალას იძლევა საქართველოს და ქართველთა სახელწოდების შესახებაც. ქართველური სამყაროს აღსანიშნავად ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს პერიოდში არაერთი სახელი იყო პოპულარული. უპირველესად კი კოლხა. ეს სახელწოდება ბერძნულ წყაროებშია შემონახული. შემდგომში ქართული სახელმწიფოს აღსანიშნავად გვხვდება იბერია (ძირითადად ბერძნულ და ლათინურ წყაროებში). ეს სახელწოდება ძველ მსოფლიოში ორ გეოგრაფიულ ადგილს ერქვა. ერთი — კავკასიაში, მეორე — პირინეის ნახევარკუნძულზე. პირინეის იბერია, როგორც პოლიტიკური ერთეული, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან წყვეტს არსებობას. ბევრად უფრო დიდხანს შეინარჩუნა სახელწოდება კავკასიის იბერიამ. თუმცა ქართული წყაროები თავიანთ ხალხს იბერებს არ უწოდებენ, მაგრამ ისიც შეინიშნება, რომ ეთნონიმ **ქართველს** ჩვენი წინაპრები ეთნონიმ **იბერის** ქართულ შესატყვისად თვლიდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, პირინეის იბერებს ქართული წყაროები უწოდებდნენ „ქართველნი დასავლისანი". ინგლისურ წყაროებში კი XIII საუკუნიდან იხსენიება იბერია, იბერები და ლაზები. დაახლოებით იმავე პერიოდში ცნობილი ფილოსოფოსი როჯერ ბეკონი ეთნონიმ **იბერთან** ერთად **გეორგიან**-საც მოიხსენიებს. მწირ ინფორმაციასთან ერთად ამ სახელწოდებებიდანაც ცხადი ხდება, რომ ინგლისელი ავტორები ძველ უცხოურ წყაროებს ეყრდნობოდნენ და მათთვის სრულიად უცხო იყო ქართული მასალა ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის პერიოდშიც.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა XIX საუკუნის ინგლისელი მოგზაურების სმითის და დუაითის მსჯელობა. ისინი 1834 წელს ესტუმრნენ საქართველოს და თავიანთ შთაბეჭდილებებში აღნიშნავდნენ, რომ შორეულ წარსულში ბერძნები ქართველებს იცნობდნენ იბერიელთა სახელით და გეოგრაფები მათ შორის გამოყოფდნენ კოლხებსა (Colchi) და ალბანებს (Albani). ეს ხალხი დასახლებული იყო სომხეთსა და კავკასიონს შორის მდებარე მთელ ტერიტორიაზე — კასპიიდან შავ ზღვამდე — წერენ ავტორები და შემდეგ კიდევ უფრო აზუსტებენ — კირესისა და ფაზისის მდელოებზე. სახელწოდება Virk, სომეხი

მწერლების მიერ შერქმეული, ჩანს იგივე წარმოშობისაა, რასაც ბერძნები იყენებდნენ — ფიქრობენ სმითი და დუაითი. ინგლისელი ავტორები იცნობენ აღმოსავლურ წყაროებსაც. ისინი წერენ, რომ თურქები და სპარსები ამ ხალხს გურჯებს (Gürjy), ხოლო ქვეყანას გურჯისტანს (Gürjistan) უწოდებენ და ვარაუდობენ, რომ ეს სახელწოდება მდინარის სახელწოდებიდან **Kür** ან **Koor** მომდინარეობს. მათი საქართველოში მოგზაურობის პერიოდში ინგლისელები საქართველოს უკვე მხოლოდ გეორგიად მოიხსენიებდნენ. სმითი და დუაითი თვლიან, რომ ევროპული და კერძოდ ინგლისური სახელწოდება **გეორგია** უფრო აღმოსაელური წყაროებიდან მოდის, ვიდრე ბერძნული **გეორგოსიდან (Georgos),** როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს. გეორგიანები კი თავიანთ თავს უწოდებენ **Kartli,** რომელიც თოგარმაჰის (ალბათ თარგამოსი იგულისხმება, მ. ო.) მეორე ვაჟიდან — ქართლოსიდან წარმოდგა, ისევე როგორც სომხების სახელი მისი პირველი ვაჟიდან — ჰაიგიდან, წერენ სმითი და დუაითი (14, 144).

ასეთია ინგლისელთა ზოგიერთი ცნობა საქართველოსა და ქართველთა სახელწოდებისა და მისი წარმოშობის შესახებ. დღესდღეობით ინგლისელებიც თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებულ სახელწოდებებს — **გეორგია, გეორგიანზ** ხმარობენ ქართველთა სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის აღსანიშნავად.

რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის სახელწოდებას ქართულ წყაროებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, X საუკუნეში იხსენიება ბრიტანეთის კუნძული, ბრეტანელები, კელტები. XVII საუკუნის ბოლოდან ქართულ ხელნაწერებში ვხვდებით შოტლანდიას და შოტლანდიელებს. ლ. ასათიანი დააკვირდა XIX საუკუნეში დიდი ბრიტანეთის სახელწოდების გადმოღებას ქართულად და მიუთითა, რომ სამოციან წლებში ხმარებაში იყო რუსული კალკი —**ველიკობრეტანია.** მოგვიანებით დამკვიდრდა — **დიდი ბრიტანია,** შემდეგ — **ინგლიზეთი** (გასული საუკუნის ქართულ პრესაში ვხვდებით ასევე სახელწოდებას — **ანგლია,** მ. ო.). ილია ჭავჭავაძემ სამოცდაათიანი წლების მიწურულს დაამკვიდრა ტერმინი — **ინგლისი** (15, 57). ქართულ მწერლობაში ვხვდებით პოეტურ

სახელწოდებას — **ალბიონსაც**. საქართველოში ყველაზე ნაკლებად ისმარება სახელწოდება — **შეერთებული სამეფო**. დღესდღეობით უფრო მიღებულია **ინგლისის**, ან **დიდი ბრიტანეთის** ხმარება.

II. ქართულ-ინგლისური ლექსიკოგრაფიული კავშირები

ორი ხალხის კულტურული ურთიერთმიმართების გამოვლენის ერთი მხარეა ლექსიკოგრაფიული კავშირები და ამდენად მისი კვლევა არა მხოლოდ ლინგვისტიკის საგანი შეიძლება გახდეს, არამედ კულტურის ისტორიის და კერძოდ ფილოლოგიის, ამ დისციპლინის ფართო გაგებით.

ქართული და ინგლისური ენები ენათა სხვადასხვა ოჯახებს განეკუთვნებიან და როდესაც მათი განვითარების გარკვეულ ასპექტებზე ვმსჯელობთ, გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ქართული და ინგლისური ენების ისტორიაში ერთ საერთო თავისებურებაზე. როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენას, მთელი ისტორიული განვითარების მანძილზე ურთიერთობა ჰქონდა მეზობელი და დამპყრობელი ქვეყნების ენებთან.

საუკუნეთა მანძილზე ცვლილებებს განიცდიდა ქართული ენის ლექსიკა და გრამატიკული სისტემა. ის ფაქტი, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები გასაგებია თანამედროვე მკითხველისათვის, იმითაცაა განპირობებული, რომ ქართული ენის დიალექტებს შორის არ არსებობს რადიკალური სხვაობა და სალიტერატურო ქართული ენის საყრდენი დიალექტი (ქართლური) არასდროს შეცვლილა. ენის ეს ერთიანობა და უწყვეტობა განასხვავებს ქართულ მწერლობას ბევრი უცხოური და მათ შორის ინგლისური ლიტერატურისგანაც.

ძველი სამწერლობო ტრადიციების მქონე ქართულ ენას, ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ტიპის ენებთან — ბერძნულთან, სირიულთან, ებრაულთან, სომხურთან, სპარსულთან, არაბულთან... იმ დროს როდესაც ქართული კულტურა მჭიდრო კავშირში იყო ბერძნულ ცივილიზაციასთან, ქართულმა ენამაც განიცადა ბერძნულის გავლენა, რაც ძირითადად ლექსიკასა და სინტაქსში გამოიკვეთა; ბერძნული რთული სიტყვების მოდელის მიხედვით წარმოიქმნა ქართული კომპოზიტები. სპარსეთისა და

არაბეთის პოლიტიკურმა გავლენამ საქართველოზე კვალი დაჩნია ენის სფეროსაც. ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ქართულში არის როგორც ცოცხალი ენობრივი კონტაქტების შედეგად, ასევე ლიტერატურული გზით შემოსული ირანული ლექსიკური ერთეულები. რაც შეეხება არაბულ ნასესხობებს, ისინი შემოსულია როგორც პირდაპირი, ასევე სპარსულის გზით. ქართველი და სომეხი ხალხის მჭიდრო ისტორიულმა კონტაქტმა განაპირობა ენობრივი კონტაქტებიც. ქართულ ლექსიკაში დამკვიდრდა სომხური სიტყვებიც და სომხურიდან შემოსული უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულებიც. ქართულ ენაში უცხოურ სიტყვათა წარმომავლობა პირველად სულხან-საბა ორბელიანმა ნაწილობრივ წარმოაჩინა XVIII საუკუნის დასაწყისში შედგენილ „სიტყვის კონაში“.

ამდენად, ქართულ-უცხოურ ენობრივ კონტაქტებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. უცხოურ ენათა გავლენის კვალი შეინიშნება ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში. ოლივერ უორდროპი „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში წერდა, რომ მართალია, პოემის თითქმის ყველა მოქმედ პირს სპარსული სახელები ჰქვია (შეიძლება მხოლოდ ტარიელი, თინათინი, დავარი და ავთანდილი იყოს ქართული, თუმცა ეს უკანასკნელი საეჭვოდ მიაჩნია) და პოემაში ბევრი სპარსული სიტყვაა ნახმარი, მაგრამ ამის მიზეზი უნდა იყოს ერთი მხრივ რუსთველის განზრახვა, რომ სულ სხვა ქვეყნისა და ხალხის შესახებ ელაპარაკა, ხოლო მეორე მხრივ ის, რომ იმ დროში ასე წერა პოპულარული იყო; ეს პოპულარობა კი ბუნებრივი შედეგი გახლდათ იმ ლიტერატურული სიმპათიისა, რომელიც ამ ორ მეზობელ და განათლებულ ხალხს შორის არსებობდა. უორდროპი საუბრობს ასევე პოემაში არაბული წარმოშობის სიტყვათა სიხშირეზე (16, 342). უცხოენოვანი ელემენტების გავლენა უფრო მეტად მოჩანს ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში. ცხადია, ის გრეციზმები, არმენიზმები, ირანიზმები, არაბიზმები თუ სხვა ნასესხები ლექსიკური ერთეულები, სხვადასხვა სახის კონსტრუქციები თუ სემანტიკური კალკები, რომლებიც მისაღები იყო ქართული ენისთვის, შეერწყა მას, ხოლო ქართუ-

ლი ენის ბუნებისთვის უცხო ელემენტები ენამ ვერ შეითვისა და თანდათან გაქრა.*

საზოგადოდ ნებისმიერი ენობრივი ურთიერთობა ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობათა შემადგენელი კომპონენტია და მისი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ ერის კულტურული ცხოვრების სრულყოფილად აღქმა.

ძველი ინგლისური, ანუ როგორც მას უწოდებდნენ, ანგლოსაქსური ენა შედგებოდა ბრიტანეთის კუნძულებზე გავრცელებული დიალექტებისაგან (ნორტუმბრიული, მერსიული, უესექსური, კენტური), რომლებიც კონტინენტიდან ანგლების, საქსების, იუტებისა და ფრიზების გადასახლების შედეგად გავრცელდა. ეს დიალექტები შემდგომში საფუძვლად დაედო ინგლისური ეროვნული ენის ჩამოყალიბებას. თუმცა ინგლისურმა ენამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მისმა გრამატიკულმა წყობამ და ლექსიკურმა ფონდმა მაინც შეინარჩუნა გერმანიკულ ენათა ჯგუფის ძირითადი ნიშნები.

ინგლისურ ენას, ქართულის მსგავსად, ურთიერთობა ჰქონდა სხვა ენებთან — კელტურთან, დანიურთან, ნორმანულ-ფრანგულთან... ამ ენებთან ურთიერთობაში მისი ლექსიკური ფონდი იზრდებოდა, ფართოვდებოდა, ენა იხვეწებოდა და ამასთანავე თავისი შინაგანი კანონებით აგრძელებდა განვითარებას. ენაში მომხდარი ცვლილებები გარკვეულწილად ენობრივ ურთიერთობათა შედეგიც იყო.

დანიელების მიერ ბრიტანეთის დაპყრობას კულტურის სფეროზე ზეგავლენასთან ერთად ლინგვისტური გავლენაც მოჰყვა. ამ ფაქტმა ასახვა ჰპოვა ფონეტიკურ პროცესებსა და გრამატიკულ ფორმებზე. ძველი ინგლისური ენა გამდიდრდა ახალი სიტყვებით, სინონიმებით. ნორმანმა დამპყრობლებმა ბრიტანეთში თან ჩაიტანეს ფრანგული ენის ნორმანული დიალექტი. ფრანგული წარმოშობის სიტყვათწარმომქმნელი აფიქსების მეშვეობით და ნორმანულ-ფრანგულ სიტყვათა ნასესხობებით ივსებოდა ინგ-

---

* ამ საკითხებთან დაკავშირებით საუბარია არაერთ გამოკვლევაში: ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984; ჯ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983; მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, თბ., 1966 და სხვა.

ლისური სალიტერატურო ენა. მწერლები ფართოდ იყენებდნენ ფრანგულ სიტყვებს და იქვე წარმოადგენდნენ მათ ინგლისურ განმარტებებს. ამდენად, ლექსიკურ ერთეულთა სინონიმური რიგები, სხვა ევროპულ ენებთან შედარებით, ბევრად უფრო მრავალფეროვანი გახდა. ენობრივი ურთიერთობების შედეგი იყო ის, რომ აღრინდელ შუასაუკუნეებში ინგლისური ლიტერატურა სამ ენაზე ვითარდებოდა — სასულიერო მწერლობა ლათინურ ენაზე იქმნებოდა, სარაინდო ლიტერატურა — ნორმანულ-ფრანგულად, თქმულებები და ბალადები — ანგლოსაქსურად. სამენოვნების პროცესი უშუალოდ ერთი მწერლის — ჯონ გაუერის შემოქმედებაშიც აისახა.

ენობრივი კონტაქტებით გაძლიერებულმა და გამდიდრებულმა ინგლისური ენის დიალექტებმა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ცვლილებები განიცადა. ნორტუმბრიულის ნაცვლად შეიქმნა შოტლანდიური დიალექტი, მერსიულის საფუძველზე — მიდლენდის დიალექტი და ა. შ. XIII საუკუნიდან ლონდონში წარმოიშვა განსაკუთრებული ლონდონური დიალექტი. XIV საუკუნიდან ლონდონი მსხვილი სავაჭრო, სამრეწველო, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი გახდა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ ლონდონური დიალექტი მომავალში საფუძვლად დაედო ინგლისური ეროვნული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას. ეს პროცესი ერთგვარად დააჩქარა ინგლისში წიგნის ბეჭდვის დაწყებამაც.

ჩვეულებრივ ენის განვითარების ისტორიას ცხადად ასახავს არა მარტო მხატვრული ლიტერატურა, არამედ გრამატიკული ნაშრომები და ლექსიკონები. ისინი XVI საუკუნიდან დაწყებული ინტენსიურად ქვეყნდებოდა ინგლისში. ყველა კულტურული ერისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ხასიათის ლექსიკონების შედგენას. თუ თარგმნითი ლექსიკონების — ორ ან რამდენიმეენოვანის შედგენა, ერთი მხრივ აუცილებელია შედარებითი ენათმეცნიერებისთვის, მეორე მხრივ საჭიროა ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარებისთვის (განსაკუთრებით მისი ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი ფორმის — მხატვრული თარგმანისთვის), რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ერთი ენის ლექსიკური ფონდის თარგმნა მეორე ენაზე სავალდებულოა უცხოური ენების შესწავლისათვის. რაც შეეხება

უცხოურ სიტყვათა ლექსიკონებს (განმარტებითს, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა, ინტერნაციონალურ ტერმინთა და სხვ.), მათში დადგენილია ლექსიკურ ერთეულთა წარმომავლობა, ორთოგრაფია, პიროვნებათა ვინაობა და ა. შ.

ამჯერად ჩვენ შევეცდებით ქრონოლოგიურად აღვწეროთ სხვადასხვა დროს შედგენილი ინგლისურ-ქართული, თუ ქართულ-ინგლისური ენობრივი და თემატური ლექსიკონები თუ სიტყვარები (როგორც ნაბეჭდი, ასევე ხელნაწერი). ამ მასალის დამუშავებისას აღმოჩნდა, რომ ინგლისელმა ავტორებმა ამაგი დასდეს არა მარტო ქართულ ენას, არამედ მის დიალექტებსაც; შეადგინეს როგორც ქართველურ, ასევე კავკასიურ ენათა შედარებითი ლექსიკონები.

საფიქრებელია, რომ ინგლისელ ავტორთა მიერ ქართული და კავკასიური ენების შესწავლის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია 1788 წელს ლონდონში გამოცემული წიგნი — „რუკა შავი და კასპიის ზღვებს შორის მოთავსებული ქვეყნებისა კავკასიის ხალხთა აღწერითა და მათი ენების სიტყვარებით". მისი ავტორის — ჯორჯ ელისის წინასიტყვაობიდან ვიგებთ, რომ ეს წიგნი ემყარება გიულდენშტედტის მოგზაურობის ჩანაწერებს, რაინეგსის საქართველოს აღწერას, პალასისა და მიულერის შრომებს, გამოყენებულია ანტიკური წყაროები. მასში წარმოჩენილია კავკასიის ხალხთა ისტორია, კულტურა, რელიგია და სხვ.; ენობრივი ნაწილი კი კავკასიურ ენათა მცირე შედარებით ლექსიკონს წარმოადგენს ინგლისური თარგმანით. მასში შესულია ექვსი კავკასიური ენისა და მათი სხვადასხვა დიალექტების მონაცემები. ეს სიტყვარები შემდეგნაირად არის დალაგებული — აფხაზური ენა (რომელშიც გამოყოფილია ორი დიალექტი — აღთიქესეკის და ყუბანის), ყაბარდოს ჩერქეზული, ოსური ენა (ოსეთის და დიგორის დიალექტებით), ქისტური ენა (ორი დიალექტით არის წარმოჩენილი — ჩეჩნური და ინგუშური), ლეზგიური ენა (ოთხი დიალექტითაა მოცემული — ანწუხური, ჭარული, ხუნძახური, დიდოური) და ქართული ენა (ქართლური, იმერული, სვანური დიალექტებით).

წიგნის ავტორი წინასიტყვაობაში შენიშნავს, რომ სიტყვარების შედგენისას მას უსარგებლია რუსეთის დედოფლის დავალებით გამოცემული 130 სიტყვიანი ლექსიკონით, სადაც სიტყ-

ვები მისი უდიდებულესობის მიერ არის შერჩეული (17). იგი დანანებით მიუთითებს, რომ სიტყვარში ზოგიერთი ენა ან დიალექტი სრულად არ არის წარმოდგენილი. ეს განსაკუთრებით აფხაზურ ენას ეხება (მის სიტყვარში მხოლოდ 73 ერთეულია, მ. ო.) ჯორჯ ელისი მისი ნაშრომის სხვა ნაკლსაც აღნიშნავს; სახელდობრ იმას, რომ ინგლისური ასოებით ვერ მოხერხდა კავკასიურ ენათა ბგერითი შემადგენლობის მთელი სიზუსტით გადმოცემა. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში აღრეულია ტერმინები — ენა და დიალექტი. სვანური ენა მიჩნეულია დიალექტად. გარდა ამისა, ქართული ენის განყოფილებაში მეგრული სიტყვები გამოხცადებულია იმერულ დიალექტად. ეს უზუსტობა რუსული გამოცემისთვის არის დამახასიათებელი და ინგლისელმა ავტორმაც შეუსწორებლად გადაიტანა ინგლისურ გამოცემაში (18, 223—224).

ამ უზუსტობათა მიუხედავად, ეს არის ფრიად საყურადღებო წიგნი, რომლის ლექსიკოგრაფიულმა ნაწილმა პირველი ინფორმაცია მიაწოდა ინგლისურენოვან სამყაროს კავკასიურ და ქართველურ ენათა შესახებ.* რაც შეეხება მის ავტორს — ჯორჯ ელისს (1753—1815), იგი ყოფილა სამეფო საზოგადოების წარმომადგენელი, ფრიად განსწავლული პიროვნება, პოლიტიკოსი და მეცნიერი, ცნობილი ინგლისელი მწერლის უოლტერ სკოტის ახლო მეგობარი. მას გამოქვეყნებული აქვს საგულისხმო გამოკვლევები ინგლისურ პოეზიაზე (21, 268).

ჯორჯ ელისის ლექსიკონს ქრონოლოგიურად მოსდევს დემეტრიუს რუდოლფ ფიქოქის მიერ 1883 წელს შედგენილი ლექსიკონი (22). იგი მოიცავს, როგორც თვითონ უწოდებს, დასავლეთ კავკასიური ენების — ქართულის, მეგრულის, ლაზურის,

---

* ზემოაღნიშნული წიგნის არსებობის შესახებ საქართველოში პირველი ცნობა ნიკო ყიასაშვილმა გამოაქვეყნა (19). იგი შენიშნავს რომ ეს წიგნი გამოცემულია ჯ. ედვარდსის მიერ. მასზე ავტორის ვინაობა არ არის მითითებული. მაგრამ ჩვენ მივაკვლიეთ, რომ ინგლისის სხვადასხვა წიგნსაცავში — ბრიტანეთის ბიბლიოთეკის, ბრიტანეთის კონგრესის ბიბლიოთეკის, ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის კატალოგებში მის ავტორად მიჩნეულია ჯორჯ ელისი. გარდა ამისა, ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულ ეგზემპლარს გაღაურული აქვს ტყავის ყდა წარწერით "ELLIS'S MEMOIRS on spine" (memoirs როგორც ჩანს შეცდომაა. უნდა იყოს memoir) (20).

სვანურის, * აფხაზურის მონაცემებს და მათ ინგლისურ შესატყვისებს. მასში სიტყვები ლათინური შრიფტითაა მოცემული. ლექსიკონში ძირითადად თემატურად არის წარმოჩენილი ცხოველთა და ფრინველთა სამყარო, ასტროლოგია, ოჯახი, სხეულის აგებულება, თვლა, მორფოლოგია, შეტანილია სპეციფიკური გამოთქმები, კითხვითი წინადადებები... ლექსიკონში 224 სიტყვა და ფრაზაა შესული. იგი ეფუძნება ბენგალიის სააზიო საზოგადოების მიერ შედგენილ მცირე ლექსიკონს, რომელიც სამეფო სააზიო საზოგადოების გენერალურმა მდივანმა რობერტ ქასთმა გაუგზავნა ფიქოქს და სთხოვა მას ამ ლექსიკონის მიხედვით შეედგინა კავკასიურ ენათა ლექსიკონი. წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ქასთიც და ფიქოქიც კავკასიურ ენათა ლექსიკონის შედგენას ფრიად საჭირო და მნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევდნენ.

კითხვაზე, რატომ დაევალა მაინც და მაინც ფიქოქს ეს სამუშაო, პასუხს ვპოულობთ ინგლისურ ბიოგრაფიათა ეროვნულ ლექსიკონში, სადაც ვკითხულობთ, რომ დემეტრიუს რუდოლფ ფიქოქი (1842—1892) დაიბადა რუსეთში ინგლისელი მამის ოჯახში. იგი იყო მოგზაური და ფილოლოგი, მუშაობდა ვიცე-კონსულად ბათუმსა და ოდესაში (24, 1016). როგორც ჩანს, სწორედ მისი სპეციალობისა და სამსახურის ადგილის გამო სთხოვეს ფიქოქს კავკასიურ ენათა ლექსიკონის შედგენა. რაც შეეხება იმას, იცოდა თუ არა თვითონ ფიქოქმა რომელიმე კავკასიური ენა, ამის დამადასტურებელი ცნობა ჩვენ ხელთ არ გვქონია.

ოქსფორდში ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპების ფონდში დაცულია მარჯორი უორდროპის ნაქონი ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი (25). იგი 600 გვერდიანია. ყოველი ნაბეჭდი ფურცლის შემდეგ თავისუფალი ფურცელია, სადაც

---

* როგორც ჩანს, ინგლისელი სწავლულები თუ მოგზაურები განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდნენ სვანურ ენას. სიტყვარის შედგენის ცდას წარმოადგენს ჯ. თელფერის მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე დართული 21 სვანური სიტყვა (კვირის დღეები, რიცხვითი სახელები) ინგლისური განმარტებებით (23, 260—261). თელფერიც იმეორებს ელისის უზუსტობას და სვანურ ენას დიალექტად მიიჩნევს.

მარჯორი უორდროპის ხელით ზოგიერთ ინგლისურ სიტყვას მიწერილი აქვს ქართული შესატყვისები.

ნინო უორდროპის მოგონებიდან ვიგებთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობის პერიოდში მარჯორი ადგენდა ინგლისურ-ქართულ ლექსიკონს და 1892 წლის 3 დეკემბერს მან მე-1000 სიტყვა ჩაწერა ამ ლექსიკონში (26, 36).

1895 წლის 8 ივნისს კი მარჯორი უორდროპს დაუწყია ქართულ-ინგლისური სიტყვარის შედგენა. იგი დაუმთავრებელია. ხელნაწერი ინახება ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპების ფონდში (27). როგორც ჩანს, ეს არის მის მიერ ჩაფიქრებული სამუშაოს მცირე ნაწილი — 200-მდე სიტყვა ბ ასოზე. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი აპირებდა სიტყვარის ანბანთ რიგზე გაწყობას. მარჯორი უორდროპის მოღვაწეობას თუ გავითვალისწინებთ, სავარაუდებელია, რომ ამ სიტყვარის შედგენა მას მთარგმნელობითი საქმიანობისთვის ესაჭიროებოდა.

1891 წელს სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალში დაიბეჭდა ოლივერ უორდროპის ინგლისურ-სვანური ლექსიკონი (28). მას ახლავს შემდგენლის შესავალი წერილი, სადაც მოხსენიებულია ფიქოქის ღვაწლი და მის მიერ შედგენილი კავკასიურ ენათა ლექსიკონი. ავტორის აზრით, მის ლექსიკონს კარგი სამსახური უნდა გაეწია ქართველური ენებით დაინტერესებული ბრიტანელი ფილოლოგებისათვის. მასში 1500-მდე სიტყვაა. სვანური სიტყვები წარმოდგენილია ლათინური შრიფტით.

1950 წელს ოქსფორდში დაისტამბა ეკა ჩერქეზის (ჩერქეზიშვილი. დაიბადა 1900 — ?) მიერ შედგენილი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი (29). წინასიტყვაობიდან ვიგებთ, რომ ავტორს მასზე მუშაობა დაუწყია 1928 წელს. ნაშრომი მთლიანობაში წაუკითხავთ და განუხილავთ ზურაბ ავალიშვილს და რევაზ გაბაშვილს 1937 წელს. ანაწყობის საბოლოო რედაქტირება მოუხდენია ოლივერ უორდროპს. ასე რომ, 1939 წელს ლექსიკონი ფაქტობრივად მზად იყო გამოსაცემად. ეკა ჩერქეზმა ეს ქართულ-ინგლისური ლექსიკონი ოლივერ უორდროპს უძღვნა. ლექსიკონის მოცულობა 275 გვერდია.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოდლის ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის განყოფილების მეცნიერ-კონსულტანტის დევიდ ბარეტის პირად არქივში ინახება მის მიერ შედგენილი ქართულ-ინგლისური სიტყვარი, რომელიც თითქმის 4000 ერთეულს შეიცავს. მას ეს სიტყვარი პირადი საჭიროებისთვის აქვს შედგენილი და ჯერჯერობით მიზანშეწონილად არ მიაჩნია მისი გამოქვეყნება.

ასეთია ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცული ქართულ-ინლისური ლექსიკოგრაფიული კავშირების ამსახველი მასალა. როგორც მათი მიმოხილვიდან ვხედავთ, ამ ლექსიკონებსა თუ სიტყვარებს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა — თუ ზოგიერთი ენათმეცნიერთათვის იყო განკუთვნილი, ზოგს მთარგმნელებისთვის უნდა გაეწია დახმარება და ა. შ. საქართველოში კი ამ სახის საქმიანობის წამოწყება ქრონოლოგიურად ბევრად უფრო მოგვიანებით ხდება.*

———————

* ქართულ-ინგლისურ და ინგლისურ-ქართულ ლექსიკონთა გამოცემა საქართველოში მხოლოდ ამ საუკუნეში დაიწყო და იგი უკავშირდება თამარ და ისიდორე გვარჯალაძეების სახელს. მათ სხვადასხვა დროს გამოსცეს რვა სხვადასხვა ხასიათისა და მოცულობის ლექსიკონი. ესენია: ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1939; ინგლისურ-ქართული ლექსიკონი-მინიმუმი, თბ., 1948; ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1948, 1955, 1962; ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, თბ., 1946, 1965; ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1952; ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, თბ., 1974; ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1975; ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1979.

გარდა ამისა გამოცემულია დარგობრივი თუ თემატური ლექსიკონები: ზ. გარსევანიძე, ინგლისურ-ქართული თემატიკური ლექსიკონი, თბ., 1973; ც. მენაბდე, ინგლისურ-რუსულ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983; ც. გაბესკირია, ინგლისურ-ქართული მათემატიკური ლექსიკონი, თბ., 1983; რ. ბერულავა, ი. ქვაჩახია, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი გამოთვლით ტექნიკასა და მონაცემთა დამუშავებაში, თბ., 1984; დ. ვარძელაშვილი, მ. თალაკვაძე, ინგლისურ-ქართული ელექტროტექნიკური ლექსიკონი, თბ., 1985...

ამჟამად თსუ ინგლისური ფილოლოგიის კათედრა მუშაობს ფუნდამენტური ინგლისურ-ქართული ლექსიკონის შედგენასა და გამოცემაზე.

III. ლიტერატურული აზრის განვითარების პროცესი საქართველოსა და ინგლისში

ეროვნული სულის ერთ-ერთი მკაფიო გამომხატველია მხატვრული ლიტერატურა. ქართულმა ლიტერატურულმა აზრმა განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო და სხვა ხალხთა მოწინავე კულტურებთან ურთიერთკავშირში შეინარჩუნა ორიგინალობა და თავისთავადობა. ქართველი მოღვაწენი არ გაურბოდნენ სხვათა კულტურული მონაპოვრის შემოქმედებითად ათვისებას და თავადაც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი საერთო კულტურულ ცხოვრებაში. „ჩვენს ქვეყანას იზოლირებულად არ უცხოვრია არასდროს. მას ასეთი თუ ისეთი ურთიერთობა ჰქონდა სხვა, მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებთან, მისი კულტურა და ლიტერატურა იმყოფებოდა მოწინავე ერთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთზემოქმედების სფეროში“ (30, 43).

ქართული კულტურა უძველესი დროიდან დაკავშირებული იყო როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ ცივილიზაციასთან. მაშინ როცა ქართული ლიტერატურა ფორმირდებოდა, იბერიის დასავლეთი ნაწილი რომაელთა პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, აღმოსავლეთი კი სპარსეთის. V საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლში სპარსეთის გავლენის გაძლიერებას VII საუკუნის მეორე ნახევრიდან არაბთა შემოსევები და მალე არაბული კულტურის ექსპანსია მოჰყვა. და მაინც, როგორც ჩანს, აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი პოლიტიკური გავლენის მიუხედავად, ქართული საზოგადოებრივი აზრი დასავლეთისაკენ იყო მიმართული. ყველაზე ადრეული ქართულ-ბერძნული ლიტერატურული ურთიერთობებია. ქართულ-სპარსული და ქართულ-არაბული ლიტერატურული კავშირები უფრო გვიანდელი მოვლენებია. ქრისტიანობის მონოფიზიტურ და დიოფიზიტურ მიმართულებათა შორის არსებული კონფრონტაციის შედეგად ქართლი მოწყვეტილი აღმოჩნდა ბიზანტიის კულტურული ცხოვრებისაგან და V ს. დამლევიდან მჭიდრო რელიგიური და ლიტერატურული ურთიერთობა დამყარდა სომხეთთან. VII ს. მეორე ნახევრიდან მონოფიზიტობიდან მკვეთრი გამიჯვნის შემდეგ, საქართველომ ორიენტაცია მთლიანად ბიზანტიაზე აიღო. საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში არსებულმა განსხვავებულმა კულტურულ-პოლიტიკურმა ორიენტაციამ გარკვეულად

ხელი შეუწყო კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა მრავალფეროვნებას (31, 91).

IV-V საუკუნეებიდან მოკიდებული ქართული კულტურის კერებმა როგორც საზღვარგარეთ — ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთში, ასევე საქართველოში — გელათისა და იყალთოს აკადემიებში დიდი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საზოგადოდ ქართული კულტურის და კერძოდ, ქართულ-საზღვარგარეთულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარების საქმეში (32).

ქართული ლიტერატურის მსგავსად, ინგლისურმა მწერლობამაც განვითარების გრძელი გზა გამოიარა. იგი ბერძნულ-რომაულ, ნორმანულ, დანიურ, ფრანგულ კულტურასა და ლიტერატურასთან ურთიერთობაში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა.

ბრიტანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა საუკუნეთა მანძილზე იმყოფებოდა ხან კელტების, ხან გერმანიკული ტომების, ხან რომაელების, ხან დანიელების და ხან ნორმანების ბატონობის ქვეშ, რაც მათ კულტურულ ცხოვრებაში უცხოური ელემენტის შეჭრის ერთგვარ საფუძველს წარმოადგენდა. ეს ელემენტი უმეტესწილად აკლიმატიზაციას განიცდიდა და გარკვეული ისტორიული გზის გავლის შემდეგ ბრიტანულ ნიადაგს ესისხლხორცებოდა. ჯერ კელტებმა, ხოლო შემდეგ ანგლოსაქსებმა ბრიტანეთში ზეპირსიტყვიერება შეიტანეს, გავრცელდა ბატალური სცენებისა და გმირობის ამსახველი ალიტერაციული ლექსები. მას შემდეგ, რაც რომაელებმა დაიწყეს ბრიტანეთის სისტემატური დალაშქვრა, ბრიტანეთში ქრისტიანობის ელემენტებმა შეაღწიეს, მაგრამ ანგლები, საქსები, იუტები და ფრიზები სასტიკად დევნიდნენ ქრისტიანობას. წარმართობისაგან დევნილი ქრისტიანები კი აშენებდნენ ეკლესიებს და ხალხში ქრისტიან წმინდანთა წამების ისტორიებს ავრცელებდნენ. VI საუკუნის ბოლოდან რომაელმა ბერებმა კვლავ დაიწყეს ბრიტანეთის კუნძულზე ჩასვლა და ანგლოსაქსების გაქრისტიანება. ეს პროცესი VII საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა. რომაული ცივილიზაცია ხელახლა შევიდა ქვეყანაში. რომაელმა ბერებმა თან ჩაიტანეს მდიდარი სასულიერო ლიტერატურა, ლათინურ და ბერძნულ ენაზე შექმნილი რელიგიური წიგნები. საქართველოს მსგავსად, ბრიტანეთის მონასტრებიც კულტურისა და გა-

ნათლების ძლიერ ცენტრებს წარმოადგენდნენ. სწავლა-განათლებასთან ერთად, აქ დიდ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ — იქმნებოდა როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი ლიტერატურა. მოგვიანებით კი, ევროპული უნივერსიტეტების ანალოგიით ინგლისში დაარსდა ორი დიდი საუნივერსიტეტო ცენტრი — ჯერ ოქსფორდში, ხოლო შემდეგ კემბრიჯში.

ისტორია ცხადყოფს, რომ როგორც ქართველი, ასევე ინგლისელი ხალხი სწორად აფასებდა დამპყრობელი ქვეყნის კულტურის საგანძურს და ეროვნული კულტურის გამდიდრების მიზნით ცდილობდა საუკეთესო აეთვისებინა მისგან.

საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კონტაქტმა არაბეთსა და სპარსეთთან, ცხადია კულტურულ ცხოვრებაზეც იქონია გავლენა. „მუსლიმანურმა რენესანსმა“ და არაბული კულტურის საერთო აყვავებამ თავისი დადებითი კვალი დააჩნია ქართულ ლიტერატურასაც. ასევე მნიშვნელოვანი იყო ქართული მწერლობისათვის დიდ სპარსულენოვან — სპარსულ, ტაჯიკურ, აზერბაიჯანულ ლიტერატურასთან კავშირი. უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული ლიტერატურის ურთიერთობა სომხურ, ბიზანტიურ, სპარსულ, არაბულ მწერლობასთან ყოველთვის ორმხრივი ხასიათის მოვლენა იყო. თავის მხრივ ქართულ მწერლობასაც შეჰქონდა წვლილი ამ ლიტერატურების განვითარებაში და მათთან ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედების სფეროში ვითარდებოდა; ამასთანავე დამოუკიდებელი გზით მიდიოდა რენესანსული აზროვნებისაკენ.

ამდენად, ქართული ფილოსოფიური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული აზრი ვითარდებოდა და იხვეწებოდა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურულ-ლიტერატურული აზროვნების კონტექსტში. ქართული მწერლობის განვითარების ამ გზის მწვერვალი კი არის შოთა რუსთველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. XII საუკუნის საქართველოში აღმოცენდა ახალი ეროვნული იდეოლოგია, რომელიც საქართველოს ქრისტიანული სამყაროს ცენტრში აყენებდა. მაშასადამე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნება გრძნობდა საკუთარ თავისთავადობას და პრიორიტეტს. ეს კი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ქრისტიანულ აზროვნებას ქართულ სინამდვილეში დამოუკიდებელი მიმართულება ეპოვა. ქართული ლიტერატურული და საზოგადოებრივ-

ფილოსოფიური აზროვნების განვითარება XII საუკუნის საქართველოში წარიმართა იმ გზით, რომლითაც განვითარდა ქრისტიანული აზროვნება XII—XIII საუკუნეების ევროპაში. XII საუკუნის ქართულ კულტურასა და ლიტერატურაში შეინიშნებოდა იგივე პროცესი, რაც ახალ, პროგრესულ აზროვნებას მოჰყვა XII—XIII საუკუნეების ევროპაში. ეს მსგავსება ეპოქის საერთო სულისკვეთებით, აზროვნების განვითარების საერთო კანონზომიერებით უნდა იყოს განპირობებული. XII საუკუნის ქართულ ლიტერატურაში იგივე პრობლემები იჩენს თავს, რომლებიც დგება XII—XIII საუკუნეების ევროპაში (33, 23).

ქართული ლიტერატურული აზრის ამ გზით განვითარება შეწყდა XII საუკუნეში ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური კატასტროფის გამო, ხოლო ევროპული ლიტერატურა გაგრძელდა, განვითარდა და რენესანსულ აზროვნებამდე მივიდა.

XIV საუკუნის ინგლისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შუასაუკუნეების უდიდესი პოეტი ჯეფრი ჩოსერი, რომლის შემოქმედებაშიც აშკარად გამოიკვეთა წინარერენესანსული ლიტერატურის ნიშნები. ინგლისის საშინაო და საგარეო ომებმა დააჩქარა სარაინდო ლიტერატურის განვითარება, კლასიკური და განსაკუთრებით რომაული დრამატურგიის გავლენის შედეგად გაძლიერდა ეროვნული დრამატურგია. უილიამ შექსპირის შემოქმედებამ ინგლისური რენესანსი უმაღლეს საფუხურზე აიყვანა. შემდეგდროინდელ ლიტერატურას ბაროკოს ნიშნები მოეძალა, აღმოცენდა პოეზიის მეტაფიზიკური სკოლა, ინგლისურ მწერლობას ბურჟუაზიული იდეალების დამკვიდრებისაკენ სწრაფვა დაეტყო. გარკვეულ პერიოდში მწერლობა პურიტანიზმის იდეალებითაც საზრდოობდა. XVIII საუკუნიდან ფართო აღიარება მოიპოვა განმანათლებლურმა ლიტერატურამ. რომანტიზმის ეპოქას წინ უსწრებდა გოთური რომანი და ადრინდელი რომანტიზმის ამაღლებული ლირიკა.

ვიდრე ინგლისური ლიტერატურა თავისი განვითარების ამ ეტაპებს გადიოდა და ერთ ლიტერატურულ მიმდინარეობას მეორე ცვლიდა, ქართული ლიტერატურა უმძიმეს კრიზისს განიცდიდა. საქართველოში ხვარაზმელთა და შემდეგ მონღოლთა ბატონობას ოსმალეთის აგრესია მოჰყვა. ოსმალებმა ჩაკეტეს მცირე აზიაზე გამავალი სავაჭრო გზა და ამით დიდი ხნით შეწყდა

საქართველოს კონტაქტი ევროპასთან. ქართული კულტურის დაქვეითების ხანაში, როგორც ცნობილია, მთლიანად არ ჩამკვდარა ლიტერატურული ტრადიციები. ამ პერიოდში შეიქმნა როგორც ორიგინალური ძეგლები, ასევე ითარგმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი სასულიერო ხასიათის თხზულება. თეიმურაზ პირველმა, რომელიც თავის ლიტერატურულ ორიენტაციას სპარსულ მწერლობაზე იღებდა, საგანგებო მისიით წარგზავნა ევროპაში ნიკიფორე ირბაქი. ქართველების სწრაფვას ევროპული ცივილიზაციის შემოსატანად საქართველოში კარგად გამოხატავს 1671 წელს ვახტანგ მეხუთის საუბარი კაპუცინებთან, რაც აღწერილი აქვს ჟან შარდენს.* სპარსული ლიტერატურული გავლენის წინააღმდეგ გამოვიდა არჩილ მეფე და ამ დროიდან დაიწყო საქართველოში ეროვნული ლიტერატურული ტენდენციების გაძლიერება და ახალი გზების ძიება ევროპული ლიტერატურისაკენ. აღორძინების გზაზე დამდგარი ქართული მწერლობა კვლავ ევროპულ ლიტერატურულ აზროვნებას გაჰყვა. ქართულ მწერლობაში კვლავ იჩინა თავი იგივე პრობლემებმა, რაც ევროპულ ლიტერატურაში იდგა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედება. მათ გარკვეული მსგავსება აქვთ დანიელ დეფოს, ჯონათან სვიფტის, ჰენრი ფილდინგის, ტობაიას სმოლეტის, ლორენს სტერნის და სხვათა როგორც განმანათლებლურ, დიდაქტიკურ-ზნეობრივ, თუ სატირულ თხრობასთან და ღრმა ფსიქოლოგიზმთან, ასევე იდეურ-შინაარსობრივ და სტრუქტურულ-კომპოზიციურ მხარესთანაც. ქართულ ლიტერატურაში თუ კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის არსებობა საკამათო პრობლემაა, რომანტიზმი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული კულტურის ძირითად მიმდინარეობად არის ცნობილი. ქრონო-

---

* „მეფე ბევრს გველაპარაკა იმაზე, რომ ძლიერ სურს ევროპელები დაბინავდნენ საქართველოში და გვიბრძანა გითხრათ, რომ თუ აღებ-მიცემისათვის მოვლენ ისინი, გავათავისუფლებ ყველა გადასახადისაგან და მივანიჭებ ყოველგვარ უპირატესობას, რასაც კი ისურვებენო. ჩემი საბრძანებელია შავ ზღვამდე, დიდი გავლენა მაქვს სპარსეთში დიდი პატივი ოსმალეთშიო; ამიტომ ევროპელები ინდოეთში მისვლა-მოსვლისათვის ვერ იპოვიან ჩემს სახელმწიფოზე უკეთეს გზას. გარწმუნებთ, რომ თუ ერთხელ სცადეს ამ გზაზე წამოსვლა, მერე სხვა გზას აღარ დაადგებიან" (34, 106—107).

ლოგიურად ინგლისური რომანტიზმი უსწრებს ქართულ რომანტიზმს, მაგრამ შეპირისპირებითი კვლევა ნათელს ჰფენს მათ სულიერ სიახლოვეს. XIX საუკუნიდან კიდევ უფრო ღრმავდება ქართული მწერლობის სწრაფვა „ევროპეიზმისაკენ“ (35, 3—290).

XIX საუკუნის შუახანებამდე, თუ მხოლოდ ქართულ და ინგლისურ ლიტერატურებს შიგნით მიმდინარე მსგავს პროცესებზე (ქრისტიანული აზროვნება, რენესანსული აზროვნება, რომანტიკული ხედვა და ა. შ.) და აქა-იქ სტიქიურად აღმოცენებულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ცალკეულ ფაქტებზე შეიძლება მსჯელობა, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ ურთიერთობებს გაფართოება დაეტყო, რაც ქართული მწერლობის ძეგლების ინგლისურად თარგმნასა და ქართული ლიტერატურის მეცნიერულ შესწავლაში გამოვლინდა. ამავე პერიოდიდან საქართველოში იწყება ინგლისური ლიტერატურის თარგმნა, ინგლისური მწერლობის კვლევა, ქართულ და ინგლისურ ლიტერატურათა შეპირისპირებითი ანალიზი. დროთა ვითარებაში ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტები და რეცეფციები საკმაოდ მრავალფეროვანი გახდა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის შუახანებიდან ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთკავშირები და მათი კვლევა ახალ საფეხურზე დგება—იძენს მეტნაკლებად უფრო ინტენსიურ და მოწესრიგებულ ხასიათს.

ნაწილი მესამე.

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტებისა და მათი კვლევის ისტორიისათვის

ნაშრომის ამ ნაწილში ქართულ-ინგლისური ლიტერატურული და სამეცნიერო კონტაქტების განზოგადებული სურათი წარმოდგენილი გვაქვს საცნობარო მიმოხილვის სახით. ცალკე გამოვყავით და უფრო დეტალურად შევჩერდით ინგლისური რუსთველოლოგიისა და ქართული შექსპიროლოგიის განვითარების ეტაპებსა და ძირითად პრობლემატიკაზე, როგორც ლიტერატურული რეცეფციის ყველაზე სრულყოფილ ნიმუშებზე ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში.

1. ქართულ-ინგლისური ლიტერატურული და სამეცნიერო კონტაქტები

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კავშირების დასაწყისი. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ კავკასიასა და შავი ზღვისპირეთში III საუკუნის შუახანებიდან გამოჩნდნენ გოთები. რაც შეეხება მათ შემოსელას დასავლეთ საქართველოში, ისინი ძირითადად აქ დამკვიდრებულ რომაელებს ებრძოდნენ. ამდენად იბერიელები მათში ერთგვარ მოკავშირეებსაც კი ხედავდნენ. ყირიმსა და კავკასიაში დაბინავებული გოთები ანტების, ადიღე-ჩერქეზების ქვეყანაში იბრძოდნენ ჰუნების წინააღმდეგ. ძველ ანგლოსაქსურ საგმირო ეპოსში „ბეოვულფი", რომელიც დაახლოებით VII-VIII საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი (უძველესი ხელნაწერი X საუკუნით თარიღდება), არაერთგზის არის მითითება ანტიკურ სამკაულზე და იარაღზე სიტყვით „ანტიშ". შოთა რევიშვილი წერს, რომ აქსელ ოლრიკის ცნობით, ჩერქეზები თავიანთ თავს უწოდებდნენ ადიღელებს, ბერძნულ-კავკასიურად „ატიხეს", ან

„ანტიკეს“ და სიტყვა „ანტიკაი“ ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვა „ანტებიდან“ (1, 475) კავკასიური იარაღი და კავკასიაში გოთების ბრძოლის სცენები ასახულია ანგლოსაქსურ ეპოსში. შოთა რევიშვილის ვარაუდით ცენტრალური ევროპიდან მეხუთე-მეექვსე საუკუნეებში ბრიტანეთში გადასახლებულმა ანგლებმა და საქსებმა თან წაიღეს მოგონებები კავკასიაზე, კავკასიურ იარაღზე და ჩააქსოვეს მეშვიდე-მერვე საუკუნეების ანგლოსაქსური პოემის — „ბეოვულფის“ სტრიქონებში (2, 49).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ არა მარტო გოთებს, არამედ ბრიტანეთში გადასახლებულ გერმანიკულ ტომებსაც გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ იბერიასა და კოლხეთზე.

ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაში არის შემთხვევები, როდესაც ერთი ქვეყნის ლიტერატურა, ისტორიული თუ კულტურული ცხოვრების ამსახველი მასალები, მეორე ქვეყანაში არაპირდაპირი გზით — სხვა ქვეყნის ლიტერატურის მეშვეობით შედის. ქართულ და ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა, რომ შუა საუკუნეებიდან მოკიდებული დასავლეთ ევროპის ქვეყნებს საქართველო შესაძლოა უმეტესად ანტიკური წყაროებით გაეცნოთ. თუ ეს მოსაზრება სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ საინტერესოა, როდის შეაღწია ბრიტანეთის კუნძულზე კლასიკური ლიტერატურის იმ ნიმუშებმა, სადაც ძველი კოლხეთია მოხსენიებული. კოლხურმა თემატიკამ, ვიდრე ბრიტანეთში შევიდოდა, გარკვეული საფეხურები გაიარა — იგი ჯერ ბერძნულ მითოლოგიაში აისახა, ხოლო შემდეგ ბერძენი ავტორების მიერ ლიტერატურულად გადამუშავდა. ეს ლიტერატურული წყაროები გვიანი შუასაუკუნეებიდან გავრცელდა ინგლისში. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ინგლისის განათლების სისტემა, ვინაიდან იმ პერიოდში მეტად პოპულარული იყო და ფართოდ ისწავლებოდა ლათინური ენა. იმ დროის განსწავლული საზოგადოება, საშუალო და მაღალი კლასები ამ ლიტერატურას უმეტესად ლათინურ ენაზე ეცნობოდნენ. იმისთვის, რომ დაახლოებით მაინც წარმოგვედგინა ლიტერატურის ძეგლებში შესული კოლხური თემატიკის ბრიტანეთში გადასვლის ქრონოლოგია, ინგლისის უძველესი წიგნთსაცავის — ოქსფორდის ბოდლის ბიბლი-

ოთეკის კატალოგებში ჩვენ შოვიძიეთ რამდენიმე ანტიკური ძეგლის ინგლისური და ლათინური თარგმანები.

როგორც ცნობილია, ყველაზე პოპულარული უძველესი თქმულებები, რომლებმაც კოლხური თემა ფართოდ წარმოაჩინეს, არის მითები არგონავტებსა და პრომეთეზე. მწერლობაში მათი რეალიზაციის შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შეიქმნა. ბოდლის ბიბლიოთეკაში ინახება: აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ ლათინურ ენაზე, გამოცემული 1606 წელს და მისი პირველი ინგლისური თარგმანი დათარიღებული 1771 წლით. აქვეა დაცული ევრიპიდეს თხზულებათა ლათინური გამოცემა, დაბეჭდილი 1541 წელს და მისი ტრაგედიების პირველი ინგლისური თარგმანი, რომელიც 1781-83 წლებს განეკუთვნება. ამავე წიგნთსაცავში შევხვდით ესქილეს „პრომეთეს“ 1518 წელს გამოცემულ ბერძნულ დედანს, 1663 წელს დაბეჭდილ მის ბერძნულ და ლათინურ ტექსტს და 1777 წელს შესრულებულ ინგლისურ თარგმანს. ბოდლის ბიბლიოთეკაში არის ასევე: ჰეროდოტეს „ისტორია“ ლათინურად 1474 წელს გამოცემული, ინგლისურად 1584 წელს (მხოლოდ ორი წიგნი) და 1709 წელს სრულად დაბეჭდილი; ქსენოფონტის „ანაბაზისი“ — ლათინური 1545 წლის და ინგლისური 1623 წლის გამოცემები; სტრაბონის „გეოგრაფია“ — 1549 წლის ლათინური და 1848 წლის ინგლისური თარგმანები; ტაციტუსის ანალების 1473 წლის ლათინური და 1598 წლის ინგლისური თარგმანები, არისტოტელეს თხზულებათა 1489 წლის ლათინური და 1812 წლის ინგლისური თარგმანები, „ილიადას“ 1474 წლის ლათინური და 1612 წლის ინგლისური გამოცემები, „ოდისეას“ 1528 წლის ლათინური და 1665 წლის ინგლისური თარგმანები და სხვ.

ამ მცირე ბიბლიოგრაფიული ცნობების საფუძველზე ალბათ შეიძლება, გამოვთქვათ კიდევ ერთი ვარაუდი, რომ ინგლისის გარკვეული წრეები არაპირდაპირი გზით — ანტიკური ლიტერატურის საშუალებით გვიანი შუასაუკუნეებიდან იცნობდნენ საქართველოს ისტორიის ეპიზოდებს, გეოგრაფიას, ყოფას, წარმოდგენა ჰქონდათ უძველესი ქართული სამყაროს ურთიერთობაზე ბერძნულთან.

ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ინგლისური სამყარო უფრო მოგვიანებით გვხვდება. ძველ ქართულ მწერლობაში ინგლისური და შოტლანდიური ლიტერატურის ანარეკლზე მიუთითებს ტ. რუხაძე: „ინგლის-შოტლანდიას ახსენებენ აღორძინების ხანის ქართველი მწერლები. შოტლანდია, მაგალითად, იცის გაბრიელ გელოვანმა (S ხელნაწერი, № 1743, გვ. 48). დავით რექტორის მიერ შეესებულ სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში მოხსენიებულია „იოანე შკოთა“ (შოტლანდიელი) მისტიკოსი, რომელსაც მოუვლია „მთელი ევროპა“ (Q ხელნაწერი, № 401).

XVIII საუკუნის ინგლისის პროგრესული იდეების გამოძახილს ვამჩნევთ უთუოდ ბრავეს „ტრაღედიაში ათეისტისა“, რომელიც ქართულად გადმოიღო მირიან ბატონიშვილმა...* დასახელებული საუკუნის ბოლოსათვის ქართულად ცნობილი იყო ვილიამ შექსპირის სახელი. რუსული გზით ქართველებმა გადმოიღეს ტომას მურის (1779—1852) ლექსი „მწუხრის ზარი“, ამავე გზით ნაწილობრივ ითარგმნა თომას გრეის (1716—1771) განთქმული ელეგია „სოფლის სასაფლაო“, ჯონ მილტონის (1608—1674) „დაკარგული სამოთხე“ და ფილოსოფოს ადამ ფერგუისონის „ზნეობითი ფილოსოფია“.

საინტერესოა, რომ ძველი ქართული მწერლობის დასასრულს ქართველებმა ყურადღება მიაქციეს შოტლანდიურ თხზულებებს თუ შოტლანდიელ მწერლებს. ჩნდება ქართულში შოტლანდიელი კომედიოგრაფი იაკობ კრიტჩონი, რომელიც „იშვა

---

* „ათეისტის ტრაგედიის“ ქართულ თარგმანს (H 2321) ახლავს ასეთი ანდერძი: ტრაღედია, ანუ მწუხარებითი წარმოდგინება, რომელიცა მომხდარა ინგლიზის ქვეყანაში, ხოლო ტრაღედია ესე არის გაკეთებული ინგლიზის ენასა ზედა უფლისა ბრეველისაგან, ინგლიზურიდამ ნემენცურზედ არის გადმოღებული და ნემენცურიდამ რუსულზედ; ხოლო რუსულიდან ქართულზედ გადმოიღო საქართველოს მეფის ძემან მირიან, სამეფოსა ქალაქსა სანკტ-პეტერბურღს, თვესა ფებერვალს, წელს 1805“. ტრიფონ რუხაძე ასაბუთებს, რომ მირიან ბატონიშვილის მიერ პიესის ავტორად მოხსენიებული ბრევლე არის გერმანელი დრამატურგი იოახიმ ვილგელმ ბრავე (1738—1758). ჩვენ ვიზიარებთ მკვლევარის მოსაზრებას, რომ დედანი ინგლისურ ენაზე არ შესრულებულა და ზემოაღნიშნული უზუსტობა ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ ნაწარმოების მოქმედი პირები ინგლისელები არიან და მოქმედება ლონდონში მიმდინარეობს (3, 257—262).

შოტლანდიასა წელსა ჩფნზ“, ე. ი. 1557 წელს (S 1435, გვ. 8r). უცნობ მთარგმნელს გადმოუღია მესამე საუკუნის (ჩვ. ერამდე) შოტლანდიელი მგოსნის „ოსიანის სიმღერები“ (მგოსანი ოსიანი ცხოვრობდა ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში, მ. ო.), შეკრებილი დ. მაკფერსონის (1736—1796) მიერ.* ხელნაწერი ემყარება კოსტროვისა (1750—1796) და დმიტრიევის რუსულ თარგმანებს (1792). „შოტლანდიური სათემო სიმღერები“ უთარგმნია გიორგი ავალიშვილს (წერა-კითხვის ფონდის № 303 ხელნაწერი, გვ. რნგ-რნდ). უცნობ ავტორს გადმოუღია ფრიად საინტერესო ალეგორიულ-სიმბოლიური თხზულება „თვის შოტლანდიური ვაშტისა ანუ სალდათის მოსწრაფოებისა“ (წერა-კითხვის ფონდის № 1517, საისტ. ფონდის № 1098, გვ. 6; 2818, გვ. 1; საქ. საისტ. არქივის ფონდის 233(8), №231 ხელნაწერები)... უკანასკნელი თარგმანი იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ წყარო გამხდარა“ (5, 245—246).

ზოგადად ასეთი სახე აქვს იმ პირველ მიმართებებს, რომლებიც ქართულ და ინგლისურ ლიტერატურას შორის ჩანს. ზემოთ მოტანილი მასალიდან ცხადია, რომ ისინი თავდაპირველად უშუალო არ იყო. ქართულ და ინგლისურ ლიტერატურათა შეხვედრა სხვა ქვეყნის ლიტერატურის მეშვეობით ხორციელდებოდა.

---

* 1957 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ ქართულ ემიგრანტულ ალმანახში „კრებული“, გიორგი გამყრელიძე ეხება „ყალბის მქნელობას“ ლიტერატურაში და მოაქვს ასეთი მაგალითი: „1765 წელს, ვიღაც უცნობმა პოეტმა, პროფესიით მასწავლებელმა, ვინმე მაკფირსონმა განაცხადა ინგლისში, რომ მან იპოვა ძველი შოტური სარაინდო პოემა — სიმღერანი, მეტად ცნობილი და საინტერესო ძველი პოეტის: ბარდ ოსიანის და სთარგმნა და გამოსცა იგი ინგლისურად ცალკე წიგნად. ეს სიმღერები ისეთი მომხიბლავი შაირით იყო გამართული, რომ არც ერთ სპეციალისტს ოდნავადაც კი არ ეპარებოდა ეჭვი მის არაორიგინალობაში — არც ინგლისში და არც სხვაგან. პირიქით, მაკფირსონმა, რომელმაც თაეისი საკუთარი ლექსებით ყურადღება ვერ დაიმსახურა, უეცრად შოტური სიმღერების გამოცემის შემდეგ მთელი განათლებული კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო. ის იქმნა თარგმნილი ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ამ ნაწარმოების სიდიადეზე ლაპარაკობს გოეთე „ვერთერში“. ჰერდერმა დასწერა მთელი ნაკვლევი ბარად ოსიანზე და ძველ საგმირო, სარაინდო პოეზიაზე. ასეთივე ქება ერგო მას საფრანგეთშიც და სხვაგანაც... ბაგრამ არ გასულა არც ოცი წელი, და ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევარმა სამუელ ჯონსონმა სავსებით დაამტკიცა, რომ მთელი ეს „ძველ სიმღერათა პოენა და თარგმნა“ იყო შეთხზულ-გამოგონილი მაკფირსონის მიერ!“ (4, 22).

ქართული თემა ინგლისურ მწერლობაში და მისი კვლევა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიერ. ჩვენი აზრით, ბერძნული ძეგლების ლათინური და ინგლისური თარგმანების არსებობამ, ერთგვარად განაპირობა ის, რომ XVI საუკუნიდან ინგლისურ მწერლობაში თავი იჩინა ქართულმა თემამ. უშუალო ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტები უპირველესად სწორედ ლიტერატურულ ურთიერთობათა ამ ფორმით (უცხოეროვნული თემატიკა კონკრეტულ ეროვნულ ლიტერატურაში) გამოვლინდა. ინგლისელი ავტორების თხზულებებში გარკვეულად აისახა დროის ამა თუ იმ პერიოდში ინგლისში საქართველოს ცოდნის დონე და საქართველოს მიმართ ინგლისური მხატვრული ლიტერატურის ინტერესის სფერო. ჩვენმა ლიტერატურათმცოდნეობამ ყურადღება მიაქცია ამ საკითხს. ინგლისურ მწერლობაში ქართული თემატიკის ძიება ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

აღორძინების ხანისა და რომანტიზმის პერიოდის მწერლობისათვის, დამახასიათებელია მოქმედების გადატანა სხვა გეოგრაფიულ გარემოში. ევროპული და თანაც არაკონტინენტური ევროპული ლიტერატურისათვის განსაკუთრებულ კოლორიტს იძენს აღმოსავლური გარემო, თემატიკა, პერსონაჟები... XVI საუკუნის დასასრულს განეკუთვნება ფილიპ სიდნის რომანი „არკადია“. მასში მოქმედება აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანაში ვითარდება. იბერიული სიუჟეტური ხაზის მთავარ პერსონაჟად გამოყვანილია იბერიის მეფის ვაჟი ფლანგუსი და დახასიათებულია, როგორც შესანიშნავი მეომარი, მამაცი პიროვნება, გაწამებული მიჯნური. ნაწარმოებში ასევე აღწერილია იბერიის სამეფო კარი. იბერიის თემა ამ რომანში შესწავლილი აქვს ნატალია ორლოვსკაიას (6, 7—28). იგი მიუთითებს, რომ „არკადიის“ იბერიულ ხაზს არაფერი აქვს საერთო ისტორიულ სინამდვილესთან. იბერიის მეფის სახელი ნახსენებიც არ არის და მასში აღწერილი ამბები უშუალოდაა დაკავშირებული რომანის პასტორალურ-სათავგადასავლო ფაბულასთან. მკვლევარი თვლის, რომ ფილიპ სიდნიმ ამ რომანის ზოგიერთი ეპიზოდი და ცალკეულ გმირთა სახეები ჰელიოდორეს „ეთიოპიკიდან“

ისესხა და თავისი თხზულების იბერიული ხაზის განვითარებისათვის გამოიყენა. მაგალითად, ფლანგუსის ისტორიას იგი ძალიან ამსგავსებს კრემონინას, ხოლო ანდრომანას, სახეს — ჰელიოდორეს ორი გმირი ქალის ხასიათის შერწყმად მიიჩნევს და პარალელს ავლებს მათ სასიყვარულო ამბებთან. ჰელიოდორეს ორივე გმირი ქალი თავს იკლავს. ანდრომანაც იკლავს თავს, თუმცა მათი თვითმკვლელობების მიზეზი განსხვავებულია. ნ. ორლოვსკაია განიხილავს და იზიარებს იმ უცხოელ ავტორთა მოსაზრებებსაც, რომლებიც ცდილობენ ნაწარმოების იბერიული ხაზი დაუკავშირონ ინგლისურ სინამდვილეს. სახელდობრ, რომანის იბერიულ ხაზში მათი თანამედროვე ინგლისური ცხოვრების ანარეკლის დანახვა, იბერიის სამეფო კარის მიმსგავსება დედოფალ ელიზაბეთის სამეფო კართან, ფლანგუსის დედინაცვლის — ანდრომანას პორტრეტის აღწერილობაში ელიზაბეთის გარეგნობაზე მინიშნების შემჩნევა, დედოფალ ერონას ვნებიანი გატაცების გაიგივება დედოფალ ელიზაბეთის სურვილთან — გათხოვილიყო ანჟუს ჰერცოგზე და სხვ.

ნ. ორლოვსკაია აგრძელებს იბერიული თემის ძიებას ინგლისურ ლიტერატურაში და ამ ძიებას ფრენსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის პიესასთან „მეფე და არამეფე“ (1611 წ.) მივყავართ. მკვლევარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პიესის ავტორებს მოქმედება აღმოსავლეთის ქვეყნებში გადააქვთ, მაგრამ ნაწარმოებში წამოჭრილი საკითხები უმეტესად ინგლისის ისტორიას ასახავს. ამავე დროს იგი დასძენს, რომ ბომონტი და ფლეტჩერი წერდნენ არა ისტორიულ ქრონიკას, არამედ რომანტიკულ ტრაგიკომედიას და მიუხედავად იმისა, რომ ისინი გარკვეულად ეყრდნობოდნენ ისტორიულ მონაცემებს, მაინც თავისუფლად მოეკიდნენ ისტორიულ ფაქტებს. ნაწარმოებში მთავარ მოქმედ გმირად გამოყვანილია იბერიის მეფე არბასისი და მოთხრობილია მისი ბრძოლისა და სიყვარულის ამბები. იმისათვის, რომ უფრო მეტად შთაებერათ პიესისათვის აღმოსავლური კოლორიტი, ავტორებმა მოქმედ პირთა სახელები აიღეს ძველი აღმოსავლეთის ისტორიიდან. იგი თვლის, რომ იბერიელი პრინცესას სახელი პანთეა შესაძლოა ავტორებს ნასესხები ჰქონდეთ ქსენოფონტეს „კიროპედიიდან“. რაც შეეხება იბერიის მეფე არბასისის სახელს, მისით უცხოელი სწავლულებიც დაინტერესებულან და

მიიჩნევენ, რომ ეს სახელი მომდინარეობს ევთროპიას მიერ IV საუკუნეში შედგენილი ისტორიული შრომიდან. ნ. ორლოვსკაია მსჯელობს ამ სახელის ტრანსკრიფციაზე, რომელიც ევთროპიას შრომის ინგლისურ თარგმანში იკითხება, როგორც Arthaces ან Artaces, ხოლო ივანე ჯავახიშვილი უწოდებს არტაგს და მიუთითებს, რომ ანტიკური წყაროები მას მოიხსენიებენ არტოკად. ნ. ორლოვსკაია ასევე საგანგებოდ მსჯელობს პიესის ერთ-ერთი პერსონაჟის სახელზე — ბაკური. ვინაიდან ეს სახელი არც ქსენოფონტესთან და არც ევთროპიასთან არ გვხვდება, მან იგი რუფინის თხზულებაში (V ს.) მოიძია.

პიესაში მრავალგზის მოიხსენიება იბერია და სომხეთი და მათ შორის ბრძოლა, რომელიც იბერიელთა მიერ სომეხთა მეფე ტიგრანის დატყვევებით სრულდება. ევთროპიას რომის მოკლე ისტორიულ აღწერაში მოხსენიებული ჰყავს მეფე ტიგრან II, რომელმაც გააძლიერა სომხეთი. ის ბრძოლები, რომლებსაც აწარმოებდნენ რომაელი მხედართმთავრები ლუკული და შემდგომ პომპეუსი, მიმდინარეობდა როგორც პონტოს მეფის — მითრიდატეს, ასევე ტიგრან II-ის წინააღმდეგ. ნ. ორლოვსკაია ვარაუდობს, რომ რომაელთა ეს ცნობილი ბრძოლები აღმოსავლეთში, რომელიც მათი გამარჯვებით დასრულდა, ინგლისელებს შესაძლოა ისეთი პოპულარული თხზულებით სცოდნოდათ, როგორიც იყო პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები". პიესაში აღწერილი ბრძოლა არბასისისა ტიგრანის წინააღმდეგ არ შეესაბამება სინამდვილეს. ისტორიული ცნობებით, მეფე არტაგი, ეხმარებოდა ტიგრანს რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ნ. ორლოვსკაია სვამს კითხვას, თუ რატომ დასჭირდათ ბომონტსა და ფლეტჩერს რომაელების შეცვლა იბერიელებით და კვლავ თვლის რომ ავტორებს, ამისთვის მაინც რაღაც ისტორიული წყარო ჰქონდათ ხელთ. მისი მოსაზრებით ინგლისელი მწერლები იცნობდნენ იბერიის მეფის ფარსმან I-ის პერიოდის ისტორიულ მასალებს თუნდაც, ტაციტუსის „ანალებს", სადაც აღწერილია ფარსმანის ბრძოლები.

ისტორიულისა და რომანტიკულის შერწყმის შედეგად შექმნილი პიესა „მეფე და არამეფე" აღორძინების პერიოდის დრამატურგიის ფრიად მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს და ამდენად კიდევ უფრო ფასეულია ნატალია ორლოვსკაიას მიერ

ჩატარებული კვლევა მასში იბერიული სინამდვილის მოძიებისათვის (7, 29—40).

ნ. ორლოვსკაიას მიაჩნია რომ „არკადიის“ იბერიული თემა გამოყენებული აქვთ ბომონტსა და ფლეტჩერს პიესაში „კუპიდონის შურისძიება“. იგი პიესის სიუჟეტურ ხაზს სიდნის რომანიდან ნასესხებად თვლის, თუმცა მასში მოქმედების ადგილი იბერიის ნაცვლად აღმოსავლეთის სხვა ქვეყანაშია გადატანილი.

სხვადასხვა ნაწარმოების ტექსტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ნ. ორლოვსკაია გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ფილიპ სიდნის რომანში აღწერილი იბერიელი უფლისწულის თავგადასავალი ყველაზე სრულად გამოყენებულია XII საუკუნეში შექმნილ ინგლისურ პიესაში „ანდრომანა“ (ნაწარმოების ავტორი ჩვენთვის უცნობია), სადაც მოქმედება იბერიაში ხდება. გარდა ამისა, მკვლევარი თვლის, რომ უშუალოდ „არკადიიდან“ მომდინარე გავლენის გარდა „ანდრომანაში“ შეინიშნება იბერიელი უფლისწულის თავგადასავლის იმ ვარიანტის გავლენაც, რომელსაც ვხვდებით ბომონტისა და ფლეტჩერის პიესაში „კუპიდონის შურისძიება“ (8, 40—41).

XVII საუკუნის ოცდაათიან წლებში ქართული თემა სხვა კუთხითაც წარმოჩნდა ინგლისურ მხატვრულ ლიტერატურაში. 1633 წელს ოქსფორდში ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა წიგნი ქეთევან დედოფლის წამებაზე (9). მის სათაურშივე აღნიშნულია, რომ იგი გადმოღებულია ბერძნულიდან. ამ ნაშრომის არსებობის შესახებ პირველად ა. გაწერელიამ მოიძია მასალები (10, 126—129), ხოლო შემდეგ ი. კენჭოშვილმა ინგლისურიდან თარგმნა ეს ტექსტი, დაურთო შესავალი და შენიშვნები (11). ასე რომ, ქართველი დედოფლის გმირობაც ზოგიერთი სხვა ამბის მსგავსად არაპირდაპირი გზით შევიდა ინგლისურ ლიტერატურაში. ქეთევან დედოფლის წამებიდან სულ რამდენიმე წლის შემდეგ ინგლისურ ენაზე თარგმნილი წერილი მისი მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ ბუნებრივია, ძალზე საგულისხმო ფაქტია ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტების ისტორიაში.

ქართულმა თემატიკამ XVIII საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაშიც იჩინა თავი. ქართველ მწყემს გოგონაზე შაჰ-აბასის გამიჯნურების ამბავს მოგვითხრობს უილიამ კოლინსი „აღმოსა-

ვლურ ეკლოგებში". მასში საკმაოდ მწირი და ზოგადი ცნობებია საქართველოზე. ერთ-ერთ ეკლოგაში ნახსენებია ტფილისი და გეოგრაფიული წერტილი ზაგენი. ნ. ორლოვსკაიას შესწავლილი აქვს უცხოელ მოგზაურთა და მეცნიერთა ცნობები, სადაც მოხსენიებულია ეს ადგილი. მათ გეოგრაფიულ და ისტორიულ მონაცემებს კახეთისაკენ მივყავართ. შ. მესხიას ცნობით, ზაგემი (ზაგენი) XVII საუკუნის დასაწყისამდე იყო დიდი ქალაქი კახეთში, რომელიც შაჰ-აბასის შემოსევისას დაიქცა. ზაგენის მოხსენიება ეკლოგაში აფიქრებინებს ნ. ორლოვსკაიას, რომ კოლინსს ხელთ ჰქონდა პიეტრო დელა ვალეს „ინფორმაცია საქართველოს შესახებ". პასტორალური იდილიის სტილში დახატული სურათები სრულიად შეესატყვისება ბუკოლიკური პოეზიის ტრადიციებს, მაგრამ ნ. ორლოვსკაიას მითითებით, ისტორიული თვალსაზრისით ეს ნაწარმოებიც თავის წინამორბედთა მსგავსად, სადაც ქართული თემატიკაცაა შესული, უზუსტობით გამოირჩევა. იგი არასწორად წარმოაჩენს საქართველო-სპარსეთის ურთიერთობას, თუმცა მკვლევარი იქვე დასძენს, რომ ეკლოგის ჟანრი საზოგადოდ არ მოითხოვს არც გეოგრაფიულ და არც ისტორიულ სიზუსტეს (12, 101—106).

ინგლისური რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელს თომას მურს, პოემაში „ლალა რუქ" (1817 წ.) მაღალმხატვრულად აქვს აღწერილი აღმოსავლური გარემო. ნაწარმოების მოქმედი გმირები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან. ერთ-ერთი მათგანია ქართველი გოგონა, რომელიც ინდოეთში ყვავილების ზეიმის დროს უმღერის სილამაზესა და ბედნიერებას. მწერალი ხოტბას ასხამს მის გარეგნობას და თან დასძენს, რომ ის ისეთივე მშვენიერია, როგორც მისი ქვეყნის ქალიშვილები ტფილისის აბანოებიდან გამოსვლის ჟამს. ამასთან დაკავშირებით თომას მური შენიშნავს, რომ იბნ-ჰაუკლის ცნობით, ტფილისი განთქმულია თავისი ბუნებრივი ცხელი წყლებით. ნ. ორლოვსკაია მოიხსენიებს X საუკუნის არაბი გეოგრაფისა და მოგზაურის იბნ-ჰაუკლის ნაშრომს და თან დასძენს, რომ პოემაში „ლალა რუქ" აშკარად ჩანს, რომ მწერალი იცნობდა აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ არსებულ ბევრ ისტორიულ მასალას (13, 71—76).

ქართველი ლიტერატურათმცოდნეები ჩვენი საუკუნის 70-იანი წლებიდან იკვლევენ საქართველოს თემას ჯორჯ გორდონ ბაირონის შემოქმედებაში. როგორც მისი თხზულებებიდან ირკვევა, ბაირონს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა საქართველოსა და ქართველებზე. საქართველოს თემა გაიელვებს მის ნაწარმოებებში: „სარდანაპალი“, „დონ-ჟუანი, „გიაური“. დ. გაწერელია მიუთითებს, რომ ჯორჯ ბაირონის ცოდნა საქართველოზე გარკვეული საკითხებით იფარგლება. იგი იცნობდა სხვადასხვა ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროს საქართველოს შესახებ, იცოდა საქართველოს ბუნების სილამაზე, ქართველი ქალის გარეგნული მშვენიერება და ეს ცოდნა მოხდენილად გამოიყენა თავის შემოქმედებაში (14).

საქართველოს თემას ლორდ ბაირონის შემოქმედებაში უფრო ღრმად იკვლევს ინესა მერაბიშვილი. მან მოიძია 1869 წელს ნიუ-იორკში გამოცემული ბაირონის თხზულებათა სრული კრებული, სადაც მის პოეტურ სტრიქონს — „სილამაზის მშობლიური მხარე“ — ახლავს ერთსიტყვიანი კომენტარი „Georgia“. ბაირონის შემოქმედებაში არაერთხელ იხსენიება კავკასიონი, მისი მთების ფონზე თამაშდება სცენა მისტერიაში „ცა და დედამიწა“. ლორდ ბაირონის შინაგანი სამყაროს გასახსნელად ი. მერაბიშვილი თვითონ პოეტის ჩანაწერს მიმართავს, საიდანაც ვიგებთ, რომ პოეტის სულს პრომეთე და მედეა ეხმიანებოდა (15).

როგორც ჩანს, ბაირონს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ქართველთა ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად არაერთი ქართველი ქალი აღმოჩნდა სამშობლოს გარეთ, რომელთაც საშუალება არ გააჩნდათ განათლების მისაღებად.

დონ-ჟუანის ტექსტი ქართველებისათვის ძირითადად რუსული თარგმანის გზით იყო ცნობილი. ი. მერაბიშვილმა ყურადღება მიაქცია ორიგინალის სტრიქონებს, სადაც ქალის სამოსელში გამოწყობილი ჟუანას გარეგნობის აღწერისას პოეტი ამბობს, რომ ის ისეთი ლამაზი იყო, ქართველ ქალსაც კი შეედრებოდაო. რუსულ თარგმანში დაკარგულია ეს შედარება და ამდენად იგი დღემდე უყურადღებოდ რჩებოდა. მკვლევარი მიჰყვა სიუჟეტის განვითარებას და დაადგინა, რომ ნაწარმოების ორი პერსონაჟი — კატინკა და დუდუ ქართველები არიან. ბაირონის

წერილებზე დაყრდნობით ი. მერაბიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პოეტს მოსწონდა კოლხი მედეას ხასიათი და ცხოვრებაში ეძიებდა მას. როდესაც ბაირონი შეხვდა ვენეციელ ქალს მარგარიტა კონის, იგი წერდა — „მედეა ვპოვეო“ (15).

1825 წელს, ბაირონის გარდაცვალების წლისთავზე ლონდონში გამოვიდა მეთიუ ილისის წიგნი, სადაც ადგილი ეთმობა ბაირონის სათუთ დამოკიდებულებას 13 წლის ქართველ გოგონასთან, რომელიც მოიტაცეს და საბერძნეთში ჩაიყვანეს. ბაირონმა იგი გამოისყიდა და სცადა მისი დაბრუნება სამშობლოში, მაგრამ გოგონას ბედი უკულმა დატრიალდა. ბავშვი არ ჩაიყვანეს დანიშნულების ადგილას. მისი მძიმე ისტორია წელიწადნახევარს გაგრძელდა და ბოლოს იგი გარდაიცვალა. გოგონა დაუმარხავთ კრეტაზე და ბაირონს მისთვის დაუდგამს ძეგლი. ბაირონოლოგი ერნესტ ჰარტლი კოლრიჯი ვარაუდობს, რომ შესაძლოა ეს ტრაგიკული ისტორია გამხდარიყო ბაირონის ლექსის „პორტრეტის ქვემოთ მიწერილი სტრიქონები“ შექმნის მიზეზი. ასეთი ფაქტები აქვს მოძიებული ი. მერაბიშვილს (16) და იგი კვლავაც განაგრძობს ამ მიმართულებით კვლევას.

ამრიგად ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში შუასაუკუნეობრივიდან რენესანსულზე გადასვლის დროიდან ვხვდებით ქართულ თემატიკას. ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ეს სფერო, როგორც ზემომოტანილი მასალიდან ჩანს, სათანადოდ შეისწავლება ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

მოგზაურული ჟანრი—ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფორმა. ინგლისურ მწერლობაში ქართული თემის არსებობის გარდა, უშუალო ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტები მოგზაურული ჟანრის ლიტერატურაშიც აისახა და ამ კონტაქტების ერთი სერიოზული ნაკადი შექმნა. საქართველოს შესახებ მრავალფეროვან მასალას იძლევა ინგლისელ მოგზაურთა შთაბეჭდილებები. აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ ზღვითა თუ ხმელეთით მიმავალი მოგზაურები ჩერდებოდნენ საქართველოში და აგროვებდნენ მათთვის საინტერესო ცნობებს. ზოგიერთი მათგანი კი საგანგებოდ ჩამოდიოდა კავკასიაში. საქართველოს სხვადასხვა დროს ესტუმრნენ

ბრიტანელი მოგზაურები: არმსთრონგი, აშერი, დუაითი, თელფერი, ლაიელი, მინიენი, მონთისი, ოლიფანთი, ოლქოქი, სმითი, სფენსერი, უიქსთიდი, უოლეი, ფორთერი, ფრეშფილდი, ჯენკინსონი, ჯონსონი, ჰენდერსონი, ჰენუეი და სხვანი.

XVI საუკუნიდან უკვე ვხვდებით ინგლისელ მოგზაურთა რამდენიმე ჩანაწერს საქართველოს შესახებ. XIX საუკუნიდან კი ბევრმა ინგლისელმა მოგზაურმა აღწერა თავისი შთაბეჭდილებები საქართველოზე. მათ შორის იყვნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები — სამხედრო პირნი, მხატვარი, ბოტანიკოსი, მონადირე, სპორტსმენი, გეოგრაფი, ფილოლოგი, ალპინისტი, დიპლომატი, პროფესიონალი მოგზაური... ისინი ინიშნავდნენ მოგზაურობის დეტალებს, წერდნენ შთაბეჭდილებათა წიგნებს, ურთავდნენ ჩანახატებს, სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემს, სიტყვარებს, ხაზავდნენ რუკებს, მოგზაურობის მარშრუტებს, აღწერდნენ საქართველოს ბუნებას, მთებს, კლიმატს, გზებს, ხიდებს, ტრანსპორტს, ფლორასა და ფაუნას, ისტორიულ ადგილებს, ქალაქებს, ქართველი ხალხის გარეგნობას, ხასიათს, ჩაცმულობას, ტემპერამენტს, ტრადიციებს, სტუმართმოყვარეობას, ცეკვებს, საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას მათი ვიზიტის პერიოდში, ისტორიულ თუ კულტურულ წარსულს, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას უცხოელთა მიმართ, ღვინის ნაირსახეობებს, რელიგიას...

ინგლისელ ავტორთა განსხვავებული პროფესიისა და ინტერესთა სფეროს შესაბამისად განსხვავდება მათი წიგნების როგორც შინაარსი, ასევე სტილი. ზოგიერთი მოგზაური მშრალ ფაქტებს ემყარება და მისი თხრობა უფრო დოკუმენტურია, ზოგიერთი დღიურის სახითაა ჩაწერილი და უფრო დეტალურია, ზოგიერთი აღწერილობა მხატვრულია. საგულისხმოა, რომ ინგლისელი მოგზაურები დადებითი ემოციების გარდა, თავიანთ კრიტიკულ დამოკიდებულებასაც გამოხატავენ. ეს განსაკუთრებით ეხება ჯუჯყიანი უბნების აღწერას, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს ქალაქში, ცხოვრების გარკვეულად ველურ ყოფას მთებში, ადამიანთა მოუელელ გარეგნულ ფორმას პროვინციებში და ა. შ. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია ამ ჩანაწერებში შენიშნული ზოგიერთი უზუსტობა (17).

გარდა იმისა, რომ ინგლისელი ავტორები თვითონ წერდნენ საქართველოში მოგზაურობის შესახებ, XVII საუკუნიდან მოკიდებული სხვადასხვა ენიდან ინგლისურად თარგმნიდნენ უცხოელი მოგზაურების წიგნებს, რომლებშიც ისინი ეხებიან საქართველოში მოგზაურობას. საგულისხმოა ევლია ეფენდის, ბარონ ფონ თილმანის, ადამ ოლეარიუსის, პეტრე პალასის, იაკობ რაინეგსის, ჟან შარდენის და სხვათა მოგზაურობის ჩანაწერების ინგლისური თარგმანები (18; 19; 20; 21; 22; 23).

საქართველოს შესახებ ინგლისური მოგზაურული ჟანრის ლიტერატურის არაერთი აღწერილობაა შედგენილი. მათ შორისაა ოლივერ უორდროპისა და დაგლას ფრეშფილდის ნაშრომებზე დართული ბიბლიოგრაფიული საძიებლები (24; 25), დ. ბარეტის კატალოგი (26), მ. პოლიევკტოვის ცნობარი (17), ნ. ორლოვსკაიას გამოკვლევა (27) და სხვ.

ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში არაერთგზის არის მითითება საქართველოში ინგლისელი მოგზაურებისა და მათი ჩანაწერების შესახებ. მათში ძირითადად ის აზრია გატარებული, რომ ინგლისელ მოგზაურთა შორის იყვნენ მზვერავები, რომლებიც აგროვებდნენ მასალებს საქართველოში რუსეთის მმართველობის შედეგად შექმნილი ვითარების, ქართველი მოსახლეობის განწყობილების, რუსეთის სამხედრო ძალების რაოდენობის, ახლო აღმოსავლეთის სტრატეგიული, პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური თუ კულტურული ვითარების შესახებ. ამიტომ რუსეთის მთავრობა კავკასიის მმართველებს ავალებდა იმ ინგლისელების თვალყურის დევნებას, რომლებიც მოგზაურობდნენ საქართველოს გავლით სპარსეთსა ან თურქეთში. ამ ნაშრომების უმეტესობა საბჭოთა პერიოდშია შექმნილი და ერთგვარად ტენდენციურად, რუსული პოლიტიკური ორიენტაციის გავლენით აშუქებს ზემოაღწერილ ვითარებას (28; 29; 30; 31...).

შესაძლოა ინგლისის მმართველი წრეების გარკვეული წარმომადგენლები მათთვის საჭირო ინფორმაციას იღებდნენ მოგზაურთაგან. ეს საკითხის ერთი მხარეა. მეორეა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის ჩანაწერები მოგზაურის მშობელ ხალხს უხსნის ახალ სამყაროს. პირადი შთაბეჭდილებები, ვრცელი თუ ეპიზოდური, მართალია სუბიექტურია (რომანტიზებული, ჰიპერბოლიზებული, კრიტიკულად ან სკეპტიკურად დანახუ-

ლი, რეალისტური და სხვ.) და მასში აირეკლება ავტორის განცდები, მისწრაფებები, პროფესიული ინტერესები, ინტელექტი, მაგრამ უმეტესად ძალიან არ სცილდება სინამდვილეს. ასეთმა ჩანაწერებმა შეიძლება საუკუნეების შემდეგ გააცოცხლოს რომელიმე ისტორიული ეპოქა. მოგზაურული ჟანრის ლიტერატურა იმითაცაა საინტერესო, რომ მასში ესა თუ ის ქვეყანა გარეშე თვალითაა დანახული და აღწერილი და ამიტომ ტენდენციურობას მოკლებულია. ამასთანავე მოგზაურობის ჩანაწერები, თუ ის გარკვეულ ინტერესს აღძრავს, შესაძლოა ლიტერატურული ურთიერთობების შემდგომი გაგრძელების იმპულსადაც იქცეს.

როგორც ჩანს, მოგზაურულ ჟანრს საკუთარი თავი ჯერ კიდევ არ ამოუწურავს. ამ ჟანრის ლიტერატურა XX საუკუნეშიც იქმნება (ნეგლი ფარსონის, ჯონ ჰანტის, ქრისთოფერ ბრაშერისა და სხვათა შთაბეჭდილებები). აღსანიშნავია ქეთრინ ვივიენის საქართველოში რამდენიმე მოგზაურობის შემდეგ შექმნილი ორი ჩანაწერი, რომლებიც ინგლისში დაიბეჭდა და ჯერ-ჯერობით არ ყოფილა განხილული ქართველი მკვლევრების მიერ. ეს ჩანაწერები უფრო ყოფითი ხასიათისაა და მათში ლაღი იუმორითაა აღწერილი ის თავგადასავლები, რაც ინგლისელ მეცნიერს გადახდა ქართველ მეგობრებთან ერთად. ამასთანავე ავტორი საუბრობს იმ ეროვნულ დღესასწაულებზე, რომლებსაც თვითონ დასწრებია (32; 33).

საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები ერთგვარ ასახვას პოულობს სხვა ინგლისელ მწერალთა შემოქმედებაშიც (ჯერ ლინდსეი, ჯეიმზ ოლდრიჯი...).

ალბათ აქ უპრიანი იქნება თუ გავიხსენებთ ქართული მოგზაურული ჟანრის ლიტერატურასაც. გასული საუკუნის სამოციან წლებში გიორგი ერისთავმა იმოგზაურა ევროპაში და მოგზაურობის შთაბეჭდილებები გადმოსცა დაუმთავრებელ დღიურებში „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წლის 13 ივნისიდგან“, სადაც ინგლისის სურათებიც გაიელვებენ.

ევროპელთა პირველ ინტერესზე ქართული სამყაროს მიმართ საუბებით ზუსტად მიუთითებდა ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი დევიდ მარშალ ლენგი, რომ ქართველოლოგია დასავლეთ ევროპაში კარგა ხანს ძირითადად ანტიკური მწერლობის ცნობებსა და მისიონერებისა თუ დიპლომატების საინტერესო

გამოცემებს ეფუძნებოდა (34, 115). ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტები რამდენიმე საუკუნის მანძილზე „ჩანასახოვან“ სტადიაში იმყოფებოდა და საკმაოდ სტიქიურად ვითარდებოდა, რაც სრულიად ბუნებრივია. ეს ურთიერთობა არანაირი ობიექტური მიზეზით არ იყო განპირობებული — საქართველო და დიდი ბრიტანეთი ტერიტორიულად მოწყვეტილები არიან, ამ ორ ქვეყანას არ ჰქონდა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი, ე. ი. არ არსებობდა ის ფაქტორები, რომლებიც კულტურული ურთიერთობის განვითარებასაც დააჩქარებდა. კულტურული კონტაქტები კი მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს პოლიტიკური კურსის შეცვლა მოხდა. XIX საუკუნიდან ქართული მწერლობა უშუალოდ ჩაერთო ევროპულ ლიტერატურულ პროცესში.

ქართული ლიტერატურის ბრიტანელი მკვლევრები და მთარგმნელები. ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რომ ინგლისური ლიტერატურის მიერ ქართული მწერლობის რეცეფციის პროცესი წარმოგვეჩინა ენციკლოპედიური ესკიზის სტილში ინგლისელ მეცნიერთა თუ მთარგმნელთა მოღვაწეობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით (ს. მალანი, უ. მორფილი, ო. უორდროპი, მ. უორდროპი, ფ. კონიბირი, ჯ. ბედელი, უ. ალენი, დ. ლენგი, ქ. ვივიენი, რ. სტივენსონი, დ. რეიფილდი, დ. ბარეტი). ვეყრდნობოდით რა ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა გამოკვლევებს, ჩვენი მხრივ შევეცადეთ ეს მიმოხილვა შეგვევსო ახალი ფაქტებით. უცნობი, ან ნაკლებად ცნობილი მასალა უფრო ფართოდ გვაქვს გაშუქებული.

1955 წელს დ. მ. ლენგმა ოქსფორდის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა, სადაც გამოთქმულია მოსაზრება დიდ ბრიტანეთში ქართველოლოგიური კვლევის დასაწყისის თაობაზე და განხილულია ქართველოლოგიური მუშაობის განვითარების პროცესი (34, 115—143). მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქართული მწერლობა დასავლეთ ევროპას პირველად მარი ბროსემ (1802—1880) გააცნო წერილების სერიით, რომლის გამოქვეყნებაც 1830 წელს დაიწყო საფრანგეთში. ზოგიერთი მათგანის თარგმანი კი იმავე პერიოდიდან იბეჭდებოდა ბრიტანეთის Asiatic Journal-ის ფურცლებზე

დ. ლენგი შენიშნავს, რომ სწორედ ბროსეს დროიდან იწყება ქართველოლოგიური საქმიანობა ინგლისში.

პირველი ოქსფორდელი მეცნიერი, ედინბურგის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების საპატიო დოქტორი სოლომონ სიზარ მალანი (1812—1894) დაინტერესებული ყოფილა საქართველოს და სომხეთის ეკლესიებით. 1866 წელს მან გამოსცა პლატონ იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის ისტორიის" ინგლისური თარგმანი და როგორც დ. ლენგი მიუთითებს, დაურთო იმდენი სასარგებლო შენიშვნა, რომ იგი დღემდე ძვირფას საცნობარო წიგნად რჩება. 1867 წელს კი მალანმა თარგმნა გაბრიელ ეპისკოპოსის „ქადაგებანი" და გადაწყვიტა პირადად გაეცნო მისი ავტორი. ჩვენი თხოვნით ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის მეცნიერ-კონსულტანტმა დევიდ ბარეტმა მოგვაწოდა ამონაბეჭდი სოლომონ სიზარ მალანის შვილის, ართურ ნოელ მალანის წიგნიდან, სადაც აღწერილია მისი მამის საქართველოში მოგზაურობა და გაბრიელ ეპისკოპოსთან შეხვედრა (35, 273—277). ქართველ მეცნიერებს შეფასებული აქვთ სოლომონ სიზარ მალანის მოღვაწეობა. მის შესახებ წერდნენ ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, ლ. მენაბდე, მ. სურგულაძე, გ. შარაძე და სხვანი.

კიდევ ერთი ოქსფორდელი მეცნიერი, რომელმაც სერიოზული წვლილი შეიტანა ინგლისური ქართველოლოგიის განვითარებაში არის პროფესორი უილიამ რიჩარდ მორფილი (1834—1909). დ. ლენგის თქმით, იგი იქნებ ისეთი უნივერსალური ლინგვისტი არ იყო, როგორც მალანი, მაგრამ უეჭველია, უთანაბრდებოდა მას იმ ხალხთა სიყვარულსა და სულის შეცნობაში, რომელთა ენებასაც იგი სწავლობდა. მორფილი სლავისტი იყო. ალექსანდრე ცაგარელის ნაშრომების გაცნობის შემდეგ კი შეისწავლა ქართული ენა, იმოგზაურა საქართველოში, პირადი კონტაქტები დაამყარა და მიმოწერა ჰქონდა ი. ჭავჭავაძესთან, ი. გოგებაშვილთან, მ. ჯანაშვილთან, ალ. ხახანაშვილთან, ალ. ცაგარელთან, ი. მაჩაბელთან და სხვებთან. ინგლისელ მეცნიერთაგან უილიამ მორფილი იყო პირველი, რომელიც შეეხო ქართული ენის საკითხებს და ზოგადად მიმოიხილა ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორია წერილში „საქართველოს ენა და ლიტერატურა". მან ასევე გამოაქვეყნა რიგი რეცენზიები ო. უორდროპის, ალ. ცაგარელის, მ. ჯანაშვილის, ალ. ხახანაშვი-

ლის ნაშრომებსა და მ. უორდროპისა და ა. ლაისტის თარგმანებზე. ამ რეცენზიებში იგი იძლეოდა ქართული კულტურისა და ლიტერატურის ძეგლების და მათ შესახებ შექმნილ ნაშრომთა თუ თარგმანთა მეცნიერულ ანალიზს. დ. მ. ლენგის აღნიშვნით, მისი რეცენზიები თავად გამოკვლევებს წარმოადგენენ (34, 117). უილიამ რიჩარდ მორფილის შესახებ მოგონებები და საინტერესო ცნობები გამოქვეყნებული აქვთ ი. მანსვეტაშვილს (36, 127), შ. გოზალიშვილს (37, 52—57). მისი ნაშრომები მეცნიერულად აქვს შესწავლილი ნ. ორლოვსკაიას (38, 139—140; 132—142).

ინგლისური ქართველოლოგიის განვითარებას, ინგლისურენოვან სამყაროში ქართული კულტურისა და მწერლობის გაცნობასა და პოპულარიზაციას და ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობათა გაღრმავებას უდიდესი ამაგი დასდეს და-ძმა მარჯორი (1869—1909) და ოლივერ (1864—1948) უორდროპებმა. მათი მოღვაწეობა სათანადოდ არის შესწავლილი და შეფასებული როგორც ქართველი, ასევე ინგლისელი მეცნიერების მიერ. დევიდ ლენგის თქმით, ამ ორმა თავდადებულმა სწავლულმა და მოგზაურმა მიანიჭეს ოქსფორდს სახსრები ქართველოლოგიური კვლევა-ძიებისათვის და თავიანთი მოღვაწეობით მსოფლიოს ორიენტალისტთა შორის გაითქვეს სახელი (34, 118). მათი შემოქმედებითი და სამეცნიერო მუშაობა ფართოდ არის გაშუქებული როგორც მეცხრამეტე, ასევე მეოცე საუკუნის ქართულ პრესაში, დაიწერა მონოგრაფია მარჯორი უორდროპზე (39), შეიქმნა მსხვილტანიანი გამოკვლევა (40), რომელშიც აღწერილია უორდროპების ურთიერთობა საქართველოსა და ქართულ კულტურასთან. ნაშრომის ავტორს გ. შარაძეს ინგლისის წიგნთსაცავებში მიკვლეული აქვს სახელოვანი და-ძმის მოღვაწეობის მანამდე უცნობი ფაქტები, დაწვრილებით აქვს გაანალიზებული მათი შემოქმედება, დოკუმენტურად აქვს შესწავლილი მათი დამოკიდებულება ქართველ მოღვაწეებთან, მოძიებული აქვს საარქივო მასალები, რომლებიც ნათელს ჰფენენ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა მანამდე უცნობ მხარეებს წიგნს ახლავს მდიდარი ბიბლიოგრაფიული მასალა.

ჩვენ ხელთ გვქონდა ოლივერ უორდროპის ქალიშვილის, ნინო უორდროპის მოგონების „მარჯორი და ოლივერი" ხელნაწერი, სადაც მხატვრულად არის აღწერილი უორდროპების

ოჯახური გარემო და და-ძმის საზოგადოებრივი თუ შემოქმედებითი საქმიანობა. ნინო უორდროპს თავის მონათხრობში გამოყენებული აქვს უორდროპების ოჯახის ეპისტოლარული ურთიერთობა და და-ძმის შემოქმედებითი მემკვიდრეობის დევიდ ლენგისეული შეფასება. ავტორი გვაცნობს ოლივერ, თომას და მარჯორის მშობლების — თომას კოლდუელ უორდროპისა და მისი მეუღლის, მარჯორი კამერონ სკოტის ოჯახს, ოჯახის წევრების მეტად გულისხმიერ და უსათუთეს დამოკიდებულებას ერთმანეთს შორის, შვილების სწავლა-აღზრდის პერიოდს, ოლივერის მოგზაურობებს სხვადასხვა ქვეყანაში და უფრო ფართოდ — საქართველოში. მარჯორისა და ოლივერის მიმოწერის ფრაგმენტებიდან მოჩანს მათი მუდმივი სურვილი ქართველ ხალხთან და ქართულ კულტურასთან მჭიდრო კავშირისა, მარჯორის განცდები ქართული ენის შესწავლისა და ამა თუ იმ ნაწარმოების თარგმნის პერიოდში, მისი მუშაობის სტილი... ავტორს მხატვრულად აქვს აღწერილი მარჯორისა და მისი დედის გამომგზავრება ინგლისიდან საქართველოში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა, შეხვედრები, მთარგმნელობითი თუ სამეცნიერო მუშაობის პროცესი, ოლივერის სამსახურებრივი საქმიანობა.

ეს მხატვრულ-დოკუმენტური პროზის სახით დაწერილი მოგონება ძალზე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი ოლივერ უორდროპის შვილის მიერაა შესრულებული და მასში წარმოჩენილია უორდროპების ოჯახის ძალზე ინტიმური დეტალები, რაც უფრო ახლებურად წარმოაჩენს მარჯორისა და ოლივერის პიროვნებებს, მათ ხასიათს, ემოციებს, სურვილებს, მიზანდასახულებას და მოღვაწეობის სხვადასხვა ნიუანსებს, გვაცნობს მათი ცხოვრების ზოგიერთ უცნობ ფაქტს. ყოველივე ამის გამო საჭიროდ მივიჩნიეთ ამ ნარკვევის ქართულად თარგმნა. იგი შეტანილი გვაქვს ნაშრომის ბოლო ნაწილში.

მარჯორი უორდროპმა თარგმნა და გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრები, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“. „ვეფხისტყაოსანი“ მისი სიკვდილის შემდეგ ოლივერმა დასტამბა ლონდონში და დაურთო ვრცელი წინასიტყვაობა და კომენტარები. მარჯორისა და ოლივერის ერთობლივი თარგმანია „წმინდა ნინოს ცხოვრე-

ბა“, ოლივერ უორდროპმა თარგმნა და გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, „ვისრამიანი“, გიორგი V-ის კანონები ალ. ცაგარელის მიერ შედგენილი ათონის ივერთა მონასტრის აღწერილობა (ლონდონი, 1911). ოლივერის ორიგინალური ნაშრომია „საქართველოს სამეფო. მოგზაურობა ქალების, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში“. იგი ხელმეორედ დაიბეჭდა ლონდონში 1977 წელს. ოლივერ უორდროპს, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, შედგენილი აქვს ინგლისურ-სვანური ლექსიკონი, (ოქსფორდი, 1911). მარჯორი უორდროპის ხელნაწერ სიტყვარებზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპების ფონდში გ. შარაძემ მიაკვლია ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა („მგზავრის წერილები“, „კაცია-ადამიანი?!“ (ფრაგმენტი), „გლახის ნაამბობი“ (ნაწყვეტი) „ავტობიოგრაფია, „გაზაფხული“, „მძინარე ქალი“, „ელეგია“, „ვაი მას, ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად“, ნაწყვეტები „აჩრდილიდან“ და „ბაზალეთის ტბიდან“) მარჯორისა და ოლივერის მიერ შესრულებულ თარგმანებს, რომლებიც 1987 წელს წიგნად გამოიცა თბილისში (41) და ალ. ყაზბეგის ორი ნაწარმოების — „ელგუჯა“ და „ელისო“ ოლივერის მიერ შესრულებულ დაუსრულებელ მანქანაზე გადაბეჭდილ თარგმანს (42, 239—240). ბოდლის ბიბლიოთეკაში ინახება მარჯორი უორდროპის ხალისიანი შთაბეჭდილებების ხელნაწერი საქართველოში პირველი მოგზაურობის შემდეგ — „ჩანაწერები საქართველოში 1894—95 წწ. მოგზაურობის შესახებ“.

უორდროპებს ქართველმა მოღვაწეებმა უსახსოვრეს დიდძალი ლიტერატურა. გარდა ამისა, თვითონაც შეიძინეს ქართული წიგნები, რაც შემდეგ ბოდლის ბიბლიოთეკას შესწირეს. უორდროპების კოლექციის პირველი კატალოგი, რომელიც ბოდლის ბიბლიოთეკაშია დაცული ხელნაწერის სახით, 1923 წელს შეადგინა ეკა ჩერქეზმა.

ოქსფორდის უნივერსიტეტის საბჭომ 1910 წელს დააარსა მარჯორი უორდროპის ფონდი, რომელიც ხმარდება ქართველთმცოდნეობის განყოფილების გაუმჯობესებასა და გაზრდას; ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესახებ ქართული და ინგლისური ნაშრომების გამოცემას და ქართველოლოგიით დაინტერესებულ ინგლისელ სტუდენტთა ხელშეწყობას.

ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლა გარკვეულად უკავშირდება მარჯორი და ოლივერ უორდროპების მეგობრის, ინგლისელი არმენოლოგის ფრედერიკ კორნუელ კონიბირის (1856—1924) სახელს. თავისი სამეცნიერო მუშაობის სწორად წარმართვისათვის მან სპეციალურად შეისწავლა ძველი ქართული ენაც. უორდროპებისა და კონიბირის თანამშრომლობის შედეგად არაერთი ნაშრომი შეიქმნა. 1894 წელს ოლივერ უორდროპმა კონიბირის დახმარებით გამოსცა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში (ამჟამად ბერძნულ საპატრიარქო ბიბლიოთეკაში) დაცული ქართული ხელნაწერების ალ. ცაგარლისეული აღწერილობის ინგლისური თარგმანი; „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უორდროპისეულ თარგმანს დართული აქვს მოსე ხორენელის სომხეთის ისტორიისა და ჯუანშერის მატიანის ნაწყვეტების თარგმანები, შესრულებული კონიბირის მიერ; მანვე ქართულიდან თარგმნა X საუკუნეში არაბულიდან ქართულად გადმოღებული ანტიოქე სტრატიგის თხზულება „წარტყუენვაჲ იერუსალიმისაჲ“ — „იერუსალიმის აოხრება სპარსელების მიერ 614 წელს“ (ლონდონი 1910); 1913 წელს ლონდონში გამოიცა ბრიტანეთის მუზეუმში დაცული სომხური და ქართული ხელნაწერების აღწერილობა, რომლის სომხური ნაწილი შეადგინა ფ. კონიბირმა, ხოლო ქართული ნაწილი — ო. უორდროპმა; 1915 წელს კი პარიზში დაიბეჭდა წმინდა იაკობის ლიტურგიის ქართული ვერსიის თარგმანი შესრულებული ფრედერიკ კონიბირისა და ოლივერ უორდროპის მიერ; 1888 წელს საქართველოში სტუმრობის შემდეგ კონიბირმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ვარლაამისა და იოსაფატის ლეგენდები ძველ ქართულსა და სომხურ მწერლობაში“ (ლონდონი, 1896); 1897 წელს მან გამოსცა შრომა „ახალი აღთქმის პეშიტას ვერსიის განვითარება განმარტებული ძველი სომხური და ქართული ვერსიების ცნობებით“; თავისი მოსაზრებანი ქართული ბიბლიის თარგმანთან დაკავშირებით კონიბირმა განავრცო ნაშრომში „ახალი აღთქმის ქართული ვერსია“ (გიზენი, 1910).

ოლივერ უორდროპს მეგობრობა და სამეცნიერო კონტაქტები ჰქონდა აგრეთვე ჯეიმზ ბედელისთან (1854—1940). ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანია მისი წერილები ოლივერ უორდროპთან, რომლებშიც ბედელი ეთათბი-

რებოდა ამ უკანასკნელს საქართველოს პრობლემებზე. ეს წერილები დაცულია ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპების ფონდში (43), ჯ. ბედელიმ, როგორც ბრიტანეთის საინჟინრო ფირმის წარმომადგენელმა, ევროპისა და აზიის სხვადასხვა რეგიონში იმოგზაურა. 1900 წელს იგი იყო კავკასიაში და ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით დაწერა გამოკვლევა (44). ნაშრომში საინტერესო მასალაა არქეოლოგიის ეთნოგრაფიის და ფოლკლორის შესახებ. წიგნს ახლავს ო. უორდროპის წინასიტყვაობა.

ქართველოლოგიური პრობლემატიკით დაინტერესებული შემდეგი ინგლისელი ისტორიკოსი და ფილოლოგი არის უილიამ ედუარდ დევიდ ალენი (1901—1973). რუსეთ-საქართველოს და თურქეთ-საქართველოს ისტორიის პრობლემებზე გამოქვეყნებულ ნაშრომებს გარდა მან ერთი ნარკვევი მიუძღვნა ქართული ლიტერატურის საკითხებს წიგნში „ქართველი ხალხის ისტორია". იგი ისევე როგორც სხვა ინგლისელი ავტორები, ხაზგასმით აღნიშნავს მარი ბროსეს ღვაწლს ევროპული ქართველოლოგიის განვითარებაში და იმ ფაქტს, რომ საქართველო ინგლისურ სამეცნიერო წრებრუნვაში სწორედ მარი ბროსეს ნაშრომებით შევიდა. ალენმა რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში და უშუალოდ გაეცნო ქართულ კულტურას, ქართველ ინტელიგენციას. აღნიშნული წიგნის შესავალში იგი ძალიან ემადლიერება თავის მეგობრებს, რომლებთანაც მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტი ჰქონდა — ზ. ავალიშვილს, ნ. მარს, ჯ. ბედელის, რომლებმაც წაიკითხეს ამ წიგნის ხელნაწერი და ა. გუგუშვილს, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია წიგნის წერის დროს. ქართულ მწერლობას ალენი საქართველოს ისტორიის ფონზე და მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განიხილავს. იგი მიყვება ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებულ პერიოდიზაციას და განიხილავს ქართული მწერლობის ძეგლებს, როგორც სასულიეროს (განსაკუთრებით ჩერდება წმინდანთა ცხოვრებებზე), ასევე საეროს; ეხება ივ. ჯავახიშვილის მიერ მიკვლეულ უძველეს ქართულ ხელნაწერებსა და პალიმფსესტებს, ქართულ-ბიზანტიურ კონტაქტებს სინასა და ათონის მთაზე, პალესტინისა და სირიის ქართული მონასტრების კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობას,

საუბრობს ქართული პროზისა და პოეზიის განვითარებაზე. რაც შეეხება ქართული ანბანის წარმოშობას, იგი თვლის, რომ ქართული დამწერლობა ჩვ. წ. აღ.-მდე IV საუკუნეში, ფარნავაზის მეფობის დროს უნდა იყოს შექმნილი. ამდენად, უილიამ ალენის ნაშრომი არის მეორე ინგლისურ ლიტერატურათმცოდნეობაში, სადაც თანმიმდევრულად, უფრო დეტალურად და ფართოდ არის განხილული ქართული ლიტერატურული პროცესი.

საგულისხმოა უილიამ ალენისა და მისი მეგობრის, ანდრო გუგუშვილის (1895—1970) ერთობლივი ძალისხმევა ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური სამეცნიერო ჟურნალის „გეორგიკას" დაარსებისა და გამოცემის საქმეში. ეს ჟურნალი სამი წლის განმავლობაში — 1935-37 წლებში იცემოდა ლონდონში (გამოცემულია სამი ტომი). მასში თანამშრომლობდნენ და წერილებს აქვეყნებდნენ როგორც უცხოელი მეცნიერები, ასევე ქართველი ემიგრანტები და საქართველოში მოღვაწე ქართველი მწერლები და სწავლულები — დენისონ როსი, ექვთიმე თაყაიშვილი, მიხეილ წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, ჯეიმზ ბედელი, გრიგოლ ფერაძე, ნიკო მარი, გიორგი ჩიტაია, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი გვაზავა, გიორგი ლეონიძე, ტიტე მარგველაშვილი, გიორგი ბოჭორიძე, სერგი მაკალათია, ალექსანდრე ჯავახიშვილი, თვითონ უილიამ ალენი, ანდრო გუგუშვილი და სხვანი. ჟურნალში განხილული იყო კავკასიისა და საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ქართული ანბანის წარმოშობის, ქართული ხელნაწარების, ქრისტიანული კულტურის. ინგლისში კავკასიოლოგიის განვითარების საკითხები, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. 1937 წელს „ვეფხისტყაოსნის" იუბილეს მიეძღვნა „გეორგიკას" თითქმის მთელი ტომი. გარდა საგამომცემლო და სამეცნიერო საქმიანობისა, ა. გუგუშვილი ქართულ ენას ასწავლიდა ინგლისელ სტუდენტებსა და მეცნიერებს, დახმარებას უწევდა სამეცნიერო თუ მთარგმნელობით საქმიანობაში. რობერტ სტივენსონი „ამირანდარეჯანიანის" მისეული ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში მადლობას უხდის ა. გუგუშვილს, რომელმაც დახმარება გაუწია მას ტექსტის გაგებასა და შესწავლაში. ამ საქმეს კი სტივენსონმა შვიდი წელი (1951—1958) მოანდომა. ანდრო გუგუშვილი იყო ინგლისში დაარსებული საქართველოს საისტორიო საზოგადოების მდივანი.

ქართულ-ინგლისური კულტურული კონტაქტების გაღრმავებასა და ინგლისში ქართული მწერლობის აღქმაში საკმაოდ სერიოზული წვლილი შეიტანა ინგლისელმა ლიტერატურათმცოდნემ, ისტორიკოსმა, ლონდონის უნივერსიტეტის კავკასიისმცოდნეობის პროფესორმა, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა, დევიდ მარშალ ლენგმა (1924—1991). მან არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევა შექმნა, რომლებშიც კვალიფიცირებული აქვს ქართულ ლიტერატურის განვითარების ეტაპები, საკუთარი მოსაზრებები აქვს ჩამოყალიბებული ლიტერატურათმცოდნეობის სადაო საკითხებზე, მიმოხილული აქვს როგორ ვითარდებოდა ქართველოლოგიური კვლევა ინგლისში. დ. ლენგმა ასევე მნიშვნელოვანი თარგმანებით შეავსო ინგლისური მწერლობა.

დევიდ ლენგის ლიტერატურათმცოდნეობითი ნააზრევიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მსჯელობა შუასაუკუნეების რომანის „ვარლაამ და იოასაფის“ ეფთვიმე ათონელის ავტორობის შესახებ. ე. ხინთიბიძეს აღნიშნული აქვს, რომ თანამედროვე ბიზანტინისტიკაში „ვარლაამ და იოასაფის“ ავტორად უპირატესად იოანე დამასკელია მიჩნეული, მაშინ როცა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეფთვიმე ათონელის ავტორობა ეჭვს არ იწვევს. მის ავტორობას იცავს რუსი მკვლევარი ი. გოლენიშჩევ-კუტუზოვი, ამერიკელები რ. ლ. ვულფი და რ. პ. ბლეიკი, ბელგიელი ფ. ალკენი, იტალიელი ჰ. მუზურილო, ბერძენი ვ. ლაურდასი და სხვანი (45, 267, 273—274). 1953 წელს გერმანელმა მეცნიერმა ფრანც დელგერმა დაიცვა იოანე დამასკელის ავტორობის თეზისი. დელგერის გამოკვლევის პასუხად ვრცელი ნაშრომი გამოაქვეყნა დევიდ ლენგმა „ეფთვიმე ქართველი და „ვარლაამისა და იოასაფის“ რომანი“ (46, 306—325), რომელშიც იგი დაბეჯითებით უჭერდა მხარს ეფთვიმე ათონელის ავტორობას. 1957 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ბალავარიანის“ ახალაღმოჩენილი ვრცელი ქართული რედაქციის თაობაზე დ. ლენგი წერდა, რომ ეს რედაქცია, რომელიც IX საუკუნით უნდა თარიღდებოდეს, არის არაბული არაქრისტიანული ტექსტის ქართულად გადაქრისტიანება, ხოლო ამ უკანასკნელის შემოკლებაა თბილისური (A) რედაქცია — „სიბრძნე ბალავარისა“, რომელიც იმავე IX საუკუნეში უნდა დამუშავებულიყო (47, 389—407).

1957 წელს დევიდ ლენგმა თვითონ თარგმნა ინგლისურად „ბალავარიანის“ მოკლე რედაქცია, ხოლო 1966 წელს — ვრცელი რედაქცია.

ორმოცდაათიანი წლების ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგების გათვალისწინებით დ. ლენგმა შესავალი წერილი დაურთო გ. ვუდუარდისა და ჰ. მეტინგლის მიერ ინგლისურად თარგმნილი „ვარლაამ და იოასაფის“ 1967 წლის გამოცემას, სადაც იგი იზიარებს იმ დებულებებს, რომ „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქცია, რომელიც არაბული არაქრისტიანული ვერსიიდან მომდინარეობს, ამ თხზულების პირველ ქრისტიანულ დამუშავებას წარმოადგენს. იგი ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ეფთვიმე ათონელმა XI საუკუნის პირველ მეოთხედში. ჩვენამდე მოღწეული „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნული ვერსია ეფთვიმე ათონელის თარგმანის გამეტაფრასებას წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა თვითონ სვიმონ ლოღოთეტის, ან მისი რომელიმე მოწაფის ნამოღვაწარი იყოს. „ბალავარიანის“ აღმოსავლურ რედაქციებსა და გადამუშავებებს დ. ლენგი განიხილავს 1971 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „აღმოსავლური მასალები ქართულ ბალავარიანზე“. ასე რომ, დ. ლენგის საფუძვლიანი არგუმენტაციით შესრულებულმა ნაშრომებმა საბოლოოდ დაამკვიდრა საყოველთაო მეცნიერული თვალსაზრისი „ვარლაამ და იოასაფის“ სადაო საკითხების გარშემო.

დევიდ ლენგმა ახალ საფუხურზე აიყვანა კონიბირის მიერ დაწყებული ქართული სასულიერო მწერლობის მეცნიერული შესწავლა. მან ინგლისურ ენაზე გამოსცა ქართველი წმინდანების ცხოვრებათა და წამებათა კრებული. მასში თავების მიხედვით არის წარმოდგენილი ძველი ქართული მწერლობის ათი ნიმუში. ოითოეულ თავს წამძღვარებული აქვს მთარგმნელისეული გამოკვლევა. დ. ლენგს სათაურები თავისებურად აქვს შერჩეული და შემდეგი მიმდევრობით აქვს დალაგებული ნაწარმოებები: „წმინდა ნინო და საქართველოს მოქცევა“, „ცხრა კოლაელი ყრმის მარტვილობა“, „მარტვილი დედოფალი: წამება წმინდა შუშანიკისა“ (მოგვიანებით „შუშანიკის წამება“ თარგმნა ელიზაბეთ ჯულერმა), „მებრძოლი განდეგილი: პეტრე იბერი, ეპისკოპოსი მაიუმისა, ღაზის მახლობლად“, „წმინდა ფრანცისის წინამორბედი: დავით გარეჯელი“, „წამება წმინდა ევსტასი მცწალისა“,

„მარტვილობა აბოსი, ბაღდადელი ნელსაცხებელთა ოსტატისა“, „გრიგოლ ხანძთელი და ქართული ეროვნული აღმავლობა“, „ქართველი ათონელები“, „წამება ქეთევან დედოფლისა“. 1962 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს ახალი ისტორია“, დ. ლენგი მსჯელობს ქართული ანბანის წარმოშობის საკითხზე და ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა პრობლემებზე, ძველ საქართველოში ეკონომიკის აღმავლობასთან ერთად ლიტერატურული კონტაქტების გაღრმავებასა და ლიტერატურულ და თეატრალურ ცხოვრებაზე, კონკრეტულად ჩერდება ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე, განიხილავს XX საუკუნის დასაწყისის კულტურულ ცხოვრებას. შემდეგ დ. ლენგმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართული ლიტერატურის განვითარების ეტაპები“, რომელიც უშუალოდ ქართულ ლიტერატურულ პროცესებს ეხება. მასში თანმიმდევრულადაა გაშუქებული ქართული ლიტერატურის განმსაზღვრელი პერიოდები. დევიდ ლენგმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა იოანე ბატონიშვილის „კალმასობას“. ინგლისელ მეცნიერს გამოცემული აქვს ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ქართული და სხვა კავკასიური ნაბეჭდი წივნების კატალოგი.

ნაშრომის ამ თავში ჩვენ არაერთხელ დავიმოწმეთ დ. ლენგის თვალსაზრისი, რომელიც მას გამოთქმული აქვს პროპედევტიკული სასიათის წერილში „ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში“.

ქართველმა მეცნიერებმა დევიდ მარშალ ლენგის ღვაწლი ღირსეულად შეაფასეს. ამჯერად ჩვენს ყურადღებას შევაჩერებთ ქართულ სამეცნიერო წრეებში ნაკლებად ცნობილ ემიგრანტულ ჟურნალ „კრებულის“ * ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილზე „დ. მ. ლენგი და მისი კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიაში“ (48, 219—223). მასში გ. მახვილაძე აღწერს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლენგის მოღვაწეობას, ინტერესების სფეროს, მის ზოგიერთ ისტორიულ და ლიტერატურათმცოდნეობით ნაშრომს.

---

* 1989 წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ „კრებულის“ მიმოხილვა (49). მისი რედაქტორი და გამომცემელია ექიმი გიგი კობახიძე. ჟურნალის ეს ნომერი დაიბეჭდა 1957 წელს ნიუ-იორკში. მიმოხილვაში საუბარი გექონდა ზემოაღნიშნულ წერილზეც, რომელსაც ხელს აწერს გ. მახვილაძე. ეს არის გიგი კობახიძის ფსევდონიმი.

წერილის ავტორი მადლიერებით აღნიშნავს, რომ ქართველი მეცნიერები კარგად იცნობენ და აფასებენ ლენგის შრომებს და მოუწოდებს ქართულ ემიგრაციას, ხელი შეუწყონ მეცნიერს ქართველოლოგიურ მუშაობაში.

ინგლისელმა მწერალმა, მეცნიერმა და მთარგმნელმა, ქეთრინ ვივიენმა ქართველოლოგიური სემინარები პროფესორ დევიდ მარშალ ლენგის ხელმძღვანელობით გაიარა ლონდონის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკისა და აფრიკათმცოდნეობის ინსტიტუტში. II მსოფლიო ომის შემდეგ განაგრძო ფრანგული და ინგლისური ლიტერატურისა და ფილოსოფიის შესწავლა; ფრანგულიდან თარგმნიდა და წერდა ლექსებს, მოთხრობებსა და პიესებს; ქართული კულტურით დაინტერესდა მორის ბაურას ნაშრომის „შთაგონება და პოეზია" გაცნობის შემდეგ. ნათარგმნი აქვს ქართული საისტორიო ძეგლები (კ. სალიას „ქართველი ერის ისტორია" და ლაშა გიორგის პერიოდი „ქართლის ცხოვრების" ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემიდან). ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან თარგმნა „ვეფხისტყაოსანი" (1977 წ.), „წიგნი სიბრძნე სიცრუისა" (1982 წ.); ატარებს ლექციებს ქართული კულტურისა და ლიტერატურის შესახებ ინგლისის სამეცნიერო ცენტრებში („საქართველო მუსიკისა და სლაიდების თანხლებით" წაიკითხა პრესტინის ქალთა ინსტიტუტში 1976 წ., „ვეფხისტყაოსნის გავლენა ქართულ კულტურაზე" — ბირმინგემის უნივერსიტეტის ბიზანტინისტიკის ცენტრში 1981 წ. და სხვ.); ქეთრინ ვივიენი ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო სიმპოზიუმების მუშაობაში: „აღმოსავლური და დასავლური კულტურის ელემენტები ვეფხისტყაოსანში", იტალია, ქ. ბარი, 1980 წ., სტატიის სახით დაიბეჭდა ჟურნალში „ბედი ქართლისა"; „თარგმნის ოსტატობა", თბილისი, 1983 წ.; „ვეფხისტყაოსნის მეტრი", თბილისი, 1988 წ., სტატიის სახით დაიბეჭდა 1993 წ.; „შოთა რუსთაველი და ქართული ტრადიცია", ფინეთი, ქ. ტურკუ, 1991 წ., სტატიის სახით დაიბეჭდა იმავე წელს სიმპოზიუმის მასალებში.

1982 წელს გამოქვეყნებული წიგნი „სუფიზმის კვალი ქართულ მწერლობაში" ჯერჯერობით არ ყოფილა აღნიშნული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. მასში ქეთრინ ვივიენი განიხილავს „სუფიზმის", როგორც ტერმინის, სხვადასხვა ავტორის

მიერ სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა გაგებით ხმარების მაგალითებს. ნაშრომიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ თვითონ მკვლევარი მასში მთელ იმ სააზროვნო სისტემას გულისხმობს, რომელიც აგერ უკვე ოთხმეტი საუკუნის მანძილზე ორგანულად შეერწყა აღმოსავლურ ცივილიზაციას და რომლის გარკვეული ანარეკლი დასავლურ მხატვრულ ლიტერატურაშიაც შეიძლება დაიძებნოს. მეცნიერი მსჯელობს ერთიან ლიტერატურულ პროცესზე, მიიჩნევს რა მას მთლიან, ზოგად მოვლენად. ავტორს კარგად ესმის, რომ ქართული მწერლობის განხილვისას თანაბარი ყურადღება უნდა დაეთმოს როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ ლიტერატურულ-ფილოსოფიური ტრადიციის კვალს, რასაც არაერთი ფაქტორი განაპირობებს. მონოგრაფიაში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ აღმოსავლური ტრადიციის გავლენა უძველესი ხანიდან გასდევს ქართულ კულტურას. ამის გამომწვევ მიზეზად კი დასახელებულია მძლავრი აღმოსავლური სახელმწიფოების მრავალსაუკუნოვანი ბატონობა საქართველოში და ქართველი მონარქების მიერ აღმოსავლური კულტურის პოპულარიზაცია თავიანთ ქვეყანაში. ქეთრინ ვივიენი აღნიშნავს, რომ სუფიზმის კვალი მარტოოდენ შუასაუკუნეების ქართულ ლიტერატურას როდი გასდევს. ამის დადასტურებაა აღორძინების ხანის ქართული მწერლობის ძეგლები (სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ თუ ვახტანგ მეექვსის მიერ თარგმნილი „ქილილა და დამანა“ და სხვა). გარდა ამისა მას მიაჩნია, რომ აღმოსავლური სამყაროდან მომდინარეობს ის სიუჟეტები და მოტივები, რომლებმაც ქართულ ფოლკლორში შეაღწიეს და მისი ორგანული ნაწილი გახდნენ. შემდეგ კი ტრანსფორმირებული სახით გადავიდნენ ქართული ლიტერატურის ძეგლებში.

ზემოაღნიშნულ ნაშრომში, სწორედ აღმოსავლური კულტურის ელემენტებსა და მათ ქართულ ეროვნულ ქურაში გადამუშავებისა და გარკვეულწილად შერწყმის პროცესს განიხილავს მკვლევარი და ამ ასპექტით წარმოაჩენს ქართული ლიტერატურული აზრის განვითარებას.

ჩემს პირად არქივში დაცულია ქეთრინ ვივიენის გამოუქვეყნებელი ნარკვევის „ტრადიცია საქართველოში“ ხელნაწერი (50). იგი დაწერილია 1992 წელს. მასში საქართველოს საზოგადოებ-

რაკი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოვლენილი ტრადიციები აეტორს განხილული აქვს ისტორიისა და თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური ვითარების შუქზე. მეცნიერს ორიგინალური მოსაზრება აქვს ჩამოყალიბებული იმის შესახებ, თუ როგორ რეალიზდება ქართული ტრადიციის ელემენტები ქართულსავე ლიტერატურასა და მუსიკალურ კულტურაში, ქართულ ფრაზეოლოგიასა და ყოფით ცხოვრებაში, არქიტექტურასა და ცეკვებში... ამასთანავე აღნიშნავს ბიზანტიური და ორიენტალური ტრადიციების გავლენასაც.

შტრიხები ქეთრინ ვივიენის პორტრეტისათვის და მისი მოსაზრებები „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ პრობლემაზე მოცემულია ნაშრომის შემდეგ თავებში.

შუასაუკუნეების ქართული კულტურის შესწავლისა და თარგმნის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ლიტერატურათმცოდნესა და მთარგმნელს, პროფესორ რობერტ სტივენსონს (დაიბადა 1920 წელს). მას ძალზე სერიოზული გამოკვლევები აქვს „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი თარგმნის შესახებ, „ომანიანის“, „დიდმოურავიანის“, „ამირანდარეჯანიანის“ ირგვლივ; ქართულიდან ნათარგმნი აქვს: „ამირანდარეჯანიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“. „ამირანდარეჯანიანის“ სტივენსონისეული თარგმანის გამოქვეყნებას მეცნიერული პოლემიკა მოჰყვა (დ. მ. ლენგი, გ. მ. მერედით-ოუენსი, შ. ნუცუბიძე, ალ. ბარამიძე, ს. სერებრიაკოვი, მ. ჩიქოვანი). დ. ლენგისა და მერედით-ოუენსის რეცენზიაში (51, 454—490) წამოტივტივდა „ამირანდარეჯანიანის“ სპარსული წარმოშობის თეორია. მათ „ყისაი ჰამზასა“ და „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტების შედარებისას შესაძლებლად მიიჩნიეს სპარსული ნაწარმოების გავლენა ქართულზე. რეცენზენტები ასევე საყვედურობდნენ მთარგმნელს, რომ მან ორიგინალად აიღო ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. რობერტ სტივენსონი ემყარებოდა ალ. ბარამიძის, მ. ჩიქოვანის, შ. ნუცუბიძის და სხვათა მოსაზრებებს და არ გაიზიარა ნ. მარის თეორია „ამირანდარეჯანიანის“ სპარსულ წარმოშობაზე, რომელსაც კ. კეკელიძემ დაუჭირა მხარი და მას „მარ-კეკელიძის თეორია“ უწოდა (არც სტივენსონი და არც ლენგ — მერედით-ოუენსი არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ ნ. მარმაც და კ. კეკელიძემაც თავიანთი ადრინდელი მოსაზრებები გადასინჯეს, მარმა უარყო ამ რო-

მანის სპარსული წარმოშობის თეორია, კეკელიძემ კი დაასაბუთა ნაწარმოების ორიგინალობა). „ამირანდარეჯანიანის“ ინგლისური თარგმანის სტივენსონისეული წინასიტყვაობა მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს, რომელშიც განხილულია ამ ნაწარმოების ირგვლივ არსებული ნაშრომები, გამოკვეთილია ავტორისეული პოზიცია, გაკრიტიკებულია ზ. ჭიჭინაძისეული გამოცემა და აღნიშნულია, რომ სამწუხაროდ თარგმანს სწორედ იგი დასეული პოზიცია, გაკრიტიკებულია ზ. ჭიჭინაძისეული გამოცემა მისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. რობერტ სტივენსონის ქართველოლოგიური ძიებანი, მისი თარგმანები და მეცნიერული პაექრობა მათ გარშემო დაწვრილებით აქვს განხილული ნ. ანდრონიკაშვილს (52). „ვეფხისტყაოსნის“ სტივენსონისეულ თარგმანსა და მის ირგვლივ გამართულ პოლემიკაზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით.

ნაყოფიერ მთარგმნელობით და ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას ეწევა ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი დონალდ რეიფილდი (დაბადებული 1942 წ.). მას თარგმნილი და გამოცემული აქვს გალაკტიონ ტაბიძის ლექსები, ვაჟა-ფშაველას პოემები — „სტუმარმასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური, „გველისმჭამელი“. წიგნს წამძღვარებული აქვს მთარგმნელისეული გამოკვლევა ვაჟას შემოქმედების შესახებ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვაჟა-ფშაველას მოთხრობები თარგმნა ინგლისელმა ენათმეცნიერმა ბრაინ ჯორჯ ჰჯუიუტმა (დაბადებული 1949 წ.). გარდა ამისა მას კიდევ რამდენიმე თარგმანი აქვს შესრულებული ქართული მწერლობიდან, რაც მიმოხილული იყო ქართულ პრესაში (53). დონალდ რეიფილდს ნათარგმნი და დასასტამბად გამზადებული აქვს ილია ჭავჭავაძის პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“. იგი აქვეყნებს წერილებს ქართულ ლიტერატურაზე როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. მას დაბეჭდილი აქვს წერილი გალაკტიონისა და ტიციანის პოეზიაზე; გაანალიზებული აქვს ი. ჭავჭავაძის, გრ. რობაქიძის, ვაჟა-ფშაველას, პ. იაშვილის შემოქმედება. შესწავლილი აქვს ცისფერყანწელთა მოღვაწეობა და შეპირისპირებით ასპექტში ჰყავს წარმოჩენილი პასტერნაკი, რილკე და ქართველი

პოეტები. დ. რეიფილდი ქართული ხალხური პოეზიითაც დაინტერესდა. მან მოიძია და შეისწავლა ხალხური პოეზიის ძირები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში და ცისფერყანწელთა განვითარებაში. დონალდ რეიფილდმა მაღალი შეფასება მისცა ნ. ყიასაშვილის მიერ შესრულებულ „ულისეს“ ქართულ თარგმანს. მეცნიერი ხშირად გამოდის BBC-ის რადიოარხით და მიჰყავს საუბრები ქართული კულტურის, ლიტერატურის, საქართველოს თანამედროვე ყოფის შესახებ.

დონალდ რეიფილდმა არაერთხელ იმოგზაურა საქართველოში, საფუძვლიანად გაიცნო ქართული კულტურა, მეცნიერულად დაამუშავა ქართული ხელნაწერები, საარქივო თუ გამოქვეყნებული მასალები და შექმნა ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ლიტერატურა (ისტორია)“, რომელიც ოქსფორდში გამოიცა 1994 წელს. ჩვენი აზრით, რეიფილდის ეს ძალზე საინტერესო სქელტანიანი გამოკვლევა ლოგიკური გაგრძელება და გაღრმავებაა იმ ხაზისა, რომელიც დაიწყო 1888 წელს ჟურნალ „ექედიმი“-ში გამოქვეყნებული უ. მორფილის წერილით „ქართული ენა და ლიტერატურა“, შემდეგ გაგრძელდა ოლივერ და მარჯორი უორდროპების, ფ. კონიბირის, ჯ. ბედელის, უ. ალენის შრომებში, სრულიად ახალ საფეხურზე ავიდა დ. ლენგის გამოკვლევებში და თანამედროვე ეღერადობა შეიძინა ქ. ვივიენის, დ. ბარეტის, რ. სტივენსონის ნაწერებში. მკვლევარი იხილავს ქართულ სალიტერატურო ცხოვრებას V საუკუნიდან ჩვენს თანამედროვეობამდე. გარდა ლიტერატურული პროცესების კრიტიკული შეფასებისა, რეიფილდს თავის წიგნში შეტანილი აქვს ზოგიერთი თხზულების მისეული თარგმანი. ნაშრომში ვხვდებით საგულისხმო პარალელებსა და შედარებით ანალიზს (მაგ. შექსპირისეული და ვაჟასეული ბუნების დოქტრინა; მიხეილ ჯავახიშვილის თხრობის სტილისა და მხატვრული ხერხების შედარება სტენდალთან, მოპასანსა და ზოლასთან და ა. შ.). ცხადია, ნათარგმნი ლიტერატურა ორიგინალური მწერლობის ნაწილია. ჩანს, აქედან გამომდინარე დ. რეიფილდმა საჭიროდ მიიჩნია შეხებოდა უცხოური ლიტერატურის ქართულ თარგმანებსაც. თანამედროვე თარგმანებიდან იგი განსაკუთრებით ჩერდება დავით წერედიანის ფრანსუა ვიიონისა და ნიკო ყიასაშვილის ჯოისის თარგმანებზე და მაღალ შეფასებას აძლევს მათ. მკვლევარის აზრით ჩვენი

საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო „ლიტერატურული ცხოვრების გაზაფხული“, რადგან ქართულმა ლიტერატურამ შეიძინა ის გაბედულება, რაც მას ოციან წლებში ჰქონდა.

ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში მოღვაწეობს (ამჟამად უკვე კონსულტანტად) შუასაუკუნეების ლიტერატურის მკვლევარი, მთარგმნელი, ქართული კულტურისა და ლიტერატურის დამფასებელი და მოამაგე, სწავლული დევიდ ბარეტი (დაიბადა 1914 წელს). წლების მანძილზე იგი ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის განყოფილებას. მის მიერაა შედგენილი უორდროპების კოლექციისა და ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცული სხვა ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კატალოგი. დევიდ ბარეტს დიდი წვლილი მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ ფინურ ენაზე ამეტყველების საქმეში. თავისი ნააზრევი პოემის პროლოგის გარშემო მან წაიკითხა 1990 წელს ლონდონში მოწყობილ ქართველოლოგის დღეზე, რასაც ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევეხებით. 1991 წელს დევიდ ბარეტი რუსთველოლოგიურ სიმპოზიუმზე ფინეთში გამოვიდა მოხსენებით „რუსთაველი და არაქართველი მკითხველი“, რაც შემდეგ დაიბეჭდა სიმპოზიუმის მასალებში. ამჟამად მას დასრულებული აქვს მუშაობა აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის“ ინგლისურ თარგმანზე, რომელიც მან უცხოელ სტუდენტთათვის მოამზადა და დაურთო მისეული კომენტარები და განმარტებანი.

საგულისხმოა ინგლისელი ენათმეცნიერის ჯეიმზ ნევილ ბერძოლის (დაიბადა 1928 წ.) ღვაწლი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლის საქმეში. მეტად ფასეულია მისი მოსაზრებანი ძველი ქართული თარგმანების წარმომავლობისა თუ ქართული სასულიერო მწერლობის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. მისეული კვლევის ერთი მაგალითია იოანეს „გამოცხადების“ ტექსტისა და მისი ანდრია კრიტელისეული კომენტარის ეფთვიმე ათონელის ქართული თარგმანი. ბიბლიური ტექსტების ფილოლოგიური კვლევის შედეგად მან გამოთქვა აზრი, რომ ქართული ვერსია უნდა წარმოადგენდეს ამჟამად დაკარგული ბერძნული ხელნაწერის თარგმანს. მეცნიერმა უარყო შეხედულება, რომ ქართული თარგმანი უშუალოდ ბერძნულიდან არ მომდინარეობს და ატყვია სირიული და სომხური ვერსიების გავლენა (54, 60—66).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არაერთი ბრიტანელი მთარგმნელი თუ მეცნიერი შეხებია ქართულ ლიტერატურას. საგულისხმოა, რომ 1942 წელს ლონდონში გამოიცა სტივენ გარის მიერ ინგლისურად თარგმნილი ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა"; 1974 წელს ინგლისელმა ისტორიკოსმა თამარ დრაგაძემ თარგმნა ა. კალანდაძისა და ლ. სტურუას ლექსები და სხვა.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, გვინდა შევნიშნოთ ისიც, რომ ქართული მწერლობის ძეგლების ინგლისურ ენაზე ამეტყველების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართველმა მთარგმნელებმაც. უპირველესად უნდა დავასახელოთ ვენერა ურუშაძის ღვაწლი. გარდა იმისა, რომ მან შექმნა „ვეფხისტყაოსნის" ჯერჯერობით ერთადერთი ინგლისური პოეტური თარგმანი, შეადგინა ქართული პოეზიის ანთოლოგია (55). XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ნიმუშების ინგლისური თარგმანები ცალკე წიგნებადაა დასტამბული და ასევე შესულია კრებულებში, რომლებიც საბჭოთა პერიოდში იბეჭდებოდა მოსკოვში (56; 57; 58; 59...). ქართველი მთარგმნელების მიერ ნათარგმნია ინგლისურად იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას მოთხრობები, ქართული ზღაპრები და სხვა. საგულისხმოა ისიც, რომ ქართველი ავტორების მიერ შესრულდა ინგლისურად და ასევე ითარგმნა ინგლისურ ენაზე ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომები ქართული მწერლობის ირგვლივ (60; 61; 62; 63...).

ამგვარად გამოიყურება ინგლისური ლიტერატურის მიერ ქართული სამყაროსა და მწერლობის აღქმის მოკლე ენციკლოპედიური მონახაზი.

ინგლისური მწერლობა ქართულ თარგმანებსა და სალიტერატურო კრიტიკაში. საინტერესო და მრავალფეროვან მასალას იძლევა ქართული ანგლისტიკა — გასული საუკუნის შუახანებიდან ითარგმნება ინგლისური მწერლობის ნიმუშები, მიმდინარეობს უშუალოდ ინგლისური ლიტერატურის კვლევა, დამუშაებულია ქართული თემატიკა ინგლისურ მხატვრულ ლიტერატურაში, შესწავლილია ქართულ-ინგლისური კულტურული ურთიერთობები, მიმოხილულია ინგლისური ლიტერატურის ქართული თარგმანები, ტიპოლოგიურადაა შეპირისპირებული ქართული და ინგლისური რომანტიზმი, წარმოჩენილია კონკ-

რეტულ ინგლისელ მწერალთა თუ ლიტერატურულ მიმდინარეობათა აღქმის პროცესი ქართული ლიტერატურის მიერ.

ნაშრომის ამ ქვეთავში მოცემული გვაქვს მოკლე მიმოხილვითი ცნობები ინგლისური მწერლობის (კლასიკური ლიტერატურის) რეცეფციის შესახებ საქართველოში ინგლისური ლიტერატურის განვითარების ქრონოლოგიის მიხედვით.

ყველაზე მნიშვნელოვანი ანგლოსაქსური საგმირო ეპიკური ძეგლის „ბეოვულფის" ქართული თარგმანი ორიგინალის ენიდან შესრულებული აქვთ პაატა და როსტომ ჩხეიძეებს (1989). გვიანი შუასაუკუნეების მეტად რთულ ხანაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ჯონ გაუერი, უილიამ ლენგლენდი, ჯონ უიკლიფი და შუასაუკუნეების უდიდესი პოეტი ჯეფრი ჩოსერი. წინარენესანსული ინგლისური ლიტერატურის ჩინებული ძეგლი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობები" ქართულ ენაზე აჟღერდა გიორგი ნიშნიანიძის მიერ ორიგინალიდან შესრულებულ თარგმანში (1977). ჯეფრი ჩოსერის შემოქმედება მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი ზაზა გაჩეჩილაძეს (64; 65). მის ნაშრომებში გაანალიზებულია ის ისტორიული ეპოქა, რომელშიც ჩოსერის შემოქმედება ყალიბდებოდა; ავტორს განხილული აქვს ინგლისური ლიტერატურის განვითარების ეტაპები ლიფისა და ჯ. გაუერის შემოქმედებას; წარმოაჩენს ჩოსერის ბიოგრაფია და შემოქმედებითი თავისებურებანი; ეხება ჯ. უიკლიფისა და ჯ. გაუერის შემოქმედებას; წარმოაჩენს ჩოსერის-ეპიგონთა ნაწარმოებებს; ადგენს ჩოსერის ალუზიების კვალს მის მემკვიდრეებთან; გამოკვეთს ჩოსერის ადგილსა და მისი მემკვიდრეობის გავლენას ინგლისური ლიტერატურის განვითარებაზე. XV საუკუნის ინგლისის საშინაო და საგარეო ომებმა თავისებურად შეუწყო ხელი ლიტერატურის განვითარებასაც. ამ პერიოდში შეიქმნა ართურის ციკლის სარაინდო მოთხრობები და ბალადები რობინ ჰუდზე. ტომას მელორის „ამბავი მეფე ართურის ზეობისა" ინგლისურიდან თარგმნა ელგუჯა მაღრაძემ (1983—84), ხოლო ხალხური ბალადები რობინ ჰუდზე თარგმნილი აქვს გივი გაჩეჩილაძეს (1946, 1954, 1957, 1960). დიდი ინგლისელი ჰუმანისტის, უტოპიური სოციალიზმის ფუძემდებლის ტომას მორის ნაწარმოებები ქართულ ენაზე ჯერჯერობით არაა

ნათარგმნი. მისი შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი განხილული აქვს პ. გუგუშვილს წიგნში „სოციოლოგიური ეტიუდები“ (ტ. 1).

ინგლისური აღორძინების უდიდესი წარმომადგენლის უილიამ შექსპირის ადგილს ქართულ სალიტერატურო ცხოვრებაში ცალკე შევეხებით.

XVII საუკუნეში ინგლისში შეიქმნა მეტაფიზიკური სკოლა. ამ სკოლის ცნობილი პოეტის ჯონ დონის შემოქმედების ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი — „მახვილგონიერება“, როგორც პოეტური აზროვნებისა და მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის არსი, შესწავლილი აქვს ზ. ქარუმიძეს (66, 9—61). ჯონ დონის პოეზიამ უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია XX საუკუნის ანგლო-ამერიკული პოეზიის განვითარებაზე. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დონის პოეზიაში „მახვილგონიერებას“ არსებითი ადგილი უკავია და ამ ნიშნით XX საუკუნის მოდერნისტულ პოეზიას ენათესავება. მოდერნისტულმა პოეზიამ კი „მახვილგონიერება“ სწორედ მისი შემოქმედებიდან შეისისხლხორცა. დონის ლექსები თარგმნილია გ. ნიშნიანიძის მიერ (1982). ინგლისური ბურჟუაზიული რევოლუციის იდეოლოგის და პოეტის ჯონ მილტონის ნაწარმოებების პირველი ქართული თარგმანები ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. „დაკარგული სამოთხის“ ერთი ნაწილის ხელნაწერი ვარაუდობენ, რომ XIX საუკუნის ოციან წლებს განეკუთვნება. მთარგმნელის ვინაობა მითითებული არ არის. ვ. ჭელიძის აზრით, იგი რუსული პროზაული თარგმანიდან უნდა იყოს შესრულებული. ინსტიტუტის ფონდებში ინახება აგრეთვე „დაკარგული სამოთხის“ პროზაული ქართული თარგმანის სხვა მცირე ნაწყვეტებიც. 1904 წელს გამოვიდა პოემის სამი თავის შემოკლებული პროზაული თარგმანი („დაკარგული სამოთხე. პირველი ცოლ-ქმრის ცხოვრება სამოთხეში“. მთარგმნელი და გამომცემელია ვ. ბ-ძე ავაქოვი). ვ. ჭელიძე მიუთითებს, რომ მხატვრული ღირსებით სელნაწერი თარგმანი წიგნად გამოცემულზე მაღლა დგას. 1956 წელს ვახტანგ ჭელიძემ ინგლისურიდან თარგმნა „დაკარგული სამოთხე. დაბრუნებული სამოთხე“, ხოლო ემზარ კვიტაიშვილმა და ზურაბ კიკნაძემ ასევე ორიგინალის ენიდან თარგმნეს დრამატული პოემა „სამსონი“ (1966). 1967 წელს გივი გაჩეჩილაძემ ლიტერატურული ნარკვევი მიუძ-

ღვნა მილტონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (67). 1969 წელს ვახტანგ ჯელიძემ გამოაქვეყნა ლიტერატურული ესე „ჯონ მილტონი“, რომელშიც მწერალს მაღალმხატვრულად აქვს გააზრებული მილტონის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი უკვდავი შემოქმედება (68, 184—209). დანიელ დეფოს სახელი საქართველოში გასული საუკუნის მიწურულს გახდა ცნობილი. 1886 წელს მ. ჯაჯანაშვილმა ბავშვებისათვის თარგმნა მისი საყოველთაოდ აღიარებული რომანი „რობინზონ კრუზო“. 1903 წელს ანასტასია თუმანიშვილმა რუსული, იახონტოვისეული თარგმანიდან გადმოიღო იგი ქართულად, ხოლო 1956 წელს ვახტანგ ჯელიძემ ინგლისურიდან თარგმნა ეს ნაწარმოები. 1965 წელს დაისტამბა რომანი „მოლ ფლენდერსი“ ქართულად (მთარგმნელი მ. მამულაშვილი). ნ. ორლოვსკაიას შესწავლილი აქვს „რობინზონ კრუზოს“ ქართული თარგმანები (69, 118—121). განმანათლებლობის ხანის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის ჯონათან სვიფტის შემოქმედებით გასული საუკუნის 70-იან წლებში ნიკო ნიკოლაძე დაინტერესდა. მას დაწყებული ჰქონდა „გულივერის მოგზაურობის“ თარგმნა („კრებული“, 1871, № 2—3; 1872, № 6), რომელიც არ დაუსრულებია. ჩვენი დაკვირვებით, იგი ინგლისური ორიგინალით სარგებლობდა. ამ ნაწარმოების შემდეგი თარგმანი დაიბეჭდა 1903 წელს (მთარგმნელი ილია ცისკარიშვილი). 1934 წელს კი გამოიცა „გულივერის მოგზაურობის“ უფრო ვრცელი თარგმანი (პირველი და მეორე ნაწილები შეასრულა ილია ცისკარიშვილმა, მესამე და მეოთხე — ქეთევან ინგოროყვამ რუსული ენიდან). „თავდაპირველად ქირურგისა და შემდგომ ხომალდის კაპიტნის ლემუელ გულივერის მოგზაურობა სხვადასხვა შორეულ ქვეყანაში“ და „კასრის ზღაპარი“ ორიგინალის ენიდან გადმოიღეს მოსე ქარჩავამ და ნოდარ ბადრიაშვილმა (1984). 1989 წელს ჯონათან სვიფტის ესე „მორიდებული წინადადება“ ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. მათ ასევე თარგმნილი აქვთ XVIII ს. ინგლისური განმანათლებლური ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენლების ჰენრი ფილდინგისა და ლორენს სტერნის რამდენიმე ლიტერატურული ესე. ინგლისური ადრინდელი რომანტიზმის უნიჭიერესი წარმომადგენლის რობერტ ბერნსის ნატიფმა ლირიკამ გასული საუკუნის მეორე

ნახევრიდან მიიპყრო ქართველი მთარგმნელების ყურადღება. მის ლექსებს თარგმნიდნენ მ. გურიელი, გ. ჭალადიდელი. შოტლანდიელი ბარდის ლექსები დღესაც ითარგმნება ქართულად. მთარგმნელთა შორის არიან თამარ ერისთავი, მოსე ქარჩავა, გივი გაჩეჩილაძე, გიორგი ნიშნიანიძე, ფილიპე ბერიძე, მურმან ლებანიძე (1959, 1964, 1982). 1971 წელს ვ. ჭელიძემ რობერტ ბერნსის ლიტერატურული პორტრეტი შექმნა (68, 209—228).

XIX საუკუნის ორი ძირითადი მიმართულების — რომანტიზმისა და რეალიზმის რეცეფციას ქართული ლიტერატურის მიერ უფრო ვრცლად შევეხები ნაშრომის მეოთხე ნაწილში.

ინგლისური ისტორიული რომანის ფუძემდებლის უოლტერ სკოტის შემოქმედებას საქართველოში XIX საუკუნის ბოლოს გაეცნენ. 1882 წელს ა. თუმანიშვილმა თარგმნა მისი მოთხრობა „ჰიგლანდიელი ქვრივი“, ხოლო 1895 წელს ი. ბაქრაძემ — „აივენგო“. ჩვენს დროში კი ვ. ჭელიძემ თარგმნა „აივენჰო“ ორიგინალიდან (1962); „რობ-როი“ 1978 წელს გადმოაქართულა ა. ჭეიშვილმა. რომანტიზმის აყვავებისა და რეალიზმის ჩასახვის ხანაში ყალიბდებოდა ე. ბულვერ-ლიტონის შემოქმედება. მისი ძოღვაწეობა შესწავლილი აქვს მ. კოლუაშვილს. გ. შარაძემ სანქტ-პეტერბურგის ქართულ ხელნაწერებში მიაკვლია ჯეიმზ მორიერის „ჰაჯი-ბაბა ისპაანელის“ ერთი ეპიზოდის თეიმურაზ ბატონიშვილისეული ქართული თარგმანის ავტოგრაფს, შესრულებულს 1828 წელს და მასთან დაკავშირებით გამოთქმული აქვს თავისი მოსაზრებანი (70, 243—250). მეტნაკლებად სრულად არის ნათარგმნი თომას მაინ რიდის შემოქმედება. მაინ რიდმა რომელმაც სახელი გაითქვა სათავგადასავლო რომანებით, ორმოცდაათამდე ნაწარმოები შექმნა, რომელთაგან დროის გამოცდას ათმა რომანმა თუ გაუძლო. ქართულად 1970—78 წლებში გამოვიდა მაინ რიდის თხზულებათა რვატომეული, თარგმნილი ე. მაღრაძის მიერ. ეს გამოცემა მწერლის ყველა ცნობილ ნაწარმოებს აერთიანებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ მაინ რიდის სიცოცხლეში, 1863 წელს გრიგოლ რჩეულიშვილმა თარგმნა „ავრორა, რომანი კაპიტნის რიდისა“. მაინ რიდის ცხოვრება და შემოქმედება აღწერილი აქვს ვ. ჭელიძეს (68, 240—253).

რეალიზმის პერიოდში ინგლისურ ლიტერატურაში ნეორომანტიზმის გარკვეულმა რეაქციამ იჩინა თავი. ამ მიმართულების წარმომადგენლის რობერტ სტივენსონის ორი ნაწარმოები ითარგმნა ქართულად — „ხომალდის საიდუმლო“ (1968 წ., მთარგმნელი მ. ქართველიშვილი) და „ბატონი ბალანტრე“ (1979 წ., მთარგმნელი კ. ჯაბუა). უილკი კოლინზის ცნობილი რომანი „მთვარის სპეკალი“ 1975 წ. თარგმნეს ლ. თურმანიძემ და მ. ჯაფარიძემ. ოსკარ უაილდის შემოქმედების თარგმნა საქართველოში ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება. მისი ზღაპრების მთარგმნელები არიან გ. ნამორაძე, ი. მაჭავარიანი, მ. ქარჩავა, ო. ფარეიშვილი, ქ. კანდელაკი, ზ. გამსახურდია, ნ. ჩიგოგიძე. 1922 წელს პ. იაშვილის მიერ შესრულდა უაილდის დრამის „სალომეს“ თარგმანი. თ. მაღრაძის მიერ თარგმნილია მისი რომანი „დორიან გრეის პორტრეტი“ (1968). ბერნარდ შოუს დრამატურგიას კი ქართველი მკითხველი იცნობს „პიგმალიონით“, რომელიც 1956 წელს თარგმნეს მოსე ქარჩავამ და იაკობ ტრიპოლსკიმ. 1960-იანი წლებიდან ე. მაღრაძე თარგმნის ართურ კონან დოილის სათავგადასავლო და ისტორიულ რომანებს. დასტამბულია ცალკეული ნაწარმოებები, გამოცემულია ორტომეული, ოთხტომეული. კონან დოილის ტრადიციები განაგრძო აგათა კრისტიმ, რომლის მოთხრობების ქართულად თარგმნა 70-იანი წლებიდან დაიწყო (მთარგმნელები ე. გეგელაშვილი, ნ. სკამკოჩაიშვილი, კ. ჯაბუა, თ. შიოშვილი). ჰერბერტ უელსის სათავგადასავლო რომანი „უჩინარი კაცი“ 1965 წელს თარგმნა აკ. ვასაძემ. ეთელ ლილიან ვოინიჩის ცნობილი რომანი „კრაზანა“ 1926 წელს გადმოიღო ქართულ ენაზე სერგო კლდიაშვილმა. XIX საუკუნის გასულისა და XX საუკუნის დასაწყისის ინგლისის საზოგადოებრივი ცხოვრება დიდი მხატვრული ძალით აქვს აღწერილი ჯ. გოლზუორთს. მისი „ფორსაიტების საგა“ („მესაკუთრე“) 1965 წელს თარგმნეს ე. მაღრაძემ და ვ. ჭელიძემ, ხოლო 1973 წელს გამოიცა გოლზუორთის მოთხრობები, რომლებიც თარგმნეს ვ. ჭელიძემ, ალ. გამყრელიძემ, ნ. ბადრიაშვილმა. XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა ჯოზეფ რადიარდ კიპლინგი. მისი ლექსები და ბალადები ნათარგმნი აქვთ მ. ლებანიძესა და ვ. ჭელიძეს. ზღაპრები და მოთხრობები — თ. დიასამი-

ძეს, ნ. საყვარელიძეს, თ. ჯაფარიძეს, ე. გიორგაძეს, ა. ჭანტურიას, გ. კიკილაშვილს, მ. იანქოშვილს, ნ. კეშელავას. ჯერომ ჯერომის რამდენიმე მოთხრობის ქართული თარგმანი გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოჩნდა, ხოლო მოთხრობა „სამნი ერთ ნავში“, რომლითაც სახელი გაითქვა მწერალმა, 1960 წელს შემოვიდა ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში. ინგლისური სიმბოლიზმის კლასიკოსის — უილიამ ბატლერ იეიტსის შემოქმედებითი თავისებურებანი შესწავლილი აქვს პ. შევარდნაძეს (66, 62—96). იეიტსის პოეზიის ანალიზისას იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მისი შემოქმედებითი მეთოდი ორგანულ კავშირშია ა. ბერგსონის ინტუიტივიზმთან. მკვლევარი ასევე აყალიბებს აზრს, რომ სიმბოლური ხატი, რომელიც ცნებობრივ მომენტს შეიცავს, ესთეტიკურ ემოციას წინა პლანზე აყენებს და რომ „სიცოცხლისაკენ სწრაფვა“ მოდერნისტული პოეზიის შემოქმედებითი მეთოდის საფუძველს წარმოადგენს, რომელიც ობიექტურ-გამომსახველობით საშუალებებს იყენებს. უ. ბ. იეიტსის ლექსები ნათარგმნი აქვთ გ. გაჩეჩილაძეს, გ. ნიშნიანიძეს. ვირჯინია ვულფი და ჯეიმზ ჯოისი მოძველებული ლიტერატურული ფორმების წინააღმდეგ გამოვიდნენ ტომას ელიოტთან და ეზრა პაუნდთან ერთად. მათი მოდერნისტული რომანის სერიოზული სიახლე იყო „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკა, რის შესახებაც გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული ნ. ყიასაშვილს (7[1]). მანვე თარგმნა, წინასიტყვაობისა და შენიშვნების დართვით ირლანდიელი მწერლის ჯეიმზ ჯოისის „ჯაკომო ჯოისი“ (1969 წ.). ჯოისის „ულისეს“ პირველი ნაწილის ქართული თარგმანი (წინასიტყვაობითა და შენიშვნებით) შესრულდა 1983 წელს კვლავ ნ. ყიასაშვილის მიერ. ამჟამად მზადაა დასასტამბად მისი მეორე ნაწილი. 1984 წელს გამოვიდა ჯოისის მოთხრობების კრებული „დუბლინელები“ (მთარგმნელი ლ. იმერლიშვილი). ჯოისის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო კრებული „ჯეიმზ ჯოისი“ (1984). ანგლო-ამერიკელი პოეტის, კრიტიკოსისა და დრამატურგის ტომას სტერნზ ელიოტის შემოქმედების ძირითადი ნიშან-თვისებები და მხატვრული კანონზომიერებანი შესწავლილი აქვს თ. კობახიძეს (72). ავტორს ძირითადად ყურადღება აქვს გამახვილებული მითოსის მხატვრულ დანიშნულებაზე ელიოტის პოეტურ ნაწარმოებებში.

იგი განსაზღვრავს ტ. ს. ელიოტის ადგილს 20-იანი წლების და შემდგომი პერიოდის ინგლისის მხატვრულ-ლიტერატურულ და ინტელექტუალურ სამყაროში და უჩვენებს ელიოტის გავლენის კვალს იმ დროის ინგლისელი პოეტების შემოქმედებაზე. ელიოტის ლექსები თარგმნილია გ. ნიშნიანიძის მიერ. უ. ბ. იეიტსის, ჯ. ჯოისის, ვ. ვულფის, ტ. ს. ელიოტის ლიტერატურული ესეები 1989 წელს თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. ჩარლზ პერსი სნოუს ნაწარმოებები, რომლითაც გარკვეულად გაგრძელდა XIX საუკუნის ინგლისური რეალიზმის ტრადიციები, 80-იანი წლებიდან ითარგმნება ქართულად. ო. ჰაქსლის რომანების დამახასიათებელი სტრუქტურული თავისებურებანი შესწავლილი აქვს მ. რჩეულიშვილს. ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო უ. ს. მოემის ნაწარმოებების თარგმნა. 1964 წელს გამოვიდა მისი რომანის „სიგიჟე ერთი ღამისა“ და მოთხრობების ქართული თარგმანი (მთარგმნელები ა. გახოკიძე, ზ. გემაზაშვილი, ა. ჯეიშვილი); 1972 წელს ა. ჯეიშვილმა თარგმნა „მთვარე და ექვსპენსიანი“, ხოლო 1986 წელს ზ. გაჩეჩილაძემ ქართულად გადმოიღო მისი ავტობიოგრაფიული რომანი „შეჯამება“. XX საუკუნის ინგლისური მწერლობიდან ქართულად ასევე ნათარგმნია გრემ გრინის ცნობილი რომანი „წყნარი ამერიკელი“ (1964, მთარგმნელი ა. გახოკიძე), „დოქტორი ფიშერი“ (1992, მთარგმნელი ვ. იმერლიშვილი). 1957 წელს ც. თოფურიძემ და ნ. ბადრიაშვილმა თარგმნეს ჯონ ბრეინის რეალისტური რომანი „გზა მაღალი საზოგადოებისაკენ“. ქართულად ნათარგმნია ივლინ ვოს რომანები „უკეთურთა მოდგმა“, „ნეტარხსენებული“ და მოთხრობები (1987, მთარგმნელი ჯ. მჭედლიშვილი-ბაქრაძე). ჯეიმზ ოლდრიჯის რომანი „მონადირე“ თარგმნა ლ. კუკავამ 1964 წელს. XX საუკუნის ინგლისელი (უელსელი) პოეტის დილან ტომასის პოეზია მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი ზ. გაჩეჩილაძეს (73). თანამედროვე ინგლისელი დრამატურგის ედუარდ ბონდის შემოქმედებას იკვლევს ლ. კერესელიძე (74, 85—133). ინგლისური ლიტერატურის ისტორია შესულია რუსულიდან ნათარგმნ თუ ორიგინალურ დასავლეთ ევროპის ლიტერატურის სახელმძღვანელოებში, ქრესტომათიებში.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ლიტერატურის ბევრი ძეგლია ნათარგმნი ქართულად, უილიამ შექსპირის გარდა არც ერთი მწერლის თხზულებათა სრული კრებული ჯერ-ჯერობით არ არის თარგმნილი. ამდენად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინგლისური პოეზიის თარგმანთა რჩეულები, ანთოლოგიები, რომლებშიც ასახულია ინგლისური პოეტური ხელოვნების განვითარების საფეხურები. ამ სახის კრებულები გამოცემული აქვთ გ. გაჩეჩილაძეს (1942, 1946, 1960, 1981), გ. ნიშნიანიძეს (1982, 1985). ინგლისური ლიტერატურის აღქმაზე საქართველოში და ქართული მწერლობის რეცეფციაზე ინგლისში საუბარია ლ. ასათიანის, ნ. უბილავა-ანდრონიკაშვილის წერილებში, ქართულ-ინგლისურ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებს ეძღვნება გ. შარაძის გამოკვლევები.

ზემომოტანილი მასალის შესწავლამ ნათელი გახადა, რომ ქართული ლიტერატურის ინგლისური თარგმანები, გარდა ორიოდესი, (ს. გარი, ე. ფულერი), ნათარგმნია ქართული ენიდან. ინგლისური ძეგლების ქართულად გადმოღებაში ბევრ შემთხვევაში შუამავლის ფუნქცია რუსულ თარგმანებს ეკისრებოდათ. ეს უმეტესად ითქმის XIX საუკუნის თარგმანებზე (თუმცა ინგლისური ლიტერატურის ნიმუშების რუსულიდან თარგმნის შემთხვევები XX საუკუნეშიც აღინიშნება). თარგმანის თარგმანი კი ყოველთვის ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე და მათ სადღეისოდ მხოლოდ ისტორიული ფუნქცია შემორჩათ, მაგრამ უდავოა, რომ ამ თარგმანებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ქართველი მკითხველის ინგლისურ სამყაროსთან დაახლოების საქმეში. თარგმანების გვერდით ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ლიტერატურათმცოდნეობით ნაშრომებს.

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული შეხვედრების მთელი ისტორიის მანძილზე დიდ როლს თამაშობს ქართველ და ინგლისელ მწერალთა, მთარგმნელთა, მეცნიერთა თუ საზოგადო მოღვაწეთა პირადი კონტაქტები. ისინი XIX საუკუნის შუახანებიდან ჩაისახა და დღესაც გრძელდება. პირადი კონტაქტები ხელს უწყობს ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კავშირების შემდგომ გაღრმავება-გამრავალფეროვნებას, ლიტერატურულ

ურთიერთობათა ახალი ფორმების წარმოქმნას, ეპისტოლარული ლიტერატურის განვითარებას.

ქართულ-ინგლისური კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ 1919—20 წლებში საქართველოში გამოდიოდა ინგლისურენოვანი გაზეთები „The Georgian Messenger" და „The Georgian Mail", რაც შესწავლილი აქვს დ. კარანაძეს (75), ხოლო ინგლისში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1935—37 წლებში გამოდიოდა ჟურნალი „Georgica".

ქართულ-ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობითი ურთიერთობის გაფართოებას მნიშვნელოვნად განაპირობებს კოლექტიური ღონისძიებების ჩატარება. ბოლო ათწლეულში არაერთი სამეცნიერო სიმპოზიუმი, კონფერენცია თუ საიუბილეო სესია ტარდება, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე ინგლისელი მეცნიერები და მთარგმნელები. მათ შორის გამოვყოფდით ათონის ივერთა ლავრის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმს (თბილისი, 1982), აკაკი შანიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ პირველ ქართველოლოგიურ საერთაშორისო სიმპოზიუმს (თბილისი, 1987), ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმს (თბილისი, 1987), თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 70 და 75 წლისთავებისადმი მიძღვნილ მეორე და მესამე ქართველოლოგიურ საერთაშორისო სიმპოზიუმებს (თბილისი, 1988, 1994 წლები). ქართველი მეცნიერები მონაწილეობენ ინგლისში შექსპირის, ბაირონის, დიკენსის შემოქმედებისა თუ საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმებში. 1988 წლიდან ლონდონის უნივერსიტეტში თამარ დრაგაძის ინიციატივით ყოველწლიურად ტარდება ქართველოლოგის დღე, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქართველოლოგები.

ამდენად, ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობები ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ახალ ფორმებს იძენს, მისი განვითარება უკვე კარგა ხანია გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება და მისი შესწავლაც სისტემურ სასიათს იღებს.

„ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანები. „ვეფხისტყაოსნის" გაცნობა ინგლისში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და იგი უკავშირდება უილიამ მორფილის სახელს. მის წერილში (1, 39—40) ვხვდებით პირველ ინგლისურ ცნობებს შოთა რუსთველსა და „ვეფხისტყაოსანზე". ამასთანავე ავტორი ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს, რომ პოემის გერმანული თარგმანი, შესრულებული არტურ ლაისტის მიერ, უახლოეს ხანში უნდა გამოცემულიყო. ხოლო მოგვიანებით, 1894 წელს მარჯორი უორდროპი ქართული ზღაპრების ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში წერდა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში იგი დიდ დროს უთმობდა „ვეფხისტყაოსანზე" მუშაობას (2, VII—VIII). ამასთან დაკავშირებით ინგლისურ პრესაში გამოჩნდა გამოხმაურებანი, სადაც საუბარი იყო მომავალ თარგმანზე. ინგლისელი მოღვაწენი მარჯორი უორდროპს უწონებდნენ განზარხვას და ემადლიერებოდნენ იმისათვის, რომ მან პატივი დასდო ინგლისელ ხალხს და შეუდგა XII საუკუნის პოპულარული ქართული ეპოსის „ვეფხისტყაოსნის" თარგმნას (3, 82; 4,311; 5, 562). ასეთი მოლოდინის შემდეგ 1912 წელს გამოიცა „ვეფხისტყაოსნის" უორდროპისეული თარგმანი (შემდეგ იგი ხუთჯერ დაისტამბა — 1938 წელს მოსკოვში, 1939 წელს ნიუ-იორკში, 1966 წელს ლონდონსა და თბილისში, 1977 წელს მოსკოვში). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მარჯორი უორდროპის თარგმანი ორი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. უპირველესად მან ინგლისურენოვან სამყაროს გააცნო პოემა, ხოლო შემდეგ შუამავლის როლი ითამაშა მისი სხვადასხვა ენებზე აყვანების საქმეში. ჩვენი დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის" თარგმანები, გარდა იმისა, რომ გადაღებულია ორიგინალის ენიდან, ძირითადად ინგლისური, რუსული და ნაწილობრივ ფრანგული თარგმანების მეშვეობით არის შესრულებული. ინგლისური, და კერძოდ, უორდროპისეული გამოცემით ისარგებლეს ჩინეთში, სადაც სამი სხვადასხვა თარგმანი შესრულდა, რომლებიც 1943, 1947 და 1984 წლებში დაიბეჭდა. ასევე შუამავლის ფუნქცია დაეკისრა უორდროპის თარგმანს პოემის იტალიურად ამეტყველებისას (1981 წ.). თუმცა იტალიელ მთარგმნელს ნა-

წილობრივ ს. წულაძის ფრანგული თარგმანიც მოუშველიებია (6, 142). უორდროპის თარგმანისაგან არის დავალებული პოემის ფინური თარგმანიც, რომელიც 1991 წელს გამოქვეყნდა. ამ უკანასკნელზე გვინდა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ, ვინაიდან იგი მრავალმხრივი ლიტერატურული ურთიერთობების შედეგს წარმოადგენს. 1966 წელს, რუსთველის საიუბილეო წელს, ფინეთში მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე, ფინელი მთარგმნელი ოლავი ლინუსი შეხვდა ქართველ მთარგმნელს გივი გაჩეჩილაძეს, რომელმაც მას „ვეფხისტყაოსნის“ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი უსახსოვრა. მას შემდეგ წლების განმავლობაში ფიქრობდა ოლავი ლინუსი პოემის ფინურად თარგმნას, ეძებდა რუსთველური მეტრის შესატყვის ლექსთწყობას ფინურში. ჰელსინკის უნივერსიტეტის თანამშრომელმა ჰარი ჰალენმა ურჩია ლინუსს დაკავშირებოდა დევიდ ბარეტს, რომელიც იმ ხანად ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ეს რჩევა ნაყოფიერი გამოდგა. ბარეტს ქართული ენის ცოდნის გარკვეული მარაგი გააჩნია. კარგად იცნობს ანტიკური და შუასაუკუნეების ლიტერატურას საზოგადოდ, და კერძოდ, „ვეფხისტყაოსანს“, იცის ფინური ენა. დევიდ ბარეტის მრავალმხრივი განათლების და ოლავი ლინუსთან მისი ხანგრძლივი თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა პოემის ფინური თარგმანი. როდესაც ლინუსმა თარგმანზე მუშაობა ფაქტობრივად დაასრულა, ბარეტის რჩევით მთარგმნელი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს დაუკავშირდა და ქართველი მეცნიერებისაგან მიიღო საბოლოო კონსულტაციები. ფინური თარგმანის გამოქვეყნება კი ერთგვარი იმპულსი გახდა იმისათვის, რომ ტურკუს უნივერსიტეტში ჩატარებულიყო რუსთველოლოგიური საერთაშორისო სიმპოზიუმი.

ამდენად, ფინელ, ინგლისელ და ქართველ მოღვაწეთა შემოქმედებითი კონტაქტების შედეგად შეიქმნა პოემის ახალი უცხოენოვანი თარგმანი, რომელიც ორჯერადი ტრანსფორმაციის მიუხედავად, სპეციალისტთა აზრით, მთარგმნელის პროფესიული ალღოსა და სამი ქვეყნის სწავლულთა კონსულტაციების წყალობით, მაღალმხატვრული ღირებულებისაა (7).

მარჯორი უორდროპის თარგმანს მოჰყვა 1968 წელს ვენერა ურუშაძის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ (შემდეგ იგი ორჯერ — 1971 და 1979 წლებში დაიბეჭდა თბილისში). 1977 წელს კი პოემის ორი ახალი ინგლისური თარგმანი შესრულდა — ქეთრინ ვივიენისა და რობერტ სტივენსონის მიერ. ჩვენ არ შევუდგებით ამ თარგმანების განხილვას, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ა) ეს თარგმანები ინგლისური ნათარგმნი ლიტერატურის იმდენად მნიშვნელოვანი შენაძენია, რომ მათი ანალიზი დამოუკიდებელი, ცალკე კვლევის სფეროა და იგი ბევრად სცილდება ჩვენი ნაშრომის მიზანს. ბ) „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ტექსტთან ინგლისური თარგმანების შეჯერებისათვის აუცილებელია ქართული და ინგლისური ენების უზადო ცოდნა და პოემის ტექსტის აბსოლუტური სიზუსტით გაგება-გააზრება, რისი პრეტენზიაც ჩვენ არ გვაქვს. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ მთარგმნელთა შენიშვნებზე, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რამ განაპირობა მათი არჩევანი და რა მიზანს ისახავდა თითოეული მათგანი, როდესაც იწყებდნენ თარგმანზე მუშაობას.

ქართული ზღაპრების ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში მარჯორი უორდროპი წერდა, რომ პირველი ინტერესი კავკასიისა და მისი ლამაზი და მამაცი ხალხის მიმართ აღუძრა ოლივერის წიგნმა „საქართველოს სამეფო“. მას შემდეგ იგი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების, განსაკუთრებით კი „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას. გადაწყვეტილი მაქვს, წერდა მარჯორი, რაც შეიძლება მალე მივცე შესაძლებლობა ჩემს თანამემამულეებს, გაიზიარონ ის დიდი სიამოვნება, რაც მე მომანიჭა რუსთველის პოემამ (2, VII—VIII). ნინო უორდროპის მოგონებაში „მარჯორი და ოლივერი“ კარგად წარმოჩნდა მარჯორის დიდი პასუხისმგებლობა და სათუთი დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად თარგმნისადმი. 1892 წლის 31 ოქტომბერს იგი სანკტ-პეტერბურგში წერდა ოლივერს: „გასულ კვირას 108 სტრიქონი ვთარგმნე „ვეფხისტყაოსნიდან“ და ვხედავ, რომ ერთი საათის, ან მაქსიმუმ საათნახევრის განმავლობაში 40 სტრიქონის თარგმნა შემიძლია, მაგრამ ვწუხვარ ზოგიერთი ადგილის ზერელედ თარგმნისათვის, რაც იდიომატური გამოთქმების არცოდნითაა გამოწვეული, თუმცა ვფიქრობ, რომ ვახერხებ ძირითადი აზრის პოვნას

და როდესაც საფუძვლიანად გადავხედავ მთელ თარგმანს ხელმეორედ (რასაც მალე გავაკეთებ), შესაძლებელი იქნება უკეთესად გავიაზრო გაუგებარი ადგილები. მე უკვე 520 სტრიქონი ვთარგმნე. როდესაც 650 სტრიქონს გადავთარგმნი, ისევ თავიდან დავიწყებ". მოგვიანებით, იმავე წლის 14 ნოემბერს, ოლივერისადმი მიწერილ წერილში იგი აკონკრეტებს თავის მიზანს. „მე გადმოვწერე 40 სტრიქონი, ის რაც დღეს უნდა გამოგიგზავნო, მაგრამ წერის დროს ვიგრძენი თარგმანში გაპარული უზუსტობანი. ინგლისური ტექსტი ძალიან უფერული და უშნოა, მაგრამ ვფიქრობ, ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან მე უპირველესად აზრის სწორად გადმოცემას ვაძლევ უპირატესობას" (8, 36). ეს იყო ის ძირითადი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობდა მარჯორი უორდროპი შოთა რუსთველის პოემის თარგმნისას. სწორედ ამ პრინციპის გამო შეასრულა მან ეს სამუშაო პროზაულად.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ გამოჩნდა „ვეფხისტყაოსნის" ვენერა ურუშაძისეული პოეტური თარგმანი და იგი მარჯორი სკოტ უორდროპის ხსოვნას მიეძღვნა. ვ. ურუშაძის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ უორდროპის პროზაულ თარგმანში ზედმიწევნით კარგად არის გადატანილი პოემის შინაარსი. ამიტომ მან გადაწყვიტა პოეტური თარგმანის შესრულება, რაც შესაძლებლობას მისცემდა ინგლისელი მკითხველისათვის მიახლოებითი წარმოდგენა მაინც შეექმნა „ვეფხისტყაოსნის" პოეტური სიმშვენიერის, მელოდიურობისა და მისი სულის შესახებ. მთარგმნელი პოემის ინგლისურ ენაზე შესაფერისი სალექსო საზომით გადატანის საკითხზეც მსჯელობს და გამოთქვამს აზრს, რომ ჰეგზამეტრი ერთგვარად უახლოვდება რუსთველურ შაირს. ვენერა ურუშაძე იქვე დასძენს, რომ შესაძლოა მის თარგმანს აკლდეს მეცნიერული სიზუსტე (9). ასე რომ, ეს თარგმანი შინაარსობრივ მხარესთან ერთად ძირითადად პოემის კეთილხმოვანების, მისი ლექსთწყობისა და პოეტიკის წარმოჩენას ისახავდა მიზნად.

„ვეფხისტყაოსნის" ქეთრინ ვივიენისეულ თარგმანს სათაურის ქვეშ აქვს წარწერა — თავისუფალი პროზაული თარგმანი. მთარგმნელი შესავალში მოიხსენიებს მარჯორი უორდროპის თარგმანს და მას ზუსტ მეცნიერულ ტექსტს უწოდებს, ხო-

ლო ვენერა ურუშაძისეულს — შესანიშნავ პოეტურ თარგმანს, რომელიც არ არის მოკლებული არც მეცნიერულ სიზუსტეს და ქართულ და ინგლისურ ენათა ღრმა ცოდნით არის შესრულებული, მაგრამ მისი აღქმა, ქეთრინ ვივიენის აზრით, საზოგადოების მხოლოდ განსაზღვრულ წრეს ძალუძს, ძირითადად კი ინტელექტუალებს, მეცნიერებსა და ლიტერატურათმცოდნე სტუდენტებს. ვივიენი თვლის, რომ პოემის ახალი, მისეული თარგმანის ფორმა შერჩეულია იმ პრინციპით, რომ შორეული წარსული თანამედროვე მკითხველის მხედველობის არეში მოაქციოს და ისეთივე აქტუალური გახადოს დღევანდელი ადამიანისათვის, როგორც რუსთველის ეპოქაში იყო (10, 31—32).

ქეთრინ ვივიენი აღნიშნავდა, რომ ვინაიდან დროთა ვითარებაში სიტყვები იცვლიან თავის მნიშვნელობას, ამიტომ ყოველ თაობას ესაჭიროება ლიტერატურული ძეგლების ახალი ვერსია. „თარგმანი მეტი რამაა, ვინემ რაიმე ტექსტის ასლი. ისაა მწერლის ჟეშმარიტი ოცნების ხელახლა აღდგენა. ამნაირად შეიძლება წარსულის დიდი ნაშრომების დაკავშირება ახლანდელ ხანასთან და ძველი არაკების ხელახლა გაცოცხლება თანამედროვე ფორმაში“ (11).

აზროვნების განვითარების თანამედროვე დონე თანამედროვე მიდგომას მოითხოვს კლასიკური ლიტერატურისადმი. ამ თანამედროვე პრინციპების დამკვიდრება გარკვეულ წინააღმდეგობებთანაც არის დაკავშირებული, მაგრამ მოდერნისტული აზროვნება, მაინც სძლევს მოძველებულს. კლასიკური თხზულების გათანამედროვეობასთან დაკავშირებით, გვინდა გავიხსენოთ გამოჩენილი ჰოლივუდელი რეჟისორის რუბენ მამულიანის აზრი. შექსპირის „ჰამლეტის“ მისეული ვერსიის წინასიტყვაობაში იგი წერს: „ვგრძნობ, რომ კაცობრიობის მიერ შემუშავებულ შეხედულებათა მიმართ სათანადო პატივისცემის ელემენტარული გრძნობა მავალებს ავხსნა ის მიზეზები, რამაც ეს ჩამადენინა და იმედი მაქვს დარწმუნებით, რომ მამოძრავებდა არა უტიფარი განზრახვა, არამედ უღრმესი პატივისცემა და აღტაცება „ჰამლეტისა“ და მისი ავტორისადმი. „ჰამლეტის“ ტექსტის გადამუშავებისას ჩემს მიზანს შეადგენდა არა შექსპირის შეცელა — მარტო სულელი თუ მოიწადინებს ამას — არამედ ის, რომ იგი მთლიანად გასაგები გამეხადა დღევანდელი მკითხველისა თუ

ბაყურებლისათვის". ამასთან დაკავშირებით ნიკო ყიასაშვილი აკეთებს კომენტარს — „და მართლაც შექსპირის თანამედროვე ადაპტაციის ეს ერთ-ერთი ცდა არავის მიუჩნევია ანგლოსაქსური კულტურის, ეროვნული ღირსების შებღალვად" (12, 305—306).

ჩვენს პირად არქივში ინახება ქეთრინ ვივიენის ხელნაწერი, სადაც იგი შოთა რუსთველის პოემის თარგმნის ზოგიერთ პრობლემას ეხება. მასში მთარგმნელი აზუსტებს, რომ მისი სურვილი იყო პოემის იმგვარად გარდათქმა, რომ გარდასული საუკუნეების სუნთქვა მარტივად გასაგები გაეხადა თანამედროვე მკითხველთა ფართო წრისათვის. ქეთრინ ვივიენი წერს, რომ მუშაობის პირველ ეტაპზე, როდესაც იგი მხოლოდ მონახაზს აკეთებდა, ცდილობდა შეძლებისდაგვარად დაეახლოვებინა თარგმანი ორიგინალთან. ამ დროს მას ყურადღება არ მიუქცევია სტილისათვის. შემდეგ დადგა არჩევანი ლექსსა და პროზას შორის. პროლოგისა და ეპილოგის ლექსად თარგმნის შემდეგ მთარგმნელმა გააანალიზა, რომ ამ საქმეს დიდი პოეტური გენია სჭირდებოდა, როგორც პოემაშია „ბრძენი ხამს მისად მაქებრად", დასძენს ვივიენი. ვინაიდან პოეზიისა და პროზის ენები განსხვავდება ერთიმეორისაგან და სხვადასხვა კატეგორიის მკითხველისათვის არის განკუთვნილი, მან გვერდზე გადასდო პოეზია და შეუდგა პოემის თარგმნას, როგორც ტარიელის ამბის თხრობას, რასაც გარკვეულად შეეწირა პოეტური ენისათვის დამახასიათებელი ხატოვანება (13). (ამ წერილის შემოკლებული ქართული ვარიანტი დაიბეჭდა 1986 წელს (14)).

ასეთ მიზნებს ისახავდნენ შოთა რუსთველის პოემის მთარგმნელი ქალები, რომლებმაც ფასდაუდებელი შრომა გასწიეს, მისაწვდომი გახადეს „ვეფხისტყაოსანი" ინგლისურენოვანი სამყაროსათვის და ამით უკვდავყვეს თავიანთი სახელებიც (15).

რობერტ სტივენსონმა სპეციალურ გამოკვლევაში ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება „ვეფხისტყაოსნის" თარგმნის საკითხზე (16, 93—96; 97—103), სადაც მან თავიდანვე შენიშნა, რომ იმ ინგლისელი მკითხველისათვის, რომელიც იცნობს „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალს, მისი პროზით თარგმნის აზრი დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს. ამიტომ მან ვინც პოემის პროზაულად თარგმნას მოჰკიდებს ხელს, ისეთი გზით უნდა იაროს, რომელიც

მისი ნამუშევრის ერთგვარი გამართლება იქნება. ნაწარმოებში ძალზე არსებითია ლექსთწყობა — შაირი. პროზაული თარგმანი კი უგულვებელყოფს მარცვალთა ამ რთული სტრუქტურის თავისებურებას. ინგლისურ ენაში თექვსმეტმარცვლოვანი ტაეპის უქონლობის გამო მთარგმნელი ცდილობს სხვადასხვა მეტრული ეფექტის გამოყენებას და არაერთი მაგალითის მოტანის შემდეგ დასძენს, რომ ასეთი ლექსი სრულიად არ ეკადრება დიდებული ქართველი პოეტის გენიას. რობერტ სტივენსონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროზაულმა თარგმანმა შეიძლება მსხვერპლად შეიწიროს ფორმის მთელი სიმშვენიერე, სამაგიეროდ შეუძლია შეინარჩუნოს შაირების იდენტურობა, მაგრამ ამასთანავე შინაარსი იმდენად უნდა დაიცვას, რომ ამით გაამართლოს თავისი განზრახვა.

ასე რომ, თუ მარჯორი უორდროპი ტექსტის შინაარსობრივ ერთგულებას აყენებდა წინა პლანზე, ვენერა ურუშაძე ყურადღებას ამახვილებდა პოემის მელოდიასა და პოეტურ სინატიფეზე; ქეთრინ ვივიენს სურდა თანამედროვე მკითხველისათვის ადვილად გასაგები ტექსტის მიწოდება; რობერტ სტივენსონი კი შინაარსის გადატანის სიზუსტესთან ერთად, ცდილობდა შოთა რუსთველის სამყარო თანამედროვე მკითხველის ესთეტიკური გემოვნებისათვის დაეახლოვებინა. ამ თარგმანების ანალიზის დროს მკვლევარმა, ცხადია, უპირველესად ეს მიზანდასახულობანი უნდა მიიღოს მხედველობაში.

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანების შეფასება არაერთმა სწავლულმა მოგვცა. ჩვენ ვიზიარებთ ლ. თაქთაქიშვილ-ურუშაძის მოსაზრებას, რომ მარჯორი უორდროპისეული თარგმანის რიგი ადგილი გარკვეულ მეცნიერულ ინტერესს შეიცავს და გათვალისწინებული უნდა იყოს რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების პროცესში (17). ამასთანავე გავიხსენოთ, რომ მ. უორდროპის თარგმანის გამოცემიდან თითქმის 90 წლის შემდეგ, ფონელმა მთარგმნელმა ოლავი ლინუსმა პოემის ზუსტი ინტერპრეტაციისათვის სწორედ უორდროპისეული ტექსტით ისარგებლა. პოემის ოთხივე ინგლისური თარგმანი განხილული აქვთ ნ. ანდრონიკაშვილსა (18) და ზ. გამსახურდიას (19, № 2, 137—149; № 4, 157—167; 20). მიუხედავად იმისა, რომ მკვლე-

ვრები ედავებიან მარჯორი უორდროპს ზოგიერთი რუსთველური ცნების გაგებაში, მაინც დიდად აფასებენ მისეულ თარგმანს.

ნ. ანდრონიკაშვილიც და ზ. გამსახურდიაც საყვედურობენ ვენერა ურუშაძეს პოემისათვის დამახასიათებელი ლაკონურობის დაკარგვის გამო. ზ. გამსახურდია მიუთითებს, რომ ურუშაძისეული თარგმანი სიტყვამრავალი და გაწელილია, გადატვირთულია მთარგმნელისეული ჩართული ტერმინებითა და გამოთქმებით. ლაკონურად მხოლოდ აფორიზმებია თარგმნილი.

ნ. ანდრონიკაშვილსა და ზ. გამსახურდიას შენიშვნები აქვთ რობერტ სტივენსონის მიერ ცალკეულ სტროფთა თარგმანზე. მაგრამ ნ. ანდრონიკაშვილი სტროფების ანალიზიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ სტივენსონი ითვალისწინებს ქართველ მეცნიერთა უახლეს რუსთველოლოგიურ გამოკვლევებს და მისი თარგმანი სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო. გარკვეული შენიშვნების მიუხედავად, ავტორს მიაჩნია, რომ რობერტ სტივენსონისეული თარგმანი ნატიფად მოწოდებულ პოეტურ პროზას წარმოადგენს; რობერტ სტივენსონმა ძირითადად შეინარჩუნა რუსთველური მეტრისა და რითმის დაქტილური და ტროქეული ხასიათი; ინვერსიულ წყობაში იგრძნობა ორიგინალის აზრობრივი სიღრმე და მხატვრული ძალა. მან რუსთველისეული პოეტური ფიგურები გასაგები გახადა ინგლისელი მკითხველისათვის. მკვლევრები რობერტ სტივენსონს უსაყვედურებენ ტექსტის გავრცობას. ზ. გამსახურდია მიუთითებს, რომ სტივენსონმა ვერ შეინარჩუნა რუსთველისეული მეტაფორის სპეციფიკა. მეტაფორის დაკონკრეტება რუსთველისათვის უცხოა. მთელი სილამაზე მათ განუმარტავობაშია, ზოგჯერ ამოუცნობლობაშიც. რობერტ სტივენსონი კი აკონკრეტებს, შიფრავს მათ, დასძენს ავტორი. გამსახურდია ასევე ეკამათება მთარგმნელს ზოგეირთ ტერმინთა არასწორად გაგებასა და თარგმნაზე.

რ. სტივენსონმა უპასუხა ზ. გამსახურდიას კრიტიკას (21), სადაც უპირველესად აღნიშნულია, რომ მის რეცენზიებში, რომელთა სათაურის მიხედვითაც თარგმანზე უნდა იყოს მსჯელობა, ცოტა რამაა ნათქვამი თარგმანზე და რომ ავტორის მიზანს წარმოადგენდა რუსთველის თეოლოგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებათა შესახებ მისეული თვალსაზრისის ამგვარი ფორმით გადმოცემა. რაც შეეხება თარგმანში პოემის სტილისათვის

დამახასიათებელი ლაკონურობის უგულვებელყოფას, რობერტ სტივენსონი თვლის, რომ პოეტურ ეფექტს ხშირად აზრის სხარტად გამოთქმა განაპირობებს და პოეზიის მთარგმნელისათვის ძნელ პრობლემას წარმოადგენს დედნის ისეთი გამოთქმების თარგმნა, რომლებიც რამდენიმე მარცვლისგან შედგება და ამასთანავე უაღრესად შთამბეჭდავია. თარგმანის შესრულებისას ჩვენ მუდამ ვგრძნობდით დედნის მხატვრული სახეების გავრცობის აუცილებლობას, რათა გამოთქმა გასაგები ყოფილიყო მკითხველისათვის — განმარტავს სტივენსონი. იგი პუნქტებად პასუხობს გამსახურდიას შენიშვნებს და დასძენს, რომ ინგლისური ენის გამსახურდიასეული ცოდნის დონე სრულიად არ შეესაბამება იმ ამოცანას, რაც მას მიზნად დაუსახავს.

ნ. ანდრონიკაშვილსა და ზ. გამსახურდიას ასევე განხილული აქვთ ქეთრინ ვივიენის თარგმანი. ნ. ანდრონიკაშვილი ანგარიშს უწევს მთარგმნელის ჩანაფიქრს და წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სტილის უნივერსალობის მასშტაბი ვივიენისეულ თარგმანში სხვა სიბრტყეზეა გადატანილი, რაც რუსთველის გათანამედროვეობაში მდგომარეობს. ასეთ ინტერპრეტაციას კი ალბათ ბუნებრივად აღიქვამს თანამედროვე მკითხველი.

ზ. გამსახურდია უწონებს ქეთრინ ვივიენს პროლოგის პოეტურ თარგმანს, ხოლო ძირითადი ნაწილის თავისუფალი სტილით თარგმნას იგი არასერიოზულ მიდგომად, სტილის გაუბრალოებად, გაღარიბებად თვლის. ზ. გამსახურდია კვლავ ვერ ეგუება მეტაფორების გაშიფრვას. იგი ამ თარგმანს უკიდურესად გამარტივებულ ადაპტაციად მიიჩნევს.

1982 წელს, ვიდრე ზ. გამსახურდია წიგნად დაბეჭდავდა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანების კრიტიკას, მან ხელნაწერი გააცნო ქეთრინ ვივიენს, რაზედაც მთარგმნელმა მოკლე წერილობითი პასუხი გასცა (22). მასში აღნიშნულია, რომ კრიტიკის ავტორი ზოგჯერ ვერ ერკვევა ინგლისური ენის ნიუანსებში. გარდა ამისა, ვივიენი მიუთითებს, რომ გამსახურდიას შენიშვნები გაცილებით უფრო ფასეული იქნებოდა, მას რომ მხედველობაში მიეღო მთარგმნელის თვალსაზრისი და მის მიერ დასახული მიზანი — ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომი თარგმანის შექმნა, რაც სათანადოდ აქვს ჩამოყალიბებული წიგნის შესავალში. ქეთრინ ვივიენი ასევე მიმართავს ზ. გამსახურ-

დიას წაიკითხოს მისი ნაშრომი „თარგმნის ოსტატობა“, რომელიც პასუხს გასცემს მის კრიტიკას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელებმა თავიანთი პრინციპებიდან გამომდინარე, მაღალი დონის თარგმანები შეასრულეს. თითოეულ მათგანს თავისი ფუნქცია აკისრია. ოთხივე ერთად კი ავსებს ერთმანეთს.

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური გამოცემების ღირსებას გარკვეულწილად განსაზღვრავს მათი შესავალი წერილები თუ წინასიტყვაობები, რომლებსაც მკითხველი შეჰყავთ რუსთველის ეპოქაში. მარჯორი უორდროპის თარგმანს ახლავს ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობა (23). მასში საუბარია პოემის სხვადასხვა თარგმანზე და იმ ობიექტურ სირთულეებზე, რომლებსაც მთარგმნელები ბუნებრივად აწყდებიან. ოლივერ უორდროპი ქართულ აზროვნებასთან, ფსიქოლოგიურ წყობასთან დაკავშირებით აყალიბებს სავსებით ზუსტ მოსაზრებას, რომ მართალია, ქართველები მახლობელი აზიის გონებრივი მოძრაობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, მაგრამ ათასწლოვანი ბრძოლა ამტკიცებდა, რომ მათი ბუნებრივი მისწრაფება მიმართული იყო დასავლეთ ევროპისაკენ, საითაც ქართველებს ასე გულმოდგინებით ჰქონდათ მიპყრობილი დაჟინებული მზერა. შემდეგ იგი საჭიროდ მიიჩნევს მკითხველებს მცირედი ინფორმაცია მაინც მიაწოდოს შოთა რუსთველის ბიოგრაფიული მომენტებიდან, თუმცა თავიდანვე აღნიშნავს, რომ მის შესახებ უფრო ნაკლები ისტორიული ცნობებია დარჩენილი, ვიდრე შექსპირზე.

შემდეგ ავტორი ეხება პოემის ხელნაწერებს. იგი გადმოგვცემს XIX საუკუნის დასასრულს ქართულ ლიტერატურულ წრეებში გავრცელებულ აზრს „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერების შესახებ. კერძოდ, პლატონ იოსელიანის ცნობაზე დაყრდნობით, ოლივერ უორდროპი ასახელებს პოემის ტყავზე შესრულებულ უთარიღო ხელნაწერს, რომელიც გრიგოლ წერეთელს ეკუთვნოდა. ასახელებს აგრეთვე ორ ძველ 1443 და 1678 წლების ხელნაწერებს, რომლებიც, მისი აზრით, ხელთ ჰქონდა ვახტანგ მეექვსეს პოემის პირველი გამოცემის დროს. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს სამივე ხელნაწერი დაკარგულია, ხოლო შემონახულ ხელნაწერთაგან ყველაზე ადრინდელები XVII საუკუნით თარიღდება. ოლივერ უორდროპის ამ ცნო-

ბებიდან დღევანდელ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში მნიშვნელობას ინარჩუნებს მითითება პოემის ძველ, ტყავზე შესრულებულ ხელნაწერზე. რაც შეეხება ვახტანგ მეექვსის მიერ ძველი ხელნაწერების გამოყენებას, ეს თვალსაზრისი მცდარადაა მიჩნეული. როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა ეჭრდნობოდა პოემის XVII საუკუნის ხელნაწერებს (24, 313—325).

ოლივერ უორდროპი მსჯელობს ასევე ქართული ენის კეთილხმოვანებასა და პოემის ლექსთწყობაზე. „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკიდან იგი გამოყოფს მეგობრობის, მიჯნურობის, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებს და საერთოკულტურულ კონტექსტში განიხილავს მათ.

ვენერა ურუშაძისეულ თარგმანს მთარგმნელის წინასიტყვაობის გარდა ახლავს დევიდ მარშალ ლენგის შესავალი წერილი (9).

დევიდ ლენგი ისტორიულ ექსკურსს აკეთებს თამარ მეფის დროინდელ საქართველოში. პოემის ასეთი დიდი პოპულარობის ძირითად მიზეზად ლენგს მიაჩნია ის, რომ მასში საოცარი ოსტატობითაა შეზავებული ბუნებრივი, ადამიანური სწრაფვანი და მოვლენათა ღრმა, ფილოსოფიური გააზრება. ავტორი განსაკუთრებით გამოყოფს შოთა რუსთველის იდეოლოგიისა და რელიგიური რწმენის საკითხს და მას ძნელად ამოსახსნელ პრობლემათა რიგს მიაკუთვნებს. ამ თარგმანის ღირსება შეფასებული აქვს გივი გაჩეჩილაძეს (26).

ქეთრინ ვივიენის თარგმანს ახლავს დევიდ ლენგის წინათქმა (10) და ალექსანდრე ბარამიძის მოკლე შენიშვნა (10). მათში ის აზრია გატარებული, რომ მთარგმნელმა ოსტატურად მიაღწია თავის მიზანს და ეს თარგმანი არა მარტო ინგლისური რუსთველიანას შენაძენია, არამედ ხალხთა მჭიდრო კულტურული ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს. თარგმანს უძღვის ქ. ვივიენის შესავალი წერილი (10), სადაც საუბარია თანამედროვე საქართველოს რესპუბლიკაზე, საქართველოს სამეფოზე თამარის მეფობის ხანაში, პოემის ავტორის ვინაობაზე და თვითონ პოემაზე, ყურადღებაა გამახვილებული რელიგიურ ფონზე, პოემის ხელნაწერებსა და თანამედროვე გამოცემებზე. ვივიენი სპეცია-

ლურად ჩერდება მეტრსა და რითმაზე პოემაში, პოემის ენაზე, რუსთველის დროის ევროპულ და აღმოსავლურ ლიტერატურაზე.

რობერტ სტივენსონი თავის თარგმანზე დართულ შესავალ წერილში (25) ცდილობს „ვეფხისტყაოსანი“ გაიაზროს შუასაუკუნეების დასავლურ და აღმოსავლურ ლიტერატურულ კონტექსტში. იგი ეხება პოემის ლექსთწყობის საკითხებს. თარგმანს ახლავს ორი დამატება (25), შესრულებული რობერტ სტივენსონის მიერ და ალექსანდრე ბარამიძის ბოლოთქმა (25). პირველ დამატებაში ავტორი ყურადღებას ამახვილებს პლანეტურ სიმბოლიკაზე პოემაში და წერს, რომ თუ კლასიკური ტრადიციით მზე ჩვეულებრივ აღნიშნავს მამაკაცს, მთვარე და ვარსკვლავები კი ქალს, რუსთველი ამ მხატვრულ სახეებს განურჩევლად იყენებს და ძალიან ხშირად უთითებს ქალებისა და კაცების გამაოგნებელ სილამაზეზე. ხოლო მეორე დამატებაში რობერტ სტივენსონი ეხება პოემის პერსონაჟთა კეთილშობილურ ტირილსა და ექსპანსიურ ქცევას, რუსთველურ მოთქმა-ტირილს სიმამაცისა და თავდადების განცდათა რანგში აყენებს.

მოკლედ ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ გამოცემათა აღწერილობა, მთარგმნელთა მიზანდასახულობანი და ამ თარგმანთა ირგვლივ გამართული პოლემიკა.

„ესე ამბავი სპარსული...“ ქართული ლიტერატურის ინგლისელი მკვლევარნი „ვეფხისტყაოსანზე“ მსჯელობისას მას უმთავრესად შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან განიხილავენ. ამ ნაშრომებში საუბარია პოემის ძირითად მოტივებზე, მის სადაურობაზე, პერსონაჟებზე და ა. შ., გავლებულია პარალელები შუასაუკუნეების დასავლურ და აღმოსავლურ ლიტერატურასთან, პოემა გააზრებულია მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

საინტერესოა ინგლისელი მეცნიერების აზრი პოემის წარმომავლობის შესახებ. მორის ბაურას მიაჩნია, რომ რუსთველი „ვეფხისტყაოსანს“ „სპარსულ ამბავს“ იმიტომ უწოდებს, რომ მასში მოთხრობილი სასიყვარული და სათავგადასავლო ამბები სპარსულის მსგავსი მაღალი, დახვეწილი პოეტური გემოვ-

ნებით არის შესრულებული და სპარსული პოეზიისათვის დამახასიათებელი მდიდარი, მკაფიო პოეტური სახეებითაა აღბეჭდილი. სპარსეთი კი იმ დროს დიდ კულტურულ ძალას წარმოადგენდა, აგრძელებს ავტორი, და რუსთველს ეგებ იმის ჩვენება უნდოდა, რომ იგი იცნობდა ხელოვნების უახლეს მიმდინარეობებსა და მიღწევებს. ამიტომ უწოდებს პოემას სპარსულს და ამ განცხადების შემდეგ წმინდა ქართულ პოემას წერს. მკვლევარს ბერძნული პლატონიზმი რუსთველის იდეების ერთ-ერთ წყაროდ მიაჩნია, ხოლო პოეტური სიტყვის შესახებ ფიქრობს, რომ შესაძლოა არაბული წარმოშობის და სპარსეთის გამოვლით დაწმენდილი იყოსო. ამასთანავე თანმიმდევრულად ავითარებს აზრს, რომ პოემის ზოგი იდეა სავსებით ორიგინალურია და იგი ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც თანაბრად გასცქერის და მაინც ეროვნული ხასიათისაა (27).

პოემის სადაურობასთან დაკავშირებით უილიამ მორფილი შენიშნავს, რომ სხვადასხვა ვარაუდი არსებობს — ერთნი ფიქრობენ, რომ იგი სპარსული ლიტერატურიდან არის ნასესხები, მეორენი მასში ბერძნულ-ბიზანტიური ლიტერატურის გავლენას ხედაენ, მაგრამ პოემა მშვენიერ ქართულ ძეგლს წარმოადგენს (28).

დევიდ ლენგი დაბეჯითებით მიუთითებს, რომ თუმცა რუსთველს მოქმედება სხვადასხვა ეგზოტიკურ ქვეყანაში გადააქვს და ირწმუნება, თითქოს მისი პოემა „ქართულად ნათარგმანები სპარსული ამბავი“ იყოს, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ პოემაში ალეგორიულადაა აღწერილი საქართველოს ოქროს ხანის სინამდვილე (29).

ოლივერ უორდროპი ნაწარმოების ღიღ პოპულარობას სწორედ მის ეროვნულ ხასიათში ხედავს. მიუხედავად იმისა, რომ პოემის გმირები არაბებად, ინდოელებად ან ჩინელებად არიან შოხსენიებულნი, ისინი თავიანთი ბუნებითა და საქციელით მთლიანად ქართველები არიან, შენიშნავს უორდროპი (30) და აგრძელებს, რომ პოემაში სპარსული ამბის კვალიც კი არ არის და რომც აღმოაჩინონ ასეთი რამ, ავტორის სახელსა და დიდებას ისევე არაფერი დააკლდება, როგორც შექსპირისას არ დაჰკლებია ლუიჯი და-პორტოს ამბების არსებობის გამო (23).

ამ საკითხზე თავის აზრს უილიამ ალენი ასე გადმოგვცემს: „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია მოწმობს სპარსული ლიტერატურის გავლენას ქართულზე. რუსთველის სიტყვით რომ ვთქვათ, ეს არის „ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ (31).

„ქართულად ნათარგმანები“ სპარსული ამბის შესახებ ქეთრინ ვივიენი ამბობს, რომ იგი არამც და არამც არ შეიძლება გავაიგივოთ სპარსულ ლიტერატურასთან და იზიარებს სერგი წულაძის მოსაზრებას, რომ ასეთი განმარტება რუსთველს შესაძლოა ეკლესიისაგან დევნის თავიდან აცილების მიზნით დასჭირდა (10). ამასთანავე არც იმას გამორიცხავს ვივიენი, რომ იმ დროის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ფრიად პოპულარული იყო სპარსული სტილი და შესაძლოა სწორედ ამ ტენდენციას მიჰყვება შოთა რუსთველი (23). რობერტ სტივენსონის აზრით, პროლოგის ეს სიტყვები უნდა გავიგოთ როგორც ხატოვანი გამოთქმა, სადაც სპარსული პოეტური ტრადიციაა ნაგულისხმევი. იგი აღნიშნავს, რომ ფირდოუსისა და მისი მიმდევრების ნაწარმოებებს არსად ისეთი აღფრთოვანებით არ ღებულობდნენ როგორც საქართველოში, მაგრამ ქართველებს მონური მიმბაძველობა არ გამოუჩენიათ. ის გარემოება, რომ რუსთველი ახსენებს რუსტამს, ყაისს, ვისისა და რამინს, გვაფიქრებინებს, რომ იგი შუასაუკუნეების სპარსი პოეტების ტრადიციების მიმდევარი დიდი პოეტია, დასძენს სტივენსონი (25).

„ვეფხისტყაოსანი“ და შუასაუკუნეების აზროვნება. ინგლისელი მკვლევრები ყურადღებით აკვირდებიან თვითონ პოემის ავტორისა და მისი დროის ქართულ აზროვნებას.

მორის ბაურა XII საუკუნის საქართველოს სულიერი კულტურის აღმავლობაზე საუბრისას მიუთითებს, რომ თუ ერთი მხრივ ქართულად ითარგმნებოდა სპარსული პოეზიის ნიმუშები: ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, ნიზამის „ლეილ-მაჯნუნიანი“ და „ხოსროვშირინიანი“, მეორე მხრივ ბიზანტიის, იმპერია ნეოელინური აღორძინების იდეებით გაჟღენთილი ბევრი მნიშვნელოვანი თხზულებით ამდიდრებდა ქართულ კულტურას. თუმცა ჰომეროსს უკვე იცნობდნენ ქართველები 1125 წელს, ბიზანტიის გავლენა უპირატესად ფილოსოფიის დარგში შეინიშნებოდა. იოანე

პეტრიწისა და სხვა ქართველ სწავლულთა მეოხებით ქართველთათვის ცნობილი გახდა პროკლე, პორფირიოსი, ენეას ღაზელი, ფსევდო დიონისე არეოპაგელი. ბერძნული ფილოსოფიისა და სპარსული პოეზიის კომბინირების შედეგად ორი მთავარი მიმდინარეობა წარმოიშვა. მუსლიმანურ ფონზე აღმოცენებული პოემები ბერძნულ პლატონიზმთან გაერთიანდნენ და ხელი შეუწყვეს უფრო მკაცრსა და აბსტრაქტულ მონოთეიზმს, ვიდრე ეს აღმოსავლური ეკლესიის მეოხებით ხორციელდებოდა. მეორეც, სპარსელი პოეტების მიერ რომანტიკული სიყვარულით გატაცებამ ნეოპლატონიზმის საკმაო მხარდაჭერა ჰპოვა იმისთვის, რომ უზრუნველეყო ის თემატიკა, რომელსაც პოეტები მდიდარი წარმოსახვით ამუშავებდნენ. ბაურა მიიჩნევს, რომ რუსთველს ღრმად შეეხო ზემოაღნიშნული პროცესები, რაც აშკარად ჩანს მის პოემაში. მორის ბაურამ გამოთქვა მოსაზრება, რომ XII საუკუნის ქართველი ფილოსოფოსები ცდილობდნენ სარწმუნოებისათვის იმაზე უფრო ღრმა აზრი ეპოვათ, რასაც მათ ქრისტიანობა უქმნიდა. ჩანს ისინი დაინტერესდნენ, თუ რას გამოხატავდა ქრისტიანული ცნების ყველაზე წმინდა ფორმა — ინდივიდის ამაღლებული სიყვარული. ისინი ემონებოდნენ ამ გრძნობას და მასში ჰპოვებდნენ მოქმედების პრინციპს. ეს მაღალი რწმენა საგმირო საქმეებს მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსთველი ქრისტიანულ ქვეყანაში ცხოვრობდა, ქრისტიანულ დოგმებს არ ახსენებს პოემაში. რუსთველის მოაზრებით ღმერთი ძალის წყაროა, რომელსაც იგი ადამიანისთვის მინიჭებული სიყვარულის მეოხებით გამოავლენს (27). რენესანსული აზროვნების ერთ-ერთი პრინციპული მომენტი — ქრისტიანული დოგმატიკის დაძლევა — შემჩნეული აქვს უილიამ ალენსაც. იგი მიუთითებს, რომ მაშინ, როცა საუკუნეების განმავლობაში ადამიანის გონება სარწმუნოებისა და ღვთისმსახურების მარწუხებში იყო მომწყვდეული, რუსთველი იზიარებდა პლატონის აზრებს, განადიდებდა სპარსულსა და ჩინურ სიბრძნეს და უთუოდ ყოველივე ამის შედეგად დაიმსახურა ღვთისმსახურთა წყრომა, რაც მოგვიანებით XVIII საუკუნეში იმაში გამოიხატა, რომ კათალიკოსის ბრძანებით დაწვეს და გაანადგურეს მისი პოემის თითქმის ყველა ხელნაწერი... ნაწარმოების ღირსება არა სარაინდო თავგადასავლები და შესაქცევი სიუჟეტია, არამედ

ცხოვრების ფილოსოფიური წვდომის სიღრმე, დახვეწილი თხრობა და ადამიანის შინაგანი სამყაროს ამოცნობის გასაოცარი უნარი. ალენი თვლის, რომ ეს ნაწარმოები ფასდაუდებელი განძია შუასაუკუნეების ადამიანის აზროვნების შესწავლის თვალსაზრისით. მასში ირეკლება იმდროინდელი ქართველის მთელი შინაგანი სამყარო, სამყარო დიდი მოაზროვნის, რომელიც ფილოსოფიურადაც მსჯელობს და ერთსა და იმავე დროს ღვთისმოსავიცაა და მეომარიც (31).

რუსთველთან პლატონის იდეების გავლენაზე მსჯელობს ოლივერ უორდროპიც. იგი წერს, რომ რუსთველს ბევრი რამ აქვს შეთვისებული პლატონისაგან და მის შემოქმედებასაც აშკარად ატყვია ქრისტიანობასთან დამოკიდებულების იმ მეტაფიზიკურ თეორიათა მარცვლები, რაც ასე ახასიათებდა დანტეს და მის ზოგიერთ ევროპელ თანამედროვესა და მემკვიდრეს (30). ოლივერ უორდროპს მიაჩნია, რომ რუსთველი არ ცდილობდა ერთი რომელიმე სარწმუნოება განედიდებინა, ხოლო მეორე დაემცირებინა, იგი ყველას კრიტიკული თვალით უცქეროდა. მან თვითონ შეიმუშავა ცხოვრების საკუთარი ფილოსოფია. თუმცა არაბული და სპარსული აზროვნების გავლენის კვალი გარკვეულად ეტყობა პოემას, თვითონ არაბული და სპარსული აზროვნება ქრისტიანული და ნეოპლატონური ნაკადით იმდენად არის გაჯერებული, რომ ორივე დასავლურ მსოფლმხედველობას უახლოვდება (23). ნეოპლატონურ ნაკადზე „ვეფხისტყაოსანში“ მიუთითებს რობერტ სტივენსონიც (33). რუსთველის იდეოლოგიისა და რელიგიური რწმენის საკითხზე მსჯელობისას დევიდ ლენგი ასკვნის, რომ ყოველგვარი რელიგიური რწმენისაგან თავისუფალი მოქმედების მუზა და კალამი მიმართული იყო საყოველთაო ჰარმონიისა და ჰუმანიზმის მაღალ იდეალთა საქადაგებლად (9). მისი აზრით, პოემაში ჰარმონიულად და ოსტატურად არის შერწყმული ერთმანეთთან პლატონის ფილოსოფია და აღმოსავლური რომანტიკა. ლენგი არ ამახვილებს ყურადღებას ლიტერატურულ გავლენებზე. იგი მხოლოდ მიუთითებს, რომ რუსთველი ზედმიწევნით კარგად იცნობს ანტიკურ ფილოსოფიას, ასტრონომიასა და ასტროლოგიას, იცნობს ნიზამი განჯევის შემოქმედებას (34) და თვლის, რომ რუსთველის პოეტური გენია და მისი ღრმა ფილოსოფია შეიძლება შეუდარდეს იტალიურ ლი-

ტერატურაში დანტესა და არიოსტოს, სპარსულ ეპოსში ფირდოუსისა და ნიზამი განჯევის ეპიკურ ტილოებს, ინგლისურ ლიტერატურაში შექსპირის შემოქმედებას. მისი აზრით, შექსპირთან განსაკუთრებით აახლოებს რუსთველს ფილოსოფიური მნიშვნელობის წიაღსვლებისა და მსუბუქი ცხოვრებისეული ეპიზოდების ოსტატური შერწყმა (29).

აღმოსავლური და დასავლური კულტურის ელემენტების ძიებისას „ვეფხისტყაოსანში“, ქეთრინ ვივიენი დაბეჯითებით მიუთითებს, რომ ეს პოემა შუასაუკუნეების ლიტერატურის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი ეყრდნობა ქართველ მეცნიერთა მოსაზრებებს და მოუხმობს პარალელებს ევროპული და ორიენტალური ლიტერატურიდან. მაგალითად, უოლტერ ფონ ეშენბახის „პარციფალთან“, ფირდოუსის „შაჰ-ნამესთან“, ნიზამი განჯევის „ლეილ-მაჯნუნიანთან“. ამასთანავე გამოთქვამს ორიგინალურ აზრს ტარიელის ამბისა და უძველესი ინდური ეპოსის „რამაიანას“ მსგავსებაზე (35).

სხვადასხვა ხალხის საგმირო პოეზიის მიმოხილვისას მორის ბაურამ საინტერესო თვალსაზრისი განავითარა „ვეფხისტყაოსანზე“. სახელდობრ, რომ ეს ნაწარმოები არ არის საგმირო პოეზიის ნიმუში, რადგან მასში აღწერილი საგმირო საქმეები არ არის ის ხარკი, რომელსაც გამიჯნურებული რაინდი მისთვის აღმაფრენის მიმცემი ძალის, სიყვარულის წინაშე იხდის. ეს არ არის თავის შექცევა, ან უბრალოდ გმირობის ჩადენა. მას მიაჩნია, რომ რუსთველს შეეძლო შეექმნა წმინდა საგმირო ეპოსი, მაგრამ ის სხვა გზას დაადგა. ამ პროცესს ბაურა ზოგადლიტერატურულ პროცესად თვლის და პარალელს ავლებს შუასაუკუნეების ფრანგულ რომანტიკულ პოეზიასთან. ეს პარალელი მას საშუალებას აძლევს შემდეგი დასკვნისათვის: ასეთი გადასვლა საგმირო პოეზიიდან რომანტიკულზე ძალზე ბუნებრივი მოვლენაა ფეოდალური საზოგადოების განვითარების იმ ეტაპზე, როცა ძველი, ტრადიციული ნორმები რღვევას იწყებს და ხდება შემობრუნება ახლისკენ, რაც უფრო რთული და უფრო ამაღლებულია (36).

ბაურას აზრით, გვიან შუასაუკუნეებში პოეზია მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა როგორც ევროპაში, ასევე აზიაში. მაშინ გაბატონებული ეპიკა თუმცა ჯერ კიდევ მოგვითხ-

რობდა საგმირო საქმეებს და სათავგადასავლო ამბებს, მისი ტონი უკვე იცვლებოდა. ამ სიახლეს კი რომანტიკული სიყვარულის თემა წარმოადგენდა. ამ თემის საწყისს იგი უკვე ხედავს ნიბელუნგების თქმულებაში, რომელიც დაახლოებით XII საუკუნეში შეიქმნა დუნაის აუზში. ეს თემა გაცილებით უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ამავე ხანის ფრანგულ ეპოსში, რომელმაც ხელი აიღო „როლანდის სიმღერის“ გმირულ ბრწყინვალებაზე და „გინგამორის“ მსგავსი პოემების მგრძნობელობასა და ფანტაზიის მიმართ. აზიაში კი ნიზამი მოგვითხრობს მიჯნურობის რომანტიკულ ამბავს და ფირდოუსის საქვეყნოდ ცნობილ თემებს სესხულობს, ოღონდ თავისი გმირების სიყვარულს ახლებურ ხასიათს ანიჭებს. ბაურა შენიშნავს, რომ სასიყვარულო პოეზია საოცარი პოპულარობით სარგებლობდა სამეფო კარსა თუ დიდებულთა სასახლეებში. ამ თემას კი არნო დანიელისა თუ პიეტრო დელა ვალეს, უოლფრამ ფონ ეშენბახისა თუ სამხრეთ ესპანეთის მავრი პოეტების მიერ თავისებურად შეფერილს, რამდენადმე იდეალური ხასიათი ჰქონდა. ისინი სატრფოს ათასი ღირსებით ამკობენ, რათა მას სრული თავდავიწყებით ემსახურონ. ამ წიაღსვლას ბაურა იმისათვის მიმართავს, რომ წარმოაჩინოს ეპოქის სული და დასძინოს, რომ ამავე წიაღში წარმოიშვა „ვეფხისტყაოსანიც“, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ რუსთველის თხრობის ეპიკური ხერხი თავისი სიძველით „გილგამეშისა“ და „ოდისეას“ ტოლია. ამ შედარებასთან დაკავშირებით გვინდა გავაკეთოთ ერთი წიაღსვლა. „ვეფხისტყაოსანსა“ და „გილგამეშიანს“ შორის პარალელები გავლებული აქვს ტიტე მარგველაშვილს* (37). მას შენიშნული აქვს, რომ ქართული ეპიკური პოემა და ძველი შუმერული ეპოსი შინაარსობრივად ძალზე განსხვავდებიან, მაგრამ შეხების წერტილებიც მრავლად მოეპოვებათ. ავტორი განიხილავს ამ ორი თხზულების ზოგიერთ მსგავს მოტივს, როგორიცაა ტირილი, მეგობრობა, პატივმოყვარეობა, ცხოველის ტყავი და მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა მიეკუთვნება მატრიარქალური კულტურის ეპოქას. ტიტე მარგველაშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ვინაიდან „ვეფხისტყა-

---

* ტიტე მარგველაშვილი იყო ფილოსოფიის დოქტორი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი.

ოსანში“ დასავლეთ აზიისათვის დამახასიათებელი ელემენტებია ასახული, პოემის ცალკეული მოტივები თუ შემადგენელი ნაწილები დაცული და გაბნეული იყო იაფეტური კულტურის მემკვიდრეთა ტრადიციებში.

ბაურას მხედველობიდან არ გამორჩენია საგმირო ლიტერატურისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თემა — პატრონისადმი ერთგული სამსახური, რომელსაც ვხვდებით პოემაში. იგი რუსთველის ასმათს ჰომეროსის მელორე ევმეოსსა და მოხუც ევრიკლეას ადარებს და შენიშნავს, რომ თუმცა ისინი მონები არიან (ერთი მონაა და მეორე ყმა, მ. ო.), მათ პატივისცემით ეპყრობიანო. ასმათი ისევე ახლოა ნესტანთან და ტარიელთან, როგორც ევრიკლეა და ევმეოსი ოდისევსსა და ტელემაქესთან. მაგრამ რუსთველის პოემაში სიყვარულის როლის უპირატესობა მორის ბაურას საშუალებას აძლევს იგი სარაინდო ლიტერატურას მიაკუთვნოს, თუმცა თვლის, რომ კლასიკური სარაინდო რომანისაგან განსხვავებით, „ვეფხისტყაოსანს“ ზებუნებრიობის ელემენტი აკლია. მას მაგალითად მოაქვს ზიგფრიდის უჩინმაჩინის ქუდი, რომელიც დიდ როლს ასრულებს ბრუნჰილდეს გამოხსნისას ნიბელუნგების თქმულებაში, საოცარი ამბები „გინგამორის“ ან გოვეინის ჰოლანდიური ვერსიის, ვალეევეინის მსგავს პოემებში, პასაჟები ნიზამის პოემებიდან... მკვლევარი თვლის, რომ მართალია, „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიც განსაკუთრებულ ამბებს სჩადიან, რაც ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება, მაგრამ აქ მაგია არაფერ შუაშია. ამ თვალსაზრისით მას „ვეფხისტყაოსანი“ რეალისტურ პოემად მიაჩნია. უდარებს რა ბაურა პოემას ფრანგულ სარაინდო რომანებს, იგი შენიშნავს, რომ რუსთველს რეალობის თავისებური გრძნობა აქვს. ავტორი ერთურთს უპირისპირებს რუსთველის ძლიერ, საღ ადამიანურ გრძნობებსა და ფრანგი მწერლების ტენდენციას — ყველაფერი აბსტრაქციად, ალეგორიად აქციონ. ფრანგულ რომანებში ალეგორია საკმაოდ ხშირად არის წინა პლანზე, რის კლასიკურ ნიმუშსაც გილიომ დე ლორისის „ვარდის რომანი“ წარმოადგენს. თუმცა ფრანგული რომანი ხშირი ფათერაკებით „ვეფხისტყაოსანს“ უახლოვდება, წერს ბაურა, და მართალია, რუსთველი პოემას ალეგორიულს უწოდებს, მაგრამ იგი საფუძვლიანად ამუშავებს თითოეულ თემას (27).

სიყვარულის თემა „ვეფხისტყაოსანში“. ქართული რაინდული სიყვარულის ფესვების ძიებისას ინგლისელი მკვლევრები ხშირად მიმართავენ ტიპოლოგიურ შეპირისპირებას. ოლივერ უორდროპი „ვეფხისტყაოსნის“ სტილს ევროპელი ტრუბადურების სტილს უდარებს და ამსგავსებს მათ (30).

რობერტ სტივენსონს მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სიყვარულის ისეთი გაგება, რომელიც ძალიან ჰგავს პროვანსელ ტრუბადურთა შეხედულებას სიყვარულზე. მეცნიერის თვალსაზრისით, ამის დადასტურებად გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ რუსთველს სიყვარულის ჯეშმარიტი ბუნება ყველასათვის აღვილად შესაცნობად არ მიაჩნია და ამით ძალზე წააგავს ბერნარ დე ვენტადურს. რუსთველის მიჯნურს ისევე არ შეუძლია ფიქრი თავისი ნატერის სწრაფად დაკმაყოფილებაზე, როგორც არ ძალუძს ეს პროვანსელ მოტრფიალეს, ხოლო რუსთველის მოწოდება — შორით ბნედა, შორით კვდომა — უფრო მკაცრიც კი ჩანს, ვიდრე დაუდ დე პრადასის შეგონება იმის თაობაზე, რომ მიჯნურმა თავი კასტილიის მეფედ უნდა ჩათვალოს, სატრფომ თუნდ ბაფთაც რომ უბოძოსო. როგორც თავად სტივენსონი აღნიშნავს, თუმცა დიდია ცდუნება სიყვარულის ქართულ და პროვანსულ გაგებათა საერთო წყაროდ არაბულის ეიჩნევისა, მაგრამ არაბული სამყაროს გავლენა რუსთველზე ბევრად არ გასცილებია ზედაპირსო. უფრო სარწმუნო საერთო წყარო შეიძლება ვიპოვოთ ნეოპლატონიზმის ცნებებში, რომელიც მაშინდელ დასავლეთ ევროპაში ცნობილი იყო ფსევდო დიონისე არეოპაგელის ერიგენასეული თარგმანის მეშვეობით და, რა საკვირველია, ასევე ცნობილი იყო საქართველოში, რომელსაც XI—XII საუკუნეებში ინტელექტუალური აზროვნების დიდი ცენტრი ჰქონდა ათონის მთაზე თავის მონასტერში, დასძენს რობერტ სტივენსონი (33). სტივენსონმა სპეციალური სტატია მიუძღვნა რუსთველისა და არიოსტოს ნათესაობას (38). უფრო ადრე უილიამ მორფილმა უწოდა „ვეფხისტყაოსანს“ არიოსტოსებური ეპოსი. შოთა რუსთველი ჯეშმარიტი ტრუბადურია და ბევრი რამით მოგვაგონებს არიოსტოს, წერდა იგი (5). ოლივერ უორდროპი აღნიშნავდა, რომ ევროპის უდიდეს პოეტთა შო-

რის რუსთველს ყველაზე მეტად არიოსტოსა და ტასოსთან შეიძლება გამოენახოს ნათესაობა და მიაჩნდა, რომ ამ მსგავსებას კიდევ უფრო აღრმავებს რუსთველისეული პლატონიზმი (30). ეს აზრი გაზიარებული იყო ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში, რასაც კიდევ ერთხელ მოწმობს უილიამ ალენის მიერ ერთერთ კონტექსტში ჩვეულებრივად, უკომენტაროდ ნახმარი ფრაზა — „როდესაც რუსთველს ვადარებთ ტასოსა და არიოსტოს"... (31). მორის ბაურა კი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის" დაწერიდან თითქმის საუკუნის შემდეგ სარაინდო რომანმა სრულყოფას მიაღწია იტალიაში ბოიარდოსა და არიოსტოს პოემების სახით. ბაურა ფიქრობს, რომ მათი რუსთველთან მსგავსების მოძებნა შესაძლოა სწორედ სიყვარულის კულტსა და პერსონაჟთა გმირულ საქმეებში, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ იტალიელთა ბრწყინვალე მოთხრობებში შეუზღუდავი წარმოსახვა ბატონობს, რაც სავსებით უცხოა „ვეფხისტყაოსნის" მოჭარბებული სერიოზულობისათვის. იტალიელი პოეტებისთვის სარაინდო რომანი რეალური სინამდვილიდან ოცნების სამყაროში გადასვლის საშუალებაა და მათ. სწორედ ეს არარეალური ელემენტი იზიდავთ. ბაურა პარალელს ავლებს აღმოსავლურ ლიტერატურასთან და აღნიშნავს, რომ სწორედ იმ პერიოდში აზიაში ალიშერ ნავოი „ფარჰადშირინიანის" მსგავს პოემებს წერდა, დიდ ადგილს უთმობდა სიყვარულის თემას, მაგრამ ამ პოემათა მოქმედება ხშირად არარეალურის ფონზე მიმდინარეობდა და გამოირჩეოდა ისეთი მაღალფარდოვნებით, რომელიც შორსაა რუსთველისეული სოლიდურობისაგან (27). ინგლისელმა მკვლევრებმა დაუშვეს რუსთველისა და არიოსტოს შედარების შესაძლებლობა, მაგრამ არ დააყენეს ისინი ერთ სიბრტყეზე, რუსთველი მათ გაცილებით მაღალი რანგის პოეტად მიიჩნიეს. ეს აზრი ნათლად ჩამოაყალიბა რობერტ სტივენსონმა. იგი მიუთითებს, რომ ერთი შეხედვით, რუსთველის ტარიელის ველად გაჭრა ნესტანის დაკარგვის შემდეგ და არიოსტოს როლანდის ქვეყნიდან გაქცევა, მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ ანჯელიკამ თავისი გული და ხელი სხვას დაუთმო, ასე თუ ისე ერთმანეთს ჰგავსო, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ამ ორი პიროვნების სულიერი თვისებები ძალზე განსხვავებულია. როლანდი დამთხვეულ ადამიანად, მანიაკად არის ქცეული, რომელიც ყველაფერს ამტვრევს თავის ირ-

გვლივ. მის სიგიჟეს არავითარი სულიერი ელემენტი არა აქვს. ტარიელის მოქმედებას კი სტივენსონი სრულიად განასხვავებს როლანდის მოქმედებისაგან და გამოთქვამს აზრს, რომ პროლოგიდანვე მკითხველი ემზადება იმის გასაგებად, რომ რუსთველს განსაკუთრებული შეხედულება აქვს მიჯნურობის შეტევით გამოწვეული სულიერი წონასწორობიდან გამოსვლაზე. შემდგომ ამისა იგი პოემის ტექსტის მიხედვით მსჯელობს გახელებულ ტარიელზე. ამ თვალსაზრისით რობერტ სტივენსონი არაერთ მკვლევარს დაუპირისპირდა. როგორც თვითონ აღნიშნავს, ე. კარსტის და ზ. ავალიშვილს, რომლებიც თვლიდნენ, რომ რუსთველისა და არიოსტოს პოემებს შორის მართლაც შეიძლება ზოგიერთი მსგავსების პოვნა. რობერტ სტივენსონი ამტკიცებს, რომ ეს პარალელები ზედაპირულია და სრულიად იზიარებს შ. ბერიძის მოსაზრებას, რომ მსგავსება ტარიელსა და როლანდს შორის მხოლოდ გარეგნული და მოჩვენებითია.

რუსთველოლოგიური კვლევისას სტივენსონი მთლიანად არ უარყოფს აღმოსავლური ლიტერატურის გავლენას, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ეს აზრი საფუძველმოკლებულად ეჩვენება. მაგალითად, რუსთველის განცხადებას, „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა“, იგი არაბულ-სპარსული ტრადიციისადმი მხოლოდ ხარკის გადახდად მიიჩნევს. გახელებულ მიჯნურს ყაისს არ შეეძლო რაინდულ ნაწარმოებში წამყვანი როლის შესრულება, თვლის მკვლევარი. საერთო მემკვიდრეობის თვალსაზრისით კი დასაშვებად მიიჩნევს რუსთველის გახელებული ტარიელისა და არიოსტოს შმაგი როლანდის განხილვას, როგორც ურთიერთმონათესავე გმირებისას. რობერტ სტივენსონი გარკვეულად ანგარიშს უწევს ჰამერ-პურგსტალის მოსაზრებას, რომ არიოსტო საბოლოოდ დავალებული უნდა იყოს ნიზამის პოემისაგან გახელებული მიჯნურობის მოტივით, რომელიც დასავლეთ ევროპაში ჯვაროსნებმა შეიტანეს და ასევე ეთანხმება პიცის თეორიას, რითაც ამ უკანასკნელმა გაამყარა აზრი იტალიური რენესანსის ეპიკურ პოეზიაზე ირანული რომანტიკული ლიტერატურის გავლენის შესახებ და განაცხადა — ბოიარდოსა და არიოსტოს ქერათმიანი ანჯელიკა მღიდარი სპარსული ფანტაზიის ნაყოფიაო. სტივენსონი ეხება რა მიჯნურობის თემას რუსთველსა და არიოსტოსთან, არ მიაჩნია

ტარიელი და როლანდი რეალურად მსგავს პერსონაჟებად და მისეულ შედარებას გვთავაზობს. იგი წერს, რომ გახელებულ ტარიელთან უფრო ახლო მსგავსება, თუმცა ნაკლებ თვალსაჩინო, ვიდრე როლანდთან, შეიძლება ვიპოვოთ კრეტიენ დე ტრუას გმირის ივენის მოქმედებაში. როდესაც ივენი მიხვდა, რომ მიჯნურისადმი მიცემული პირობა ვერ შეასრულა და ქალის მრისხანება დაიმსახურა, ხორცი დაიგლიჯა, სამოსი შემოიხია და ტყეში გაიჯრა, რათა იქ ეცხოვრა, როგორც შეშლილ ადამიანს ან ველურს. ასევე ტარიელი, ნესტანის დაკარგვის შემდეგ გაურბის ადამიანთა სამყაროს მანამ, სანამ ახალი იმედის სხივი გონებიდან ბინდს არ გადაუყრის. ვეფხისტყაოსანი რაინდის მსგავსად ივენიც არავითარ აქტიურ როლს არ ასრულებს სიუჟეტის განვითარებაში მანამ, სანამ გონება სრულად არ დაუბრუნდება. კრეტიენიც, რუსთველის მსგავსად, პატივისცემით იხსენიებს რაინდობის ადათებს, წერს სტივენსონი (38).

განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ოლივერ უორდროპი გამიჯნურებული რაინდების შესახებ — ავთანდილი აშკარად ქრისტიანული რჯულის რაინდია, რითაც ძალზე წააგავს როლანდსა და ჯვაროსან რაინდებს, მაშინ როცა შმაგი ტრფობით შეპყრობილი, გრძნობას აყოლილი ტარიელი მაჰმადის რჯულის რაინდის ტიპს უფრო გვაგონებს, რომელსაც სიყვარული ისეთი თავდაუწყებული მოქმედებისკენ უბიძგებს, რომლის უნარი ამადის გალელს თუ შესწევდა (30).

ცხადია, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში შესაძლოა მსგავსი სიუჟეტების მოძიება, რაც, უფრო აფართოებს კვლევის არეალს, იძლევა მეტი დაკვირვების და ზოგჯერ უფრო ზუსტი და მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას.

საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პიტერ დრონკეს სიყვარულის საწყისებზე ევროპულ ლიტერატურაში. მან ეჭვქვეშ დააყენა მანამდე განმტკიცებული თვალსაზრისი, რომ ევროპული სატრფიალო ლირიკის ელემენტები ლათინური გავლენის შედეგია და კურტუაზიული სიყვარულის მსგავსი ნიმუშები ძველეგვიპტურ და ბიზანტიურ მწერლობაში დაძებნა. ამ საკითხზე მსჯელობისას მან მოიშველია „ვეფხისტყაოსანიც“ და აღნიშნა, რომ მასში კურტუაზიული სიყვარული, რომლის კვალი აშკარად ჩანს ძველეგვიპტური და ბიზანტიური წარმოშობის სი-

მღერებში, სრულ გამოხატულებას პოულობს მთელი თავისი სიმშვენიერით და ცხოვრებისათვის აზრისა და მნიშვნელობის მიმცემ ძალას წარმოადგენს. დრონკე მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის“ თვითმყოფადობაზე. მას შეუძლებლად მიაჩნია პოემაში ევროპული ლიტერატურის გავლენა, ვინაიდან თვლის, რომ პროვანსული პოეზია კავკასიამდე ვერ მიაღწევდა. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავისი მშვენიერი და თაყვანსაცემი ღედოფლის ირგვლივ საქართველო დამოუკიდებლად ქმნიდა თავის პროვანსულ პოეზიას, კურტუაზიულ სიყვარულს. დრონკე შენიშნავს, რომ კურტუაზიული სიყვარული ამ ეპიკური პოემის ძირითად კონსტრუქციულ ღერძს წარმოადგენს (39). იგივეს მიუთითებს მორის ბაურა თავის ნაშრომში „შთაგონება და პოეზია“, როდესაც წერს, რომ სიყვარული ამ პოემაში განსაზღვრავს როგორც მის სტრუქტურას, ასევე გარეგან სახესაც და ეს მით უფრო შესამჩნევია, როდესაც ვიგონებთ რა დიდ ყურადღებას უთმობენ მიჯნურობას XII საუკუნის ფრანგი პოეტები და კიდევ უფრო მეტს სპარსი ნიზამი. თუმცა ტრისტანისა და იზოლდას, ლანსელოტის, გინივერის, ართურის და სხვათა თხზულებები არა მარტო რაინდულსა და ხორციელ, არამედ ტრაგიკულ სიყვარულსაც აღწერენ, ისინი არ ქმნიან მთელ იმ წარმოსახვით სამყაროს, სადაც მიჯნურობა მთავარი მოტივი იქნებოდა. სიყვარული ამ პოემებში, ამბობს ბაურა განსაკუთრებულია, საოცარია, პატივის ღირსია, მაგრამ ცხოვრების მთლიან სისტემას არ წარმოადგენს. მკვლევარი პარალელს ავლებს დანტეს თხზულებასთან და თვლის, რომ თუმცა რუსთველის სამყარო უფრო შემოზღუდულია ვიდრე დანტესი, „ვეფხისტყაოსანი“ მეტადაა დაუნჯებული სიყვარულის თემით. რუსთველურ მიჯნურობაზე დრონკე წერს, რომ პოეტი ადამიანური სიყვარულის ღრმა გააზრებას იძლევა და გვიხატავს, როგორი უნდა იყოს შეყვარებული, რომ ამ დიადი გრძნობისაკენ წარემართოს, როგორი უნდა იყოს იგი სატრფოს მიმართ, რომელიც სიყვარულის ფასეულობისა და მნიშვნელობის განსახიერებაა. მიჯნურის პიროვნული თვისებების რუსთველისეული გააზრება (მიჯნურს მართებს „სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა“, „ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში“; მიჯნურს არ უნდა აჩნდეს ჯირი, მიჯნურს საყვარლის შიში და

კრძალვა უნდა ჰქონდეს) შენიშნული აქვს მორის ბაურასაც და მიაჩნია, რომ სიყვარულის ასეთი მოძღვრება თითქმის ეხმიანება დანტეს, მაგრამ რუსთველი კიდევ უფრო შორს მიდის (27). ამაზე რუსთველს საკუთარი კურტუაზიული კონცეფცია აქვს, აგრძელებს დრონკე, პოეტი იზიარებს თვალსაზრისს, რომელიც შეიძლება იტალიური ფრაზით — „სიყვარულო, შენ, რომელიც მზესა და სხვა მნათობებს ამოძრავებ", გამოიხატოს. პიტერ დრონკე დასძენს, რომ რუსთველური სიყვარული რაღაც სიდიადეზე დამაფიქრებელი ძალაა (39). სწორედ ამასვე მიუთითებს ოლივერ უორდროპი, როდესაც წერს, რომ მიჯნურობა პოემის გმირებისა აღწერილია უბრწყინვალესი ზეციური ნათლით (23). დევიდ ლენგი კი აღნიშნავს, რომ რუსთველის ღმერთი ეს რაღაც უმაღლესი ძალაა და ნიშანდობლივია, რომ პოეტი არსად არ იყენებს ქრისტიანული რელიგიის პირობით სიმბოლოებს, არსად არაა მოხსენიებული წმინდა სამება. რუსთველი განგვიმარტავს მის მიერ გაიდეალებული სიყვარულის მრწამსს, უმღერის ამ კეთილშობილ, ხალას გრძნობას, რომელიც ძველ დროში ხშირად ყოფილა რაინდთა სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების სტიმული და რომელსაც ასე თავდავიწყებით უგალობდნენ ტრუბადურები თავის სევდანარევ და ტკბილ სიმღერებში (29).

ინგლისელ მკვლევრებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ფატმანი. მორის ბაურა შენიშნავს, რომ რუსთველი აშკარად დასცინის ფატმანს. მაგრამ არც მას და არც ავთანდილს იგი არ სჯის, ისევე როგორც ჰომეროსი არ ამტყუნებს ოდისევსს, როდესაც ის მისდაუნებურად კირკეს და კალიფსოს სარეცელზე აღმოჩნდება. რუსთველს შეეძლო გაემართლებინა ავთანდილი იმიტომ, რომ ფატმანმა მას ნესტანის კვალს მიაგნებინა. ეს ეპიზოდი სილაღითაა გამსჭვალული და იდეალური სიყვარულის ფონზე სატირად გამოიყურება. მიუხედავად ამისა, ეს პასაჟი მაინც არ არის თხრობის ჩარჩოებისათვის შეუთავსებელი — აგრძელებს ბაურა, ის ახალისებს თხრობას, თუმცა სიყვარულის შეღარებით დაბალ დონეს ასახავს (27). ფატმანისა და ავთანდილის ეპიზოდს მსუბუქი იუმორით სავსე ცხოვრებისეულობას უწოდებს დევიდ ლენგი და აღნიშნავს, რომ ასეთი სიტუაციები ხშირად გვხვდება შექსპირთანაც (29). ფატმანისა და ავთანდილის მიჯნურობას არასასიამოვნოდ მიიჩნევს ოლივერ უორდროპი, როდესაც საუ-

ბრობს „სამ არასასიამოვნო შემთხვევაზე“ პოემაში (ავთანდილისაგან ჯაშნაგირის მოკვლა, მისგან ფატმანის გამიჯნურება და ტარიელისაგან ხვარაზმშას ძის მოკვლა). საინტერესოა ისიც, რომ ოლივერ უორდროპი ტარიელის მრისხანებასა და მის მიერ როსტევანის ყმათა და ხატაელთა გაჟლეტას მისი სიშმაგით ამართლებს და პარალელს ავლებს ჰამლეტთან, რომელსაც მამის სიკვდილის დარდმა, ტახტისა და სატრფოს დაკარგვამ გონება წაართვა, გააგიჟა და ერთხანად კაცის მკვლელიც გახადა, მაგრამ ამ დროებითმა გონების არევამ გაუარა თუ არა, კვლავ დაუბრუნდა ბუნებრივი სიდინჯე (23). განიხილავენ რა შეპირისპირებით ასპექტში სიყვარულის საკითხს პოემაში, ინგლისელი მეცნიერები მკაფიოდ გამოთქვამენ აზრს, რომ სიყვარულის რუსთველისეული გაგება განსაკუთრებულ ადგილს იკავებს შუასაუკუნეების აზროვნებაში; რუსთველის მიჯნურს თავისი თვისებებითა და შეხედულებებით უმაღლეს ადგილს მიუჩენენ ყველა დროის ლიტერატურაში. აქ კვლავ ოლივერ უორდროპის სიტყვებს მოვიშველიებთ — რუსთველისებური მიჯნური ბევრით წააგავს ოვიდიუსისებურ შეყვარებულს, თუმცა ამ უკანასკნელს შედარებით ნაკლებად ახასიათებს ის სიწმინდე და სისუფთავე, რაც რუსთველის მიჯნურს მოეპოვება (23).

მეგობრობის თემა „ვეფხისტყაოსანში“. ინგლისურ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში განხილულია ასევე მეგობრობის თემა. ამ საკითხზე მსჯელობისას მორის ბაურა იგონებს მეგობართა და ერთმანეთისათვის თავდადებულ გმირთა წყვილებს, როგორებიცაა აქილევსი და პატროკლოსი, გილგამეში და ენქიდუ, როლანდი და ოლივერი. მას მიაჩნია, რომ ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობა გილგამეშისა და ენქიდუს მსგავსად, მართალია შერკინებით არ იწყება, მაგრამ რაღაც ამის მაგვარია ტარიელის უეცარი გამოჩენა და ავთანდილის პატრონის, როსტევან მეფის მონების დახოცვა. ავთანდილის გამგზავრებას ტარიელის საძებრად მორის ბაურა სახიფათო საქმედ მიიჩნევს, ვინაიდან ავთანდილმა არ იცის ტარიელი როგორ მიიღებს მას. მათ შორის თავიდანვე დამყარებულ მეგობრობას ვერაფერი არყევს. მათი ძმადნაფიცობა უფრო მტკიცდება. ავთანდილ-

საც ტარიელივით მთელი გულით სწადია ნესტანის პოვნა, ამბობს მკვლევარი. მათ მეგობრობას რომანტიკული თავდადების ბრძოლის ელემენტით შეფერილს უწოდებს ბაურა და თვლის, რომ ტარიელი და ავთანდილი ისევე ერთგულობენ ერთმანეთს, როგორც ორივენი ერთად ნესტანსა და თინათინს. მორის ბაურა იმასაც აღნიშნავს, რომ რუსთველის სამყაროში თვით ქვეშევრდომებსაც და მსახურთაც კი თავდავიწყებული ერთგულების უნარი შესწევთ. ასეთია ასმათის მიმართება ნესტანისა და ვეღარ გაჭრილი ტარიელისადმი. ფატმანი მას შემდეგაც ეხმარება ავთანდილს, როდესაც შეიტყობს, რომ ავთანდილს იგი აღარ უყვარს. პოემა გულმხურვალე ერთგულებისა და თავდადების საფუძველზეა აგებული, დასძენს მორის ბაურა (27).

ავთანდილისა და ტარიელის მეგობრობის გარდა, ტარიელისა და ასმათის მეგობრობას ეხება ოლივერ უორდროპი და თვლის, რომ მათი ურთიერთობა უმაღლესი კულტურის დამამტკიცებელია (23).

სუფიზმის კვალი „ვეფხისტყაოსანში“. ჩვენ ზემოთ შევეხეთ სხვადასხვა ავტორის მოსაზრებებს „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკის ირგვლივ. შევეხეთ ქეთრინ ვივიენის ნააზრევსაც, პოემის არაერთ საკითხზე. ახლა გვინდა ყურადღება შევაჩეროთ მის ნაშრომზე, რომელიც ჯერჯერობით არ გამხდარა მსჯელობის საგანი ქართულ რუსთველოლოგიაში. აქ იგი მოკლედ ეხება პოემის შინაარსს, პერსონაჟებს, თემატიკას, მიჯნურის ეტიმოლოგიას... ძირითად მიზანს კი წარმოადგენს სუფიზმის კვალის ძიება „ვეფხისტყაოსანში“ (40). ტერმინში „სუფისტური აზროვნება“ ავტორი ფართო მნიშვნელობას დებს და მასში მოიაზრებს საზოგადოდ აღმოსავლურ ცივილიზაციას. იგი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ქართული კულტურა ოდითგანვე იდგა ორი დიდი სამყაროს — დასავლურისა და აღმოსავლურის მიჯნაზე (ძირითადად ერთი მხრივ ბურძნულ-რომაული, ხოლო მეორე მხრივ სპარსული) და აქედან გამომდინარე, ორმაგი ორიენტაცია გააჩნდა. ამ თეზის სისწორე, ქეთრინ ვივიენის აზრით, უპირველესად „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე მტკიცდება. ავტორი ითვალისიწნებს გ. იმედაშვილის თვალსაზრისს, რომ პოემა

უფრო დასავლური შთაგონებით არის გამსჭვალული, ვიდრე აღმოსავლურით, მაგრამ არ იზიარებს მას, ვინაიდან თვითონ ბევრ საერთო ნიშანს ხედავს დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებს შორის, ხოლო განსხვავებას არც ისე ღრმად მიიჩნევს, როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრის აზრით, პოემას ფესვები თავისი სამშობლოს ისტორიასა და ტრადიციაში აქვს გადგმული, იგი მას შუასაუკუნეების ლიტერატურულ სივრცეში განიხილავს. შუასაუკუნეების ლიტერატურას კი მოიაზრებს, როგორც საერთოკულტურულ ფენომენს იმ გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით, რომლის ნიადაგზეც აღმოცენდა ესა თუ ის ძეგლი. ინგლისელი ავტორი შენიშნავს მსგავსებას იმ გავლენებს შორის, რომელიც მოახდინა მეფე ართურის ციკლის ნაწარმოებებმა ინგლისში და რუსთველის პოემამ — საქართველოში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო ადრინდელ ნაშრომშიც ეძიებდა მეცნიერი „ვეფხისტყაოსნის“ პარალელებს შუასაუკუნეების დასავლეთევროპულ რაინდულ რომანთან, კერძოდ, უოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალთან“ და აღმოსავლური კულტურის ისეთ თვალსაჩინო ძეგლებთან, როგორებიცაა ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, ნიზამი განჯევის „ლეილ-მაჯნუნიანი“, ძველი ინდური ეპოსი „რამაიანა“. ამ ნაშრომში იგი უფრო განავრცობს ამ თემას. ქეთრინ ვივიენი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსანსა“ და „პარციფალს“ ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს უპირველესად საზოგადოებრივი ცხოვრების ერთიანი საფუძველი — ფეოდალური სამყარო თავისი მორალით, ზნე-ჩვეულებებითა და ცხოვრების წესით. ორივე ნაწარმოები ემყარება რაინდული ეთიკის ძირითად პრინციპებს — კეთილშობილებას, კაცთმოყვარეობასა და გმირთა საბრძოლო შემართებას. ორივე პოემის პირველ ნაწილში გმირებს (ტარიელსა და პარსევალს) ბედი სწყალობთ, შემდეგ კი გასაჭირში ვარდებიან. აქ ქეთრინ ვივიენს შენიშნული აქვს, რომ გაჭირვებაში მყოფი ორივე ნაწარმოების გმირები ჩუმდებიან მაშინ, როცა ხმის ამოღება შესაძლოა უკეთესი იყოს. მკვლევარი ამოდის **დუმილის** რუსთველისეული

გააზრებიდან — „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ და აღნიშნავს, რომ გრაალის ხილვით განცვიფრებული პარსევალი დუმს მაშინ, როცა უმჯობესია გამოიკითხოს, როგორ შეიძლება გრაალის თასის გამოყენება. თავზარდაცემული ტარიელიც დუმილს ამჯობინებს და არაფერს ამბობს მაშინ, როცა ნესტან-დარეჯანს გათხოვებას უპირებენ სპარსეთის ტახტის მემკვიდრეზე. ორივე ახალგაზრდა კაცი დაემორჩილა ბრძანებას, ამბობს მკვლევარი და ამას ხსნის პარსევალის აღზრდისა და ტარიელის სასიყვარულო კოდექსიდან გამომდინარე. მეცნიერის აზრით, ეს დუმილი ორივე შემთხვევაში ცოდვის რანგშია აყვანილი. ტარიელმა და პარსევალმა უნდა გამოისყიდონ ამ დუმილით გამოწვეული დანაშაული, ვიდრე თავიანთ საწადელს მიაღწევენ. აქ გვინდა შევნიშნოთ, რომ დანაშაულის, დასჯისა და მონანიების შესახებ „ვეფხისტყაოსანში“, არაერთ მეცნიერს აქვს მითითებული. პ. ბერკოვმა ერთგვარი პარალელი გაავლო „ვეფხისტყაოსანსა“ და დოსტოევსკის „დანაშაულსა და სასჯელს“ შორის. იგი ამტკიცებდა, რომ პოემის პირველი ნაწილი არის — ტარიელისა და ნესტანის უნებლიე დანაშაულის ისტორია, მეორე ნაწილი — პირველისაგან აუცილებლობით გამომდინარე მათი დასჯის ისტორია. მესამე ნაწილი კი არის ტარიელის შემობრუნება ახალი ცხოვრებისაკენ და ნესტან-დარეჯანის ტყვეობიდან გამოხსნა (41, 77). ამის დასასაბუთებლად პ. ბერკოვი მიიჩნევდა, რომ ნესტან-დარეჯანმა შეიგნო დანაშაულის სიმძიმე, იგი ამხილა სინდისმა, რის გამოც თავისი ნებით წავიდა ქაჯეთში (41, 72). ალექსანდრე ბარამიძემ დაასაბუთა, რომ პოემის ტექსტი არ გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ ნესტანის მიერ დანაშაულის შეგნებაზე და ამდენად, არც პოემის ბერკოვისეული კომპოზიციური გააზრება შეიძლება იყოს მართებული (42).* „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევრებს უმეტესად საუბარი აქვთ ხვარაზმშაჰის ძის მკვლელობით გამოწვეულ დანაშაულზე, ხოლო ქეთრინ ვივიენმა ახლებურად გადაიაზრა ტარიელის დანაშაული. მან რუსთველისეული გაგებიდან გამომ-

---

* ნესტანისა და ტარიელის „დანაშაულისა და სასჯელის“ ირგვლივ მოსაზრებები გამოთქმული აქვთ იოანე სურგულაძეს (43, 101), კალისტრატე ცინცაძეს (44, 242—247).

დინარე, დანაშულად შეაფასა დუმილი და ამ მოტივს პარალელი დაუძებნა „პარციფალთან“.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მკვლევარს მოაქვს მთელი რიგი შეხების წერტილებისა, რითაც რუსთველის პოემა შეიძლება დაუკავშირდეს აღმოსავლური მწერლობის ძეგლებს. მსგავსი მახასიათებლებია — ვეფხვის ტყავი, ერთგული მსახური ქალი, ვაჭრის ტანსაცმელში გადაცმული რაინდი („შაჰნამე“). მსგავსება-განსხვავებანი ქეთრინ ვივიენს შენიშნული აქვს ნიზამისა და რუსთველს შორის. მათ ნაწარმოებებში საერთო მომენტი, ავტორის აზრით, უპირველეს ყოვლისა არის სატრფოს დანახვისას ცნობიერების დაკარგვა. ამ ინციდენტით მკვლევარი „ვეფხისტყაოსანსა“ და „ლეილ-მაჯნუნიანს“ სპარსულ „ვისრამიანსაც“ უკავშირებს.

მეტრისა და რითმის, პოეტური წარმოსახვის, ამბავთა აღწერის თვალსაზრისით მკვლევარი სიახლოვეს ნახულობს „რამაიანას“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის. ამასთანავე, მსგავს მომენტებზეც ამახვილებს ყურადღებას — სატრფოს დატყვევება ეშმაკთაგან, სამი მეგობრის მიერ მზეთუნახავის ტყვეობიდან გამოხსნა, მეგობრის დახმარება და ამ დახმარების საპასუხოდ გაწეული სამსახური და სხვა. ვივიენი წერს, რომ მოარული სიუჟეტების არსებობის მიუხედავად, არანაირი მინიშნება არ არსებობს იმის შესახებ, რომ რუსთველი იცნობდა რამას ამბავს. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს მსგავსებანი შესაძლოა გამოწვეული იყოს ნაწარმოებთა ავტორების მიერ ცხოვრების კანონზომიერებათა ერთნაირი გაგებით. საქართველოში ოდითგანვე განვითარებული იყო მთარგმნელობითი ხელოვნება, აღნიშნავს ქ. ვივიენი, ნათარგმნი იყო „შაჰნამე“, „ვისრამიანი“... მეცნიერის აზრით, რუსთველი უეჭველად იცნობდა იმ პერიოდის სატრფიალო პოეზიას და საზოგადოდ, ღრმად იყო გარკვეული თავის თანადროულ ლიტერატურულ-ფილოსოფიურ პროცესში. ქართველები ბევრს თარგმნიდნენ არაბულიდანაც, განაგრძობს ავტორი, და ჩერდება რუსთველური სიყვარულის ერთ-ერთ ელემენტზე — **სიყმეზე,** რაც პროვანსულ **Jovens** შეესაბამება. რუსთველისა და პროვანსელი ტრუბადურების შეხედულებათა მიმართებების შესწავლისას იგი ეყრდნობა და იზიარებს ს. სერებრიაკოვის თვალსაზრისს, რომ ამ სიტყვების რუსთველური და

პროვანსული გაგება მომდინარეობს არაბულიდან **futuwwa**, რომლის მნიშვნელობაც ახალგაზრდა მამაკაცში ყველა კეთილშობილურ თვისებას აერთიანებს. ა. დენომის მიხედვით, წერს ქ. ვივიენი, ეს სუფისტური კონცეფციაა, რომელიც არაბეთში ისლამის აღმოცენებასთან ერთად წარმოიშვა. ცხადია, ტრუბადურებისა და მინეზინგერების პოეზია, რომლებმაც დასავლეთ ევროპაში ცირკულირება XIII საუკუნის დამდეგიდან დაიწყეს, შეიძლება დავაკავშიროთ არაბულ წყაროებთან მუსლიმანურ ესპანეთში, დასძენს ავტორი.

საქართველოსათვის მთელი მისი ისტორიის მანძილზე უცხო არ ყოფილა არც დასავლური და არც აღმოსავლური აზროვნება. აზროვნების არსებითი ნაკადი მძლავრად იჯრებოდა მის ტერიტორიაზე დედამიწის სხვადასხვა მხრიდან. ეს პროცესი მაშინაც გრძელდებოდა, როცა სუფისტური აზროვნება ფართოდ იყო გავრცელებული როგორც ევროპაში, ასევე დასავლეთ და ცენტრალურ აზიაში, წერს ქეთრინ ვივიენი.

მკვლევრის ეს ნაშრომი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მას ახალი ნოტი შეაქვს ინგლისურ რუსთველოლოგიაში. საყურადღებოა მითითება „ვეფხისტყაოსნისა“ და „რამაიანას“ სიუჟეტურ პარალელებზე, რის თაობაზეც ერთგვარი მინიშნება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეც არსებობდა (იხ. მაგალითად, გ. წერეთელი (45, 396—398). ს. იორდანიშვილი (46, XIV) და სხვა).

ქეთრინ ვივიენი კვლევის უახლეს დონეზე მოიაზრებს შუასაუკუნეების ლიტერატურულ პროცესს და იძლევა პოემის გარკვეული მომენტების თავისებურ შეფასებას. კერძოდ, თანახმად ქ. ვივიენისა, **დუმილი** ჩვენი აზრით რუსთველის მიერ მართლაც არის შხატვრულად აქცენტირებული. მაგრამ მისი ვივიენისეული ინტერპრეტაცია — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟის დუმილის დანაშაულად მიჩნევა მეცნიერის ორიგინალური შეხედულებაა, რომლის შეფასება საგანგებო კვლევა-ძიებას მოითხოვს. ვფიქრობთ, რუსთველოლოგთა ყურადღების საგნად შეიძლება იქცეს აგრეთვე ქ. ვივიენის თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ მის მიერ შენიშნული სიუჟეტური პარალელები „რამაიანასა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის შესაძლოა აიხსნას ორივე პოეტის მიერ „ცხოვრების კანონზომიერებათა ერთნაირი გაგებით“. ხომ

არ იქნება უმჯობესი აქცენტის გადატანა იმაზე, რომ „ვეფხისტყაოსანს“, როგორც მოსალოდნელია, აქვს სიუჟეტური მიმართებები აღმოსავლური ეპიკის ტრადიციაში დამკვიდრებულ ცალკეულ მოტივებსა და თემატურ რკალებთან.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის თანამედროვე ინტერპრეტირება. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის თანამედროვე ინტერპრეტირებას წარმოადგენს დევიდ ბარეტის ნაშრომი — „ვეფხისტყაოსანი: პროლოგის გაგების ცდა“, რომელიც მან ლონდონის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკისა და აფრიკათმცოდნეობის ინსტიტუტში წაიკითხა 1990 წელს ქართველოლოგის დღეზე. ეს არის გამოუქვეყნებელი და ჯერჯერობით შეუსწავლელი მასალა, რომელიც ამჟამად თსუ ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის არქივში ინახება (47). ჩვენ შევეცადეთ ამ ნაშრომის დამუშავებას. ავტორს მოძიებული აქვს პოემის პროლოგის შესახებ არსებული გამოკვლევები, მიმოიხილავს მისი ტექსტის ისტორიას და ცდილობს ახსნას, რატომ განსხვავდება სტროფთა თანმიმდევრობა სხვადასხვა გამოცემაში. დ. ბარეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მარჯორი უორდროპის ინგლისური თარგმანი ემყარება დ. კარიჭაშვილის გამოცემას. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დაფუძნებულია ვახტანგ მეექვსის 1712 წლის გამოცემაზე. აქ მე-8 — 22-ე სტროფები იმის მაგივრად, რომ მე-7 სტროფის შემდეგ გრძელდებოდეს, როგორც ეს თანამედროვე გამოცემებშია, განლაგებულია 29-ე და 30-ე სტროფებს შორის, რაც ამჟამად უარყოფილია. მკვლევარი მიიჩნევს, რომ სტროფთა ამგვარი განლაგება შეიძლება აიხსნას გადამწერის მიერ ხელნაწერის პირველ გვერდთა გადანაცვლებით. დ. ბარეტი სამართლიანად თვლის, რომ პროლოგში სტროფების თანმიმდევრობისა და შედგენილობის თვალსაზრისით განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება მ. წერეთლისა და პ. ინგოროყვას გამოცემები. ავტორი საგანგებოდ განიხილავს პავლე ინგოროყვას, მიხეილ წერეთლისა და ნიკო მარის თვალსაზრისებს პროლოგის ოთხტაეპთა განლაგებასთან დაკავშირებით. პ. ინგოროყვამ დაბეჭდა პროლოგი როგორც სამი განცალკევებული ჯგუფი

ხუთ-ხუთი ოთხტაეპისა (ე. წ. ხუთეულები) და უარყო სხვა დანარჩენი სტროფები, როგორც მოგვიანო ხანის დამატებანი ან პოლემიკური კომენტარები. ხუთეულთა სამი ჯგუფიდან მეცნიერი რუსთველს მიაწერდა მხოლოდ პირველსა (1, მე-2, მე-4, მე-10, მე-19 სტროფები) და მეორეს (სტროფები შაირობაზე — მე-12—14 და მე-16—17). მესამე ხუთეულს (მე-11, 24-ე, 27-ე, 26-ე, 23-ე, სტროფები) კი აკუთვნებდა რუსთველის სკოლის უცნობ პოეტებს.

მიხეილ წერეთელმა თავის გერმანულ თარგმანში დაბეჭდა პროლოგის მხოლოდ ხუთი ოთხტაეპი (1, მე-8, მე-9, მე-18, მე-19) ინგოროყვასაგან განსხვავებული შერჩევით. ხშირად ერთი გამომცემლის მიერ უარყოფილი სტროფი შეჰქონდათ სხვა გამოცემაში, ვინაიდან მნიშვნელოვნად მიიჩნეოდა, წერს ბარეტი.

დ. ბარეტი თვლის, რომ ნიკო მარისეული განლაგება, რომელიც მარჯორი უორდროპის თარგმანის დანართშია შეტანილი, ძალზე უჩვეულოა და არ ითვალისწინებს ტექსტუალურ-ისტორიულ ალბათობებს.

ამგვარი წიაღსვლის შემდეგ მკვლევარი განიხილავს პროლოგის ე. წ. „საყოველთაოდ მიღებულ“ ვარიანტს, როგორი სახითაც იბეჭდება იგი თანამედროვე გამოცემათა უმეტესობაში და იქიდან გამოყოფს შემდეგ განსაკუთრებულ მონაკვეთებს:

ა) ხუთი ოთხტაეპი, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდა პოეტის ფორმალურ მიძღვნას მეფე-პატრონებისადმი (1—5 სტრ.).

ბ) ხუთი ოთხტაეპი, რომელშიც პოეტი ასახელებს ამბის მთავარ გმირს (6, 7 სტრ.), აცხადებს თავის ვინაობას — რუსთველი (7, 8 სტრ.) და ამბობს, რომ ისიც, თავისი გმირის მსგავსად, შეყვარებულია (ხელი, **მიჯნური**), გახელებულია მისდამი სიყვარულით, „ვის ჰმორჩილებს ჯარი სპათა“.

გ) მონაკვეთი პოეზიაზე (შაირობა), სადაც წარმოჩენილია ჯეშმარიტი პოეტისათვის დამახასიათებელი თვისებები (**მოშაირე**) (მე-12—17 სტრ.).

დ) შემდგომი ოთხტაეპები წარმოგვიდგენს პოეტს როგორც მიჯნურს (მე-11, მე-18, მე-19 სტრ.).

ე) ოთხტაეპთა წყება, რომელიც ეხება სიყვარულის ბუნებას

(მიჯნურობა) და შეყვარებულის მოვალეობებს (მე-20—31-ე სტრ.).

დევიდ ბარეტს მიაჩნია, რომ თუ გვერდით გადავდებთ ავტორობის პრობლემას ცალკეულ ოთხტაეპებთან დაკავშირებით, დავინახავთ, რომ პროლოგი მთლიანობაში დაწერილია ერთგვარი თავდაცვითი ტონით, რომელშიც ფარულად არის გამოხატული წყენა თუ უკმაყოფილება. თითქოსდა პოეტს დაავალეს ტრადიციული ოდის შექმნა, ხოლო მან კი ოდის ნაცვლად დაწერა გრძელი ნარატიული პოემა და ცდილობს თავი დაიცვას ორგვარი ბრალდებისაგან — 1. პოემა ძალზე გრძელი რომ გამოუვიდა და 2. ამ პოემას საერთო რომ არაფერი აქვს თამარ მეფესთან, რომელიც არც კი უხსენებია თავის ნაწარმოებში. პოეტი პასუხობს — 1. ყველას ძალუძს მოკლე პოემის დაწერა და მეც დავწერე ჩემი ქებანი, მაგრამ ვერვინ უწოდებს თავის თავს ნამდვილ პოეტს, თუ არ ექნა გამძლეობა გრძელი პოემის შესაქმნელად. 2. შეყვარებულმა არ უნდა ახსენოს თავისი სატრფოს სახელი. იგი მხოლოდ ერთს უნდა „აშიკობდეს". ამასთანავე ნათელი უნდა იყოს, პოეტის განცხადება — „მას ვაქებ, ვინცა მიქია".

მკვლევრის აზრით, პროლოგში წარმოდგენილი სიყვარულის დოქტრინა უკიდურესად ასკეტურია და თითქმის უნიკალურია თავისი სიმკაცრით. მსგავსი დოქტრინა ჯერ არ ყოფილა მიკვლეული აღმოსავლურ თუ დასავლურ ლიტერატურულ ან ფილოსოფიურ წყაროებში. დ. ბარეტი სვამს კითხვას, თუ რამდენად ახისახა ეს დოქტრინა საკუთრივ პოემაში. იგი თვლის, რომ დოქტრინა საღი აზრისა და პრაქტიკული მოქმედებისა, რომელიც არეკლილია ავთანდილის ხასიათში (და რომელიც შეიძლება თვით პოეტის თვალსაზრისს გამოხატავდეს), პოემაში დაპირისპირებულია პრინციპებისადმი აბსოლუტურ მორჩილებასთან, რის მაგალითსაც წარმოადგენს ტარიელის ქცევა. ტარიელის ცხოვრებაში ყველა წარუმატებლობა პრინციპებისადმი უკიდურესი მორჩილების შედეგია, ხოლო ავთანდილის ყველა წარმატება მის მიერ ამ პრინციპთა დარღვევის შედეგად არის მიღწეული.

მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ასეთივე კონტრასტია ორ გმირ ქალს შორის. ამაყი და ვნებიანი აღმოსავლელი ქალი — ნესტანი, თინათინის საპირისპირო პერსონაჟია. თინათინი ჯეშმარიტი დედოფლის ტიპია — მოწყალე, მომთმენი, გამგები

ცვი ავთანდილის სიყვარულს ეპყრობა არა იმგვარად, თითქოს მას ჰქონდეს უფლება ამ გრძნობის მოთხოვნისა, არამედ როგორც ფაქიზ მცენარეს, რომელიც თინათინს ავთანდილის გულში დაურგავს და რომელსაც მოთმინებით უნდა ელოლიავოს და უცადოს, ვინაიდან ის ნელა უახლოვდება სიმწიფეს.

დევიდ ბარეტი დასძენს, რომ პროლოგი არ ეხება პოემის სხვა ასევე სერიოზულ თემას — მამაკაცთა მეგობრობას.

დევიდ ბარეტის რუსთველოლოგიურ ნააზრევში მნიშვნელოვანია ის, რომ იგი სწორ ახსნას აძლევს ტრადიციულ გამოცემებში შეტანილ პოემის პროლოგის შედგენილობას, რითაც იგი ეწინააღმდეგება პ. ინგოროყვასა და მ. წერეთლის ცდას პროლოგში ე. წ. ხუთეულების გამოვლენის თაობაზე. ამასთანავე მკვლევარს სწორად აქვს მიგნებული პროლოგში დასმული პრობლემათა რიგი, რაზეც პოეტს შესავალშივე უნდა გამოეთქვა თავისი აზრი.

ასევე მნიშვნელოვანი და სრულიად ახლებურია დ. ბარეტის მოსაზრება, რომ პროლოგში ავტორი ერთგვარ თავდაცვით პოზიციას იჭერს და თითქოს ეკამათება გარკვეულ თვალსაზრისს, რაღაც საზოგადოებრივ პოზიციებს. მას შენიშნული აქვს პოეტის თავდაცვითი ტონი, რაც პროლოგში მართლაც გამოსჭვივის. ჩვენი აზრით, ეს მართლაც საგულისხმო მომენტია, რაზეც დღემდე არ ყოფილა ყურადღება გამახვილებული რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში.

ძალზე საყურადღებოა დევიდ ბარეტის მიერ მოცემული „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულის დოქტრინის შეფასება. იგი თვლის, რომ ეს არის უნიკალური და ამავე დროს ასკეტური კონცეფცია, რომელსაც არ მოეძებნება ლიტერატურული თუ ფილოსოფიური ანალოგიები არც აღმოსავლურ და არც დასავლურ მწერლობაში. ეს აზრი გარკვეულად ეხმიანება იმ თვალსაზრისს, რომელიც გამოთქმულია რუსთველოლოგიაში „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სიყვარულის შეფასებასთან დაკავშირებით ამ ბოლო დროს და ეწინააღმდეგება ზოგიერთი რუსთველოლოგის მოსაზრებას, რომლებიც პროლოგში ჩამოყალიბებულ სიყვარულის კონცეფციაში ხედავენ უბრალოდ საღმრთო და ამქვეყნიურ სიყვარულს და ამ უკანასკნელს გაიაზრებენ საღმრთო სიყვარუ-

ლის ალეგორიად, რაც საზოგადოდ, გავრცელებული შეხედულებაა საქრისტიანო ეგზეგეტიკურ მწერლობაში.

და ბოლოს, ასევე მნიშვნელოვანია დევიდ ბარეტის თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ გმირების — ავთანდილისა და ტარიელის ხასიათებში შენიშნული სხვადასხვაობის შესახებ. კერძოდ, მკვლევარი ხედავს ტარიელის მოქმედებასა და ხასიათში დამკვიდრებული პრინციპებისადმი გარკვეულ მორჩილებას, ხოლო ავთანდილის ქცევაში კი პირიქით — საღი აზრის პრაქტიკულ მოქმედებას. ამ თვალსაზრისთან შეიძლება ერთგვარი პარალელი გაიველოს რუსთველოლოგიაში უკანასკნელ ხანს ჩამოყალიბებულ მოსაზრებასთან იმის შესახებ, რომ ტარიელი არის ერთგვარად ტრადიციული გმირი, ტრადიციული მიჯნური, ხოლო ავთანდილი — ნოვატორული (48).

რუსთველის გარშემო. ზემოთ განხილული საკითხების გარდა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისელი მკვლევრები ეხებიან პოემის შინაარსს (უ. მორფილი, ო. უორდროპი, დ. ლენგი), ლექსთწყობას (უ. მორფილი, ო. უორდროპი, რ. სტივენსონი, დ. ლენგი), ქალისა და მამაკაცის თანასწორობას (ო. უორდროპი, მ. ბაურა), ცალკეულ გმირთა სახეებს (ო. უორდროპი, რ. სტივენსონი), პატრიოტიზმს (მ. ბაურა), სიმბოლიკის საკითხს (რ. სტივენსონი, მ. ბაურა), რუსთველის ბიოგრაფიას (უ. მორფილი, ო. უორდროპი, უ. ალენი, ს. შიმანსკი), ხელნაწერებსა და გამოცემებს (უ. მორფილი, ო. უორდროპი, დ. ლენგი) და სხვ. სტეფან შიმანსკიმ გამოაქვეყნა ნარკვევი „ქართველი შექსპირის — შოთა რუსთველის“ შესახებ, სადაც ავტორი ცდილობს შეავსოს პოეტის ბიოგრაფია, წარმოაჩინოს ნაწარმოების გენიალობა. იგი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სწორუპოვარია როგორც ფილოსოფიური თვალსაზრისით, ისე აზრთა გადმოცემის სილამაზით, მასში შეხამებულია რომანტიზმი და რეალიზმი, ზომიერად არის გამოყენებული სიმბოლიკა (49).

გვინდა ყურადღება შევაჩეროთ რუსთველის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილებზე ინგლისსა და საქართველოში.

„ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან 750 წელი აღინიშნა 1937 წელს, ხოლო შოთა რუსთველის დაბადებიდან 800 წელი 1966 წელს. 1937 წელს ჟურნალმა „გეორგიკამ“ ისარგებლა რუსულ პრესაში გამოქვეყნებული მასალით. კერძოდ, ინგლისურმა ჟურნალმა გამოაქვეყნა გაზეთ „იზვესტიაში“ (1937 წ. № 66) დაბეჭდილი ი. ჯავახიშვილისა და გ. ლეონიძის წერილთა თარგმანები (50). ჟურნალის ამავე ნომერში დაიბეჭდა გიორგი გვაზავას წერილი, რომელშიც მიმოხილულია პოემის შინაარსობრივი მხარე, მისი ეროვნული ხასიათი, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა, დახასიათებულია პოემის გმირები. ავტორი ცდილობს განსხვავებების მოძებნას ტარიელსა და ჰამლეტს შორის, ნესტანსა და ანტიგონეს ან ბეატრიჩეს შორის და ამით უფრო ნათლად წარმოაჩენს რუსთველის გმირების ხასიათს (51, 3—9).

„ვეფხისტყაოსნის“ ვენერა ურუშაძისეული თარგმანის რედაქტორი ქევინ ქროსლი-ჰოლანდი მისი და მთარგმნელის ერთობლივი მუშაობის შესახებ 1966 წელს წერდა, რომ ისინი ცდილობდნენ გადმოეცათ არა მარტო აზრი და შინაარსი პოემისა, არამედ მისი სული და ეგზოტიკა, ეჩვენებინათ რამდენად აირეკლა პოემაში ისტორიული სინამდვილე (52). ქ. ქროსლი-ჰოლანდისა (53) და დ. მ. ლენგის (54) საგაზეთო წერილებში გამოთქმულია სურვილი, რომ ვ. ურუშაძის თარგმანი ლონდონშიც დაიბეჭდოს. დ. ლენგი ცდილობს ახსნას რუსთველის პოპულარობის მიზეზი და გასაგები გახადოს ეს ინგლისელთათვის (55). არაერთი აღფრთოვანებული წერილი მიუძღვნა შოთა რუსთველსა და მის პოემას ჯეიმს ოლდრიჯმა (56).

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ეპიზოდი ინგლისელმა პოეტმა ალან სილიტოუმ თავის პოეტურ ქურაში გადაამუშავა და 1969 წელს დაწერა ლექსი „ვეფხისტყაოსანი“. მასში თავისებურად არის გააზრებული ტარიელის ბრძოლა ლომ-ვეფხვებთან. ამ ლექსით ტარიელის სახე XX საუკუნის ინგლისურ პოეზიაშიც დამკვიდრდა.

დასკვნისათვის. ამდენად, განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ინგლისური რუსთველოლოგია საკმაოდ მრავალფეროვანია. პოემის ოთხი ინგლისური ერთმანეთისგან განსხვავებული თარგმანი, ინგლისელ მკვლევართა ნააზრევი და

პოემის თემატიკის შემოქმედებითად ათვისება წარმოადგენს საკითხთა იმ წრეს, რომელიც ერთიანდება ერთი დიდი პრობლემის ქვეშ — შოთა რუსთველი ინგლისურ ლიტერატურაში.

ბრიტანეთში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორის მიერ შესრულებულ გამოკვლევებს რუსთველისა და მისი პოემის ირგვლივ აშკარად ატყვია მათი თანადროული რუსთველოლოგიური ლიტერატურის გათვალისწინება. მაგალითად, როცა ო. უორდროპი ცდილობს პოემის ზოგიერთი პრობლემა ევროპულ ლიტერატურასთან მიმართებაში განიხილოს, ვფიქრობთ, იგი აგრძელებს ვ. შიშმარიოვის გამოკვლევაში წარმოჩენილ პრობლემატიკას, რომელშიც გამოვლენილია ცალკეული ანალოგიები „ვეფხისტყაოსნისა“ დასავლურ ლიტერატურასთან. მიგვაჩნია, რომ მორის ბაურას გათვალისწინებული აქვს შალვა ნუცუბიძის თვალსაზრისი და უპირატესად მის აზრს ემყარება, როდესაც განსაკუთრებით ჩერდება შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის ნეოპლატონურ საფუძველსა და არაკონფესიურ ქრისტიანიზმზე.

ინგლისური გამოკვლევების ზოგიერთი ნაკლი თუ შეცდომა ისევ იმ პერიოდის რუსთველოლოგიურ წრეებში მიღებული აზრიდან მომდინარეობს. მაგალითად, როცა უილიამ ალენის მოსაზრებებში ხედავენ პოემის სიუჟეტის სპარსულ მწერლობასთან დაკავშირებას (ლ. მენაბდე), ალბათ მისი ახსნაც შეიძლება შოთა რუსთველის პოემის ნიკო მარის შეხედულებით. ოლივერ უორდროპი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოემის ხელნაწერებზე საუბრისას იმეორებს მის თანამედროვე ქართულ სამეცნიერო წრეებში გავრცელებულ ზოგიერთ დაუსაბუთებელ მოსაზრებას.

ინგლისელი მკვლევრები ერთგვარი ნოვატორები არიან „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესთან მიმართებაში შეფასების თვალსაზრისით. მიუხედავად უფრო ადრეული ცალკეული ცდებისა, მათ ფართოდ დააყენეს ეს პრობლემა (ოლივერ უორდროპი, მორის ბაურა, რობერტ სტივენსონი, პიტერ დრონკე, დევიდ ლენგი, ქეთრინ ვივიენი). ეს კი ქართველოლოგიური კვლევა-ძიების თანამედროვე დონეა. სწორედ დღევანდელი რუსთველოლოგიური პრობლემატიკის ერთი ძირითადი საკითხია რუსთველის ადგილის განსაზღვრა შუასაუკუნეების ლიტერატურის ისტორიაში.

ინგლისურ რუსთველოლოგიურ ნააზრევში ჩანს პოემის თანამედროვე ლიტერატურულ გემოვნებასთან შეხამებითი ინტერპრეტირების ცდა (ქ. ვივიენი, დ. ბარეტი). ამ მიმართულებამ უპირატესად თარგმანში იჩინა თავი (ქ. ვივიენი).

ინგლისელმა მკვლევრებმა და მთარგმნელებმა ერთი მხრივ ინგლისურენოვან სამყაროს გააცნეს „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო მეორე მხრივ ერთგვარი შუამავლები აღმოჩნდნენ პოემის სხვა ენებზე გაცნობის საქმეში.

ამდენად, „ვეფხისტყაოსნის“ გააზრებამ ინგლისური ლიტერატურის მიერ ახალი პრობლემები დასვა და გარკვეული გეზი მისცა თანამედროვე რუსთველოლოგიას.

III. უილიამ შექსპირი ქართულ ლიტერატურაში

უილიამ შექსპირის შემოქმედებითი მემკვიდრეობის რეცეფცია საქართველოში სხვადასხვა ფორმით ხდება და მას ხანგრძლივი ისტორია აქვს. შექსპირის პიესები ითარგმნება ქართულად, იდგმება ქართულ სცენაზე (დრამის, ოპერის, ბალეტის სახით), უილიამ შექსპირის სამყარო თავისებურად მოიაზრება ქართულ მხატვრობაში, ქართულ მწერლობაში, ხდება დიდი ინგლისელი კლასიკოსის პიესებისა და სონეტების ფილოლოგიური შესწავლა, ქართულ თარგმანთა შეფასება, ქართული კულტურის სხვადასხვა დარგში ასახული შექსპირული დრამების მეცნიერული კვლევა, გამოდის უილიამ შექსპირის ცალკეულ ნაწარმოებთა ძველი და ახალი ქართული თარგმანები, კრებულები, ტომეულები, ივსება ქართული შექსპირიანას ბიბლიოგრაფია...

შექსპირის ქართული თარგმანები. მსჯელობა ქართული ლიტერატურის მიერ შექსპირის აღქმაზე იმის აღნიშვნით უნდა დავიწყოთ, რომ ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა უკვე საუკუნენახევარია განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს დიდი დრამატურგის შემოქმედებისადმი და ერთგვარად გათავისებული აქვს იგი. იმისათვის, რომ უფრო ცხადად წარმოვიდგინოთ შექსპირის დრამების ქართულ თარგმანთა ხასიათი და ამ თარგმანთა მნიშვნელობა ქართული კულტურისათ-

ვის, ვფიქრობთ, უპრიანი იქნება შექსპირის ქართულად თარგმნის ისტორია პირობითად დავყოთ პერიოდებად. ჩვენს მიერ გააზრებული პერიოდიზაციის პირველი ეტაპი მოიცავს XIX საუკუნის 40—80-იან წლებს, მეორე — 80-იანი წლებიდან XIX საუკუნის გასულამდე, ხოლო მესამე — XX საუკუნეს.

1841 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს აღფრთოვანებით სწერდა, დიმიტრი ყიფიანმა „რომეო და ჯულიეტა" თარგმნაო (1, 79). სწორედ ამ დროიდან იწყება უილიამ შექსპირის დრამების ქართულად თარგმნის ისტორია. ეს პირველი თარგმანი არ გამოქვეყნებულა. ნატალია ორლოვსკაიამ მიაკვლია, რომ დიმიტრი ყიფიანს „რომეო და ჯულიეტა" ორჯერ ჰქონია ნათარგმნი. 1841 წელს მას ეს პიესა მანანა ორბელიანისთვის უთარგმნია რუსულიდან. 1859 წელს კი კვლავ მიბრუნებია ამ ნაწარმოებს და ხელახლა უთარგმნია ფრანგულიდან (2, 123—136; 3, 91—92). ამ თარგმანთა შეჯერების შედეგად ნ. ორლოვსკაია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მეორე ტექსტი სრულიად დამოუკიდებელი თარგმანია და იგი პირველი ვარიანტის გადამუშავებას არ წარმოადგენს. მკვლევარმა ისიც აღნიშნა, რომ პირველი თარგმანის ხელნაწერი დიმიტრი ყიფიანის ავტოგრაფი არ არის. იგი ძლიერ განსხვავდება ყიფიანის ხელწერისაგან (სიმონ ხუნდაძეს 1936 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „დიმიტრი ყიფიანი" აღნიშნული ტექსტი მთარგმნელის ავტოგრაფად ჰქონდა მოხსენიებული). ეს გამოუქვეყნებელი ვარიანტი, შესაძლოა მანანა ორბელიანის ალბომიდან გადაწერილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ინახება. უკანასკნელ ხანს ნიკო ყიასაშვილმა გამოაქვეყნა ახალი ცნობა იმის შესახებ, რომ თამაზ გამყრელიძემ ყურადღება მიაქცია ჩიკაგოს უნივერსიტეტის ფონდებში დაცულ „რომეო და ჯულიეტას" ანონიმური ქართული თარგმანის ხელნაწერს და ჰოვარდ არონსონის დახმარებით მიღებული მისი ქსეროასლი ჩამოიტანა საქართველოში. ნიკო ყიასაშვილის მტკიცებით, ესაა დიმიტრი ყიფიანის ავტოგრაფი. ხელნაწერი ზუსტად არის დათარიღებული და უკვე ეჭვგარეშეა, რომ იგი არის 1841 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში აღნიშნული თარგმანის ხელნაწერი. მასში მთარგმნელის ხელით ბევრი შეს-

წორებაა შეტანილი. ნიკო ყიასაშვილი მსჯელობს ახლად აღმოჩენილ ავტოგრაფზე და მანანა ორბელიანის რვეულსა თუ ალბომის დუბლიკატის ტექსტების მიმართებაზე და ვარაუდობს, რომ მას შემდეგ, რაც ეს პიესა მანანა ორბელიანის რვეულში მოხვდა, დ. ყიფიანი კვლავ მიუბრუნდა თარგმანს და საფუძვლიანი შესწორებები შეიტანა. ნ. ყიასაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას ხელნაწერის ემიგრაციის თაობაზეც (4, 99—102).

1858 წელს ლავრენტი არდაზიანი რუსულიდან თარგმნის „ჰამლეტს“ (5). 1867 წელს შექსპირის დრამების კიდევ ორი ახალი თარგმანი გამოჩნდა — მიხეილ ყიფიანის მიერ რუსულიდან თარგმნილი „იულიუს ცეზარი“ (6) და დიმიტრი ყიფიანის ნათარგმნი „ორი ვერონელი აზნაური“ (7). ამ უკანასკნელს გამოუყენებია რუსული და ფრანგული თარგმანები და ნაწილობრივ ორიგინალიც. 1872 წელს კი დიმიტრი ყიფიანს უშუალოდ დედნიდან შეუსრულებია „შევლოხა“ („ვენეციელი ვაჭარი“) (8). 1873—74 წლებში ივანე მაჩაბელმა ილია ჭავჭავაძესთან თანამშრომლობით ინგლისურიდან თარგმნა „მეფე ლირი“ (9).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია სოფელ მეჯვრისხევში უცნობი ავტორის მიერ 1844 წელს თარგმნილი „ოტელოს“ და ერთი დაუმთავრებელი თარგმანის („აურზაური არაფრის გამო“) ხელნაწერები. ნატალია ორლოვსკაია მიიჩნევს, რომ ეს ხელნაწერიც დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნის და შესაბამისად, ამ თარგმანსაც მის მიერ შესრულებულად თვლის (3, 94—97). ხელნაწერი დათარიღებული არ არის. გასული საუკუნის პრესა („ცისკარი“, 1857, № 4; „დროება“, 1871, № 51...) გვამცნობს, რომ „მეფე ლირისა“ და „ტიმოთე ათინელის“ თარგმანთა ხელნაწერები ჰქონია „მნათობის“ რედაქციას, მაგრამ მათი დაბეჭდვა ვერ მოხერხდა. (ეს ცნობა უფრო ადრინდელია, ვიდრე ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის თარგმანი გამოჩნდებოდა). იმავე ჟურნალ-გაზეთების ცნობით, არსებობდა აგრეთვე „ჰამლეტის“ თარგმანის ხელნაწერიც. მათ ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. საგულისხმოა, რომ ქართველ მოღვაწეებს — ალ. ყაზბეგს, ვ. გუნიას, ა. ფურცელაძეს, ნ. დადიანს და სხვებს XIX საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულსა და ოთხმოციანი წლების დასაწყისში გადმოქართულებული ჰქონთ ნაწყვეტები

უილიამ შექსპირის დრამებიდან — „რომეო და ჯულიეტა“, „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მეთორმეტე ღამე“, „დიდი ამბავი ტყუილუბრალოდ“ და სხვ. ნაწყვეტი „მეფე ლირიდან“ 1888 წელს გამოაქვეყნა ვ. აბაშიძემ „ჩანგში“. ზოგიერთი თარგმანი უშუალოდ სცენისთვის სრულდებოდა და ისინი არ დაბეჭდილა, ზოგიერთის ხელნაწერიც დაკარგულია. ზოგი პიესის შესახებ ცნობას კი ამა თუ იმ დადგმის რეცენზიები იძლევა.

ასე გამოიყურება შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის პირველი პერიოდის ზოგადი სურათი. ყოველი პიესის თარგმნას კმაყოფილებით ეხმაურებოდა პრესა. განსაკუთრებით მაღალი შეფასება ეძლეოდა დიმიტრი ყიფიანის თარგმანებს. იმისათვის, რომ უფრო მეტი სინათლე მივცეთ ამ აზრს, საკმარისია ნიკო ნიკოლაძის სიტყვების მოშველიება — დიმიტრი ყიფიანმა შესანიშნავი თარგმანებით დაამშვენა ქართული ლიტერატურა, მისი თარგმანები შექსპირიდან სანიმუშოთა რიცხვს მიეკუთვნებაო (10). დიმიტრი ყიფიანი ერთგულად მიჰყვება შექსპირის ტექსტს, ცდილობს, და ხშირად წარმატებულადაც, გადმოიღოს შექსპირული მეტაფორები თუ ხატოვანი თქმები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შექსპირის ტემპი დ. ყიფიანის თარგმანებში შენელებულია. ეს მაშინვე შენიშნული იყო ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. გ. წერეთელი წერდა: „ის ადგილები, სადაც ახალგაზრდა კაცის გულისთქმა მდუღარესავით გადმოჰქუხს და, რასაც დაეცემა იმის შხეფი, ყოველსავე ცეცხლსავით წვავს და ინელებს, დ. ყიფიანის თარგმანში უფრო მინელებულ გრძნობად იხატება. აქ ცხოვრების მდუღარება თითქოს დაშრეტილია; ახალგაზრდული მწვავე გულისთქმა და სისხლის მღელვარება მოხუცებულის მიმქრალს და მინელებულ მგრძნობელობას გვაგონებს...“ (11, 386). ამასთანავე არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ დიმიტრი ყიფიანმა პირველი ნაბიჯი გადადგა შექსპირის საკუთრივ დედნის ენიდან თარგმნაში. რაც შეეხება ლავრენტი არდაზიანის „ჰამლეტის“ თარგმანს, იგი ყიფიანის თარგმანებისაგან განსხვავებით, შესრულებულია ფრიად დამძიმებული არქაული ენით, შესაძლოა მთარგმნელს სურდა ამ გზით დაეახლოვებინა მკითხველი შექსპირის ეპოქასთან. 40—80-იანი წლების თარგმანებმა და მათმა ინსცენირებებმა გარკვეული წარმოდგენა შეუქმნეს ქართველ მკითხველებს შექსპირის მხატვრულ

სამყაროზე. არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ის ფაქტი, რომ შექსპირის გენიას იმთავითვე ჩასწვდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, მთარგმნელები, მსახიობები, რეჟისორები და ცდილობდნენ ქართველი საზოგადოებრიობის ცნობიერება გაეფართოებინათ დიდი ინგლისელი კლასიკოსის შემოქმედებითი მემკვიდრეობით.

შექსპირის ქართულად თარგმნის პირველ ეტაპზე შესრულებულ ზემოაღნიშნულ თარგმანებს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით აფასებს და მთარგმნელთა ღვაწლი ძირითადად ისტორიული მიდგომით შეიძლება განისაზღვროს. ჩვენ ამავე პერიოდს მივაკუთნეთ (მხოლოდ ქრონოლოგიური პრინციპის გამო) ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის მიერ უზადო ოსტატობით შესრულებული „მეფე ლირის“ თარგმანი, რომელმაც სრულიად ახალი სხივი შეიტანა არა მარტო ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში, არამედ ორგანულად შეერწყა ქართულ მწერლობას. „მეფე ლირის“ ქართულმა თარგმანმა ახალი მიმართულება შესძინა შექსპირული დრამების ქართულ ნიადაგზე გადმოტანას და ფაქტობრივად განსაზღვრა ქართული შექსპირიანას მომავალი. როგორც ჩანს, ქართველ საზოგადოებას იმდენად კარგად ჰქონდა გააზრებული შექსპირის მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურისთვის, რომ მისი ქართულად თარგმნა გადაუდებელ და აუცილებელ მოვლენად მიაჩნდა. ყოველი ქართული თარგმანის გამოჩენა ემოციებთან იყო დაკავშირებული. ხოლო „მეფე ლირის“ თარგმნის შემდეგ განუზომელი სიამაყეც დაუფლებიათ. 1874 წელს „დროება“ წერდა, რომ შექსპირს ახლა ესპანურ ენაზე თარგმნიან და ამბობენ, რომ ეს პირველი არისო. თუ ეს ამბავი ტყუილი არ არის, ჩვენ ქართველები ცოტათი უნდა ავმაღლდეთ ჩვენ საკუთარ თვალში, რადგანაც ესპანელებისთვის დაგვისწრია და შექსპირის რამდენიმე თხზულება მშვენივრად გადმოგვიღია ქართულ ენაზე (12).

შექსპირის დრამების ქართულად თარგმნის მეორე პერიოდს საფუძვლად შეიძლება „მაჩაბლის ეპოქა“ ვუწოდოთ. „მეფე ლირს“, ამ პირველ გაელვებას მაჩაბლის მთარგმნელობით ხელოვნებაში, გარკვეული ინტერვალის შემდეგ მოჰყვა ორიგინალის ენიდან შესრულებული შვიდი ახალი თარგმანი: 1886 წელს „ჰამლეტი“,

1888 წელს — „ოტელო“, 1892 წელს — „მაკბეტი“, 1893 წელს — „რიჩარდ მესამე“, 1896 წელს — „იულიოს კეისარი“, 1898 წელს — „ანტონიოს და კლეოპატრა“ და „კორიოლანოსი“. ამგვარად გამოიყურება შექსპირის ტრაგედიების მაჩაბლისეულ თარგმანთა მშრალი, ენციკლოპედიური ნუსხა. და ვფიქრობთ, აქ ნებისმიერი კომენტარი, ეპითეტი თუ ხატოვანი თქმები ვერაფერს შემატებენ მაჩაბლის ღვაწლს. მაჩაბელმა მთელი ეპოქა შექმნა ქართული თარგმანის ისტორიაში (13). დავიმოწმებთ მხოლოდ მარჯორი უორდროპის სიტყვებს. მან ხომ გენიოსად მოიხსენია ივანე მაჩაბელი. უორდროპმა, რომელსაც ხელთ ჰქონდა „იულიოს კეისრის“ ფრანგული, გერმანული, რუსული და ბულგარული თარგმანები, ქართული მიიჩნია უბადლოდ. მარჯორი უორდროპის ასეთი მაღალი შეფასება ფასეულია იმდენად, რამდენადაც ის იყო ენების კარგი მცოდნე და ღრმად სწვდებოდა ქართული ენის ბუნებას. შექსპირის დრამატურგიის მაჩაბლისეულ თარგმანებს ფასდაუდებელი, განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება. მსოფლიო თარგმანის პრაქტიკაში უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც თარგმანი დროის გამოცდას უძლებს. ეს თარგმანები უკვე მთელი საუკუნეა ამშვენებენ ქართულ ლიტერატურასა და ქართულ თეატრს (14, 153).

ივანე მაჩაბლის პიროვნების, მისი ხასიათის გახსნისათვის გვინდა გავიხსენოთ იოსებ გრიშაშვილის მოსაზრება — „ხშირად მიფიქრია; რატომ არ დაგვიტოვა ივანე მაჩაბელმა „ვენეციელი ვაჭარი“ ან „რომეო და ჯულიეტა“?.. მის ლირიულ სულს და რომანტიულ ბუნებას „რომეო და ჯულიეტა“ უფრო არ შეეფერებოდა? მაგრამ არ უთარგმნია. არა იმიტომ, თითქოს ამ პიესების თარგმნა ვერ მოასწრო, არამედ... ივანე მაჩაბელი მეტად კეთილშობილი, მორიდებული ადამიანი იყო. როცა მან ფეხი შემოსდგა სამწერლო ასპარეზზე, ილია ჭავჭავაძის გარდა, სახელმოხვეჭილი მთარგმნელი იყო ქართული ენის კარგი მცოდნე დიმიტრი ყიფიანი. „რომეო და ჯულიეტა“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ორი ვერონელი აზნაური“ სწორედ დიმიტრი ყიფიანს ჰქონდა ნათარგმნი და დაბეჭდილიც. ჩემის აზრით, ივანე მაჩაბელი მოერიდა მხცოვან დიმიტრი ყიფიანს და საჭიროდ არ ჩათვალა ეთარგმნა მის მიერ ერთხელვე თარგმნილი ტრაგედიები“ (15, 336—337).

შექსპირის დრამების ქართულად თარგმნის მეორე პერიოდში, რომელსაც ჩვენ „მაჩაბლის ეპოქა“ ვუწოდეთ, აქა-იქ ვხვდებით სხვა ქართველ მთარგმნელთა მიერ შესრულებულ თარგმანებსაც. მათ შორის უნდა გამოვყოთ შექსპირის დრამების პროზად გადმოკეთებული ნაწარმოებები, რომლებიც ეკუთვნის სამსონ ყიფიანს. მან 1884 წელს გადმოაქართულა და პროზად გადმოაკეთა „ოტელო“, 1888 წელს — „ჰამლეტი“, 1890 წელს — „მეფე ციმბელინი“. ეს მეორე პერიოდი კიდევ იმით არის აღსანიშნავი, რომ 1897 წელს შ. დადიანმა ხელი მოჰკიდა შექსპირის სონეტების თარგმნას. ეს იყო სონეტთა ქართულად აკღერების პირველი ცდა.

ასეთია შექსპირის ნაწარმოებების ქართულად თარგმნის მეორე პერიოდის ხასიათი და ძირითადი მიმართულებანი.

რამდენადაც შექსპირის თხზულებათა ქართულად თარგმნა ფრიად ინტენსიურად დაიწყო და კიდევ უფრო ინტენსიურად გაგრძელდა XIX საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან, XX საუკუნის პირველ ნახევარში სურათი რადიკალურად იცვლება. აქა-იქ არის მცდელობა სონეტების თარგმნის (ა. შანშიაშვილი...), 1927—28 წლებში გამოიცა ტრაგედიები ოთხ ტომად (ივანე მარაბლის თარგმანთა სრული კრებული). კოტე მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრში 1924 წელს „უინძორელი მხიარული ქალების“ დადგმა განახორციელა მარიამ ორბელიანის თარგმანით და ა. შ. როგორც ჩანს, ჩვენი საუკუნის დასაწყისის ისტორიულმა მოვლენებმა გარკვეულად შეაფერხა ქართული შექსპირიანას განვითარება. მხოლოდ 40—50-იანი წლებიდან დაიწყო ერთგვარი გამოცოცხლება. სონეტების თარგმნას ხელი მოჰკიდეს ა. საჯაიამ, გ. უგრეხელიძემ, გ. გაჩეჩილაძემ, რ. თაბუკაშვილმა და სხვებმა. ორმა უკანასკნელმა გარკვეული პერიოდის მანძილზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დასრულებული სახე მისცეს შექსპირის სონეტების ორიგინალიდან თარგმნას. 1952 წელს დაიბეჭდა სონეტების გივი გაჩეჩილაძისეული სრული ქართული თარგმანი, ხოლო 1968 წელს რევაზ თაბუკაშვილის მიერ თარგმნილ სონეტთა სრული კრებული. ორმოცდაათიანი წლებიდან გაჩოჩნდა შექსპირის დრამების ახალი თარგმანები შესრულებული გ. გაჩეჩილაძის, ვ. ჯელიძის, გ. ჯაბაშვილის, ა. გახოკიძის, მ. ქარჩავას, ს. ფაშალიშვილის, ე. კვიტაიშვილის, ჯ. აჯიაშვი-

ლის და სხვათა მიერ. შექსპირის პიესების თანამედროვე თარგმანთა მეტი წილი შესრულებული აქვთ გივი გაჩეჩილაძესა და ვახტანგ ჯელიძეს. ორივე მკვეთრად გამოხატული, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ინდივიდუალური სტილის მთარგმნელია, რომლებმაც ინგლისური ლიტერატურის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლით გაამდიდრეს ქართული მწერლობა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მათ თარგმნეს სხვადასხვა ეპოქის და სხვადასხვა ხასიათის ინგლისური ლიტერატურის ძეგლები. გ. გაჩეჩილაძისა და ვ. ჯელიძის მიერ შესრულებულმა შექსპირის დრამების თარგმანებმა კი საყურადღებო ადგილი დაიკავა XX საუკუნის ქართულ შექსპირიანაში. 1953—64 წლებში გამოიცა შექსპირის ტრაგედიები და თხზულებანი ექვს ტომად (რედაქტორი გივი გაჩეჩილაძე); 1970 წელს გამოიცა შექსპირის პიესების ვახტანგ ჯელიძის თარგმანთა ორტომეული. 1983 წლიდან კი იცემა შექსპირის თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად ნიკო ყიასაშვილის რედაქციით. მასში შექსპირის თხზულებები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული. კრებულში შევა ივანე ბაჩაბლის რვავე თარგმანი კორექტივების გარეშე, სხვადასხვა მთარგმნელთა ადრე გამოქვეყნებული და საკუთრივ ამ გამოცემისათვის შესრულებული თარგმანები. ეს ხუთტომეული იქნება XIX—XX საუკუნეების ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების ერთგვარი სინთეზი, რომელშიც წარმოჩნდება ასორმოცდაათი წლის მანძილზე შესრულებული ოცდაჩვიდმეტი პიესის საუკეთესო თარგმანები. იგი იქნება შექსპირის დრამების ქართულად სრულად გააზრების პირველი ცდა და შექსპირის ქართულად თარგმნის ისტორიაში ჩვენს მიერ პირობითად გამოყოფილი სამი პერიოდის შემოქმედებითად შეჯამება.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ქართველი საზოგადოებრიობის გამოძახილი ახალი პიესის თარგმანის გამოჩენასთან დაკავშირებით. შექსპირის ქართულ თარგმანებს იმთავითვე თან სდევდა რეცენზიები, კრიტიკული თუ მიმოხილვითი ხასიათის წერილები. მათი ავტორები არიან მწერლები, ლიტერატურათმცოდნენი, მსახიობები, რეჟისორები. ამ წერილებში შეფასება ეძლევა თარგმანებს, შეჯერებულია დედანთან, ან დადგენილია რა ენიდან ითარგმნა, წარმოჩენილია ამა თუ იმ მთარგმნელის მოღვაწეობა და მისი წვლილი შექსპირის ქართულად ამეტყველების საქმეში...

ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება. გ. გაჩეჩილაძის, ვ. ჭელიძის, ნ. ყიასაშვილის, ნ. ორლოვსკაიას, ი. კენჭოშვილის და სხვათა წერილები არაა უბრალო რეცენზიები. მათ თავისი მეცნიერული ღირებულება აქვთ. ამ რეცენზიებში სწორად არის დანახული და გაანალიზებული შექსპირის ქართული თარგმანები და მათი ადგილი ქართული მწერლობის ისტორიაში. საგულისხმოა, რომ ქართულ მეცნიერებაში წამოიჭრა შექსპირის პერსონაჟთა სახელების ქართული დაწერილობის საკითხი. ვინაიდან დროთა განმავლობაში ვერ მოხერხდა მათი უნიფიცირება, ნ. ყიასაშვილმა შეიშუშავა ერთგვარი სარეკომენდაციო ნუსხა, სადაც ტრადიციისა და რეალობის გათვალისწინებით არის წარმოდგენილი შექსპირის გმირთა საკუთარი სახელების ქართული ტრანსკრიფციები (16, 149—187).

ჩვენი აზრით შექსპიროლოგია თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ცალკე დარგს წარმოადგენს. ამ მიმართულებას ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში თითქმის იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც შექსპირის თხზულებათა თარგმნას. მაგრამ მისი მეცნიერულ დისციპლინად და ცალკე დარგად ჩამოყალიბება ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო.

შექსპირის ბიოგრაფიის საკითხები ქართულ კრიტიკაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ შექსპირის პირველი ქართული თარგმანების გამოჩენის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს უილიამ შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლის პირველი ცდები, რასაც დასაბამი მიეცა XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან. ქართველი მკვლევრები თავიდანვე ცდილობდნენ ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტით წარმოჩენას. პირველი წერილი, რომელიც 1862 წელს დაიბეჭდა, უშუალოდ მწერლის ბიოგრაფიულ მომენტებს ეხებოდა და მასში შექსპირის ბავშვობის რამდენიმე დეტალი იყო მოთხრობილი (17, 158—159; 237—269). შემდეგი წერილის ავტორი ნ. არღუთაშვილ-მხარგრძელი წერს, რომ მისი მიზანი იყო შექსპირის შემოქმედებითა და მისი შესწავლით დაეინტერესებინა ქართველი მკითხველი. იგი მიმოიხილავს პიესებს, განსაკუთრებით ჩერდება „მეფე ლირზე“ და ცდილობს დიდი მწერ-

ლის ბიოგრაფიის აღწერას (18, № 1, 5—17). * ქართველ მკვლევრებს შემდეგშიც არაერთხელ გასჩენიათ სურვილი ერთგვარად დაეზუსტებინათ შექსპირის ბიოგრაფიული ცნობები (19, 3; 20, 7—8; 21). დიდი მწერლის ბიოგრაფიის ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი დღემდე ბურუსითაა მოცული და შექსპიროლოგთა განსჯისა და პაექრობის საგანს წარმოადგენს. ნიკო ყიასაშვილი გამოთქვამს სავსებით ლოგიკურ მოსაზრებას, რომ შექსპირის ბიოგრაფიული ცნობების სიღარიბე იმით არის გამოწვეული, რომ მისი მეცნიერული შესწავლა გვიან დაიწყო. შექსპირის დროს კი თვით „ბიოგრაფია“, როგორც ლიტერატურული ჟანრი დღევანდელი გაგებით, არ არსებობდა. იმ პერიოდში დრამატურგის პროფესიაც არ იყო სახარბიელოდ მიჩნეული და მას არა მარტო საზოგადოებაში, თეატრშიც კი მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, დრამატურგის ცხოვრებითაც დიდად არავინ დაინტერესდებოდა. ამდენად, არ შეიძლება ქართველ მკვლევრებს შეედავო შექსპირის ამა თუ იმ ბიოგრაფიული ცნობის უზუსტობაზე. თვითონ ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან დაიწყო დაინტერესება შექსპირის ბიოგრაფიის შესწავლით, უკვე მრავლისმთქმელი და მეტად საყურადღებოა. შექსპირის ბიოგრაფიის კვლევის თანამედროვე მიდგომამ, მისი ცხოვრების ირგვლივ შექმნილმა ჰიპოთეზებმა თუ თეორიებმა, რაზეც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მეცნიერები მუშაობენ, ქართულ შექსპიროლო-

---

* შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა საქართველოში ერთგვარი პოლემიკით დაიწყო. ნ. არღუთაშვილ-მხარგრძელის წერილს მოყვა ღვიმელის კრიტიკა (22, 70—86), სადაც საყვედური იყო გამოთქმული იმის შესახებ, რომ ავტორს დაუსაბუთებლად ჰქონდა მოყვანილი შექსპირის ბიოგრაფიული ფაქტები. იგი თელის, რომ ბიოგრაფია უფრო დაწვრილებითი უნდა ყოფილიყო, თანაც წყაროების მითითებით. ამასთანავე ღვიმელი ედავება არღუთაშვილს შექსპირის ადგილის განსაზღვრაში მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა შორის. გარდა ამისა, იგი არასრულფასოვნად მიიჩნევს არღუთაშვილის მიერ შექსპირის გმირთა დახასიათებას. ღვიმელის შენიშვნების უმეტესობა ძალიან კორექტულია. აღნიშნულ წერილს არაერთი ნაკლოვანება ახასიათებს, მაგრამ აქ უფრო ყურადსაღებია ის, რომ ამ პირველივე კრიტიკული წერილის ირგვლივ გამართული დისპუტი, ჩვენი აზრით, ერთგვარ გაფრთხილებას წარმოადგენდა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოკიდებოდა მკვლევარი შექსპირის დონის მწერალზე საუბარს.

გიაში ჩვენი საუკუნის სამოციანი წლებიდან დაიწყო შე-მოსვლა. შექსპირის ბიოგრაფიის შესწავლის ისტორია და თა-ხამედროვე ეტაპი შექსპიროლოგიის საკმაოდ მნიშვნელოვან სფე-როს წარმოადგენს. ეს საკითხი ჩვენში შესწავლილი აქვს ნი-კო ყიასაშვილს. მან დაწვრილებით გააანალიზა უცხოელ შექსპი-როლოგთა, ე. წ. ანტიშექსპირელთა თუ დილეტანტ შექსპიროლოგ-თა მოსაზრებანი და ის მეთოდები, რომლითაც ისინი ცდილობენ დრამატურგის ბიოგრაფიის აღდგენას, თუ გარკვეული საკითხე-ბის ეჭვქვეშ დაყენებას. ქართველი მკვლევარი განიხილავს ანტი-შექსპირულ თეორიებსაც და მათში ხედავს არა მარტო ანტიშექ-სპირელთა უნდობლობას არაარისტოკრატიული, უბრალო წრი-დან გამოსული მწერლისადმი, არამედ ამ მწერლის შემოქ-მედებისადმი ზერელე, არაპროფესიულ მიდგომასაც.* ნ. ყია-საშვილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სტრეტფორდის სამების ეკლესიის იურიდიულ დოკუმენტებს, რომლებიც მშრალ, მწირ, მაგრამ ზუსტ ცნობებს იძლევა უილიამის და მისი ოჯა-ხის შესახებ. უილიამი დაიბადა ეივონის სტრეტფორდში, იქვე შეირთო ცოლი და ეყოლა შვილები; შემდეგ იგი გაემგზავრა ლონდონს, სადაც მსახიობობდა და წერდა პიესებს. ამ ფაქ-ტების მიღმა არაერთი ვარაუდი არსებობს (რატომ შეირთო ცო-ლად თავისზე რვა წლით უფროსი ენ ჰეთუეი, რატომ დასტო-ვა ოჯახი და წავიდა დედაქალაქში, რა ბედი ეწია უილია-მის მამას ჯონ შექსპირს და ა. შ.). ნ. ყიასაშვილი ამ ვარაუდების გაანალიზების შემდეგ დასძენს, რომ რაც არ უნდა ყოფილი-ყო მისი სტრეტფორდიდან წასვლის მიზეზი, მაინც საფიქრე-ბელია, რომ აღორძინების ხანის ბრიტანეთის ეკონომიკური, პო-ლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრში ახალგაზრდა შექსპირი მიდიოდა ალბათ ჯერ კიდევ გაურკვეველი მისწ-რაფებებით, მაგრამ საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობე-

---

* ნ. ყ ი ა ს ა შ ვ ი ლ ი აღნიშნავს, რომ ქართული შექსპირული კრიტიკის სიღარიბის გამო ჩვენშიც ათეული წლების მანძილზე ზოგიერთები იზიარებდ-ნენ იმ ყალბ ვერსიას, რომ თითქოს „ჰამლეტი", „მეფე ლირი" და სხვა პიესები უილიამ შექსპირის ნაწარმოებები არ არის. ამას ერთგვარად შეუწყო ხელი ქართველი რეჟისორის ვახტანგ გარიკის (ვაჩნაძე) წიგნმა „თეატრი" (I ნაწი-ლი), რომელიც შიპულინსკის მიერ გადმოცემული დანბლონის თეორიის პოპუ-ლარიზაციას ემსახურებოდა.

ბის მტკიცე შინაგანი რწმენით. მკვლევარი წერს, რომ სადღეისოდ საკმარისი ინფორმაცია გაგვაჩნია თეატრ „გლობუსში“ შექსპირის მოღვაწეობის შესახებ. ლონდონის თეატრალურ ცხოვრებაში შექსპირის როლი თანდათან იზრდებოდა, იგი დაუახლოვდა სამეფო კარს, თავისი ადგილი დაიმკვიდრა არისტოკრატიულ სალონებში, რამაც გააფართოვა მისი თვალსაწიერი. სამეფო ოჯახის მხრიდან შექსპირის შემოქმედებით დაინტერესების შესახებ საგანგებო დოკუმენტიც არის შემონახული. ნ. ყიასაშვილს მოაქვს შექსპირის და მისი ოჯახის შესახებ არსებული მშრალი ფაქტების დათარიღებული ნუსხა და უკეთებს კომენტარს, რომ ასეთი ბიოგრაფია საგანგებოდ ღარიბულად არ უნდა ჩაითვალოს, თუმცა იგი უილიამ შექსპირის პიროვნების, მისი ხასიათისა და მისწრაფებების გასაგებად საკმარისი არ არის. და . მაინც, მისივე თქმით შექსპირის შესახებ გაცილებით მეტი ვიცით არა მარტო ჰომეროსთან და რუსთველთან შედარებით, არამედ თვით მისივე თანამედროვე დრამატურგებთან შედარებითაც, ბენ ჯონსონის გარდა. რაც შეეხება მრავალნაირ ვერსიებს მისი ბიოგრაფიის, ავტორობის თუ პირადი ცხოვრების ირგვლივ, ცხადია, ეს გამოწვეულია დიდი დრამატურგის ცხოვრების გზის ამსახველი ემოციებითა და ერძნობებით დატვირთული მასალის უქონლობით. მხოლოდ მშრალი ფაქტების (თუნდაც დათარიღებულის) არსებობა კი შექსპირის შემოქმედებით დაინტერესებულ მკვლევრებს ფანტაზიის გაშლისა და ათასნაირი ჰიპოთეზის წამოყენების საშუალებას აძლევს. უილიამ შექსპირის დოკუმენტურად დამოწმებული ცხოვრებიდან ორი თარიღიც იკმარებდა: 1564 წლის 26 აპრილს მონათლეს ჯონ შექსპირისა და მერი არდენის ვაჟიშვილი უილიამი. უილიამ შექსპირი გარდაიცვალა 1616 წლის 23 აპრილს. შექსპირის ბიოგრაფები ცდილობენ შეისწავლონ შექსპირული გარემო მთლიანად — შექსპირისდროინდელი თეატრი და მისი მუშაობის სტილი, თავისებურებანი, მსახიობების ცხოვრება, თეატრის მაყურებელთა გემოვნება, იმდროინდელი ხელნაწერების მდგომარეობა, მოკლედ ის კულტურული ატმოსფერო, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შექსპირი. ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს „შიგნიდან“ გახსნას დიდი დრამატურგის ბიოგრაფია, ე. ი. მისივე ნაწარმოებებში ამოიკით-

ხოს მისი ცხოვრება. ნიკო ყიასაშვილი ქართველ მკითხველებს ზუსტ წარმოდგენას უქმნის იმის შესახებ, თუ რა პრობლემები აწუხებთ შექსპიროლოგებს თანამედროვე მსოფლიოში და რა დონეზეა დღეს შექსპირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა. იგი ზოგიერთი მეცნიერის ამა თუ იმ მოსაზრებას სადაოდ ან წინააღმდეგობრივად მიიჩნევს და ეკამათება. ქართველი მეცნიერი კატეგორიულად უგულვებელყოფს რა ანტიშექსპირელთა განწყობილებასა და აზრებს, მნიშვნელოვან შენაძენად მიიჩნევს შექსპირის ცხოვრების შესახებ გამოქვეყნებულ წიგნებსა თუ ცალკეულ შრომებს, რომელთა ავტორები არიან: სიდნი ლი, ედგარ ფრიპი, ედმუნდ ჩეიმბერსი, სემ შოენბაუმი, პერსი სიმპსონი, ჯონ დოვერ უილსონი, აივორ ბრაუნი, ბერნარდ ლევინი, კლეტუს ოკლეი, ჯონ ვივიენი, რობერტ სპეიტი და სხვანი. მკვლევარს მიაჩნია, რომ ამ ავტორთა ნაშრომებმა ცხადყვეს, რომ უილიამ შექსპირის დოკუმენტურად გამაგრებული და საკმაოდ გამართული ბიოგრაფიის დაწერა საესებით შესაძლებელია.

საქართველოში უილიამ შექსპირის ცხოვრების შესწავლის პირველი მოკრძალებული ცდები, რომლებიც საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაიწყო, სამოციანი წლებიდან მყარ საფუძველზე დადგა. ნიკო ყიასაშვილმა მეცნიერულად გაიაზრა უცხოელ შექსპიროლოგთა კვლევის შედეგები მწერლის ბიოგრაფიის დადგენაში, მისთვის მისაღები ნააზრევი მიიღო, მიუღებელი გააკრიტიკა და ორიგინალური მოსაზრებებითაც გაფართოვა ეს სფერო (23, 125—133; 24, 9—24; 25, I—VIII; 26, 51—64). ამასთანავე, მან თავის მსხვილტანიან შრომებში უშუალოდ დაუკავშირა ერთმანეთს და ეპოქის იდეალების ფონზე გააშუქა დიდი მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობა (27; 28).

ტრადიცია და ნოვატორობა. იმ პრობლემათა შორის, რომლებსაც ქართველი მეცნიერები იკვლევენ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ტრადიციულისა და ნოვატორულის გაგება შექსპირის შემოქმედებაში. ამგვარი ძიებისათვის ცხადია, ამოსავალი უნდა იყოს ის ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა მწერალი. ამასთანავე არანაკლებ საინტერესოა როგორ გაიგო მისმა ეპოქამ იგი, შექსპირულ დრამებში კითხულობდნენ თუ არა მისი თანამედრო-

ვენი იმ აზრს, რომელსაც მათში დებდა დიდი მოაზროვნე. ჩვენს მიერ დასმულ პირველ საკითხს ნ. ყიასაშვილი გარკვევით პასუხობს, რომ შექსპირი მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების დრამატურგია და არც ამის დავიწყება შეიძლება მისი შემოქმედების თავისებურებათა შესახებ მსჯელობისას. ის, რაც დღესღეობით შესაძლოა გულუბრყვილოდაც კი ეღერდეს, შექსპირის ეპოქაში ადამიანურ განცდათა და იდეათა ახალი სამყაროს აღმოჩენა იყო (29, 30). საერთოდ, ქართველი მკვლევრები შექსპირის შემოქმედებას უმეტესწილად ეპოქასთან მიმართებაში განიხილავენ. მეორე საკითხზე პასუხის გაცემა უფრო რთულდება შექსპირის შესახებ არსებული იმდროინდელი მასალის სიმცირის გამო. თუმცა ფრაგმენტულად არსებული დოკუმენტები იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ შექსპირს თავისი ადგილი ჰქონდა დამკვიდრებული ლონდონის თეატრალურ ცხოვრებაში, მისი დრამები იდგმებოდა „გლობუსში“, და სამეფო კარი საკმაო ინტერესს იჩენდა მისი ხელოვნების მიმართ, შექსპირის რენესანსული მსოფლაღქმა და მისი შემოქმედების მხატვრული თავისებურებანი უფრო სრულადაა წარმოჩენილი სონეტებში. ნ. ყიასაშვილის ცნობით, 1598 წელს გამოცემულ პოეტურ ანთოლოგიაში „სიბრძნის საუნჯე“ ფრანსის მიერზი დიდი ქებით იხსენიებს შექსპირის ნაწარმოებებს და აღნიშნავს, რომ სონეტები კარგად იყო ცნობილი და მიღებული შექსპირის მეგობართა წრეში (25, IX). ამასთანავე ნ. ყიასაშვილი შენიშნავს, რომ იმდროინდელი თეატრის მაყურებელი საკმაოდ გულგრილი იყო სიუჟეტის ორიგინალობისადმი. ვინაიდან ეს იყო ძველი ლიტერატურული სიუჟეტების ხელახალი აღმოჩენების ეპოქა, მაყურებელს ყურადღება გამახვილებული ჰქონდა ახალი იდეებისა და სულისკვეთებისადმი. დრამატურგი თავისუფლდებოდა ახალი სიუჟეტის ძიებისაგან, რაც მას საშუალებას აძლევდა მთელი შემოქმედებითი უნარი „ახალი შინაარსის“ გამოსახატავად მიემართა. მაყურებელი მგრძნობიარე იყო იმ სიახლეების მიმართ, რაც დრამატურგს ადრე არსებულ პიესაში შეჰქონდა (29, 14—18). ამ მოსაზრებიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შექსპირის თანამედროვენი სწორედ ნოვატორულს ეძებდნენ და აფასებდნენ მის შემოქმედებაში.

აღორძინების ეპოქამ სრულიად ახლებურად წარმოაჩინა ადამიანი, მიანიჭა აზროვნების თავისუფლება და საშუალება მისცა სრულად გამოეცდინა თავისი შეხედულებები. ეპოქალური მოთხოვნები მთელი სიგრძე-სიგანით არის გააზრებული შექსპირის ნაწარმოებებში, რასაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ქართულმა შექსპიროლოგიამ. ცნობილია, რომ შექსპირის შემოქმედებამ აღორძინების ეპოქის ინგლისური პოეზიისა და დრამის გჯრდა ნოყიერი საზრდო ჰპოვა ინგლისურ ფოლკლორსა და ანტიკურ დრამატურგიაში. შექსპირის რამდენიმე პიესაში უძველესი მითები და ფოლკლორული თემები, რელიგიურ-რიტუალური წარმოდგენები და სახალხო დღესასწაულები საგანგებოდ აქვს შესწავლილი ს. მარს (30, 51—71). ნ. ყიასაშვილი მიიჩნევს, რომ რომაული თეატრის ტრადიციების ერთგულება შექსპირის ეპოქაში თავად ითვლებოდა ნოვატორობად, მაგრამ ძირითადი სიახლე თეატრში ადამიანის ბუნების გაგებასა და ადამიანური ხასიათის ახლებურად წარმოდგენის ცდაში მდგომარეობდა. შუასაუკუნეების სქოლასტიკური აზროვნების შეცვლამ რენესანსულით, ადამიანის სრულიად სხვაგვარი მოაზრება განაპირობა. სწორედ ამგვარ მოაზრებაში ხედავს ნ. ყიასაშვილი შექსპირის სითამამესა და სიახლეს. ახალი ადამიანის ახლებური შეფასება, ადამიანური შესაძლებლობების, ბედნიერების, ჭირ-ვარამის, განცდის, ბუნების ახლებური გაგება წარმოადგენს შექსპირის შემოქმედების ჯეშმარიტ ნოვატორობას (29, 26), წერს იგი. ამავე აზრს იზიარებს ლ. კერესელიძე. მას მიაჩნია, რომ შექსპირის ადრეულ შემოქმედებაშივე მთლიანობაში მოჩანს მისი ჰუმანიზმის ძირითადი პრინციპი — არსებული პრობლემების კრიტიკული გადასინჯვა, ინტერესი ადამიანის ხასიათის მრავალეროვნებისადმი, შუასაუკუნეობრივი მორჩილების დოგმების უარყოფა და სწრაფვა თავისუფალი გონების მოთხოვნილებებს დამყარებული ახალი მორალის შექმნისაკენ (31, 24—46). ქართველ მეცნიერებს შესწავლილი აქვთ ახალი ადამიანის პრობლემა შექსპირის ცალკეულ პიესებში („შეცდომათა კომედია", „ჯირვეულის მორჯულება" — ნ. ყიასაშვილი, „ამაო გარჯა სიყვარულისა" — ლ. კერესელიძე და სხვა).

ტრადიციასა და ნოვატორობას გარკვეული ურთიერთმიმართება ახასიათებს. ისინი ერთმანეთისაგან მომდინარეობენ. უილიამ

შექსპირის შემოქმედებაში ამ ურთიერთმიმართებას ასე ახასიათებს ნ. ყიასაშვილი: „ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი შექსპირის შემოქმედებაში მოძველებული და ახალი ფორმების გარეგნულ ჭიდილში არ გამოიხატება. ნოვატორობა, სიახლე, ტრადიციის შემოქმედებითი გააზრება და განვითარება — ყველაფერი ერთადაა მოცემული შექსპირის ნააზრევში. პიესის სიუჟეტი მხოლოდ გარეგნულად და ამდენად პირობითად არის ძველი, ფაქტიურად კი შექსპირის მიერ მოყოლილი ამბავი სრულიად ახალ მხატვრულ ფენომენად იქცევა... შექსპირის ნოვატორობა თვისობრივად ახალი ხელოვნების შექმნის ოსტატობაა, რომლისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველგვარ ტრადიციას, გარდა ტრადიციის მექანიკური გაგრძელების ტრადიციისა“ (29, 31—32). ასეთია ტრადიციულისა და ნოვატორულის შექსპირისეული გაგება, რაც ჩვენი აზრით, სავსებით ზუსტად იქნა შეფასებული ქართულ შექსპიროლოგიაში.

ტრადიციისა და ნოვატორობის ირგვლივ სხვადასხვა კუთხით შეიძლება მსჯელობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საინტერესოა საკითხის იმგვარად დასმაც, სადაც გამოჩნდება როგორ გაგრძელდა შექსპირიდან მომდინარე ტრადიციისა და ნოვატორობის გამოვლინება მომდევნო ხანაში და განსაკუთრებით ჩვენს დროში. ყოველი ეპოქა თავისებურად კითხულობს დიდ მოაზროვნეს. ის კოდი, რომელიც თავის ნააზრევში ჩადო მწერალმა, საუკუნეების შემდეგ შესაძლოა ახლებურად გაიაზროს ახალმა ეპოქამ. ამ პოზიციიდან თუ შევხედავთ შექსპირის მემკვიდრეობას, შეიძლება ითქვას, რომ მის შემოქმედებაში ნოვატორულის ძიება დღესაც გრძელდება. ამას ადასტურებს პირველ რიგში შექსპირის პიესების ახალი დადგმები, რომლებიც ფაქტობრივად ახალ წაკითხვას, ახალ ინტერპრეტაციას და თანამედროვე თეატრალურ ხელოვნებას ეფუძნება.

ლიტერატურული ტრადიციის თავისებური ფორმაა ძველი ლეგენდის გამოყენება ახალი სიუჟეტის შესაქმნელად. მწერლობაში მემკვიდრეობითობის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს კორიოლანუსის ლეგენდის ლიტერატურული ხორცშესხმა, რაც ანტიკური დროიდან იღებს სათავეს. ამ თემაზე ყველაზე შთამბეჭდავი ლიტერატურული ძეგლები პლუტარქემ, შექსპირმა და ბრეჰტმა შექმნეს. მათი ნაწარმოებების შედარება დიდ მასალას

იძლევა ანტიკური ხანიდან მიღებული ლიტერატურული მემკვიდრეობითობის, ტრადიციისა და ნოვატორობის შერწყმისა და ჰონაცვლეობის შესახებ. მ. ხვედელიძე მიუთითებს, რომ პლუტარქეს „კორიოლანუსი“ არ გასცილებია ბიოგრაფიულ ჟანრს, სადაც იგი უაღრესად ტრაგიკულ ფიგურად წარმოგვიდგება. შექსპირი კი კორიოლანუსის ტრაგედიას მისი სიმარტივით კიდევ უფრო აღრმავებს. მ. ხვედელიძეს მოაქვს ა. ბროუერის სიტყვები, რომ „ჩვენ გვაინტერესებს არა თვით ფაქტი, კითხულობდა თუ არა შექსპირი პლუტარქეს, არამედ ის, თუ როგორ კითხულობდა იგი მას“ (32, 7). ერთი მხრივ ალბათ სწორედ პლუტარქეს შექსპირისეულ ამოკითხვაშია ჩადებული ის ნოვატორული მარცვალი, რომელმაც შექსპირის ტრაგედია დღევანდლამდე მოიტანა. პესიმისტურ ნოტაზე დასრულებული შექსპირის ტრაგედია ბერტოლდ ბრეჰტმა მცირედი ცვლილებების შეტანით თანამედროვე რეალისტურ პოლიტიკურ დრამად გადააქცია — ასეთია ლიტერატურათმცოდნეთა ყველაზე გავრცელებული მოსაზრება. ბერტოლდ ბრეჰტისეულ ცვლილებებზე მსჯელობისას მ. ხვედელიძე დასძენს, რომ მან არა მარტო პიროვნების ტრაგედია გადააქცია პოლიტიკურ დრამად, არამედ თავისებურად გადაწყვიტა თვით ტრაგიკული კონფლიქტი (33, 132—151). ზ. ჭარხალაშვილი თვლის, რომ კორიოლანუსის თემის ბრეჰტისეულ „დამუშავებაში“ მთავარია იმის ჩვენება, რომ გმირი, რომელმაც უარყო ხალხი და თავის თავი შეუცვლელად გამოაცხადა, არა მარტო საცოდავი ტრაგიკული გმირია, არამედ საზოგადოებრივად მავნე ეგოისტიც (34, 59—65). ლალი კერესელიძეს შესწავლილი აქვს რენესანსული კონცეფცია საზოგადოდ შექსპირის კომედიებში და კერძოდ, პიესაში „ამაო გარჯა სიყვარულისა“. მკვლევარი მიიჩნევს, რომ შექსპირის კომედიები, ისევე როგორც მთელი მისი დრამატურგია, განიცდის დრამის ნეოკლასიციზმური თეორიის გავლენას. სიდნის „პოეტიკასა“ და შექსპირის შემოქმედებას შორის არსებობს შინაგანი კავშირი და ძირითადი დებულებების პრინციპული დამთხვევა. ამასთანავე, ლ. კერესელიძე თვლის, რომ შექსპირის კომედიოგრაფია მჭიდრო კავშირშია ინგლისურ ხალხურ დრამატურგიულ ტრადიციებთან. თუ შექსპირის წინამორბედებთან ხალხური და კლასიკური ტენდენციების სტიქიურ და სქემატურ შერწყმას ვხვ-

დებით, შექსპირი მათი შერწყმით თვისობრივად ახალ, სპეციფიკურ პოეტიკას ქმნის (35). შექსპირის შემოქმედებაში ხალხურობის საკითხი განხილული აქვს გივი გაჩეჩილაძეს (36, 15—56).

XX საუკუნის ლიტერატურამ, რომელსაც ერთგვარი სულიერი კრიზისი შეეპარა, გარკვეული საზრდო მიიღო შექსპირის შემოქმედებიდან. ნიკო ყიასაშვილი განიხილავს თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის ზოგიერთ მნიშვნელოვან პრობლემას სწორედ შექსპირულ ტრადიციასთან მიმართებაში და დასძენს, რომ XX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის განვითარების რთულ პროცესს თან სდევდა შექსპირული ტრადიცია, შექსპირული ჰუმანიზმი, შექსპირული პოეტური სამყარო და დიდ როლს თამაშობდა მის ფორმირებაში. შექსპირული ტრადიცია ორგანულად შეერწყა გოლზუორთის, ლორენსის, შოს, ჯოისის, ჰაქსლის და სხვათა შემოქმედებას. ზოგიერთებისათვის შექსპირის დრამატურგია და მისი პოეზია რეალისტური ხელოვნების სიმბოლოს წარმოადგენს, ზოგიერთებისთვის — სამყაროს ნოვატორული ხედვის წყაროს, ყველასთვის კი მიუღწეველ ჰუმანისტურ იდეალს. XX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ერთი ნაწილი აგრძელებს და ავითარებს შექსპირულ ტრადიციას, მეორე ნაწილი კი ეპაექრება და ცდილობს ჩამოსცილდეს მას, მაგრამ მაინც განიცდის მის ზემოქმედებას, მაინც ნახულობს შეხების წერტილს მასთან და შემდეგ იღებს ახალ ფორმებს (37). პირველი მიმართულება ნიკო ყიასაშვილის განმარტებით, წარმოადგენს კლასიკური ტრადიციების ფორმალურ გაგრძელებას, ე. ი. ტრადიციულ ფორმებს, სინამდვილის ტრადიციულ ხედვას მზა ფორმით ღებულობს, ხოლო მეორე მიმართულებაა ნოვატორული ლიტერატურა, რომელიც ცდილობს დაუპირისპირდეს ან ექსპერიმენტების საშუალებით განავითაროს ლიტერატურის ტრადიციული ხაზი. იგი გარეგნულ დაპირისპირებას წარმოადგენს ტრადიციისადმი, მათი ძირითადი მასაზრდოებელი ფესვი კვლავ ტრადიციაშია ჩაზრდილი (29, 44).

უილიამ შექსპირის მოდერნისტული აღქმა უფრო სრულად იგრძნობა ცნობიერების ნაკადის ლიტერატურის ყველაზე დიდი წარმომადგენლის ჯეიმზ ჯოისის შემოქმედებაში. ტრადიციულისა და ნოვატორულის ურთიერთობას ჯოისის შემოქმედებაში ნიკო ყიასაშვილი ასე განმარტავს — „ჯოისი „ჰამლეტიდან“ ისე

აირეკლება, როგორც რიკოშეტით ასხლეტილი ერთი საგანი მეორისაგან: იგი იძენს ახალ ინერციას, ტრაექტორიას, ფორმას, არაფრით არ ჰგავს იმას, რომლისგანაც აისხლიტა და მაინც რაც ახლა აქვს, სწორედ მისგან მიიღო“ (29, 43). ასე რომ, ჯეიმზ ჯოისმა შემოქმედებითად გადაამუშავა შექსპირული ტრადიცია, რის შედეგადაც ნოვატორული სიტყვა თქვა თანამედროვე ლიტერატურაში.

შექსპირულ ტრადიციას გარკვეული ხარკი გადაუხადა ამერიკელმა მწერალმა უილიამ ფოლკნერმა. მისი რომანის „ხმაური და მძვინვარება“ სათაური აღებულია მაკბეტის მონოლოგიდან. რომანში არის ბიბლიური და ფოლკლორული მოტივები, მაგრამ მის ძირითად მეტაფორად მეცნიერები მაკბეტის სიტყვებს მიიჩნევენ. ამ საკითხზე მსჯელობისას ეთერ თოფურიძე აღნიშნავს, რომ ფოლკნერის დამოკიდებულება შექსპირისადმი მხოლოდ „მაკბეტით“ არ ამოიწურება, მის შემოქმედებაში შექსპირული თემები, მოტივები, სახეები მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ და შექსპირის როლის შესწავლა ფოლკნერთან ძალზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ჩვენი მხრით კი დავძენთ, რომ შექსპირული ტრადიცია ფოლკნერის შემოქმედებაში ალბათ სწორი იქნება, რომ ნ. ყიასაშვილის მიერ გამოყოფილ პირველ მიმართულებას მივაკუთვნოთ. ე. თოფურიძე განიხილავს „მაკბეტის“ ცენტრალური მონოლოგის მნიშვნელობას ფოლკნერის რომანის იდეურ-მხატვრული სტრუქტურისათვის. თუმცა იგი მიიჩნევს, რომ ამ პრობლემის იქით კიდევ შეიძლება საუბარი შექსპირულ მოტივებზე ამ ნაწარმოებში. მკვლევარი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას დროის მაკბეთისეულ აღქმაზე. მისთვის ხომ არ არსებობს „ხვალ“, რადგან ისიც გახდება „გუშინ“ და ყოველგვარი „გუშინ“ კი მისთვის სავსეა სისხლიანი თავგადასავლებით. დროის ასეთ დამახინჯებულ გაგებას შექსპირი უარყოფს და ადამიანის გადარჩენას მხოლოდ დროის კანონზომიერ სვლაში ხედავს. წარსული მიდის და მას ყოველთვის ცვლის ნათელი მომავალი. ავტორი აღნიშნავს, რომ XX საუკუნის ამერიკელი ახალგაზრდობა — ფოლკნერის რომანის გმირები — მთლად ასე არ ფიქრობენ. ცნობიერად თუ არაცნობიერად ისინი მაკბეთის მსოფლაღქმისა და ტანჯვის შორეულ შთამომავლებად წარმოგვიდგებიან. ორიეე ნაწარმოების გმირს უყალიბდება აზრი

ცხოვრებისა და დროის აბსურდულობის შესახებ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ შექსპირის გმირის პესიმიზმის მიზეზი პირად დანაშაულსა და მარცხში მდგომარეობს, ფოლკნერისა კი იდეალების დამსხვრევაში. მკვლევარი თვლის, რომ სწორედ გმირთა ხასიათები და დროის მათებური გაგება განსაზღვრავს რომანის სტრუქტურასა და ცნობიერების ნაკადის ხასიათს. ეთერ თოფურიძეს ზედმიწევნით ზუსტად აქვს გაანალიზებული „მაკბეტის“ მონოლოგის ფოლკნერისეული გააზრება (38, 243—260).

6. ყიასაშვილი XX საუკუნის მწერლობისათვის და არა მარტო მწერლობისათვის, თეატრისთვისაც შექსპირს შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ და შემოქმედებით სტიმულად თვლის, იქნება ეს ტრადიციის პოზიტიური განვითარებისა თუ მისგან გამომდინარე, მაგრამ ამავე დროს მასთან დაპირისპირებული ნოვატორობის თვალსაზრისით. ეს მოსაზრება არ არის საყოველთაოდ გაზიარებული თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში. XX საუკუნეში ინგლისსა და ამერიკაში ჩამოყალიბდა ლიტერატურულ-კრიტიკული მიმდინარეობა — „ახალი კრიტიკა“, რომელიც სწორედ ჰუმანისტური ტრადიციების მიუღებლობაში მდგომარეობდა (39). ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელია ტომას ელიოტი. მისი მიმართება შექსპირის შემოქმედებასთან მეტად წინააღმდეგობრივია. ამ საკითხზე მსჯელობისას ცხადია, კომპლექსურად უნდა იქნეს განხილული ტომას ელიოტის ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევი და მისი პოეზია. სწორედ ამ კუთხით უდგება თ. კობახიძე ელიოტის შემოქმედებაში შექსპირული ტრადიციების ძიებას. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ელიოტი კულტურის ძირითად კომპონენტად ტრადიციას მიიჩნევდა. მაგრამ მისი დამოკიდებულება შექსპირთან ფრიად ორიგინალური და სპეციფიკურია. თემურ კობახიძე მართებულად მიუთითებს, რომ ელიოტის კრიტიკული დამოკიდებულება შექსპირის რენესანსული ფილოსოფიისადმი კარგად ჩანს მის პარალელში შექსპირსა და დანტეს შორის განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ამ პოეტებს განიხილავს მათივე ფილოსოფიურ წყაროებთან მიმართებაში, სადაც ის აზრია გამოკვეთილი, რომ დანტე ერთ მთლიანსა და შეკრულ ფილოსოფიურ სისტემას (თომა აქვინელი) ეყრდნობოდა. დანტეს დროის აზროვნება — უფრო თანმიმ-

დევრული, ძლიერი და მშვენიერი, კონცენტრირებული იყო ერთი დიდი გენიოსის ხელში. აზრის ის სისტემა კი, რომელსაც შექსპირი ეყრდნობოდა, იმ ფილოსოფოსებს ეკუთვნოდათ (სენეკა, ან მონტენი, ან მაკიაველი), რომლებიც ბევრად ჩამოუვარდებოდნენ თვითონ შექსპირს. ელიოტი აღფრთოვანებას გამოთქვამდა შექსპირით, როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატით, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა მის იდეოლოგიას. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ელიოტს სრულიად სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა შექსპირის პიესებთან („ჰამლეტს“ თუ მხატვრულ მარცხს უწოდებდა, მოსწონდა „კორიოლანუსი“, „ანტონიუს და კლეოპატრა“, „ჯარიშხალი“, „ციმბელინი“). შექსპირის შემოქმედების მეტად თავისებური გააზრების ფონზე კიდევ უფრო საინტერესო ხდება შექსპირული მოტივების შეფასება მის პოეზიაში, სადაც ვხვდებით რემინისცენციებს, ალუზიებს, ნასესხობებს, ციტირებებს შექსპირიდან. თ. კობახიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შექსპირულ ალუზიებს ელიოტი იმის მიხედვით ირჩევდა, თუ რომელი სიუჟეტური მოტივის წინ წამოწევას თვლიდა საჭიროდ ამა თუ იმ პოემაში. ამასთანავე ნასესხები დეტალის მხატვრულ-შინაარსობრივ მხარეს ხშირად ცვლიდა და ანიჭებდა რა ახალ აზრობრივ დატვირთვას, მხოლოდ სიუჟეტური ასოციაცია რჩებოდა შექსპირთან. ხშირად კი შექსპირული რემინისცენციების საშუალებით ელიოტი XX საუკუნის ლიტერატურისათვის მეტად დამახასიათებელ ხერხს — პაროდირებას მიმართავდა. ამ შემთხვევაშიც დატვირთვა ძირითადად სიუჟეტურ ანალოგიას ენიჭებოდა, მაგრამ მხედველობაში მიიღებოდა უფრო ღრმა შინაარსობრივი ფაქტორიც. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ელიოტის შექსპირულ რემინისცენციებში ჩანს ელიოტის მიმართება დიდ დრამატურგთან, რაც მეტად პირობითი ხასიათისაა — ელიოტი იმოწმებს შექსპირის რომელიმე ნაწარმოებს და ხშირად ცვლის მის შინაარსობრივ დატვირთვას, რაც ნასესხებ მხატვრულ სახეს პირველწყაროსთან აკავშირებს. აქედან გამომდინარე, თ. კობახიძე თვლის, რომ ელიოტის ნაწარმოებებში ასოციაციური კავშირები რენესანსულ დრამებთან არ შეიძლება მივიჩნიოთ ელიოტის შემოქმედებაში შექსპირული ტრადიციის პრაქტიკულ რეალიზაციად (40, 115—131; 41). ამ მოსაზრებით თ. კობახიძე ერთგვარად განავრცობს ნ. ყიასაშვილის მიერ შექსპირის მემკ-

ვიდრეობითობით ნასაზრდოებ მოდერნისტულ ლიტერატურაში გამოყოფილ ორ მიმართულებას და გამოყოფს ზემოაღნიშნულ მესამე მიმართულებას.

ამდენად, ქართველ მკვლევრებს თანმიმდევრულად აქვთ შესწავლილი ტრადიციულისა და ნოვატორულის პრობლემა როგორც უშუალოდ შექსპირის შემოქმედებაში, ასევე შექსპირიდან მომდინარე ტრადიციისა და ნოვატორობის ურთიერთობის საკითხი თანამედროვე ანგლო-ამერიკულ ლიტერატურაში.

შექსპირული პერსონაჟები ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ჩვენს შექსპიროლოგიურ ლიტერატურაში ვხვდებით ცალკეულ პერსონაჟთა სხვადასხვა ასპექტით შესწავლის ცდებს. შექსპირის შემოქმედებაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ფოლსტაფის სახეს. ეს სახე შექსპიროლოგთა წრეებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან სერ ჯონ ფოლსტაფი შექსპირს გამოყვანილი ჰყავს ორ დრამაში — ისტორიულ ქრონიკაში „ჰენრი მეოთხე“ და კომედიაში „უინძორელი მხიარული ქალები“. მის სიკვდილს კი ისტორიული დრამის „ჰენრი მეხუთის“ ერთ-ერთი პერსონაჟი აღწერს. ამდენად, ისმის კითხვა თუ რა მსგავსება-განსხვავებაა ამ ორ ფოლსტაფს შორის. კითხვას თავისებურად პასუხობს ქართული შექსპიროლოგიაც (42). ნ. ყიასაშვილი განიხილავს ყველანაირ მოსაზრებას ამ პერსონაჟის ირგვლივ. შექსპიროლოგთა დიდი ნაწილი სრულიად თიშავს კომედიის ფოლსტაფს ქრონიკების ფოლსტაფისაგან (ჰეზლიტი, მორგანი, უაიტი, ბრანდესი, დორენი, გორდონი და სხვ). ეს მკვლევრები აღნიშნავენ რა აშკარა განსხვავებას ფოლსტაფის ორ გამოსახულებას შორის, არ ძოსწონთ კომედიის ფოლსტაფი, მაგრამ ეყრდნობიან ზეპირსიტყვიერ გადმოცემას იმის შესახებ, რომ შექსპირი დაემორჩილა დედოფალ ელიზაბეთის ბრძანებას — დაეწერა „უინძორელი მხიარული ქალები“. ამ ბრძანებას კი ერთი პრობლემა ახლდა — ახალ პიესაში ფოლსტაფი შეყვარებული უნდა ყოფილიყო. ამის გამო შექსპირს მოუხდა იგივე სახის გამეორება და ეს „რეპროდუქცია დედანთან“ შედარებით სუსტი აღმოჩნდა. ამგვარ მსჯე-

ლობას (ზეპირსიტყვიერ გადმოცემაზე დაყრდნობით) ნ. ყიასაშვილი მეცნიერულად დაუსაბუთებლად თვლის. იგი კრიტიკულად განიხილავს საბჭოთა პერიოდის რუსი შექსპიროლოგების მოსაზრებებსაც, რომლებმაც ძირითადად უარყვეს ორ ფოლსტაფს შორის განსხვავება (სმირნოვი, მოროზოვი, მოკულსკი, კრეიჟანოვსკი), და მიაჩნია, რომ ორ ფოლსტაფს შორის შემჩნეული ხასიათის ზოგიერთი მხარის განსხვავება ისეთი სახისაა, რომ მისი ახსნა მხოლოდ ფოლსტაფის ისტჩიპიდან უინძორს, ან უინძორიდან ისტჩიპს გადასახლებით ვერ აიხსნება. მკვლევარი განიხილავს XX საუკუნის ლიტერატურათმცოდნის სერგი ტიმოფეევის ნაშრომს, საიდანაც იზიარებს მხოლოდ ერთ დებულებას, რომ ორ ფოლსტაფს შორის მკვეთრი განსხვავებაა და ამ ორი სახის შექმნით შექსპირი მაღალ ოსტატობას ამჟღავნებს. ყოველი ადამიანი მღერის იმ ტონში, რომელიც მას იმ გარემოსა თუ ეპოქის დიაპაზონმა მისცა, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. ნ. ყიასაშვილი დაბეჯითებით ამბობს, რომ კომედიის ფოლსტაფი მოწყვეტილია იმ სოციალურ გარემოს, ხალხის იმ დაბალ ფენებს, რომელშიც ტრიალებდა და რომლის ორგანულ ნაწილსაც წარმოადგენდა ქრონიკების ფოლსტაფი. ამავე დროს, იგი თავის მეგობრებთან ერთად უკვე აღარ წარმოადგენს იმ სოციალურ ფენას, რომელიც აუცილებელი მახასიათებელი იყო ქრონიკებისათვის. შემდეგ იგი საკითხს სვამს ასე: არის თუ არა გასული საკმარისი დრო „ჰენრი მეოთხის“ დაწერიდან „უინძორელი მხიარული ქალების“ შექმნამდე იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ასეთი მკვეთრი ცვლილება დრამატურგის მსოფლმხედველობასა თუ მის დამოკიდებულებაში ერთი და იგივე ასასახი ობიექტისადმი. ვფიქრობთ, რომ საკითხის დასმა ამ პოზიციიდან, საკმაოდ ბართებულია, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ფოლსტაფი შექსპირის შემოქმედებაში საკმაოდ რთულ, წინააღმდეგობრივ, მაგრამ ერთიან, მთლიან სახეს წარმოადგენს. ნ. ყიასაშვილის პასუხიც ერთმნიშვნელოვანია — დროის მონაკვეთი მერყეობს ერთი თეატრალური სეზონიდან მესამემდე (თანამედროვე შექსპიროლოგიაში პიესების სავარაუდო დათარიღების მიხედვით) და დასძენს, რომ განსახილველი საკითხისათვის ერთი თეატრალური სეზონიც საკმარისი იქნებოდა იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არა შექსპირის შემოქმედების თანდათანობითი და ჩან-

გრძლივი ევოლუციის პროცესს, არამედ მის შემოქმედებაშივე არსებულ წინააღმდეგობებს, რომელთა თანაარსებობა მწერლის შემოქმედების აუცილებელ თავისებურებას შეადგენს. ეს არის დიდი დრამატურგის შემოქმედების ერთ-ერთი მხარე, სადაც თავისებურად ვლინდება შექსპირის დამოკიდებულება სინამდვილისადმი „ჰენრი მეოთხეში“ მოცემული და შემდეგ ხელმეორედ დახატული კომიკური პერსონაჟის სცენაზე გამოყვანით. ფოლსტაფის პრობლემისადმი ნ. ყიასაშვილისეული მიდგომა, ჩვენი აზრით, ღრმა მეცნიერული და სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან იგი ძიესადაგება ლიტერატურული პროცესის კანონზომიერებებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფოლსტაფის მეორედ გამოჩენა დედოფლის დაკვეთით მოხდა.

საგულისხმოა, რომ ფოლსტაფის პრობლემამ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გასული საუკუნის მიწურულს იჩინა თავი (20). ქართულ პრესაში რუსული გზით შემოვიდა სწორედ ის აზრი, რომ ფოლსტაფის მოსწრებული ხუმრობით აღფრთოვანებულმა დედოფალმა უბრძანა დრამატურგს ახალი პიესის დაწერა, სადაც მთავარი გმირი ფოლსტაფი იქნებოდა. ათეული წლების შემდეგ კი ეს მხატვრული სახე მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვანი საკითხი გახდა. ნიკო ყიასაშვილი მოხდენილად აღწერს ფოლსტაფთან გამოთხოვებას — „თუ ევროპული რენესანსული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუში „დონ კიხოტი“ და მისი გმირი ლამანჩელი აზნაური ძველ სამყაროსთან გამოთხოვების ტრაგი-კომიკურ განწყობილებას გადმოსცემს, ფოლსტაფი უფრო მკვეთრად, უფრო გარკვეულად გამოხატავს თავისი შემქმნელის პოზიციას ახალ და ძველ სამყაროთა ჯიდილში. შექსპირი სიცილ-ხარხარით ისტუმრებს დეგრადირებულ ფეოდალს — ფოლსტაფს ისტორიის სცენიდან, სადაც უკვე სერიოზული გმირი გამოჩნდება ჰამლეტის სახით“ (43; 119—120).

ჰამლეტის მხატვრულმა სახემ ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა შექსპიროლოგიაში. ჰამლეტის პრობლემას არაერთი ეპოქისა და მოაზროვნის კალამი შეხებია. ქართულ შექსპიროლოგიაში ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტი იქნა შესწავლილი. ქართველი მეცნიერები იკვლევენ მხატვრულ სახეთა სისტემას „ჰამლეტში“, „ჰამლეტის“ სტილს, ჰამლეტის მხატვრული სახის გამოხატვის ენობრივ საშუალებებს წარმოთქმულ ვარიანტში, ცდი-

ლობენ გმირის ხასიათის გახსნას, მისი პიროვნების გაანალიზებას და ა. შ. მსოფლიო შექსპიროლოგიაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ამ პერსონაჟის მხატვრული სახის გაგებამ. არც ქართული სალიტერატურო კრიტიკაა ამ საკითხში ერთსულოვანი. ქართველი მკვლევრებიც განიცდიან სხვადასხვა დროს გავრცელებული თეორიების გავლენას. ფ. გოკიელი განიხილავს სხვადასხვა მოსაზრებას ჰამლეტის ხასიათის ირგვლივ და ეკამათება ე. წ. ეთიკური თეორიის მომხრე მკვლევრებს, რომლებიც ჰამლეტის „ტრაგიკულ ბრალს“ იმაში ხედავენ, რომ იგი ცალმხრივად განვითარებული პიროვნება იყო — მოაზროვნე, მაღალი გონების პატრონი, მაგრამ უნებისყოფო და უნიათო. ბოლოს თუ მან მეფე კლავდიუსი მოკლა, ეს შემთხვევით გარემოებათა შედეგი უფრო იყო და არა წინასწარ მოფიქრებული გეგმისა. მკვლევარს მიაჩნია, რომ ჰამლეტის პიროვნების ასეთი გაგება ამარტივებს გმირის მაღალ ჰუმანურ ბუნებას. ჰამლეტი იღუპება არა „ტრაგიკული ბრალის“ (როგორც მას ლესინგი უწოდებდა) გამო, რაც თითქოს მის შინაგან ბუნებაშია დაბუდებული, არამედ იმიტომ, რომ სიკვდილი კიდევ უფრო ზეამაღლებულად და კეთილშობილურად ხდის მის ბრძოლას, ბოროტებასთან შეურიგებლობას. ტრაგიკული განწმენდის — „კათარზისის“ წყარო ჰამლეტის შინაგან დაუძლეველობაში, გმირულ ჰუმანურ შემართებაში უნდა ვეძებოთ, დასძენს ფ. გოკიელი (44, 72—87).

მ. ნათაძე ჰამლეტის გამარჯვებად მიიჩნევს იმას, რომ იგი კვდება მორალურად გაუტეხავი (45, 49). ნ. ყიასაშვილის აზრით, ჰამლეტი უკულმართ სოციალურ გარემოსთან ჭიდილში, ფიზიკური სისუსტისა თუ უნებისყოფობის გამო არ იღუპება. იგი გმირულად იბრძვის და კომპრომისებზე არ მიდის. მისი დაღუპვის მიზეზი რენესანსული ჰუმანიზმის იდეალებსა და არსებულ სინამდვილეს შორის იყო. თანაც ჰამლეტის, და თვითონ შექსპირის რენესანსული მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობა საზოგადოდ ჰუმანისტების ბრძოლის აბსტრაქტულ ხასიათში ვლინდებოდა (27, 185).

ჰამლეტის ხასიათის გახსნას ორიგინალურ ასპექტში ცდილობს ლეილა გამსახურდია (46, 79—144). იგი ჰამლეტის „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგში გამოყოფს ავტორისეულ და საშემსრულებლო პლანებს. ავტორისეული ტექსტის ვარიანტულ

ინტერპრეტაციას, ანუ საშემსრულებლო პლანს, რომელშიც ვლინდება პარალინგვისტურ და პროსოდიულ ნიშანთა ერთობლიობა, მკვლევარი ზესეგმენტურ ფონაციას უწოდებს. ზესეგმენტური ფონაცია მხოლოდ ზეპირმეტყველებას ახასიათებს და ამდენად მხატვრული ძეგლის ენობრივი ფორმა მთელი სისრულით ნაწარმოების წარმოთქმულ ვარიანტში ვლინდება. ავტორისეული პლანის განხილვისას ლ. გამსახურდია მიმართავს ტექსტის ლექსიკურ-გრამატიკული და ფონეტიკური საშუალებების, მეტრიკული მოდიფიკაციების, მეტყველების მონოლოგიური ფორმის შესწავლას. მკითხველის მიერ მონოლოგის ადეკვატური წაკითხვა ზემოჩამოთვლილი ნიშნების გათვალისწინებით არ იძლევა საშემსრულებლო პლანს. მკვლევარის აზრით ეს პლანი გულისხმობს იმას, რაც სცენური მეტყველების ზესეგმენტურ ფონაციაში ვლინდება. ამ თვალთახედვით არის დანახული რიჩარდ ბარტონის, ლორენს ოლივიესა და მარლოს დრამატული თეატრის ანონიმი მსახიობის მიერ განსახიერებული ჰამლეტი.

ლ. გამსახურდიას ზესეგმენტური ფონაციის ნიშანთა განლაგება და შეხამება განხილული აქვს გამონათქვამის შინაარსთან მიმართებაში, რაც მას საშუალებას აძლევს წარმოაჩინოს მსახიობთა სცენური მეტყველების როგორც მოდალურ-ემოციური, ისე აზრობრივი ნიუანსები. ამასთანავე მკვლევარი უპირისპირებს ერთმანეთს ზემოაღნიშნული სამი მსახიობის ზესეგმენტურ ფონაციას და ამით წარმოაჩენს მათ მიერ განსახიერებული გმირის ხასიათის განსხვავებულ გააზრებას.

მაია ნათაძე ჰამლეტის ხასიათის გახსნისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნაწარმოების სტილის შესწავლას (45), იგი თვლის, რომ ამ პიესაში მხატვრულ სახეთა სისტემის საერთო ხასიათი ნაწარმოების განწყობილების, მისი აზრის გამოხატვას ემსახურება. დრამის ფორმის ყველა ელემენტი — კომპოზიცია, სიუჟეტი, საერთო ტონი, ენა და სხვ., ძირითად იდეას ემორჩილება. ეს იდეა გამოხატულია „ჰამლეტის“ სტრუქტურაშიც, სადაც გმირი ყველა დანარჩენ პერსონაჟს უპირისპირდება. პიესის მხატვრულ სახეთა სისტემის განხილვისას მკვლევარი დიდ ადგილს უთმობს მეტაფორას. მ. ნათაძეს თავის ნაშრომებში განხილული აქვს არაერთი ჰამლეტური მეტაფორა, რომლებშიც მჟღავნდება გმირის ტრაგედია, ჰამლეტის ფსიქოლოგიური სახის ცვლილება,

ქვეყნის ბოროტების სურათი... ამ მეტაფორულ ჯაჭვს მ. ნათაძე ძთლიანობაში იკვლევს და მიუთითებს, რომ ჰამლეტის ძირითადი მონოლოგების მეტაფორათა თანმიმდევრობაში აისახება მისი ხასიათის, განწყობილებისა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულების განვითარება.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოიკვეთა ერთი საინტერესო მიმართულება, რომელიც XIX საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან იკიდებს ფეხს. ამ დროიდან შეინიშნება შექსპირისა და მისი გმირების გააზრება შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდით. ზოგადლიტერატურულ პროცესზე საუბრისას ალექსანდრე ცაგარელი მიუთითებს, რომ არ შეიძლება დიდი კოსმოპოლიტური თხზულება იმავე დროს ეროვნულიც არ იყოს. ამ აზრის გასამტკიცებლად იგი ასახელებს ჰომეროსის, დანტეს, შექსპირის, გოეთეს შემოქმედებას და თვლის, რომ მათ თხზულებებში პირველად მათი სამშობლო და ხალხი ჩანს, მერე მთელი კაცობრიობა. მკვლევარს მიაჩნია, რომ ყოველ დიდ ქმნილებას მჭიდრო კავშირი აქვს ხალხურ შემოქმედებასთან და ცნობილი მწერლები არა მარტო იცნობენ ფოლკლორულ მასალას, არამედ კიდევაც იყენებენ მას თავიანთ შემოქმედებაში. „ილიადა“ და „ოდისეა“ რა არის, თუ არა გალექსილი ზღაპარ-სიტყვაობა, წერს იგი, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ — საიქიოზე ხალხის მისტიკური წარმოდგენის გამოხატვა, მეფე ლირის ამბავი, რომელიც შექსპირმა გადაამუშავა, ანდა გოეთეს „ფაუსტი“, რომლის ზღაპარს ნებისმიერი გლეხი გიამბობთ გერმანიაში (47, № 7). ამ აზრს აგრძელებს და ერთგვარად ავრცობს ვაჟა-ფშაველა, როდესაც წერს, რომ ყოველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა თუ გოეთესი ხალხურ თქმულებაზეა აგებული. ფაუსტს გოეთეს გარდა მრავალი ავტორი ჰყავდა, მაგრამ „ ნამდვილი ფაუსტის დაწერა ვერვინ შეძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთა, ვერ შეძლო გადადუღება ხალხისაგან მოცემული მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა“. ვაჟა-ფშაველა თვლის, რომ იგივე ბედი ეწიათ შექსპირის „ჰამლეტს“, „მეფე ლირს“, „რომეო · და ჯულიეტას“ და რუსთველის „ვეფხისტყაოსანსაც“ (48, 406—407). იგივე საკითხს ცოტა უფრო სხვა კუთხით წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძე, როდესაც მსოფლიო ლიტერატურულ პროცესსა და ზოგადსაკაცობ-

რიო პერსონაჟთა გალერეას ეხება. „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომლის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან... ფალსტაფი ისეთივე შვილია მთელი კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი. დიდის შემოქმედობის ძალით შექმნილნი" (49, 150—151). სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ილია ჭავჭავაძე აპირებდა კრიტიკული სტატიის დაწერას, სადაც გავლებული იქნებოდა პარალელი ჰამლეტსა და ტარიელს შორის (50, 119—155), მაგრამ ჩანაფიქრი სამწუხაროდ არ განუხორციელებია.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არაერთხელ ვხვდებით ჰამლეტის სახეს სხვადასხვა კუთხით დანახულს და შედარებულს არამარტო შექსპირისავე გმირებთან, არამედ სხვა მწერალთა ლიტერატურულ პერსონაჟებთანაც. გასული საუკუნის მიწურულს გაზეთ „ივერიაში" დაიბეჭდა ხელმოუწერელი წერილი, რომლის ავტორი ცდილობს ფსიქოანალიზის საშუალებით მოახდინოს ლიტერატურაში დამნაშავის სხვადასხვა ტიპის კლასიფიკაცია ჰამლეტის, ოტელოსა და მაკბეტის მაგალითზე. ავტორის მსჯელობა იმდენად პრიმიტიულია, რომ აქ ყურადღებას იპყრობს თვით საკითხის ამ კუთხით დასმა და არა მისი გადაწყვეტა (51).

ი. გომართელი წერდა: „ჰამლეტი ჩვენი დროის დიდებული ლიტერატურული განძია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ საზოგადოებრივ პირობებს, რომელშიც ეს პიესა დაიბადა, ავტორის ნიჭი კიდევ უფრო მიუწვდომელი ხდება... შექსპირის თანამედროვეებმა ჰამლეტი ვერ იცნეს... იმიტომ, რომ ჰამლეტი შექსპირის დროის არ ყოფილა; ის ღვიძლი შვილია მეცხრამეტე საუკუნისა. საზოგადოება კარგად იცნობდა მაკბეტებს, რიჩარდებს, ჰენრიხებს, ხოლო ჰამლეტი მას არ ენახა. შექსპირის დროს მხოლოდ იშვიათი ნიშნები იყო საზოგადოებაში ჰამლეტისა, პოეტმა კი ამ მცირე ნიშნების წყალობით შექმნა უკვდავი ტიპი, რომელმაც საუცხოოდ დაახასიათა ევროპის ყველა შემდეგი თაობა, დღემდე მოკიდებული" (52). ამ მოსაზრებას ნ. ყიასაშვილი უკეთებს მცირე კომენტარს, რომელშიც აღნიშნავს, რომ მართალია ჰამლეტი „მომავლის ტიპია", იგი ამავე დროს თავისი დროის

ღვიძლი შვილიცაა და იმის მიუხედავად, რომ იგი XIX საუკუნემ მოისაკუთრა, მასზე არანაკლები უფლება აქვს ყველა საუკუნესა და ყველა ეპოქას (27, 183). გვხვდება კიდევ ერთი ლიტერატურული პარალელი — დონ-კიხოტი — ჰამლეტი — ფაუსტი. მკვლევრები ამ პარალელში ეძებენ მსგავსება-განსხვავებებს და ამ მსგავსება-განსხვავებათა გამომჟღავნების შედეგად ცდილობენ უფრო აშკარად წარმოაჩინონ თითოეული პერსონაჟის ხასიათი. ი. გედევანიშვილის აზრით, დონ-კიხოტისათვის არსებობს იდეა, პრინციპი, არ არსებობს ყოველდღიური მოთხოვნილებანი. იგი უკეთესი მომავლისაკენ მიისწრაფის და გამოხატავს მარადტანჯულ, მორწმუნე, მაძიებელ სულს. ივი ძლიერი ნებისყოფისაა და მისი ნებისყოფა სძლევს გონებას. ჰამლეტი კი ერუდირებული, ცხოვრებაში ღრმად ჩახედულია. იგი გონებით ჭვრეტს მის ირგვლივ მყოფთა არარაობას. მასში გონება ნებისყოფას სჭარბობს. ძლიერი ნების მქონე, იდეალისათვის თავგანწირული რაინდი, სიმართლისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი, ტლანქმა ცხოვრებამ იმსხვერპლა. მგრძნობიარე, განათლებული, მაღალი იდეალების მატარებელი პრინცი ცხოვრების ულმობელმა ტალღამ შთანთქა. ავტორის რწმენით, მათ ბოროტება ვერ დაძლიეს, ისინი მხოლოდ ცხოვრების მდინარეს ჩასწვდნენ ძირამდე. გოეთემ კი, რომელსაც ეკუთვნის „ჰამლეტის“ საუკეთესო ანალიზი, შექმნა მესამე ტიპი — ფაუსტი. ფაუსტი ი. გედევანიშვილს დონ-კიხოტისა და ჰამლეტის ერთგვარ სინთეზად მიაჩნია. მას ძლიერი გონებაც აქვს და ნებისყოფაც. გოეთეს გმირი დიდი მეცნიერია, კრიტიკულად ჭვრეტს ცხოვრებას, მოწადინებულია ბოლომდე ჩასწვდეს მას, გახსნას მისი საიდუმლოებანი და დასტკბეს მისით. ძლიერ ნებისყოფას კი იმაში გამოხატავს, რომ მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდება (53). კ. კაპანელმა უფრო განავრცო ეს თემა. მისი აზრით, ჰამლეტის ფილოსოფია მორალის ფილოსოფიაა, რომელიც ებრძვის რეალურ ცხოვრებას. ფაუსტმა კი მორალი უარყო რეალური ცხოვრებისათვის და მოერგო პრაქტიკულ ცხოვრებას. ჰამლეტმა დროული ყოფა მარადისობასა და უნივერსალურობაში გადაიტანა, ფაუსტმა კი მარადისობა და უნივერსალურობა გადმოიტანა ყოფაში. პრომეთე, ორესტი, ოიდიპოსი, მინდია, ჰამლეტი, ფაუსტი ცივილიზაციის ისტორიულ-მორალური რეფლექსების დიდი სახეებია, ამბობს მკვლევა-

რი და სწამს, რომ ყოველი მათი სიტყვა და მოქმედება კაცობრიობის იდეოლოგიურ ევოლუციაზე მეტყველებს, იდეოლოგიის ევოლუცია კი ესთეტიკური სახეების ევოლუციაში ვლინდება. ამ თეზის არგუმენტად კ. კაპანელი ჰამლეტის ძირითად მახასიათებლებს დიდ ინტელექტსა და სუსტ ნებისყოფას მიიჩნევს (54, 147—174).

დონ-კიხოტიც და ჰამლეტიც ხედავენ ქვეყნად გამეფებულ უსამართლობას, ხედავენ, რომ „ქვეყანა საპყრობილეა“, სადაც მხოლოდ უღირსისაგან ღირსეულის შეურაცხყოფას, ჩაგვრას, კაცისკვლას დაუსადგურებია, წერს ვ. ჭელიძე. ორივე მიისწრაფის თავისუფლებისაკენ. დონ-კიხოტი ბევრს არ ფიქრობს, იღებს შუბს და სანჩო პანსასთან ერთად ქვეყნის მოსაწესრიგებლად მიდის. ჰამლეტი ფილოსოფოსია. მას ბევრი განსჯა უწევს, ფიქრობს, ყოყმანობს, სამართლიანობისათვის ბრძოლაში „ყოფნა-არყოფნა“ აწუხებს. დონ-კიხოტს სცემენ, ტკივილს აყენებენ, ჰამლეტი კი თვითონ ებრძვის თავს და თვითონვე იყენებს ტკივილს. ვ. ჭელიძე ეხება რეალიზმის საკითხს „ჰამლეტსა“ და „დონ-კიხოტში“ და მიუთითებს, რომ შექსპირმა და სერვანტესმა XVI საუკუნის ინგლისისა და ესპანეთის რეალისტური ტილოები შექმნეს. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ამ ნაწარმოებების ხალხურობაზეც. იგი აღნიშნავს, რომ ორივე მწერალი ღრმად იცნობს ადამიანს, ხალხის ტკივილებიდან გამოდის და მისი ენით საუბრობს. ავტორს შემჩნეული აქვს კომიკური თხრობის თავისებურების მსგავსება „ჰამლეტსა“ და „დონ-კიხოტში“. იგი ზუსტად აღწერს „ცრემლნარევი სიცილისა“ და „სიცილნარევი ცრემლის“ განწყობილების მსგავსებას ორივე ნაწარმოებში, ტრაგიკულისა და კომიკურის საოცრად ნატიფ შერწყმას და თხრობის სიძლიერეს (55).

„დონ-კიხოტი და ჰამლეტი საკაცობრიო ტიპები არიან, წერდა ვაჟა-ფშაველა, ესენი მთელის კაცობრიობის საჭიროების მიხედვით არიან შექმნილნი, ანუ მათში გამოიხატება კანონი ცხოვრებისა. დონ-კიხოტი არის მაძიებელი სიმართლისა, ამისთვის თავგანწირვით მებრძოლი, ხოლო ჰამლეტი ძიებისაგან მოპოებულის მჩხრეკელ-მრკვეველი, ანალიტიკოსი. ეს თვისება, ეს წესი საკაცობრიო საჭიროებაა ყველა ქვეყნისა და ერისათვის მი-

ნიჭებული და არა მარტო ესპანელ-ინგლისელთა კუთვნილება“ (56, 421). ასე გლობალურად გაიაზრა ვაჟა-ფშაველამ ეს ორი გმირი.

ჰამლეტურ პრობლემას შექსპირის შემოქმედების ცენტრალურ პრობლემად მიიჩნევენ. ამდენად გასაგებია მრავალრიცხოვან მკვლევართა დაინტერესება მისით. ქართული სალიტერატურო კრიტიკიდან ჩვენს მიერ შერჩეული მაგალითებიც წინააღმდეგობრივია. ჰამლეტის სახის ირგვლივ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გამოთქმული საპირისპირო მოსაზრებანი შესწავლილი აქვს ლ. გუგუნავას. მას მიაჩნია, რომ ზოგიერთი მკვლევრის მიერ ჰამლეტის ხასიათის არასწორ გააზრებას ვხვდებით. ჰამლეტის პიროვნების ცალკეული მხარეები სწორად ჰქონდათ ახსნილი ი. ჭავჭავაძეს, ვაჟა-ფშაველას, ვ. გუნიას, გ. წერეთელს. ასევე სწორად ესმის ეს საკითხი ზოგიერთ თანამედროვე მკვლევარს (57, 73—78).

კომპარატივიზმის მეთოდი აქვს გამოყენებული ირაკლი კენჭოშვილს, მეგობრობის კონცეფციის შეფასებისას რუსთველის პოემასა და შექსპირის სონეტებში (58, 179—186). საკითხის ამგვარი დაყენება სრულიად ლოგიკურია. რუსთველის მოღვაწეობა ქრონოლოგიურად გვიანდელ შუასაუკუნეებს განეკუთვნება, ხოლო მის სააზროვნო სისტემაში ადგილი აქვს შუასაუკუნეობრივისა და რენესანსულის შერწყმას, იმ ტიპის მსოფლგაგებას, რომელმაც ევროპული კულტურა რენესანსამდე მიიყვანა. (59, 307—367). შუასაუკუნეობრივიდან რენესანსულზე გარდამავალ აზროვნებას კი ბევრი თანმხვედრი მოტივი შეიძლება ჰქონდეს რენესანსულთან. ჩანს, სწორედ რუსთველისა და შექსპირის შემოქმედებათა ამ სიბრტყეზე გააზრებამ მისცა საშუალება მკვლევარს შეეპირისპირებინა ერთმანეთთან მეგობრობის რუსთველური და შექსპირული გაგება. ი. კენჭოშვილი გამოყოფს რამდენიმე მსგავს მომენტს. ასე მაგალითად, მეგობრისთვის ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მეგობრის სილამაზე. როგორც რუსთველის პოემაში, ასევე შექსპირის სონეტებში ყურადღება არის გამახვილებული გარეგნულ სილამაზეზე, რაც შინაგანი სილამაზის, სულიერი სიმდიდრის გამოხატულებას წარმოადგენს. მეგობართა განშორებას, როგორც რუსთველთან, ასევე შექსპირთან თან სდევს განცდა. მეგობრობა და სიყვარული მათში ერთ-

მანეთს არ უპირისპირდება, თუმცა ორივე მწერალთან გარკვეულ შემთხვევებში მეგობრობის ჰიმნს უფრო მეტი სიძლიერე აქვს. მეგობრობის კონცეფცია როგორც პოემაში, ასევე სონეტებში გაიდეალიზებულია. მათ პოეტურ მეტყველებაში მეგობრობისა და სიყვარულის ლექსიკა ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. მეგობრობის ენა ისევე ამაღლებულია, როგორც მიჯნურობის ლექსიკა. მკვლევარი ეპოქის აზროვნებისათვის დამახასიათებელ ერთ ლიტერატურულ ხერხზეც ამახვილებს ყურადღებას. არც რუსთველის და არც შექსპირის გმირები, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, სახელებით არ მიმართავენ ერთმანეთს. ეპითეტებით მიმართვა ერთგვარ ჰარმონიაშია ეპოქასთან. მეგობართა ერთგულება დამახასიათებელია ორივე ავტორთან. თუმცა აქ მცირე განსხვავებასაც შენიშნავს მკვლევარი. თუ რუსთველის გმირები მეგობრობის პრინციპების იდეალური მატარებლები არიან, შექსპირის სონეტთა ლირიკული გმირი ასეთი მეგობრობის მაძიებლად უფრო გვეელინება. სონეტებში ვხვდებით ღალატს მეგობრისა და შეყვარებულის მხრიდან. რუსთველის პოემისათვის კი ასეთი დარღვევა სრულიად უცხოა. რუსთველის იდეალურ მეგობრობას შექსპირის ეპოქაში უფრო რეალური მეგობრობა ცვლის, რაც მკვლევრებს შექსპირის სონეტებში მწერლის ბიოგრაფიის რეალური ფაქტების ძიების საშუალებას აძლევს — დასძენს ი. კენჭოშვილი. ჩვენ სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია აზრი იმის შესახებ, რომ შექსპირის სონეტებში შეიძლება მისი ბიოგრაფიის გარკვეული წილი იყოს ჩადებული, ვინაიდან სონეტი თავისი მხატვრული დატვირთვით უფრო სუბიექტურია ვიდრე დრამა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ზემოგანხილულ მეგობრობის კონცეფციაში გარკვეული ცვლილებების შეტანა შექსპირის მიერ სწორედ რენესანსული აზროვნების შედეგს წარმოადგენს და ამ შემთხვევაში შესაძლოა შუასაუკუნეობრივი იდეალების გადაფასების ერთ კონკრეტულ მომენტთან გვქონდეს საქმე.

შექსპირსა და რუსთველს შორის გარკვეულ პარალელს ავლებს ქეთრინ ვივიენი. მას მიგნებული აქვს იუმორის სინატიფე ამ ორ მწერალთან. იგი წერს, რომ რუსთველი, ისევე როგორც შექსპირი, რომანტიკულ, ამაღლებულ სიყვარულსა და რაინდულ საქციელზე თხრობას აქა-იქ იუმორით აბრწყინებს. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს და მსგავსებას ეძებს ლა-

ღი, დახვეწილი და გონიერი იუმორით აგებულ დიალოგებს შორის რუსთველის პოემასა და შექსპირის დრამებში (60).

ქართველი მკვლევრები სხვა საკითხებსაც შეეხნენ, რომლებიც შექსპირს ქართულ სამყაროსთან აკავშირებს. ერთ-ერთი მოსაზრება ეხება პიესის „ტიტუს ანდრონიკუსის“ გმირის — ტამორას თამარ მეფესთან იდენტიფიკაციის უარყოფას.

მეცნიერთა ერთ ნაწილს (მორგანი, გრანგერი, დიბელიუსი) შექსპირის დრამის „ტიტუს ანდრონიკუსის“ წყაროდ მიაჩნია XII საუკუნის ბიზანტიის ისტორიული მოვლენები. გერმანელმა ისტორიკოსმა დიბელიუსმა ეს თვალსაზრისი უფრო განავრცო ნარკვევში „ტიტუს ანდრონიკუსის ისტორიისათვის“ (61). შ. ბადრიძე და ი. კენჭოშვილი დაწვრილებით განიხილავენ დიბელიუსის მოსაზრებას თამარი-ტამორას იდენტიფიკაციის შესახებ და სათანადო ისტორიული ფაქტების მოხმობით ცდილობენ ამ მოსაზრების უარყოფას (62, 88—103). დიბელიუსი სავსებით დარწმუნებულია, რომ პიესის მოქმედი გმირების ტიტუს ანდრონიკუსის და გუთების დედოფალ ტამორას პროტოტიპები არიან ბიზანტიის კეისარი ანდრონიკე კომნენი და საქართველოს მეფე თამარი. დიბელიუსს შესწავლილი აქვს ქართული ქრონიკები და იცის, რომ ამ წყაროებში იგი წარმოდგენილია სიკეთის სიმბოლოდ, სათაყვანებელ ქალად, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შექსპირულ უზნეო ტამორასთან. თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად მკვლევარს ეჭვი შეაქვს ქართული წყაროების ობიექტურობაში თამარის სახის გაშუქებისას. დიბელიუსის კრიტიკოსები ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის საფუძველზე გამორიცხავენ გერმანელი მეცნიერის არგუმენტებს. ისინი ითვალისწინებენ ისტორიული მასალის გამოძახილს ევროპაში და ვერანაირ ცნობას ვერ ეყრდნობიან იმის დასამტკიცებლად, რომ ევროპაში თამარ მეფე გააზრებული იყო როგორც ანდრონიკე კომნენის დაუძინებელი მტერი, გარყვნილი და ინტრიგებში გაბმული ქალი. ამასთანავე მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ვერავითარი ცნობა თამარის შესახებ ვერ მიაღწევდა შექსპირამდე. ამდენად შექსპირული ტამორას წყაროს ძიება ქართული მასალებით ჯერჯერობით გაუმართლებლად მიაჩნიათ.

შექსპირული პერსონაჟების შესახებ საინტერესო მასალას იძლევა ქართულ ენაზე შექმნილი მონოგრაფიები, სადაც მეტნაკ-

ლები სისრულითაა წარმოჩენილი შექსპირის ეპოქა, დიდი დრამატურგის ცხოვრების გზა და მისი რთული და უკვდავი შემოქმედება.

მაია ნათაძე წიგნში „შექსპირის ოსტატობა“ (63) განიხილავს დრამატურგის მსოფლმხედველობას, შემოქმედებითი მეთოდისა და სტილის განვითარებას. ავტორი პიესების ლიტერატურულ-სტილისტურ თავისებურებებს რენესანსული რეალიზმის ფონზე აშუქებს. იგი აკვირდება შექსპირის ეპოქასა და ლიტერატურულ გარემოს და შეისწავლის რამდენიმე ისეთ პიესას, რაც განმაზოგადებელი დასკვნების გამოტანის საშუალებას აძლევს. ლირიკულ კომედიას „ორი ვერონელი აზნაური“ მ. ნათაძის აზრით, შექსპირის შემოქმედების ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი ატყვია. ავტორი მხატვრულ სახეებსა და პერსონაჟთა მეტყველებას ერთმანეთთან უშუალო კონტაქტში განიხილავს და თვალს ადევნებს როგორ ცვალებადობას განიცდიან ისინი მთელი პიესის მანძილზე. შექსპირის ახალგაზრდული პერიოდიდან მკვლევარს შესწავლილი აქვს „რომეო და ჯულიეტა“. განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას რეალიზმის თავისებურებაზე ამ დრამაში და თვლის, რომ ეს არის გრძნობის ფსიქოლოგიური რეალიზმი და არა ხასიათების რეალიზმი. რეალიზმის შედევრად მ. ნათაძე მიიჩნევს „ჰამლეტს“, როგორც ადამიანთა და მთელი ეპოქის ცხოვრების ცოცხალსა და განზოგადებულ სურათს. შემდგომ შექმნილი დიდი ტრაგედიები, მისი აზრით, მხატვრული ოსტატობის მხრივ „ჰამლეტში“ პირველად მიღწეული რეალისტური მეთოდის ვარირებას, ახალ-ახალი შემოქმედებითი მიზნებისათვის მის გამოყენებას წარმოადგენს. მოგვიანებით კი, როცა შექსპირმა ვერ ნახა „ჰამლეტში“ დასმული კითხვის პასუხი სინამდვილეში, რომანტიკულ ფანტაზიას მიმართა. შეიცვალა დრამების ტონალობა: მძაფრი კონფლიქტების ადგილი უფრო მშვიდმა თხრობამ და რომანტიკულმა ოცნებამ დაიკავა. მაგრამ მაია ნათაძე შენიშნავს, რომ ამ დროს უცვლელი დარჩა მისი მხატვრული ოსტატობის ძირითადი მომენტები — ხელოვნების საერთო რეალისტური ხასიათი, მეტყველების მკაცრი მოტივირება გმირთა ხასიათიდან ზომდინარე, გმირთა ხატვის მრავალმხრივობა, დრამის მკაცრი

კომპოზიცია და ქვეტექსტის სიმდიდრე. ასე რომ, ეს ნაშრომი თანმიმდევრულად ასახავს შექსპირის მხატვრულ ოსტატობას.

ნ. ყიასაშვილს წიგნში „შექსპირი" (27) შექსპირისდროინდელი ინგლისის ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული ვითარების შუქზე აქვს განხილული დიდი კლასიკოსის შემოქმედება. ავტორი აანალიზებს მწერლის ადრეულ ნაწარმოებებს, სონეტებს, ქრონიკებს, კომედიებს, დიდ ტრაგედიებს, რომანტიკულ პერიოდს. ნაშრომში მოცემულია ამა თუ იმ პიესის ავტორისეული გააზრება, ნაჩვენებია შექსპირის შემოქმედებითი ევოლუცია, მისი განწყობილებების თანდათანობითი ცვლილებები — რენესანსული იდეალების, ლირიკული განწყობილების, რომანტიკული აღმაფრენისა თუ ტრაგიზმის მონაცვლეობა... ამდენად, წიგნი ერთ შეკრულ მთლიანობას წარმოადგენს. ამ ნაშრომის ერთგვარი გაგრძელება არის ნიკო ყიასაშვილის მომდევნო მონოგრაფია „შექსპირის სამყაროში" (28), სადაც ავტორს მხედველობაში აქვს მიღებული უმდიდრესი შექსპიროლოგიური ლიტერატურა, მსოფლიო შექსპიროლოგთა კვლევის შედეგები და გამოყენებული აქვს ინგლისში ხანგრძლივი მივლინების შედეგად დაგროვილი მასალა, მიღებული შთაბეჭდილებანი. სწორედ ამ მასალის საფუძველზე აცოცხლებს ავტორი შექსპირის ცხოვრებას, მწერლის ბიოგრაფიას, მის პიროვნებას და შემოქმედებით გზას. შექსპირის ყოველი დრამა მას გააზრებული აქვს როგორც პიესა-ნიღაბი. შექსპირის დრამატურგიის განხილვას ეძღვნება თავები: „სიცილის ნიღაბი" და „კეისრის ჩრდილი და უფლისწულის სევდა". ლიტერატურული ანალიზის გვერდით მკვლევარი მსოფლიოში ცნობილი რეჟისორებისა და მსახიობების მიერ თეატრის სცენაზე წარმოდგენილი შექსპირული ხასიათების შეფასებას იძლევა, ვინაიდან მისი რწმენით, ლიტერატურული და თეატრალური ანალიზის სინთეზის გარეშე შექსპირის შემოქმედებითი მემკვიდრეობის კვლევა წარმოუდგენელია.

ერთ-ერთი პრობლემური საკითხი, რომელსაც ნ. ყიასაშვილი ამ ნაშრომში სვამს და რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, არის დიდი დრამატურგის მიმართება თანამედროვეობასთან, რა ძაფები აკავშირებს მას XX საუკუნესთან, ჩვენი საუკუნეც მეტისმეტად საკუთარი თვალით ხომ არ კითხულობს შექსპირს.

ასეთია საქართველოში შექსპიროლოგიური კვლევის ძირითადი მიმართულებანი და საკითხთა ის წრე, რომელშიც აისახა ქართველ მეცნიერთა დამოკიდებულება შექსპირის პერსონაჟებისადმი, პარალელები ზოგადსაკაცობრიო გმირებსა და მოტივებს შორის, შექსპირის შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლის ცდები.

ნ. ყიასაშვილმა ინგლისსა და ამერიკაში გამოაქვეყნა წერილები, რომლებშიც წარმოჩენილი იყო შექსპირისა და მისი დრამატურგიის ადგილი ქართულ კულტურულ ცხოვრებაში (64, 19—22; 65).

როდესაც ქართული სამყაროს მიერ შექსპირის გააზრებაზე, ქართულ კულტურაში შექსპირის ადგილზე ვმსჯელობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ქართული შექსპირიანას ისტორიის ირგვლივ არსებულ მასალებს. ჩვენს კულტურაში შექსპირის შემოსვლისთანავე იყო ცდები არსებული მასალის მოწესრიგების, სისტემატიზაციის. აი მაგალითად, კოტე ყიფიანს გაკეთებული აქვს შექსპირის ადრინდელი ქართული თარგმანების აღწერილობა, ჩამოთვლილი აქვს, რა დაიდგა ქართულ სცენაზე, ვინ ასახიერებდნენ ძირითად პერსონაჟებს და ა. შ. (66). აქ უნდა დავასახელოთ იოსებ გრიშაშვილის მიერ 1948 წელს დიდი გულმოდგინებით შედგენილი „ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი“ (67, 321—338). მასში შესულია შექსპირის დრამების ქართული თარგმანები (ჩვენს მიერ პირობითად დაყოფილი პირველი და მეორე პერიოდის), პირველი დადგმები, როლების შემსრულებლები, გამოხმაურებანი ქართულ თარგმანებსა და ინსცენირებებზე და ბოლოს, გაანალიზებულია ივანე მაჩაბლის თარგმანები, რისთვისაც ავტორს გამოყენებული აქვს სხვა ქართული თარგმანებიც და ტექსტების შეჯერების შედეგად ნათელყოფს მაჩაბლის თარგმანთა უპირატესობას. ი. გრიშაშვილი სრულიად გადაუჭარბებლად აფასებს მაჩაბლის ღვაწლს, როდესაც წერს, რომ იგი ახალი ქართული ენის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ქართული შექსპირიანას ბიბლიოგრაფია სრული სახით დაბეჭდილია „ქართული შექსპირიანას“ ხუთტომეულში (პირველი ნაწილის შემდგენლები არიან ა. ოთაროვა, ც. გენძეხაძე, ლ. გუგუნავა. მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილი შედგენილი აქვს ა. ოთაროვას (68, 179—252; 69, 261—308; 70, 287—347). ამავე ხუთტომე-

ულში შესულია ლ. გუგუნავას ნაშრომი, სადაც გააზრებულია XIX საუკუნეში ქართულ სცენაზე შექსპირისეული დიდგმების ისტორია და მწერლის შემოქმედების შესწავლის ადრეული პერიოდი (71, 129—177; 72, 223—259).

შექსპირი და ქართული მხატვრული ლიტერატურა. შექსპირის სახემ თუ შექსპირულმა პერსონაჟებმა ასახვა ჰპოვეს მხატვრულ ლიტერატურაშიც. უილიამ შექსპირის ხსენება ქართულ მწერლობაში, ტრიფონ რუხაძის ცნობით XVIII საუკუნის გასულიდან იწყება, „ახსენებს მას დავით ბატონიშვილი ანსილონის „ესთეტური განსჯანის“ ქართულ თარგმანში (H 2181, გვ. 92, 208): აქ ნათქვამია „რაისა შესაძლო არს შეთანასწორებად იულოსისა და რომეოსისა თანა შექსპირისა...“ (73, 166). ასე რომ, შექსპირი და მისი პერსონაჟები თავდაპირველად ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში გამოჩნდნენ. რომანტიკოსი პოეტი ვახტანგ ორბელიანი ქართულ ენაზე შექსპირის პირველი მთარგმნელის დიმიტრი ყიფიანისადმი მიმართულ ლექსში სთხოვს პოეტს მასთან მისვლას, რათა „გეტე, შექსპირი, შილლერი კვლავ ერთად გადავიკითხოთ“. ილია ჭავჭავაძე „ოთარაანთ ქვრივში“ გარკვეულ აზრს დებს, როცა თხრობაში ჰამლეტური მოტივი შემოაქვს: „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყნიერებაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოეჩვენებათ ჩვენს ფილოსოფოსებსაო, — ეტყოდა ხოლმე არჩილი თავის დას კესოს ჰამლეტის ამ სიტყვებს, როცა გიორგიზე ჩამოუვარდებოდათ ლაპარაკი“. გალაკტიონ ტაბიძე ლექსით მიმართავს მონაზონ ქალს ოფელიას და თვლის, რომ მას მართებს ტირილი, ცრემლთა ფრქვევა, დაიმსხვრა ოცნება, ვინაიდან იგი ბოროტი გველის მსხვერპლია იქ, სადაც „ღმერთი თარეშობს შურისძიების!“ ჰამლეტური განწყობილება ადვილად შესაცნობი იყო გალაკტიონისათვის. ცხოვრების ამაოებაზე ჩაფიქრებული პოეტი ურჩევს ოფელიას — „წადი... წადი მონასტერში, მონასტერში ოფელია!“ ქვეყნიერების ბედზე ჩაფიქრებული კი აღწერს ევროპისა და აზიის სურათებს. პოეტს ძალზე დახვეწილი და საინტერესო შედარება მოაქვს: „ვინ იცის, გრძნობენ თუ არა გრძნობით, რომ სულ ახალი დროის ჰამლეტი — მოჯადოებულ ბურუს-

ში მყოფი — დგება, იღვიძებს აღმოსავლეთი". უსიყვარულოდ, მარტოდ დარჩენილ პოეტს უნებურად მეფე ლირის სიმარტოვე აგონდება: „და მე ავტირდი — ვით მეფე ლირი, ლირი ყველასგან მიტოვებული". შექსპირის გმირებმა არაერთხელ ააფორიაქეს ტიციან ტაბიძის პოეტური მუზა. „შენ შეიყვარე ოფელია, აღარ სცვლი სხვაში, ვიცი, რომ უფრთხი გაგიეების სხვა ქარის ტრიალს", — მიმართავდა ტიციანი ვალერიან გაფრინდაშვილს. შექსპირული პერსონაჟებისა და ქართველი პოეტების მთელი გალერეა წარმოსახა ტიციან ტაბიძემ „ბირგამიის ტყეში." თავისი შემოქმედების გარიჟრაჟზე, როდესაც გრიშაშვილმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რა ბედი ელოდა მის პოეზიას, კითხულობდა: „ვინ ააკვნესებს ლხენით ჩემს ლექსებს"-ო და ამ კითხვის პასუხად ერთგვარი ჰამლეტური განწყობილება დაეუფლა პოეტს: „მხარევ ობოლო, ვის შევებრძოლო, ჰამლეტის სევდავ! ნამად გადნი, გულს ჩამეკეცე, მომიღე ბოლო!"...

დასკვნისათვის. ამდენად, ქართული ლიტერატურის მიერ შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების რეცეფციის ძირითადი ძიმართულებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ქართული თარგმნითი ხელოვნების ისტორიაში XIX საუკუნის ორმოციანი წლებიდან დაიწყო გაცოცხლება შექსპირის გენიამ. პირველ ხანებში შესრულებული თარგმანების გარკვეული პრიმიტიულობის მიუხედავად, მათ დიდი ისტორიული ფუნქცია იტვირთეს. შექსპირის ქართულ ენაზე თარგმნის შუა პერიოდში, მისი ტრაგედიების ქართულად თარგმნას, ფასდაუდებელი ამაგი დასდო ივანე მაჩაბელმა. ქართულ ენაზე გამოცემულია შექსპირის სონეტების ორი სხვადასხვა მთარგმნელის მიერ განსხვავებული სტილით შესრულებული ორი სრული კრებული. ჩვენმა თანამედროვეობამ გარკვეული ვალი მოიხადა შექსპირის დრამატურგიის წინაშე — ნათარგმნია ყველა პიესა და ნ. ყიასაშვილის რედაქტორობით გამოდის შექსპირის თხზულებათა სრული კრებული. მასში გამოვლინდება XIX—XX საუკუნეების თარგმნითი ხელოვნების თავისებურებანი და საერთო დონე. რამდენად მიიღებს და შეითვისებს ამ თარგმანებს ქართული ლიტერა-

ტურა, ამას დრო განსჯის, თვით ფაქტი კი, რომ დღეს ქართულ ენაზე სრულად გვაქვს თარგმნილი შექსპირის შემოქმედება ორიგინალის ენიდან ძალზე საგულისხმოა. აქ გვინდა ქეთრინ ვივიენს დავესესხოთ აზრი იმის შესახებ, რომ „თითო თაობას ესაჭიროება თავისი ახალი ვერსია ლიტერატურული ნაშრომების“ (74), მაგრამ ცოტა მივუსადაგოთ ქართულ სინამდვილეს: ყოველ საუკუნეს ესაჭიროება მსოფლიოს კლასიკური ლიტერატურის ახალი ვერსია. შექსპირთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ ზეოცე საუკუნე პირნათლად წარდგება ოცდამეერთესთან და მისგან „ახალ მაჩაბელს“ მოელის.

შექსპირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის პირველი მოკრძალებული ცდებიც, ისევე როგორც მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის თარგმნა, XIX საუკუნის შუახანებს განეკუთვნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან შექსპირისმცოდნეობა მყარ მეცნიერულ საფუძველზე დგება და ჩვენი აზრით, დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად ყალიბდება. ეს პროცესი კი უშუალოდ უკავშირდება ნიკო ყიასაშვილის სახელს.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში შექსპირის გაცნობა მისი ცხოვრების ბიოგრაფიული დეტალების დაზუსტებით დაიწყო. ეს ცნობები მართალია მეცნიერული სიზუსტით არ გამოირჩეოდა, მაგრამ გარკვეულ ახალ და საინტერესო ინფორმაციას შეიცავდა. მათში აქა-იქ გაბნეული რუსიციზმები გვაგრძნობინებენ, რომ მათი უმეტესობა რუსულის გზით იყო შემოსული. მწერლის ბურუსით მოცული ბიოგრაფიის დადგენა ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან გაგრძელდა და ქართული შექსპიროლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვლევ პრობლემად იქცა. დღესდღეობით შექსპირის ცხოვრების მეცნიერული შესწავლა საქართველოში აყვანილია თანამედროვე მსოფლიო შექსპიროლოგიის მიღწევების დონეზე.

შექსპირის პიესების ლიტერატურათმცოდნეობითი შესწავლაც გასული საუკუნიდან დაიწყო. შექსპირის შემოქმედების ირგვლივ ჩვენს მიერ განხილული მასალის გარდა, ბევრი სამეცნიერო წერილია დაწერილი. თითოეული მათგანის ანალიზი შორს წაგვიყვანდა. ამიტომ ჩვენ შევეცადეთ ამ დიდძალ მასალაში ის მიმართულებები გამოგვეკვეთა, რომ-

ლებიც წარმოდგენას შეგვიქმნიდნენ შექსპიროლოგიური კვლევის განვითარებაზე საქართველოში და განზოგადებული დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემდნენ.

ქართველი მეცნიერები სწავლობენ შექსპირის გმირთა ხასიათებს, მეტყველებას, იკვლევენ ამა თუ იმ პიესის ცალკეულ მოტივებს, ან მთლიან ნაწარმოებს სხვადასხვა ასპექტში — იქნება ეს ისტორიულ-ლიტერატურათმცოდნეობითი, სტილისტური, ლინგვისტური, შედარებით ლიტერატურათმცოდნეობითი, ზოგადკულტურული პრიზმიდან დანახული, თუ ბიბლიოგრაფიული... წარმოაჩენენ შექსპირის შემოქმედების ქართულ სამყაროსთან ურთიერთობას, მწერლის მემკვიდრეობას გაიაზრებენ მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის შუქზე, იკვლევენ ტრადიციისა და ნოვატორულის მიმართების საკითხს შექსპირის შემოქმედებაში, უკვირდებიან თანამედროვე ანგლო-ამერიკული ლიტერატურის დამოკიდებულებას შექსპირის შემოქმედებასთან, ხდება მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მონოგრაფიული შესწავლა, ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი სხდომები. თბილისის უნივერსიტეტში 1970 წლიდან ფუნქციონირებს შექსპირის კაბინეტი, შექმნილია შექსპირის საზოგადოება. შექსპიროლოგიური კვლევის თანამედროვე დონე ძირითადად ასახულია 1959—1978 წლებში გამოცემულ ხუთტომეულში — ქართული შექსპირიანა. მასში წარმოჩენილია შექსპირის შემოქმედების სხვადასხვა მხარე, ქართულ თარგმანთა კრიტიკული ანალიზი, შექსპირი ქართულ სცენაზე, საქართველოში დიდი დრამატურგის შემოქმედებითად გააზრების ბიბლიოგრაფია... მეოთხე ტომი მთლიანად ეთმობა 1972 წელს თბილისის უნივერსიტეტში ჩატარებულ შექსპიროლოგიურ საკავშირო კონფერენციას, სადაც გაშუქებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მოღვაწე შექსპიროლოგთა უახლესი სამეცნიერო მიღწევები.

საგულისხმოა, რომ ქართველი მოღვაწეები უყურადღებოდ არ ტოვებენ შექსპირის საიუბილეო თარიღებს. ამ თარიღებთან დაკავშირებით პრესაში ქვეყნდება სპეციალური წერილები, იმართება სამეცნიერო სხდომები, საიუბილეო კონცერტები, თეატრები ახალი შექსპირული დადგმებით ხვდებიან საიუბი-

ლეო დღეებს, აღნიშნულია ისიც, რომ შექსპირი და სერვანტესი — ორივე 1616 წლის 23 აპრილს გარდაიცვალნენ და ხშირად ერთმანეთთან შეპირისპირებაშია განხილული მათი ცხოვრების გზები.

ქართული შექსპიროლოგიური ლიტერატურის შესწავლის შედეგად უპირველესად უნდა აღინიშნოს ის, რომ თანამედროვე ქართველი სწავლულები ზედმიწევნით კარგად იცნობენ მსოფლიო შექსპიროლოგიურ ლიტერატურას და ორიგინალური კვლევის პროცესში ითვალისწინებენ მას. ქართული შექსპიროლოგია იცნობს ასევე ე. წ. „ანტიშექსპირელთა“ და დილეტანტ მკვლევართა მოსაზრებებსაც და მეცნიერულად ეკამათება მათ შეხედულებებს. ქართველი მეცნიერები ძირითადად იზიარებენ მწერლის შემოქმედების ტრადიციულ დაყოფას სამ პერიოდად. ქართველი მკვლევრები შექსპირის შემოქმედებას, ან შემოქმედების გარკვეულ ეტაპს არასოდეს ლოკალიზებულად არ სწავლობენ. დრამატურგის შემოქმედება ძირითადად ყოველთვის გააზრებული აქვთ ეპოქასთან, რენესანსულ კულტურასთან, ლიტერატურულ და თეატრალურ ტრადიციებთან და გარკვეულად მის პირად ცხოვრებასთან მიმართებაში. ქართველი მოღვაწენი მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო სიმპოზიუმების მუშაობაში და უცხოელ მეცნიერებს აცნობენ ქართული შექსპიროლოგიური სკოლის მიღწევებს, რაც თავისი სიღრმით თანამედროვე მსოფლიო მეცნიერების დონეზე დგას და კუთვნილ ადგილს იმკვიდრებს მსოფლიო შექსპიროლოგიაში.

ნაწილი მეოთხე.

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კავშირები: ლიტერატურათმცოდნეობითი ძიებანი

ქართული ლიტერატურის ისტორიაში XIX საუკუნე ძალზე მნიშვნელოვანი პერიოდია. ამ დროისათვის ნიშანდობლივია ევროპული ლიტერატურული პროცესისა და აზროვნების გათავისება, შემოქმედებითად ათვისება და საზოგადოდ, დაახლოება ევროპულ კულტურასთან, რაც უპირატესად რუსული ლიტერატურის გზით ხდებოდა. გასულ საუკუნეში როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ მწერლობაში ორი დიდი ლიტერატურული მიმართულება იკვეთება — რომანტიზმი და რეალიზმი. ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა ინგლისური რომანტიზმისა და რეალისტური მიმართულების ლიტერატურის რეცეფციის ხასიათი საქართველოში. ამასთანავე ცალკე გამოვყავით და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდით განვიხილეთ ორი მნიშვნელოვანი საკითხი: რომანტიკული პოეზიისათვის ერთ-ერთი ძალზე ნიშანდობლივი თემა — სიყვარულის განცდა ქართულ და ინგლისურ სატრფიალო ლირიკაში და რეალისტური თხრობისათვის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი სტილური კომპონენტი — კომიზმი ქართულ და ინგლისურ მწერლობაში.

I. ინგლისური რომანტიზმი ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და თარგმანებში

XIX საუკუნე ერთ-ერთი მდიდარი და უმნიშვნელოვანესი პერიოდია ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში. კლასიციზმი და განმანათლებლობა თანდათანობით რომანტიკულმა პოეზიამ, ისტორიულმა რომანმა და რეალისტურმა პროზამ შეცვალა.

ინგლისური რომანტიზმის სათავეში „ტბის სკოლის“ პოეტები — უილიამ უორდზუორთი, სემიუელ ტეილორ კოლრიჯი

და რობერტ საუთი დგანან. ჯორჯ გორდონ ბაირონი, პერსი ბიში შელი და ჯონ ქითსი რომანტიზმის მეორე ნაკადს ქმნიან. ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და თარგმანებში ისინი სხვადასხვა ინტენსივობით იხსენიებიან. ქართველი მკითხველისათვის ალბათ ყველაზე ახლობელი ბაირონის სახელია. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ინგლისელ კლასიკოსთაგან, ჩვენში ყველაზე მეტად შექსპირითა და ბაირონით ინტერესდებოდნენ. ბაირონის პოპულარობა შეიძლება აიხსნას არა მარტო მისი გენიით, არამედ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი მისი დიდი მხარდაჭერით, რაც ესოდენ ეხმაურებოდა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას.

ქართული ბაირონიანას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ითარგმნება პოეტის ნაწარმოებები, ხდება მათი ფილოლოგიური შესწავლა და შემოქმედებითად გააზრება. ბაირონი არის ერთი იმ მწერალთაგანი, რომლის პოეზიის თარგმნა საკმაოდ ინტენსიურად დაიწყო. ქართველმა საზოგადოებამ მიიღო და ერთგვარად გაითავისა ბაირონი და მისი ლექსი. „ჩვენ წრეში ძნელად თუ შევხვდებით ადამიანს, რომელიც არ იცნობდეს ლორდ ბაირონს", — წერდა 1859 წელს ნიკო ბერძნიშვილი (1) და ბარათაშვილის სევდას ლერმონტოვისა და ბაირონის სხვა მიმდევრებს უდარებდა: „მის ნიჭს (ნ. ბარათაშვილის, მ. ო.) იმ უკმაყოფილებისა და იმედგაცრუების, იმ მელანქოლიის ბეჭედი ჰქონდა დასმული, რაც ასე საგრძნობია ლერმონტოვთან და ბაირონის სკოლის სხვა მიმდევრებთან" (2). ქართული კრიტიკოსები პარალელს ავლებდნენ ჯორჯ ბაირონსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს შორის. ა. ფურცელაძე ბარათაშვილს „ჩვენს ბაირონს" უწოდებდა (3). ალ. ცაგარელმა წამოაყენა აზრი იმის შესახებ, რომ ბარათაშვილის პოეზიაში შეიძლება ვიპოვოთ იგივე საკითხები, რაც ბაირონისა და ლერმონტოვის ნაწარმოებებშია დასმული და გახსნილი მანფრედის, ლუციფერის, კაენის მწირისა და დემონის ხასიათებში (4). ქართული რომანტიკული დემონიზმის თავისებურება ისაა, რომ დემონი, ბოროტი სული — ევროპული რომანტიზმის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, არ არის პერსონიფიცირებული. თუ ბაირონის კაენი ლუციფერს მიჰყვება შეძახილით — „მოვდივარ, სულო!", „მეჩანის" ლირიკული გმირი, ეს უსახელო ტრაგიკული „მე", რო-

გორც გ. ქიქოძე იტყოდა, თავად ამხნევებს საკუთარ თავს. ამ პოეტურ სიმბოლოებს შორის ილია ჭავჭავაძემ ასეთი პარალელი გაავლო: „აშკარაა, საზღვარ-დადებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზრიანობისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურს ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად მღელვარე ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისთვის ლუციფერი აიჩინა, გეტეს ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა — თავისი „მერანი“, ესე იგი თავისის სულის ქროლა“ (5, 193). ბაირონისა და ბარათაშვილის პოეზიას ბევრი რამ აახლოებს. იონა მეუნარგია მიუთითებდა — „კარგად რომ თარგმნოს კაცმა ბარათაშვილის ლექსები: „ჩემს მერანს“ და „სულო ბოროტო“ და ბაირონის „დონ-ჟუანში“ ჩაურთოს, ან „ჩაილდ ჰაროლდში“, არა მგონია, დიდებული პოეტის ქმნილების ერთობა დაირღვეს, ისე მწარედ და სწორად არის გამოთქმული ამ ქმნილებებში კაცობრიობის საყვედური ბოროტი ხვედრის წინააღმდეგ (6, 277). იგივე აზრს ავითარებს ალ. ცაგარელი, რომ ზემოაღნიშნულ ორ ლექსსა და ბაირონის თხზულებებში ბევრი თანხვედრაა, მეტადრე უკმაყოფილების გამოხატვისას (4). ბაირონისა და ბარათაშვილის სულით ობლობაზე, თანამოაზრეთა გარეშე ყოფნაზე და იმავდროულად მათ დიდ სიყვარულზე ქვეყნისა და მოძმეთა მიმართ საუბრობს მ. ვეზირიშვილი (7). ივ. კერესელიძე კი ჯ. ბაირონსა და გრ. ორბელიანთან ბუნების რომანტიკულ აღწერას უდარებს ერთმანეთს და გარკვეულ შემთხვევაში „ცისკარმან აღმოსავლეთით ვარდისა ფერად შეჰღება, ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შვენება“ — უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს (8). მ. ვეზირიშვილს კი მიაჩნია, რომ მუხთალ სოფლისაგან მოტყუებულთ — ბაირონსა და ბარათაშვილს ბუნებაში სურთ მოიპოვონ სულის მალამო, მიმართავენ ბუნებას, რათა პირისპირ შეხვდნენ პირველად მშვენიერებას (7). ვაჟა-ფშაველა აყალიბებდა რა აზრს ბაირონსა და მის პოეზიაზე, დასძენდა, რომ ბაირონი — პოეტი-ინდივიდუალისტი მიელტვოდა თავისუფალი ცხოვრებისაკენ და შვებას ეძებდა საზოგადოების გარეშე. მისი მეგობარი იყო ბუნება და მისი სამშობლო კი ამაყი და უსაზღვრო ოკეანე (9, 273).

ნიკო ნიკოლაძემ ქართველ ლიტერატურათმცოდნეთაგან ერთერთმა პირველმა გაუზიარა მკითხველებს თავისი მოსაზრება არაერთ ინგლისელ მწერალზე, მათ შორის — ჯორჯ ბაირონზე. რეცენზიაში, რომელიც მან იულიან შმიდტის ნაშრომზე დაწერა, იგი ბაირონის პოეზიაზეც ჩერდება. ნიკოლაძე ნათლად და მკაფიოდ აყალიბებს თავის შეხედულებას ბაირონზე — შემოქმედსა და პიროვნებაზე: „ბაირონი თავისი ხასიათით არ მიეკუთვნება იმ ნიჭიერ ადამიანთა რიცხვს, რომელნიც საზოგადოებაში გარკვეული მდგომარეობის მიღწევით კმაყოფილდებიან და შემდეგ ოლიმპიელის გამომეტყველებას მიიღებენ... ბაირონის მგზნებარე განწყობილება ეძიებდა მოქმედებას, ეძიებდა უკეთეს საზოგადოებას, ვიდრე ის იყო, რომელშიაც იგი დაიბადა და აღიზარდა. და აი, სწორედ ამ ძიებაში მდგომარეობს გასაღები მისი თხზულებებისა. ბაირონი არ იყო არც ინგლისელი, არც ფრანგი, არც რუსი, არც ბერძენი, არც იტალიელი, არც ესპანელი. ბაირონი იყო მხოლოდ და მხოლოდ ა დ ა მ ი ა ნ ი. იგი ამისათვის სძულდათ, უშვერად სდევნიდნენ და ამ სიძულვილისა და დევნის საფასურს ბაირონი უხდიდა უღრმესი მძულვარებით, რაც ზოგჯერ გულისწყრომაში გადადიოდა. ბაირონი მჭმუნვარებდა ადამიანთა განუვითარებლობის გამო, მას არ ესიამოვნებოდა იმის გახსენება, რომ ქვეყანაზე არ იყო ადამიანი, რომელსაც თავის გრძნობებს, ნაღველსა და სიხარულს გაუზიარებდა: იგი გრძნობდა საკუთარი თავის უპირატესობას ირგვლივ მყოფებთან შედარებით. თუ გნებავთ, ესაა ერთადერთი ბრალდება, რაც შეიძლება წაუყენონ ბაირონს, მაგრამ იმ დროის ლიტერატურისა და სხვა მოღვაწეებს თუ გავიხსენებთ (მხედველობაში გვყავს არა მარტო ინგლისელები), იძულებული ვიქნებით, ვთქვათ, რომ ბაირონს სრული უფლება ჰქონდა თავისი თავი სხვებზე მაღლა დაეყენებინა (10, 218—219). რეცენზენტი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ი. შმიდტს იმის თაობაზე, რომ ბაირონი მხოლოდ გართობას ეძიებდა და მეტს არაფერს. იგი ასევე არ იზიარებს ი. შმიდტის ბრალდებას ინგლისელი კლასიკოსის ამორალობის შესახებ. ნიკო ნიკოლაძე სრულიად მართებულად თვლის, რომ ი. შმიდტს არასწორად აქვს გაგებული ბაირონის შემოქმედება, ვინაიდან მასში მხოლოდ და მხოლოდ ერთ ღირსებას ხედავს, კერძოდ, „ღირსებას ოსტა-

ტობაში“, რომ იგი კარგად ფლობს ენას და ლექსისთვის ახალ ზომებს ეძებს. შემდეგ მას მოაქვს ი. შმიდტის სიტყვები იმის შესახებ, რომ ბაირონს ადამიანთა სიყვარული არ ჰქონდა, მას ხალხის მიმართ არავითარი თანაგრძნობა არ ამოქმედებდა, ადამიანები მისთვის უბრალო აჩრდილები იყვნენ და მის შესაქცევად არსებობდნენ. წინააღმდეგ ი. შმიდტისა, ნ. ნიკოლაძე დარწმუნებულია, რომ თავის თანამემამულეებთან შედარებით საკუთარი თავის უპირატესობის შეგნებამ, თავისი მარტოობის შეგნებამ ბაირონს მრავალი სევდიანი სიტყვა და ლექსი დააწერინა, რომლებიც ჯერ კიდევ დიდხანს შეინარჩუნებენ ინტერესს.

ბაირონზე საუბრისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ ნიკო ნიკოლაძის კიდევ ერთი წერილი, რომელიც მან 1872 წელს გამოაქვეყნა (11). მასში სხვა საკითხებთან ერთად „დონ-ჟუანის“ ქართული თარგმანიცაა განხილული, რომელიც ხალხოსანი მწერლის იოსებ ბაქრაძის მიერ არის შესრულებული. XIX საუკუნის ქართველ კრიტიკოსთაგან ნიკო ნიკოლაძემ პირველმა შეუდარა თარგმანი ინგლისურ ორიგინალს და გამოთქვა თავისი შეხედულება ქართული ტექსტის უზუსტობის შესახებ. იგი ჰკიცხავს არა მარტო მთარგმნელს, არამედ „მნათობის“ რედაქციასაც, რომელმაც დაბეჭდა „დონ-ჟუანის“ თარგმანი, რადგან მასში დამახინჯებულია „დედნის აზრი“, არ ჩანს „ის სიმართლესავით მჭრელი ირონია“, რომლითაც სავსეა ეს პოემა. ნ. ნიკოლაძე მიმართავს ნაწარმოების ერთი ნაწყვეტის თარგმანის ტექსტუალურ ანალიზს. იგი იმოწმებს ინგლისურ დედანს და მოაქვს იგივე პასაჟის ი. ბაქრაძისეული თარგმანი:

„ყველა ქვეყნის შკოლების მასწავლებლები,
რომ ჩვენ ზნეობა გავასწოროთ ყმაწვილებისა,
გვიქადაგებენ, რომ ვიხმაროთ მუდამ როზგები.
ცემა უნდა... რა არს ტკივილი ტყავისათვისა?
ჩვენ მაგალითად ხელს მიგიშვერთ დონ-ჟუანზედა:
თუმცა რომ დედა ბევრს ცდილობდა მის აღზრდაზედა
და იმისათვის არაფერსა არ იშურებდა,
მაგრამ ბოლოს კი უროზგობას ბევრსა ნანობდა“.

(11, 128).

ი. ბაქრაძეს ეს ადგილი ისე აქვს გაგებული, თითქოს მასწავლებლები ქადაგებენ აღსაზრდელთა ცემას. გარდა ამისა, ქარ-

თულ ტექსტს ბოლოში მთარგმნელისეული ჩანართი ემატება— „უროზგობას ბევრსა ნანობდა“. ის განსხვავება, რომელსაც ქართული თარგმანი ორიგინალთან შეჯერებისას იძლევა, გასაკვირი არ არის, რადგან ი. ბაქრაძეს „დონ-ჟუანი“ არა ორიგინალიდან, არამედ რუსული თარგმანიდან აქვს გადმოღებული. ჩვენ გავეცანით „დონ-ჟუანის“ რუსულ თარგმანებს და მივაჩნია, რომ ი. ბაქრაძემ პ. ა. კოზლოვის თარგმანით ისარგებლა. მასში ზემომოტანილი ადგილი ასე იკითხება:

«Всех стран известных педагоги
Учеников советуют нам сечь,
Так будте-же родители строги,
Ведь боль от зла их может уберечь!
Вот Дон-жуан, как сбился с дороги,
О нем как раз я вел свою речь;
А лучшая из матерей не мало
О воспитании сына старалась» (12. 37).

ამ ვარიანტის გაცნობის შემდეგ, უკვე ცხადია, რომ ქართველი მთარგმნელის მიერ დაშვებული აზრობრივი შეცდომის წყარო რუსული თარგმანია. ეს ადგილი რუს მთარგმნელს აქვს არაზუსტად გაგებული.

იწუნებს რა ნ. ნიკოლაძე „დონ-ჟუანის“ თარგმანს, იგი აღნიშნულ ტაეპს თვითონ თარგმნის პწკარედულად: „გეუედრებით თქვენ, ვინც ზრდით სხვა და სხვა ხალხების, ღოლლანდიის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის ან ესპანიის უმანკო ახალგაზრდობას, სცემეთ ისინი ყოველ შემთხვევაში. ეს მათ ზნეობას მოუხდება. ტკივილზე კი ნურასოდეს ნუ იზრუნებთ. ყველაზე უკეთესი დედის ყოლა და უმჯობესი სწავლის მიღება დონ-ჟუანს არათ გამოადგა: იმან მაინც დაკარგა თავისი უმანკობა და დაკარგა ძლიერ სულელურათ“ (11, 127) და ამით კიდევ ერთხელ არწმუნებს მკითხველებს ი. ბაქრაძისეული თარგმანის უზუსტობაში.

ნიკო ნიკოლაძე გარდა იმისა, რომ მართებულად აკრიტიკებს „დონ-ჟუანის“ ქართულ თარგმანს, საკითხს სვამს იმის შესახებ, თუ რამდენად აუცილებელი და გამართლებული იყო იმ პერიოდში ამ ნაწარმოების თარგმნა — „მნათობი“ უმიზნოთ ბეჭდავს ყველაფერს, რაც კი ხელში ჩაუვარდება. განა

იმას შეუძლია გვიპასუხოს „დონ ჟუანი“ რისთვის დაბეჭდა... შეგვეფერება ჩვენ თხზულება, ექნება იმას მკითხველ საზოგადოებაზე რამე ზემოქმედება, თუ არა? აძლევს ნათარგმნი თხზულება პასუხს იმ კითხვებზე, რომელიც ან ეხლა აფიქრებს საზოგადოებას, ან მოკლე ხანში დააფიქრებს, — ამისას ნურას ჰკითხავთ „მნათობს“ და მის მთარგმნელებს, ან პირებს და იმ რედაქციას, რომელიც თარგმნას კისრულობს და არც სხვა ქვეყნების ენა იცის, არც ლიტერატურის ისტორიას არის გაჩვეული...“ (11, 132—133).

XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაზე დაკვირვებისას დავინახავთ, რომ ლიტერატურული აზრი ერთი მხრივ თუ სრულიად დამოუკიდებლად ვითარდებოდა, ეს არ ნიშნავს, რომ ქართველი მოღვაწენი არ იცნობდნენ სხვათა ნააზრევს. ბარიონთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ს. ალექსი-მესხიშვილის სიტყვები, სადაც იგი მიმართავს ილია ჭავჭავაძეს: — „მიკვირს, რომ ის დიდი ბაირონი, ისეთს კარგ გუნებაზედ განგიხილავსთ, რომ არ შეგიმჩნევიათ, იმისოვის არაფერი ნაკლოვანება და ხელთ არ გიგდიათ სასტიკი იმაზე გამოცემული ედინბურღში კრიტიკა. ეს დიდი მოლექსეც არ იყო თვინიერ ნაკლულოვანებათა. სამხატვრო კალამი იმის ზოგან კამკამიერ ფეროვანია და ბრწყინვალე, ზოგან უკიდურესად უცხოველოდ მომკრთალებული და უფერული, თითქო შემოჰკლებია წამლები და გაუცრეცია ხატული“, მაგრამ ბოლოს მაინც დასძენს — „მაინც, არა მიხვედრისამებრ ამ ნაკლულოვანებათა შერაცხილია ის უდიდეს მოლექსეებთანა“ (13).

საუკუნენახევარზე მეტი ხნის წინ დაიწყეს ქართველმა მოღვაწეებმა ბაირონის ნაწარმოებების ქართულად თარგმნა, მაგრამ სამწუხაროდ, მისი თხზულებების თარგმანთა სრული კრებული დღემდე არ მოგვეპოვება. მ. კუჭუხიძეს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში მოძიებული აქვს ყველაზე ადრეული თარგმანები, შესრულებული ს. ალექსი-მესხიშვილისა და მ. თუმანიშვილის მიერ. ბაირონის პირველ მთარგმნელთა შორის არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იოსებ ბაქრაძე, მამია გურიელი, ნიკო ლომოური. XX საუკუნეში კი ბაირონის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ქართული თარგმანები შესრულებული აქვთ კონსტანტინე ჭიჭინაძეს, გივი

გაჩეჩილაძეს, მოსე ქარჩავას, თამარ ერისთავს, თამაზ ჩხენკელს, ჯანსულ ჩარკვიანს, ნაზი კილასონიას, გრიგოლ აბაშიძეს, ინესა მერაბიშვილს... ჩვენი საუკუნის დასაწყისში დ. ონიაშვილმა გამოსცა ნაშრომი „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“; ბაირონის დაბადების 150 წლისთავს მიუძღვნა გ. ვაჩეჩილაძემ პოეტის შემოქმედების მიმოხილვა (1938 წ.); 1947 წელს დაიცვა თ. ზანდუკელმა სადისერტაციო ნაშრომი „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ჯორჯ გორდონ ბაირონი“. 1992 წელს გამოიცა მ. კუჭუხიძის მონოგრაფია „ბაირონი და XIX საუკუნის ქართული მწერლობა“, რომელშიც ავტორი განიხილავს ბაირონის ქართულ თარგმანებს, ბაირონის შემოქმედების გააზრებას ქართული სალიტერატურო კრიტიკის მიერ, ეძებს ბაირონისეულ მოტივებს და პოეტური განწყობილებების, სალექსო ფორმის, კომპოზიციის, თემატურ-შინაარსობრივი პარალელების მოხმობის საფუძველზე ცდილობს დაადგინოს სულიერი ნათესაობა ჯ. ბაირონისა და ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ვ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის პოეზიას შორის (14). საყურადღებოა, რომ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ჯორჯ გორდონ ბაირონისა და მისი რომანტიკული სამყაროს შემოქმედებითი რეცეფცია მოხდა. „მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა“ — წერდა ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“; ბაირონის გარდაცვალების 100 წლისთავზე დაიწერა კონსტანტინე გამსახურდიას ესე „ბაირონ“; ოთარ ჩხეიძემ მხატვრულად აღწერა ბაირონის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთი ძალზე საინტერესო პერიოდი წიგნში „იტალიური დღიურები ბაირონისა“ (1975 წ.); იოსებ ნონეშვილმა კი ბერძენი ხალხის თავისუფლებისათვის ბაირონის თავგანწირვას, 1978 წელს უძღვნა ლექსი „ათენში, ბაირონის ძეგლთან“; ბაირონის პიროვნებას და მისი პოეზიის რემინისცენციებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. 1988 წლიდან თბილისის უნივერსიტეტში ჯორჯ ბაირონის დაბადების დღეს რეგულარულად ტარდება სამეცნიერო სესია; 1990 წელს შეიქმნა ბაირონის საზოგადოება, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ქართული ბაირონიანას განვითარებაში და ცდილობს მეცნიერული საფუძველი ჩაუყაროს ქართულ ბაირონოლოგიას.

საქართველოში რომანტიზმის აღმოცენებას კიტა აბაშიძე ევროპული რომანტიზმის გავლენით ხსნის. მას მიაჩნია, და ვფიქრობთ სავსებით სწორად, რომ არა მარტო რომანტიზმი, არამედ საზოგადოდ მთელი ქართული ლიტერატურის განვითარება მიმდინარეობდა ევროპული ლიტერატურის კვალდაკვალ, ხოლო რაც შეეხება რომანტიზმს, იგი წერს — „ნიადაგი, რომელიც ქართულ რომანტიზმს ასაზრდოებდა, იყო XIX საუკუნის დამდეგს შექმნილი ახალი პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული გაურკვევლობა“. ამ გაურკვევლობას რომანტიკულად აღწერდნენ ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი. მისი მსჯელობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ქართული მწერლობა ოდითგან იყო ჩართული საერთო ლიტერატურულ პროცესში და რომანტიზმი, როგორც ზოგადლიტერატურული მოვლენა, ისე მიიღო და თავისებურად განავითარა ქართულმა ლიტერატურამ. „მთელს ევროპაში ლირიზმი აყვავდა, ევროპამ რუსეთზე იქონია გავლენა და რუსეთის რომანტიკოს-ლირიკოსებმა ჩვენები გაიტაცა“, — წერდა კიტა აბაშიძე (15, 48—52). ეს რომანტიკული გატაცება ცხადია მხოლოდ ორიგინალურ ლიტერატურაში არ არეკლილა. იგი გარკვეულად დაეტყო მხატვრულ თარგმანსაც და სალიტერატურო კრიტიკასაც. თავის ადრეულ გახმაურებულ წერილში ერთი მოხდენილი წინადადებით გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ ბაირონის „აბიდოსელი პატარძლის“ კოზლოვისეული თარგმანი და გამოხატა თავისი დამოკიდებულება დიდი ინგლისელი პოეტისადმი. „სად არის კაზლოვის თარგმანში ის მეხი სიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა!“ — წერდა იგი (16).

ბაირონის პოეზიასთან შედარებით ნიკო ნიკოლაძეს სხვა ინგლისელ რომანტიკოსთა ლექსები ნაკლებმნიშვნელოვნად მიაჩნდა. ზემოაღნიშნულ წერილში იგი არ ეკამათება ი. შმიდტს იმის გამო, რომ მას სასტიკად ჰყავს გაკრიტიკებული „ტბის სკოლის“ პოეტები.

პერსი ბიში შელის პოეზიის ქართულად თარგმნა ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო. მისი ლექსები თარგმნილი აქვთ ირ. ევდოშვილს, რ. ბერიაშვილს, ალ. საჯაიას, გ. გაჩეჩილაძეს, გ. ნიშნიანიძეს. შელის პიესა „ბეატრიჩე ჩენჩი“, რომლის

თარგმანი შეასრულა ვ. გაფრინდაშვილმა, დადგა ჯერ კ. მარჯანიშვილმა და შემდეგ ვ. აბაშიძემ. მისი „უფლებათა დეკლარაცია“ და წინასიტყვაობა დრამისა „განთავისუფლებული პრომეთე“, 1989 წელს თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. მათვე თარგმნეს ჯ. ქითსის წერილები და ს. ტ. კოლრიჯის ესეები. უკანასკნელ ხანს გამოჩნდა უ. უორდზუორთის, ს. კოლრიჯის, რ. საუთის, ჯ. ქითსის ლექსების ქართული თარგმანები (მთარგმნელები გ. გაჩეჩილაძე, გ. ნიშნიანიძე, თ. ჩაჩავა).

ინგლისური რომანტიზმი სხვადასხვა ასპექტში იქნა გააზრებული ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიერ. ინგლისური და ქართული რომანტიზმის ტიპოლოგიური კვლევისას თ. ნუცუბიძე განიხილავს უ. უორდზუორთის, ჯ. ქითსის, პ. ბ. შელის, ჯ. გ. ბაირონის შემოქმედების სხვადასხვა მხარეს და ატარებს ტიპოლოგიურ ძიებას ქართულ რომანტიკულ პოეზიასთან (17). ც. ბენაშვილი იკვლევს ინგლისური რომანტიკული პოეზიის რემინისცენციებს XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, უპირატესად გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. მას შეპირისპირებული აქვს სხვადასხვა მოტივის მხატერული ინტერპრეტაცია გალაკტიონსა და ბაირონთან; შეისწავლის ბაირონის, შელის, ქითსის, უორდზუორთის, კოლრიჯის, საუთის შემოქმედების ანარეკლს ქართულ პოეზიაში (18; 19). მერი შელის მოღვაწეობის შესწავლისას ნ. კოპალეიშვილი აღწერს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისის ლიტერატურულ გარემოს — ბაირონისა და შელის მეგობრობას, უილიამ გოდუინისა და მერი უოლსთონკრუფტის ოჯახს, მერი შელის ურთიერთობას სემიუელ ტეილორ კოლრიჯთან, ლი ჰანტთან, თომას მურთან, ირვინ უოშინგტონთან (20). სემიუელ ტეილორ კოლრიჯის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებანი შესწავლილი აქვს მ. გელაშვილს (21).

ასეთნაირად გამოიყურება საქართველოში ინგლისური რომანტიზმის რეცეფციის სქემატური აღწერილობა. ქართულ სალიტერატურო კრიტიკას იმთავითვე ძირითადად სწორი მიმართება ჰქონდა ინგლისურ რომანტიკულ პოეზიასთან. იცნობიერებდნენ რა ინგლისელ რომანტიკოსთა სიდიადეს, კრიტიკოსები

მთარგმნელებისაგან აზრის ზუსტად გადმოტანას, ორიგინალიდან თარგმნას და მხატვრულად ღირებული თარგმანის შესრულებას მოითხოვდნენ. ეს მოთხოვნები უფრო ჩვენს დროში განხორციელდა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინგლისური რომანტიზმის კვლევამაც შედარებით სისტემური ხასიათი მიიღო.

II. სიყვარულის განცდის ტიპოლოგიური მიმართებისათვის ქართულ და ინგლისურ რომანტიზმში

სიყვარულის ფესვების ძიებას მწერლობაში ანტიკურობამდე მივყევართ. შემდეგ იგი ყველა ლიტერატურული მიმართულების თანამდევი თემა გახდა. სიყვარული სხვადასხვა ტიპის ლიტერატურამ სხვადასხვანაირად, თავისი დროის შესაბამისად გაიაზრა და გამოხატა. როგორც გალაკტიონ ტაბიძე იტყოდა:

„ველად გაჯრას, ხელად რონინს
ცვლიან შემოდგომანი...
დე გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

ყველაფერი იგი გაპქრა,
ვით სიზმარი გვიანი,
დრომ ახალი ძალით დაპკრა:
სხვაა ადამიანი...“

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში სიყვარულის ნაირსახეობებია წარმოდგენილი — ამაღლებული თუ ხორციელი სიყვარული, ღვთაებრივი თუ მიწიერი გრძნობა, „შორით კვდომა“, უარყოფილი თუ ჰარმონიული სიყვარული და სხვა. გურამ ასათიანს ასეთი აზრი აქვს გამოთქმული — „სიყვარულის ქალღმერთს უყვარს მსხვერპლი, მოთმენა, მაგრამ უფრო მეტად — უკიდურესობები და უაღრესობანი. ის ყველას ერთნაირად წყალობს, ვისაც კი მის სამსხვერპლოზე წრფელი ზვარაკი მიუტანია.

ქალწული ბეატრიჩე და მეძავი მანონ ლესკო მის საუფლოში გვერდიგვერდ სხედან“ (22, 6) — საგულისხმო მოსაზრებაა!

სიყვარულის უზენაეს ფორმას — ადამიანური სიყვარულის ღვთაებრივი შინაარსით ავსებას, რასაც რუსთველის პოემაში ვხვდებით, ელგუჯა ხინთიბიძემ შუასაუკუნეობრივისა და რენე-

სანსული ტრადიციების შერწყმა უწოდა და შემდეგნაირად განმარტა პოემაში ნაჩვენები სიყვარულის სამი სახეობა — სიყვარულის ის სახე, რომელსაც რუსთველი აიდეალებს, საღვთო და ხორციელი სიყვარულის საუკეთესო თვისებებითაა შემკული. იგი იდეალური საშუალია სიყვარულის იმ ორ სახეობას შორის, რომელიც პრინციპულად ემიჯნება სიძვას, და მაქსიმალურად უახლოვდება საღვთო სიყვარულს. საღვთო სიყვარულიდან მას გრძნობის სიდიადე, ამაღლებულობა, მარადიულობა და საუკუნო ცხოვრებაში გაგრძელება ახასიათებს, ხოლო ხორციელი სიყვარულიდან — ამქვეყნიურობა (23, 173). ასეთნაირი ჩანს სრულყოფილი სიყვარული.

სიყვარულის განცდა ინდივიდუალურია. „ბაირონის სატრფო ტერეზა გამბა ამტკიცებდა, რომ მისი მიჯნური სულაც არ იყო კოჭლი. ამტკიცებდა მთელი გულწრფელობითა და პოეტური გატაცებით. ინგლისელი ლორდი ფიზიკურად და სულიერადაც ულამაზესი მამაკაცი იყო, ხორცშესხმული სიკეთე, მიწაზე მოარული ანგელოზიო“ (24, 194). ეს რომ ბაირონის კანონიერ მეუღლეს, ანაბელა მილბენკს მოესმინა, ფრიად გაოცდებოდა, რადგან ბაირონში მას ამის მსგავსი არაფერი დაუნახავს.

ამა თუ იმ თხზულებაში წვდომა, მისი აღქმა და მიღებული ინფორმაციის გადამუშავებაც სრულიად ინდივიდუალურია. თითოეული მკითხველი, თუნდაც პროფესიონალი, ნაწარმოებს თავისებურად კითხულობს. აქ მაგონდება თამაზ ჭილაძის არაორდინალური მოსაზრება ფატმანის პიროვნებაზე, „ჩვენი მკვლევრების უმრავლესობა ფატმანს ამორალურ პიროვნებად თვლის... ზოგიერთ ჩვენს მკვლევარს დღემდე ვერ უპატიებია ფატმანისათვის ქმრის ღალატი, თუმცა ამ ღალატის ფსიქოლოგიური ან, თუნდაც, სოციალური საფუძველი შეუსწავლელი დარჩათ... როდესაც ფატმანს „ვულგარულს“ ვუწოდებთ, ჩემი აზრით, სრულიად დაუმსახურებლად ვამცირებთ ამ შესანიშნავ ქალს...“ (25, 83—85). შემდეგ თამაზ ჭილაძე ავრცობს ამ თემას და არგუმენტირებულად მსჯელობს ფატმანის ქმედებათა კეთილშობილურ საფუძველზე. როგორც ჩანს შეიძლება ერთი და იგივე პიროვნება სხვათა და სხვათა მიერ თაყვანისცემის საგანიც იყოს და გაკიცხვისაც.

ეტყობა ყველა ერმა ერთიმეორისგან განსხვავებული სიყვარული იცის. გასული საუკუნის ოციან წლებში სტენდალი წერს წიგნს „სიყვარულის შესახებ“, რომელშიც ძირითადად ფსიქოანალიზია მოცემული. მასში ბევრი ავტობიოგრაფიული მომენტია. მწერალმა ფილოსოფიურად განაზოგადა პიროვნული განცდები, გაგონილი და წაკითხული (ამ ტრაქტატში იგი უამრავ ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ ფილოსოფიურ თუ მხატვრულ ლიტერატურას იმოწმებს), და ამასთანავე საკუთარი დაკვირვებებით ჩამოაყალიბა თავისი აზრი სიყვარულზე სხვადასხვა ქვეყანაში — საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, ესპანეთში, გერმანიაში, ამერიკაში, არაბეთში, შვეიცარიაში, შეეხო პროვანსულ სიყვარულს და მიიჩნია, რომ მაინც „არაბი ბედუინის მუქ კარავში უნდა ვეძიოთ ჯეშმარიტი სიყვარულის ნიმუშები და მისი სამშობლო“ (26, 527). სიყვარულის ეროვნულ თავისებურებებთან დაკავშირებით ბუნებრივად გამახსენდა გურამ ასათიანის ლიტერატურული ესე „როგორ უყვარდათ საქართველოში“. იგი ჩვენი საუკუნის ოთხმოციან წლებში დაიწერა. ევროპული ლიტერატურიდან პარალელების მოხმობით მასში გამოკვეთილია ქართული ეროვნული ხასიათი სიყვარულთან მიმართებაში, რაც პოეტურ სტრიქონებში ვლინდებოდა ხანგრძლივი დროის მანძილზე. სიყვარულს ცხადია საერთაშორისო კოდიც აქვს, ბევრი ზოგადი თვისება გააჩნია. ერთ-ერთი აუცილებლობა, რაც სიყვარულის განცდას უნდა ახლდეს, ჩვენი აზრით, სავსებით ზუსტად განსაზღვრა გურამ ასათიანმა — „დიდი სიყვარული შინაგან კულტურას მოითხოვს (არა უბრალო განათლებას, გემოვნებას ან გარეგნულ დახვეწილობას, არამედ შინაგან სიფაქიზეს), კერძოდ, რიტმის გრძნობას“ (22, 5), სხვადასხვა ერისთვის დამახასიათებელი ამაღლებული გრძნობის შესახებ სტენდალი დაბეჯითებით წერს და თან დასძენს — „მე არ ვკიცხავ და არც ვიწონებ, მე მხოლოდ ვაკვირდები“ (26, 495). გურამ ასათიანი შედარებით ფრთხილად მსჯელობს სიყვარულის ეროვნულ თავისებურებებზე — „არა თუ მთელი ერის, ერთი ადამიანის სიყვარულიც იცვლება — ასაკის, სულიერი მდგომარეობის, ასევე, ცხადია, სიყვარულის საგნის ცვალებადობის მიხედვით.

მაგრამ, როგორც ყოველ პიროვნებას, ასევე ყოველ ერსაც აქვს სიყვარულის რაღაც არსებითი, თავის გულის გულში, საყრდენთა საყრდენში უცვლელი თავისებურებაც.

ყველაზე ძნელი და აბსოლუტური თვალსაზრისით, შეუძლებელი სწორედ ამ სიღრმისეული თვისებების ამოცნობაა" (22, 7).

სიღრმისეული თვისებების ამოცნობის პრეტენზიის გარეშე შევეცადე გამეკეთებინა თეზისური შენიშვნები სიყვარულის გააზრების შესახებ ქართულ და ინგლისურ პოეზიაში.

რომანტიზმმა, როგორც ლიტერატურულმა მიმართულებამ, იმ დროს დაიწყო დამკვიდრება საქართველოში, როცა ქართულმა მწერლობამ დაიწყო განთავისუფლება აღმოსავლური გავლენებისაგან და აქტიურად აიღო ორიენტაცია ევროპული ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული, საზოგადოდ კულტურული ტრადიციების იმპორტირებაზე. ამდენად კიდევ უფრო ლოგიკურია პარალელების ძიება ქართულ და ევროპულ რომანტიზმში. რომანტიზმი, ისევე როგორც ყველა სხვა ლიტერატურული მიმართულება, ცხადია, ხასიათდება ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნებით. რომანტიკულ პოეზიაში თემათა მრავალფეროვნებას (უფრო ზუსტად, უკვე ნაცნობი თემატიკის ახლებურად გააზრებას) ვხვდებით. მათ შორის, ინტეგრალური ადგილი უკავია სიყვარულს.

ზოგადი მახასიათებლები, რომლებიც პირველ ყოვლისა იქცევს ყურადღებას როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ რომანტიკულ პოეზიაში, არის ის ფსიქოლოგიური და გარკვეულ შემთხვევაში ფილოსოფიური სიღრმე, რომელიც გრძნობათა გამოხატვას ახლავს. რომანტიკოსთა სატრფიალო ლირიკას, რაოდენ მაჟორულიც არ უნდა იყოს, უპირატესად თან სდევს სევდიანი ნოტები. ამის მიუხედავად რომანტიკოსი პოეტი სიყვარულის ძალას, რომელსაც ყველა ემონება, „თვითმპყრობელ ხელმწიფეს" უწოდებს. ქართული და ინგლისური სატრფიალო ლირიკისათვის ნიშანდობლივია ერთი მხრივ ქალის სულიერი მშვენიერების თაყვანისცემა, და მეორე მხრივ ქალის გარეგნული სილამაზის ხოტბა. ვხვდებით ასევე ტრფიალს „ერთადერთი-სადმი". რომანტიკოს პოეტებზე და მათ შემოქმედებაზე, კერძოდ სატრფიალო ლირიკაზე, სერიოზული გავლენა მოახდინა მათმა

პირადმა ცხოვრებამაც, სულიერმა განწყობილებამ, სამიჯნურო ისტორიებმა. ბევრ მათ ლექსს კონკრეტული ადრესატი ჰყავს.

ინგლისელი რომანტიკოსების ჯორჯ გორდონ ბაირონისა და პერსი ბიში შელის პოეტური განწყობილება გალაკტიონ ტაბიძემ ასე დაინახა —

„ბაირონს უსმენს მერი ჩავორტი
და ფერადებში მისცურავს შელლი".

ბაირონის სატრფიალო ლირიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსების ციკლს, მიძღვნილს მერი ჩავორტისადმი, მისი პირველი სერიოზული გატაცებისადმი. შელიმ მერი გოდუინ უოლსთონკრაფტში თითქმის ყველა ის თვისება აღმოაჩინა, რაც მას ხიბლავდა ქალში და არაერთი პოეტური სტრიქონი უძღვნა მას. მერის სახე ისევე დარჩა ბაირონისა და შელის პოეზიაში, როგორც ეკატერინე ჭავჭავაძის სახე ბარათაშვილის შემოქმედებაში. შელი ხშირად სულიერ საწყისებზე ამახვილებს ყურადღებას. სულის სიღრმეში წვდომა და ფაქიზი სულიერი კავშირი განაპირობებს გრძნობის სიძლიერესაც.

„როს შევეხე მისი სულის სიმებს,
ჩავუკვირდი მის საწადელს გულის,
შევეცადე იდუმალის ახსნას
და აზრების სხვისგან დაფარულის,
მხოლოდ მაშინ აკიაფდა სულში,
დამდაგველი სიყვარულის ალი,
აზვირთდა და აბობოქრდა გრძნობა,
თავს დაგვატყდა, ვით ძლიერი ქარი", —

ასე ფიქრობდა შელი. სულის სიმშვენიერის უკვდავებაზე ლაპარაკობდა ბარათაშვილიც. მისი აზრით, მხოლოდ სულიერ კავშირზე აგებული სიყვარული შეიძლება იყოს უბერებელი, მაგრამ ამისთვის კიდევ ერთი კომპონენტია საჭირო — მისი საფუძველი ზეციდან უნდა იყოს ჩაყრილი და „ზეგარდმო მადლით" უნდა იყოს განმტკიცებული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თავის პოეზიაში ბარათაშვილი გულგრილი არ დარჩენილა იმ სილამაზის მიმართ, რომელსაც მან „ხორციელების ნიჭი" დაარქვა. და არა მარტო ბარათაშვილი. „რტო ალვისა შენი წელი მგონია...

ეგ თვალები — ცაში ელვა მგონია", — მიმართავდა სატრფოს გრიგოლ ორბელიანი და ნატრობდა იმ დროზე, როცა თავისად იგულვებდა მას. შელის „ეთერიულ" პოეტსაც უწოდებენ ხოლმე მისი ამაღლებული და ირეალური განცდების გამო. რამდენიმე ამგვარი ლექსი ბარათაშვილსაც აქვს. ალ. ჯავჯავაძის სიყვარული კი უპირატესად ეროტიული განცდაა:

„ნუ ეტრფით ვარდსა გარს შემოვლებით,
მიეახლენით გულისა ხლებით,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა".

ტკბობისა და ტანჯვის თანაარსებობა და მათი მონაცვლეობა, სიხარულში ტანჯვის ძიება და კოლიზია — ასეთია რომანტიკული სატრფიალო ლირიკის პათოსი. სიხარული და სევდა თან სდევს ბაირონის, შელისა თუ ქითსის, ალ. ჯავჯავაძის, გრ. ორბელიანისა თუ ნ. ბარათაშვილის სასიყვარულო პოეზიას.

იმის მიუხედავად, რომ რომანტიზმის პერიოდის სატრფიალო ლირიკამ გრძნობა, გრძნობათა მთელი ნაკადი ახლებურ ჭრილში გაიაზრა, რომანტიკულ საბურველში გახვია და სიყვარულის ზოგადრომანტიკული იდეალი ჩამოაყალიბა, სხვადასხვა ეროვნულ სატრფიალო ლირიკაში მაინც შენარჩუნებულია თავისთავადობა. ამის მიზეზი კი ალბათ ძველი ტრადიციებია. სიყვარულის სახესხვაობანი გვხვდება ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშებში, „ვეფხისტყაოსანში", თეიმურაზთან თუ არჩილთან, გურამიშვილთან თუ ბესიკთან... ასე რომ, რომანტიზმის ხანის ქართული სასიყვარულო პოეზია მდიდარი ეროვნული ტრადიციებითაც არის ნასაზრდოები. იგივე შეიძლება ითქვას ინგლისური რომანტიკული პოეზიის მიმართაც. თ. ნუცუბიძე წერს, რომ „სიყვარულის შელისეული გააზრება დიდად არის დავალებული დანტესა და პლატონისაგან, მაგრამ ვინაიდან შელი ათეისტი იყო (ლიტერატურათმცოდნეობაში არის სხვა მოსაზრებაც, კერძოდ ის, რომ შელი ებრძოდა არა იმდენად ღმერთს, არამედ ღვთისმსახურებს, რომლებიც ქრისტიანობას იარაღად იყენებდნენ ადამიანთა დასამონებლად, მ. ო.), მას არ სურდა სიყვარულის „უხილავი ძალა" მიეჩნია ღვთაებრივ გამოვლინებად" (17, 21). შელი ადამიანის გულს მიიჩნევდა სიყვარულის უზენაესად. დანტეს კი იმქვეყნად ბეატრიჩესთან შეკავშირების სწრაფვა

ღმერთთან შეერთების სწრაფვასთან ჰქონდა გაიგივებული. ვფიქრობთ, რომ შელიმ პლატონის ფილოსოფია უფრო მეტად გაითავისა, ვიდრე დანტესი. ინგლისურ ლიტერატურაში სიყვარულის რომანტიკული გაგება მართალია კლასიცისტური პრინციპებისაგან სრულიად განსხვავებულია, მაგრამ მაინც ინგლისური მწერლობის სასიყვარულო ტრადიციები უკვალოდ არ გამქრალა. ეს ტრადიციები კი ზეპირსიტყვიერების დროიდან ისახებოდა. სწორედ ინგლისური რომანტიკული პოეზიის შიგნით ნოვატორული და ტრადიციული პრინციპების არსებობის გამო მეცნიერთა აზრიც ორად გაიყო. ზოგნი ინგლისური რომანტიზმის სატრფიალო ლირიკას „წინსვლას", ხოლო ზოგნიც „უკან დაბრუნებას" უწოდებდნენ.

ამბობენ, პოეზია სიყვარულმა შექმნაო. რომანტიკოსებმა გამორჩეული სიყვარული იცოდნენ. მის მიმართ დამოკიდებულება ბაირონმა ასეთნაირად გამოხატა:

„სიყვარულის საწყისები?
პასუხს გეტყვი ცბიერ კითხვის.
არ გასვენებს ის თვალები?
მეორდება დასაწყისიც.

ბოლო მისი ასეთია:
წინასწარ ვგრძნობ, გული კრთება.
იხანგრძლივებს ჩუმ ტანჯვაში,
მოკვდები და დამთავრდება".

გრძნობა პოეტთან ერთად დასამარდა, მაგრამ ადამიანთა ხსოვნას დიდხანს შემორჩა, შემდეგ ქაღალდზე გადაიტანეს და ჩვენამდე მოაღწია მისი სიყვარულის ისტორიებმა. უმთავრესი კი ისაა, რომ რომანტიკოსთა გზნება მთელი სიწრფელით მათსავე პოეზიაში გაცხადდა, რითაც მათი ტრფობაც უკვდავებას შეუერთდა.

III. XIX საუკუნის ინგლისური რეალიზმის რეცეფცია საქართველოში

XIX საუკუნეში თხრობის რეალისტური ნაკადი განსაკუთრებული სიმძაფრით შევიდა ჩარლზ დიკენსის, უილიამ თეკერეის, ელიზაბეთ გასკელის, ჯორჯ ელიოტის, შარლოტა ბრონტეს შემოქმედებაში. ჩვენ შევისწავლეთ როგორ მიიღო ინგლისური

რეალისტური მიმართულების ლიტერატურა ქართულმა მწერლობამ და როგორ მოიაზრა იგი ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ.

XIX საუკუნის ინგლისური რეალიზმის ლიტერატურის* რეცეფციის პროცესში გარკვეული წვლილი შეიტანეს არცთუ მრავალრიცხოვანმა ქართულმა თარგმანებმა, რომელთა ისტორია XIX საუკუნის შუახანებიდან იწყება. ამ პერიოდის ქართული თარგმანები იშვიათი გამონაკლისის გარდა, არაორიგინალიდან სრულდებოდა. რუსული ენა დიდი ხნის მანძილზე ასრულებდა შუამავლის როლს ევროპული ლიტერატურის ძეგლების ქართულად გადმოღებაში. აღნიშნული პერიოდის ინგლისელი მწერლების სახელები საქართველოში ჯერ კიდევ მათ სიცოცხლეში იყო ცნობილი. საგულისხმოა, რომ ქართველი მოღვაწეები, გარდა იმისა, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყებენ ინგლისელი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას, დაბეჯითებით მოითხოვდნენ სათარგმნი მასალის სწორად, ეპოქის მოთხოვნილებისამებრ შერჩევას. ამას მოწმობს პრესის ფურცლებზე გამართული სერიოზული პოლემიკა. იმ დროის ლიტერატურის კრიტიკოსები მტკივნეულად განიცდიდნენ დიკენსის, თეკერეის, ელიოტის, ბრონტეს რომანების უქონლობას ქართულ ენაზე (1; 2; 3...).

/ ჩარლზ დიკენსი (1812—1870) მრავალსახა მწერალია. მის შემოქმედებას ახასიათებს გრადაცია — ზოგიერთი შემოქმედებითი პრინციპისა და ასპექტის განვითარება ან დაქვეითება. მაგრამ ეს პროცესი სრულად ვერ აისახა ქართულ თარგმანებში მათი სიმცირის გამო. რაც შეეხება უილიამ თეკერეის

---

* XIX საუკუნის რეალიზმს სოციალისტური რეალიზმისაგან გასამიჯნავად საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ კრიტიკული რეალიზმი უწოდა. 1989 წლიდან საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეებმა თვითონვე უარყვეს სოციალისტური რეალიზმის ცნება, შემოქმედების მეთოდი და ლიტერატურული მიმდინარეობა. მაგრამ სპეციალური მსჯელობის საგანი არ გამხდარა ტერმინი კრიტიკული რეალიზმი. ევროპული და კერძოდ, ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობა ამ ლიტერატურულ პროცესსა თუ ამ პერიოდის თხზულებებს სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავს — XIX საუკუნის რეალიზმი, ვიქტორიანული რომანები, რეალისტური რომანები და სხვა. ჩვენც უპირატესობას ვაძლევთ ამ ტერმინებს და ვარჩევთ მათ გამოყენებას.

(1811—1863), ქართულად თარგმნილია რომან „პენდენისის თავგადასავლის“ წინასიტყვაობა და მისი შემოქმედების მწვერვალი „ამაოების ბაზარი“. ვიდრე ამ ნაწარმოებამდე მივიდოდა, მან დიდი სამწერლო გზა განვლო, სადაც თანმიმდევრულად გამოჩნდა თეკერეის შემოქმედებითი აღმავლობა. ამ რომანის შემდეგ მისი მხატვრული ოსტატობა თანდათან შესუსტდა. უილიამ თეკერეის ნაწარმოებების ქართულ თარგმანებში კი მისი შემოქმედების ვერც ევოლუცია და ვერც დევალვაცია ვერ აისახა. შარლოტა ბრონტეს (1816—1855) შემოქმედებიდან ქართულად თარგმნილია მისი ყველაზე გახმაურებული რომანი „ჯეინ ეარი“. ამდენად იგი ერთგვარად „გაყინულად“ შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში. ელიზაბეთ გასკელისა (1810—1865) და ჯორჯ ელიოტის (1819—1880) თხზულებათა ქართული თარგმანები კი საერთოდ არ მოგვეპოვება.

ქართული სალიტერატურო კრიტიკა თითქმის საუკუნენახევარია ცდილობს შეავსოს მთარგმნელობითი ლიტერატურის ხარვეზი და ახალ-ახალი კუთხით წარმოაჩინოს XIX საუკუნის ინგლისური რეალიზმის თავისებურებანი.

ინგლისური რეალიზმის ლიტერატურიდან საქართველოში ყველაზე ფართოდ ჩარლზ დიკენსის შემოქმედებითი მემკვიდრეობაა ცნობილი. ჩვენ შევისწავლეთ დიკენსის თხზულებათა ქართულად თარგმნის ისტორია XIX საუკუნის შუახანებიდან ჩვენს დრომდე და დავადგინეთ, რა წყაროებით ისარგებლეს ქართველმა მთარგმნელებმა.

ჩარლზ დიკენსის სახელი ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში 1860 წლიდან იხსენიება. ამ წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა ქართული თარგმანი მოთხრობისა „შიმშილი გემზედ“. მის ავტორად დასახელებულია ჩარლზ დიკენსი, მაგრამ ამ სათაურისა და შინაარსის მოთხრობა მის ნაწარმოებთა შორის არ აღმოჩნდა. ამას მოჰყვა 1883 წელს ჟურნალ „ნობათში“ გამოქვეყნებული მოთხრობა „ტიროლიელი ქალწული“. მის ავტორადაც ჩარლზ დიკენსია დასახელებული. ნატალია ორლოვსკაიას მიკვლეული აქვს, რომ მოთხრობა „შიმშილი გემზედ“ 1860 წელს დაბეჭდილი იყო ჟურნალში «Иллюстрация. Всемирное обозрение» (4, 243—252) და არასწორი მითითება ავტორის ვინაობაზე სწორედ ამ წყაროდან მომდინარეობს. ხოლო

რაც შეეხება ტიროლიელი გოგონას ისტორიას, მეცნიერმა რუსი დიკენსოლოგის, იგორ კატარსკისა და დიკენსის საზოგადოების დახმარებით მიაკვლია, რომ ეს მოთხრობა ხელმოუწერლად იყო დაბეჭდილი დიკენსის რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში. ნ. ორლოვსკაია მიიჩნევს, რომ ქართულ ჟურნალში იგი რუსულის გზით მოხვდა და ვარაუდობს, რომ თარგმანის ავტორი შესაძლოა ყოფილიყო თვით „ნობათის“ რედაქტორი ანდრია ღულაძე. იგი პედაგოგი იყო და ცხადია, იცნობდა რუსულ ენაზე არსებულ პედაგოგიურ ლიტერატურას (5, 71—76).

ამის შემდეგ ჩვენ გავაგრძელეთ მუშაობა დიკენსის ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებზე. 1886 წელს გაზეთში „თეატრი“ დაიბეჭდა ჩარლზ დიკენსის მოთხრობის „ლოთი კაცის სიკვდილი“ ქართული თარგმანი. რომელიც იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა. მისი მთარგმნელია ი. ხოტეველი (ივანე კაციტაძის ფსევდონიმი, მ. ო.). თარგმანში გაბნეულმა რუსიციზმებმა და რუსულმა ტრანსკრიფციამ მიგვანიშნა, რომ იგი რუსულიდან უნდა ყოფილიყო შესრულებული. ტექსტების შეჯერების შედეგად ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ქართველ მთარგმნელს ი. მაინოვისეული რუსული თარგმანით უსარგებლია (6, 427—445). თარგმანი რუსულთან შედარებით ოდნავ ადაპტირებულია, მაგრამ იგი ძალზე სუსტია და ბევრად ჩამორჩება იმ პერიოდის თარგმანის საერთო დონეს.

ჩარლზ დიკენსის შემდეგი ნაწარმოები, რომელიც ქართულად ითარგმნა, არის „საშობაო სიმღერა პროზად“. მისი პირველი ქართული თარგმანი 1895 წელს შესრულდა კონსტანტინე ნიკოლაძის მიერ, ხოლო მეორედ 1910 წელს თარგმნა ნინო ნაკაშიძემ. „საშობაო სიმღერის“ კონსტანტინე ნიკოლაძისეულ თარგმანს შეცვლილი აქვს სათაური. ქართველ მთარგმნელს მისთვის „რაშია ბედნიერება“ დაურქმევია. ჟურნალში მითითებული არ არის, რა ენიდან შესრულდა თარგმანი. როგორც გაირკვა, კ. ნიკოლაძე არ ფლობდა ინგლისურ ენას. მას ფრანგული და გერმანული ენები სცოდნია. ამიტომ ჩვენ უპირველესად ამ მოთხრობის რუსული ვარიანტები შევისწავლეთ და მივაგენით იმ თარგმანს, რომლითაც ისარგებლა კონსტანტინე ნიკოლაძემ. ეს არის „საშობაო სიმღერის“ რუსულად გადათებული ვერსია (7). რუსი მთარგმნელის ვინაობა მითითებუ-

ლი არ არის. მას ნაწარმოების ფაბულა თავისი გემოვნების შესაბამისად აქვს გადამუშავებული. თარგმანში ყურადღება გამახვილებულია იმ აზრზე, რომ ბედნიერება ადამიანის სიყვარულსა და თანაგრძნობაშია. ჩანს, ეს შეხედულება გახდა ქართველი მთარგმნელისათვის სათაურის შეცვლის იმპულსი. კ. ნიკოლაძის თარგმანი უცვლელად მისდევს რუსულ ტექსტს და კარგი, გამართული ქართული ენით არის შესრულებული. იმის მიუხედავად, რომ ინგლისურმა მოთხრობამ ორჯერადი ტრანსფორმაცია, ამასთანავე მთარგმნელისეული გადამუშავება განიცადა და ისე მოვიდა ქართველ მკითხველამდე, მას გამორჩეული ადგილი უკავია ჩარლზ დიკენსის თხზულებათა ქართულ თარგმანებს შორის. შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინე ნიკოლაძის თარგმანით ერთგვარი გარდატეხა იწყება ჩარლზ დიკენსის ნაწარმოებების ქართულად თარგმნის ისტორიაში. ნინო ნაკაშიძემ „საშობაო სიმღერის" მისეულ თარგმანს „სკრუჯი და მარლეი" დაარქვა. ეს არის ბავშვებისათვის შესრულებული შემოკლებული და ადაპტირებული თარგმანი. ამ მოთხრობის მრავალრიცხოვანი რუსული თარგმანის შესწავლისას, ყურადღება შევაჩერეთ 1891 წელს შესრულებულ ს. დოლგოვის თარგმანსა (8) და მის ორ შესწორებულ და შევსებულ გამოცემებზე (1897, 1904 წწ.). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნინო ნაკაშიძე ამ მოთხრობის რამდენიმე რუსულ თარგმანს გაეცნო და შემდეგ მოჰკიდა ხელი ქართულად თარგმნას. ქართული ტექსტი უფრო ახლოს დოლგოვის თარგმანთან დგას. ნ. ნაკაშიძე რომ მის არაერთ რუსულ თარგმანს იცნობდა, ქართულ თარგმანში ჩართული ილუსტრაციებიც (სულ 12) მოწმობს. მათი უმეტესობა 1891 წლის გამოცემიდანაა აღებული, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა გამოცემიდან.

1912 წელს ჩარლზ დიკენსის დაბადების 100 წლისთავისათვის ჟურნალ „ჯეჯილში" დაიბეჭდა „დევიდ კოპერფილდის" შემოკლებული თარგმანი, შესრულებული ელისაბედ კარბელაშვილის მიერ. ჩვენ მივაგენით ამ ნაწარმოების იმ რუსულ წყაროს, საიდანაც გადმოქართულდა იგი (9). რუსული თარგმანი ორიგინალთან შედარებით შემოკლებულია, მაგრამ მასში სრულად არის აღწერილი კოპერფილდის ცხოვრება. ქართული თარგმანი უცვლელად მიჰყვება რუსულ ტექსტს. როგორც აღვნიშნეთ,

იგი საბავშვო ჟურნალში დაიბეჭდა და ჩანს, ამიტომაც ელისაბედ კარბელაშვილმა მხოლოდ პირველი შვიდი თავი თარგმნა— კოპერფილდის ბავშვობა. მოგვიანებით, 1934 წელს ქეთევან ბაქრაძე-ინგოროყვამ ეს რომანი სრულად თარგმნა. „დევიდ კოპერფილდის“ ორმოცამდე რუსული თარგმანი არსებობს. მათი შესწავლის შედეგად ჩვენ დავადგინეთ, რომ ქართული თარგმანი ერთგულად მისდევს ფრიად ორიგინალური და მეტად თავისთავადი რუსი მთარგმნელის, ირინარხ ვვედენსკის თარგმანს (10).

1932 წელს ნინო ნაკაშიძემ კიდევ ერთი თარგმანი შეასრულა დიკენსიდან. მან თარგმნა ფრაგმენტი რომანიდან „ორი ქალაქის ამბავი“ სათაურით „ბასტილიის პატიმარი“. ჩვენ მივაკვლიეთ რუსულ ტექსტს, რომლითაც ისარგებლა ნ. ნაკაშიძემ. რუსული თარგმანი შესრულებულია ი. ჟილკინის მიერ (11).

ჩარლზ დიკენსის ორი რომანი, „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ და „ნიკოლას ნიკლბი“, ორიგინალიდან არის ნათარგმნი ქართულად. 1954—60 წლებში ვახტანგ ჯელიძემ თარგმნა და გამოსცა „ნიკოლას ნიკლბი“, ხოლო 1959—61 წლებში დაიბეჭდა მერი იანქოშვილისა და ნათელა კეშელავას მიერ თარგმნილი „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“. 1989 წელს კი პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა ინგლისურიდან თარგმნეს რომან „ოლივერ ტვისტის“ მესამე გამოცემისათვის დაწერილი წინასიტყვაობა ჩარლზ დიკენსისა.

საგულისხმოა, რომ ქართულ სცენაზე დაიდგა ჩარლზ დიკენსის სამი ნაწარმოები. მისი თხზულებების კომპოზიციამ, დინამიურმა თხრობამ, დიალოგების სიუხვემ განაპირობა მათი პიესებად გადაკეთების შესაძლებლობა. 1968 წელს ლალი ყურულაშვილმა რუსული ინსცენირებიდან თარგმნა „ჯრიჯინა ღუმელზე“ (12). იგი დაიდგა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. 1979 წელს მედეა კუჭუხიძემ თარგმნა, პიესად გადააკეთა და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დადგა „დიდი იმედები“, ხოლო 1992 წელს საშობაოდ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაიდგა „საშობაო სიმღერა“. მოთხრობის თარგმანი რუსული ენიდან და ინსცენირება ეკუთვნით ოთარ ეგაძესა და ლევან წულაძეს.

ასე გამოიყურება ჩარლზ დიკენსის შემოქმედების ქართულ თარგმანთა აღწერილობა. საყურადღებოა, რომ XIX საუკუნეში დიდი ინგლისელი კლასიკოსის ნაწარმოებთა საკმაოდ ბევრი რუსული თარგმანი შესრულდა სრულიად განსხვავებული სტილისა და გემოვნების მთარგმნელთა მიერ. ზოგჯერ ერთი და იგივე ნაწარმოებს რამდენიმე სხვადასხვა მთარგმნელი ჰყავდა. იმის გასარკვევად, თუ საიდან ითარგმნა ესა თუ ის თხზულება ქართულ ენაზე, ჩვენ მოგვიხდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი რუსული დიკენსიანას შესწავლა თბილისისა და მოსკოვის წიგნთსაცავებში და ტექსტების შეჯერების შედეგად დავადგინეთ ქართულ თარგმანთა წყაროები. მართალია ჩარლზ დიკენსის ნაწარმოებებს ქართულად უმეტესად ნიჭიერი მთარგმნელები თარგმნიდნენ, და ეს აშკარად ემჩნევა ქართული თარგმანების დონეს, მათში ძირითადად შენარჩუნებულია რუსულ თარგმანთა სტილი. რაც შეეხება უშუალოდ ორიგინალის ენიდან თარგმნილ ნაწარმოებებს, აქ სრულიად სხვა ვითარებაა. ვახტანგ ჭელიძემ ქართულ ენაზე დიდი სიფრთხილით გადმოიღო ის ტიპიური ატმოსფერო, რომელშიც დიკენსის გმირები ცხოვრობენ და მოქმედებენ, ზუსტად გადმოიტანა რომანის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა სასიათები. თარგმანში დაცულია დიკენსის თხრობის ტემპი. მიგვაჩნია, რომ „ნიკოლას ნიკლბის“ ქართულ ენაზე ბუნებრიობასა და წერის დიკენსისეულ მანერას ისიც უნარჩუნებს, რომ მწერლის ენის თავისებურებანი — რთული წინადადებები, ჩართული ფრაზები, სინონიმური რიგის ფართოდ გამოყენება ერთსა და იმავე კონტექსტში, რაც უფრო ემფატიკურს ხდის და ანელებს თხრობას — შესაბამისადაა გადმოტანილი, ცხადია, ქართული ენის ნორმების დაცვით.

„პიკვიკის კლუბის“ ქართულად მთარგმნელები მერი იანქოშვილი და ნათელა კეშელავა ცდილობდნენ არ დაეკარგათ ინგლისური კოლორიტი, ინგლისური სურნელება, მოქმედ პირთა ეროვნული ხასიათი. მათ თავიდანვე კარგად მოარგეს გასაღები დიკენსის სტილს და მწერლის ამ პირველ რომანში დახატულ ოპტიმისტურ სამყაროს ბუნებრივი ყღერადობა შეუნარჩუნეს. „ნიკოლას ნიკლბისა“ და „პიკვიკის კლუბის ჩანაწერების“ ქართულ თარგმანებში გაბნეული მცირედი უზუსტობანი თუ ჩვენი ინდივიდუალური შეხედულებანი სათარგმნი მასალისადმი ადრე

გვქონდა შენიშნული (13, 57—58—63). ამ ორი რომანის თარგმნამ ჩარლზ დიკენსის თხზულებათა თარგმნის ისტორია სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა.

პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა გარდა იმისა, რომ ქართულად ააჟღერეს დიკენსის მიერ დაწერილი წინასიტყვაობა „ოლიეერ ტვისტისათვის", მათვე გადმოიღეს ქართულ ენაზე უილიამ თეკერეის წინასიტყვაობა რომანისა „პენდენისის თავგადასავალი". აღნიშნული რომანების წინასიტყვაობებში ერთგვარად გახსნილია ორი დიდი მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორია. მათში გასხივოსნებულია ჩარლზ დიკენსისა და უილიამ თეკერეის მიზნები, მათი ნაფიქრ-ნააზრევი, სულიერი განცდები, როდესაც ისინი ამ ნაწარმოებებზე მუშაობდნენ.

უილიამ თეკერეის მხატვრული სამყარო კი „ამაოების ბაზრით" შემოვიდა ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში. მისი თარგმანი ორიგინალის ენიდან 1951—64 წლებში შეასრულა ცნობილმა მთარგმნელმა ალექსანდრე გამყრელიძემ.

შარლოტა ბრონტეს რომანის „ჯეინ ეარის" ქართული თარგმანი ინგლისური ენიდან 1964 წელს დაიბეჭდა. მისი მთარგმნელები არიან თ. მაღრაძე და ზ. ხახანაშვილი.

Ვთუ XIX საუკუნის თარგმანთა დიდი უმრავლესობა და კერძოდ ჩარლზ დიკენსის ნაწარმოებთა პირველი თარგმანები რუსული გზით შემოვიდა საქართველოში, განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე სალიტერატურო კრიტიკის სფეროში. რუსული სალიტერატურო კრიტიკა, ქართულისაგან განსხვავებით, არაერთგვაროვანი იყო დიკენსის მოღვაწეობის შეფასებაში და ამასთანავე საკმაო ხანი დასჭირდა, რომ მართებულად გაეანალიზებინა მისი შემოქმედების ღირსება-ნაკლოვანებანი. ამ პროცესზე ერთგვარი მინიშნება აქვს აკაკი წერეთელს (14, 7).

საქართველოში ინგლისური ლიტერატურის და კერძოდ ინგლისური რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების შესწავლა დამოუკიდებელი გზით წარიმართა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნიკო ნიკოლაძის ფართო ერუდიციამ და ლიტერატურულმა გემოვნებამ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან სწორი ლიტერატურათმცოდნეობითი პოზიცია დაიკავა XIX საუკუნის ინგლისური მხატვრული ლიტერატურის კრიტიკული განხილვისას და ერთგვარად განსაზღვრა შემდგომი კვლე-

ვის მიმართულება. ნიკო ნიკოლაძემ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში პირველად წარმოაჩინა შეპირისპირებით პლანში ჩარლზ დიკენსისა და უილიამ თეკერეის შემოქმედება (15).

უილიამ თეკერეის ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა მოგვიანებით, XX საუკუნეში გაგრძელდა. თუმცა მის სახელსა და მცირე ინფორმაციებს მისი და ჩარლზ დიკენსის მუშაობის სტილსა და ხასიათზე თუ პიროვნულ თვისებებზე აქა იქ ვხვდებით გასული საუკუნის ქართულ პრესაში (16; 17, 101—102; 18...).

XIX საუკუნის სალიტერატურო კრიტიკამ სწორად გააშუქა ჩარლზ დიკენსის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი (19, 178—186) და მართებულად შეაფასა მწერლის მნიშვნელობა ინგლისური ლიტერატურისათვის (20, 176—177). XX საუკუნეში კი შეიქმნა მონოგრაფია ჩარლზ დიკენსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე (21), საინტერესო ნარკვევები, წერილები თუ ესეები მწერლის მრავალმხრივ მოღვაწეობასა თუ ლონდონურ სახლმუზეუმზე, სადაც გრძელდება დიკენსის სიცოცხლე (22; 23; 24, 64—75; 25...); მკვლევრები კრიტიკულად აფასებენ დიკენსის ქართულ თარგმანთა გარკვეულ ასპექტებს (26; 27, 61—68...); აქვეყნებენ რეცენზიებს დიკენსის რომანების ქართული თარგმანებისა და ინსცენირებების ირგვლივ (28; 29, 157—159; 30, 191—193; 31, 18—20...); ქართული დიკენსოლოგიისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია ნათარგმნი სამეცნიერო ლიტერატურა — მონოგრაფია თუ სტატია (32; 33, 369—373...); ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არის წერილები, სადაც ზოგადადაა მიმოხილული ინგლისური მწერლობის ქართული თარგმანები, მათ შორის — ჩარლზ დიკენსისა და უილიამ თეკერეისა (34, 21—46; 35, 3—24); არაერთი სტატია მიეძღვნა თეკერეის რომანის „ამაოების ბაზრის“ მხატვრულ თუ ჟანრობრივ თავისებურებებსა და მის გმირთა ხასიათების განხილვას (36, 455—466; 37, 5—26; 38...); თეკერეის სატირულ ოსტატობას (39, 147—161); მისი შემოქმედების ზოგად მიმოხილვას (40, 302—316); ფუნდამენტურადაა შესწავლილი უილიამ თეკერეის ისტორიული რომანები (41). ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პრესა გასული საუკუნიდან მოკიდებული განსაკუთრებით ეხმაურე-

ბოდა დიკენსის საიუბილეო თარიღებს (42, 178—186; 43, 176—177; 44; 45; 46; 47; 48; 49). უილიამ თეკერეისა და შარლოტა ბრონტეს საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი წერილები კი ჩვენი საუკუნის სამოციანი წლებიდან გამოჩნდა (50, 129—136; 51; 52; 53; 54; 55, 317—322...). ელიზაბეთ გასკელისა და ჯორჯ ელიოტის შემოქმედებით თავისებურებებს ჯერჯერობით მხოლოდ საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოებითა და ენციკლოპედიური გამოცემებით იცნობს ქართველი მკითხველი. არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ აღნიშნული პერიოდის ინგლისელ მწერალთა თხზულებების ქართულ თარგმანებზე დართული გამოკვლევები, რომლებსაც ეპოქისა და ნაწარმოების პრობლემატიკაში შეჰყავს მკითხველი (56, 3—10; 57, 5—10; 58, 766—772; 59, 455—466; 60).

ა და კიდევ... დიდმა ინგლისელმა რომანისტმა ჩარლზ დიკენსმა არაერთხელ ააფორიაქა გალაკტიონ ტაბიძის პოეტური მუზა.

გალაკტიონ ტაბიძეს რთული ასოციაციური წარმოსახვები ახასიათებს. მართალია ეს წარმოსახვები თითქმის ყოველთვის რომელიმე რეალური ფაქტიდან ან სურათიდან გამომდინარეობენ, მაგრამ მათი ემოციურ-მხატვრული კავშირები შორს სცილდებიან ფაქტის ვიწრო ჩარჩოებს. ისინი თავისებურ სულიერ მღელვარებას აღძრავენ.

„თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი.
დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.
ელეარებს ღუმელი. ეფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამიქრება.
გაიღო ფანჯარა: თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი.
იფანტება თეთრი ფიქრები, იფერფლება ხელნაწერი...
ნუ ჩამიქრები... და იქაც, შიგნით, სულში...
თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი...“

წერდა გალაკტიონ ტაბიძე 1925 წელს. ამ შემთხვევაში პოეტი დიდი ინგლისელი მწერლის მხატვრული ატმოსფეროს გახსენებით თავის სულიერ განწყობილებას გადმოსცემს. გალაკტიონის ლექსი მოგვაგონებს დიკენსის სურათებს:

ინგლისური ზამთრის სუსხიანი ღამე... თავის ბედზე მწარედ ჩაფიქრებული ჯონ პირიბინგლი აგიზგიზებულ ბუხარს მისჯ-

დომია. ბუხრიდან გამოდის ფერია ჯრიჯინობელა. იგი მოაგონებს ჯონს წარსულ ბედნიერ დღეებს და ცდილობს გაუქარწყლოს მას ნაღველი.

მისის კოპერფილდი, „ავადმყოფი და სევდიანი, ბუხართან იჯდა და თვალცრემლიანი ცეცხლს შეჰყურებდა. იგი ფიქრობდა განსვენებულ ქმარზე, თავის მარტოობაზე და იმ ახალ, უსახლკარო, ქვეყნისთვის ჯერ კიდევ უცნობ მგზავრზე, რომლისთვისაც უჯრაში კიდევ ელაგა ათასგვარი ქინძისთავები".

„სმაიკი და ნიუმენ ნოგსი, რომელსაც გულმა ველარ გაუძლო და დათქმულ დროზე გაცილებით უფრო ადრე დაბრუნდა შინ, ბუხარს მისხდომოდნენ და ნიკოლასის მოლოდინში გაფაციცებით აყურადებდნენ კიბეზე ფეხის ხმას".

ბუხარი დიკენსის თხრობის დამახასიათებელ კომპონენტს წარმოადგენს, მისი გმირები ხშირად უხმოდ უზიარებენ თავის გულის ნადებს გაღვივებულ ნაკვერჩხლებს, იხსენებენ წარსულს, ფიქრობენ მომავალზე... ამ მომენტს, ჩანს ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია გალაკტიონ ტაბიძეზე. 1927 წელს შექმნილ ლექსში იგი კვლავ დიკენსს უბრუნდება:

„ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ.
ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ.
დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.
ღამეა, საცაა სანთელი ჩამიქრება.
ოცნება წარსულზე და ღვინის ფარები,
საცაა სანთელი ისევ ჩამიქრება.
უეცრად გრიგალმა დააღო კარები
და ბინა პოეტის გადიქცა ქვითინად,
ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ,
ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ,
მე თვალით ვეძებდი ზამბახის პრინცესას,
მწყუროდა ცისფერი ვარდები".

დიკენსის შემოქმედებაში ბუხრის სიმბოლიკა თუ ზოგჯერ გმირთა სევდიანი განწყობილების გამომხატველია, სხვა შემთხვევებში იგი პირიქით, უზრუნველი საზოგადოების მხიარული დროის ტარების ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს:

„უორდლ, — მიმართა მასპინძელს მისტერ პიკვიკმა, როდესაც ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ — ერთი ეგ თასი მო-

მართვით ღვინით, გეთაყვა. არ შეიძლება ასეთი ბედნიერი შემთხვევის გამო თითო ჭიქა არ შევსვათ...“

„მეინორის ფერმაში საუკეთესო სასტუმრო დარბაზი მოგრძო, შავი პანელით იყო გაწყობილი, ერთ-ერთ კედელში პირი დაეღო უზარმაზარ ბუხარს, რომლის მილში თავისუფლად ჩავიდოდა მთელი ეტლი თავის ბორბლებიანად და აკაზმულობით. ოთახის ზედა თავში ფანჩატური მოეწყოთ, წიწვიანი ფოთლებისა და ფითრის ტოტებით დაჩრდილული. მის ქვეშ მყუდროდ მოეკალათა მთელს მაგლტონში სახელგანთქმულ ორ საუკეთესო მუსიკოსს. ერთი ვიოლინოზე უკრავდა, მეორე ქნარზე. ნიშებში კონსოლებზე ძველი ვერცხლის დატოტვილი შანდლები იდგა, მოსარკულ იატაკიდან ხალიჩა აეღოთ. სანთლები ციმციმებდნენ, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა და ტკაცუნობდა. მთელს დარბაზს მხიარული ხმები, ლაღი და უდარდელი სიცილ-კისკისი ავსებდა, ერთი სიტყვით, ინგლისელი იომენი ფერიად რომ გადაქცეულიყო, დროს გასატარებლად და მოსალხენად სწორედ ამ დარბაზს ამოირჩევდა“ (57, 464).

ეს არის ნაწყვეტი „პიკვიკის კლუბის ჩანაწერების“ მხიარული საშობაო თავიდან, რომელიც აგვიწერს ბედნიერ ქორწილსა და სხვა საახალწლო გასართობებს...

ბუხრიდან გამოსული სითბო მთელ დარბაზს მოედო და გაახალისა იქ მყოფნი. იყო მუსიკა, ცეკვა, ღვინის სმა, ნათელი ოცნება და სიყვარული. ლექსში „ისევ ოცნება და სიყვარული“ გალაკტიონ ტაბიძემ თავის პოეტურ ჩანგზე ასე ააჟღერა ეს განწყობილება:

„დაღალულს ვხედავ იმ ამაყ ირემს
მიყვარდა, როგორც დიკკენსის გმირებს,
ცეცხლთან ღვინის სმა და გაფიქრება,
რომ გულში ცეცხლი არ გაგიქრება.
მრავალი ფიქრი მას შეჰდეგ ახდა,
ვნების ისრებმა დაცხრილეს გული,
ისევ მაისი მშვენიერ ბაღთა
იყავ ოცნება და სიყვარული“.

„რიონი ძალიან მიყვარდა. განსაკუთრებით ზაფხულობით. აქ ვკითხულობდი დიკენსს, ბაირონს, შელის, მიუსეს, შატობრიანს, რუსოს, პუშკინს, ლერმონტოვს, ტოლსტოის ა. წერეთლისა და

ი. ჭავჭავაძის წიგნებს“, იგონებდა გალაკტიონ ტაბიძე. და მართლაც მისი პოეტური გემოვნება მსოფლიო კლასიკოსთა შემოქმედების ფონზე ყალიბდებოდა. მაგრამ იგი არამარტო ახალგაზრდობისას იყო გატაცებული მათი შემოქმედებით. ისინი მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრები იყვნენ, რაც მის პოეზიაშიც აისახა. გალაკტიონის ლექსებში ერთმანეთს ენაცვლებიან ქართველი და ევროპელი პოეტები. როგორ მისივე ნაწერებიდან ჩანს, მას არაერთხელ დასთენებია თავზე დიკენსის კითხვისას.

„თეთრად თენდება. დავხურავ დიკენსს...
სარკეთა იქით
ღრუბლებმა მთები მოათივთიკეს
ფერად თივთიკით“.

დღისით კი რუსთველი აგონდება პოეტს, გონების თვალს გადაავლებს სხვადასხვა ეპოქას და სიამაყე ეუფლება ექვსი გენიოსის წარმოდგენისას:

„იმ ექვს მწვერვალთა გვეფარა ჩრდილი:
ვინ მოგვილია
გურამიშვილი, ბარათაშვილი,
ჩვენი ილია,
აკაკი, ვაჟა გასაკვირველი —
დიდება დროთა,
და მათ გვირგვინად მუდამ პირველი,
ტიტანი—შოთა!“

წერდა გალაკტიონი 1950 წელს.

„არ ვიცი რის გამო, შეიძლება იმიტომ, რომ თითქმის მთელი ღამე, გათენებამდის ვკითხულობდი დიკენსის „დიდ იმედებს“, გამომელვიძა გვიან, მზე კარგა მანძილზე იყო დაშორებული ჩვენი სახლის აღმოსავლეთით მწყობრად ჩამწკრივებულ ალვის ხეებს, მზე, მთელი თავისი ახალი და დიადი ელვარებით, პირდაპირ ჩემს ფანჯარაზე მომდგარიყო. არასდროს არ დამავიწყდება მისი იმდღევანდელი შუქი: რაღაც აუწერელმა სიხარულმა ამიტაცა და მთელ სხეულში ჟრუანტელად დამიარა და ისიც ასე უმიზეზოდ, ასე უეცრად, ასე მოულოდნელად. ანგარიშმიუცემლად მივვარდი ფანჯარას, საიდანაც მზის შუქი შემო-

დიოდა და დავუწყე კოცნა ფანჯრის მინებს, თითქოს გონებადაკარგული ვკოცნიდი დიდხანს მზის შუქს.

— შვილო, შვილო, შვილო! მომესმა გაოცებული დედის ხმა, — გადაირიე შვილო?

მე შევკრთი. იმ წუთშივე უდიდესი სიხარული უფრო დიდი დარცხვენის გრძნობად შემეცვალა.

ან რატომ ვერ გავიგე, რომ ოთახში დედა შემოსულიყო, კარები ხომ უხმაუროდ არასდროს არ იღება...

ვიდექი დედის წინ, როგორც უდიდეს დანაშაულობის ჩადენაზე წასწრებული. დიდხანს თავი მაღლა ვერ ამეღო. ნელა, ცალი ხელით ნიკაპზე, მეორეთი კეფაზე დადებული ხელით, ვიგრძენი როგორ მიწევდა უკან თავს დედაჩემი, სურდა ჩემს თვალებში ჩაეხედნა.

— შემომხედე გატუნა, შვილო, რა მოგივიდა? — ალერსიანად მეუბნებოდა დედა, მაგრამ მე ხმას არ ვიღებდი. რა უნდა მეთქვა? განა შეიძლებოდა სიტყვებით იმის გამოთქმა, რასაც განვიცდიდი და რის გამოხატვაც სრულიად არ შემეძლო? — რა? — ბოლოს ძლივსა ვთქვი: —

— „დიდი იმედები“...

— რაო, რას ამბობ, შვილო!

— „დიდი იმედები“, დედა, „დიდი იმედები“.

დედას იმ წამშივე გული შეუწუხდა. მკერდზე მიიდო ხელი და ტახტს მიესვენა. ასე ემართებოდა ყოველთვის, როდესაც რაიმეს მძლავრად განიცდიდა. „გული შეუწუხდა, მიზეზი კი მე ვარ“, — გავიფიქრე. გავხედე ფანჯარას: მზის შუქი ეხლა აღარ მეჩვენა ისე მიმზიდველად.

გასცდა ჩვენს ფანჯარას იმ მზის შუქიც...

ვინ იცის დაბრუნდება ისევ თუ არა.

1 თებერვალი

1929 წელი“ (61).

ეს ჩანაწერი გალაკტიონ ტაბიძის დღიურების № 196 ბლოკნოტშია მოთავსებული. მისი სათაურია „დიდი იმედები“. ასეთი უჩვეულო სულიერი განცდა დაუფლებია პოეტს დიკენსის მხატვრულ სამყაროსთან კიდევ ერთი შეხვედრის შემდეგ.

ამგვარად გაიაზრა გალაკტიონ ტაბიძემ ჩარლზ დიკენსის პროზა (რომელიც ჩვენი აზრით, თვითონაც იძლევა პოეტურ

იმპულსებს) და შექმნა პოეტური წარმოსახვებისა და გრძნობათა კომპლექსი. ამგვარად შევიდა დიკენსი და მისი მხატვრული სამყარო ქართულ პოეზიაში.

ასეთია საქართველოში XIX საუკუნის ინგლისური რეალიზმის როგორც ლიტერატურული მიმართულების რეცეფციის ზოგადი ხასიათი. დაწვრილებითი ანალიზი ჩარლზ დიკენსისა და უილიამ თეკერეის შესახებ საქართველოში შექმნილი მნიშვნელოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი ნააზრევისა თუ მცირედი ინფორმაციების ირგვლივ განხილული გვაქვს ჩვენ ნაშრომებსა (62; 63) და სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებებში (64; 65; 66).

IV. კომიკური თხრობის საკითხისათვის XIX საუკუნის ქართულ და ინგლისურ რეალისტურ მწერლობაში

კომიკური თხრობის ტრადიცია შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ცნობილია, რომ კომიკური თხრობის ფორმები (იუმორი, ირონია, სატირა, გროტესკი, სარკაზმი) კონკრეტულ ისტორიულ ნიადაგზეა აღმოცენებული და ცხადია, დროის შესაბამისად იცვლება მათი აღქმა. ის რაც ძველად კომიკურ ეფექტს იწვევდა, თანამედროვე პირობებში შეიძლება სრულიად არ შეიცავდეს კომიკურ ელემენტს. გარდასული ეპოქის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე თანამედროვე მკითხველმა შესაძლოა ვერ გაიგოს ძველი ლიტერატურის კომიზმის ნიმუშში ისეთი დეტალი, რაც ძალიან დამახასიათებელი იყო იმ ეპოქისთვის. ამასთანავე დღევანდელმა მკითხველმა შეიძლება გააანალიზოს კიდეც, რომ ძველი პერიოდისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის მოვლენა მწერალმა კომიზმის შესაქმნელად გამოიყენა, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში შეიძლება მას ასეთი ეფექტი აღარ ჰქონდეს, ანდა პირიქით, სრულიად დასაშვებია, რომ ოდესღაც სავსებით სერიოზულად ნათქვამი ფრაზა სადღეისოდ ღიმილისმომგვრელად ჟღერდეს. კომიზმის გაგებისათვის ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური ფაქტორი. კომიკური თხრობის ერთი და იგივე ნიმუში სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებში სხვადასხვანაირ ეფექტს იწვევს. კომიკურის გაგებისათვის მკვლევრები ძირითადად სწორედ სოციალურ-

ისტორიული ფაქტორის მნიშვნელობას უსვამენ ხაზს (67; 68; 69; 70; 71), მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ კომიკური თხრობის აღქმისას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ ფაქტორსაც. სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთათვის ძნელია ისეთი კომიზმის შეცნობა, რომელშიც ძალიან გამოკვეთილია ესა თუ ის ეროვნული ნიშანი. სწორედ ამ ეროვნულ ნიშანზე მიუთითებდა ჯ. პრისტლი, როდესაც დანანებით წერდა, რომ უცხოელები ხშირად ვერ გრძნობენ იუმორის იმ ნიუანსებს, რომლებშიც ინგლისური ყოფა-ცხოვრება, ჩვეულებები, ინგლისელებისათვის დამახასიათებელი მეტყველება გამოსჭვივის და სრულიად დაუმსახურებლად ინგლისელებს ცივ და მოღუშულ ხალხს უწოდებენ (72).

ამდენად ჩვენი აზრით, ისტორიული ეპოქის, სოციალური ვითარებისა და ეროვნული მომენტის ერთიანობა ის ფაქტორია, რაც კომიკური თხრობის სწორად გაგებას განსაზღვრავს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კომიკური თხრობის კლასიკური ნიმუში შესაძლოა მოძველდეს, ან ძნელად მისახვედრი გახდეს. კომიზმს და მისი გამოხატვის ფორმებს ხანგრძლივი ისტორია აქვს და ცივილიზებული საზოგადოებისათვის ის ძალიან ახლობელი და გასაგებია.

კომიკური თხრობა თითქმის ყველა ლიტერატურულ მიმდინარეობას მეტნაკლებად ახასიათებს. მსოფლიო ლიტერატურის უძველეს ძეგლებში, სადაც სასულიერო პირთა დახასიათება, წმინდანთა ცხოვრება ან წამებაა აღწერილი, კომიზმის მაგალითები ან საერთოდ არაა, ან სუსტადაა გამოკვეთილი. წიგნში „ინგლისური იუმორის აღმოცენება“ მართებულად მიუთითებს ლ. კაზამიანი, რომ იუმორს ხალხურ ნიადაგში აქვს ფესვები გადგმული და თუ ძველ ინგლისურ ეპოსში იუმორს თითქმის არ ვხვდებით, ეს გამოწვეულია არა იმით, რომ იმ ეპოქაში ინგლისელებმა არ იცოდნენ რა იყო იუმორი, როგორც ამას ხშირად ამტკიცებს თავის ნაშრომში „ინგლისური ლიტერატურის ისტორია“ იპოლიტ ტენი, არამედ იმით, რომ ბერები, რომლებიც იწერდნენ და ამუშავებდნენ ეპოსის ნიმუშებს, იუმორს სრულიად უარყოფდნენ (73). ეს მასალის სპეციფიკურობით იყო განპირობებული. ასევეა ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლებშიც, სადაც თვით თემა გამორიცხავს კომიკური ხერხე-

ბის გამოყენებას (და თუ ასეთი შეინიშნება, მხოლოდ ჩანასახის სახით). კომიზმის კვლევას ქართულ მწერლობაში, ინგლისურის მსგავსად, ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან მივყეევართ (67, 125—177).

კომიკური თხრობა მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს XIX საუკუნის რეალიზმის ლიტერატურაში. ყველაზე ნიშანდობლივი, რაც რეალიზმს ახასიათებს, არის სინამდვილის სწორად დანახვა და მისი რეალისტურად ასახვა, საზოგადოებაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკულად წარმოჩენა და გარკვეულად მისი გაკიცხვა. რეალისტური ტილოს შესაქმნელად მწერალი მრავალნაირ მხატვრულ ხერხს მიმართავს. მათგან ერთ-ერთი ძირითადი, რაც XIX საუკუნის რეალიზმისათვის არის დამახასიათებელი, კომიკური თხრობის ფორმების ფართოდ გამოყენებაა.

ცხადია, სხვადასხვა ეროვნული ლიტერატურა ერთმანეთისგან მოწყვეტილად არ არსებობს. მათი თანაარსებობით იქმნება მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. ამიტომ ყოველი ეროვნული ლიტერატურისთვის დამახასიათებელია როგორც საერთო, ასევე სპეციფიკური ნიშნები. ეს კანონზომიერება ყველა ლიტერატურულ მიმართულებაზე, ლიტერატურულ ჟანრებსა თუ მხატვრულ ხერხებზე ვრცელდება. იგივე ახასიათებს კომიკურ თხრობასაც. კომიზმის შესაქმნელად ნებისმიერი ეროვნების მწერალი იმ საერთო ტრადიციულ ხერხებს იყენებს, რომლებიც ყველა ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი. ამავე დროს, უმატებს რაღაც ახალს, სპეციფიკურს, ეროვნულს. აქედან გამომდინარე, ყველა ქვეყნის კომიკურ ლიტერატურაში შეიძლება თანმხვედრი წერტილებისა და პარალელების მოძებნა, მით უფრო, ერთი და იმავე მიმდინარეობის მწერალთა შემოქმედებაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ქართულ მწერლობაში კომიზმის ტენდენციები ძველი პერიოდიდან მომდინარეობს, განსაკუთრებით კი თავი იჩინა ე. წ. აღორძინების ხანიდან, ხოლო XIX საუკუნეში კომიზმის გამოვლენის ფორმები გამრავალფეროვნდა და კომიზმი თხრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტილურ კომპონენტად იქცა.

ინგლისურ ლიტერატურას კომიკური თხრობის მდიდარი ტრადიცია აქვს. ჩოსერის, შექსპირის, ფილდინგის, სმოლეტის, შერიდანის, სტერნის გვერდით დიკენსისა და თეკერეის კომი-

კური თხრობა კომიზმის განვითარების ერთ-ერთი ბრწყინვალე საფეხურია არა მარტო ინგლისურ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში.

ამჯერად ჩვენ შევჩერდებით კომიკური თხრობის ზოგიერთ მომენტზე XIX საუკუნის ქართულ და ინგლისურ რეალისტურ ლიტერატურაში და შევეცდებით წარმოვაჩინოთ რა მსგავსება-განსხვავებანი აქვთ მათ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კომიკური თხრობის ფორმების მკვეთრად გამიჯვნა ერთმანეთისგან შეუძლებელია, ვინაიდან ყველა ამ ფორმას საფუძვლად უდევს სინამდვილისადმი კომიკური დამოკიდებულება. ხშირად ერთი და იმავე მწერლის შემოქმედებაში კომიკურის გამოხატვის ფორმების სინთეზს ვხვდებით.

ჩარლზ დიკენსის იუმორს ახასიათებს როგორც სიმძაფრე, ასევე სიმსუბუქე. 30-იან წლებში მას არ ჰქონდა მკაცრი გაკიცხვის ხასიათი, 50-იანი წლებისათვის კი უფრო მრისხანე გახდა. ობიექტური ისტორიული პირობების ზეგავლენით დიკენსის გვიანდელ ნაწარმოებებში ოპტიმიზმი მცირდება, ლაღ და მხიარულ იუმორს სატირული დაცინვა ცვლის.

რომანში „დომბი და ვაჟიშვილი" დიკენსმა შესანიშნავი კომიკური პერსონაჟები დახატა, რომელთა გვერდით მკვეთრ გროტესკულ სახეებსაც ვხვდებით. კიდევ უფრო მძაფრდება დიკენსის სატირული ტენდენცია რომანში „ცივი სახლი", სადაც მან მთელი დამაჯერებლობით გააკრიტიკა ინგლისში დამკვიდრებული წესების სისასტიკე, დაუპირისპირა რა ერთმანეთს ლორდ კანცლერი და მეძველმანე, სასამართლო და ძველმანების დუქანი. რომანში „პაწია დორითი" დიკენსი სოციალურთან ერთად, პოლიტიკურ სატირასაც მიმართავს და ამდენად ამ რომანში სატირული ტიპიზაცია ღრმა და განზოგადებულ ხასიათს იძენს.

რაც შეეხება იულიამ თეკერეის შემოქმედებას, მასში უფრო მკვეთრადაა გამოხატული კომიკური თხრობის სატირული ფორმა. მის პირველივე რომანებში „ქეთრინ" და უფრო ძლიერად რომანში „ბარი ლინდონი" უკვე აშკარად იგრძნობა მისი სატირული დამოკიდებულება სინამდვილისადმი, რომელიც სულ უფრო და უფრო მძაფრდება და დასრულებულ სახეს იღებს „სნობების წიგნში", ხოლო „ამაოების ბაზარში" კულმინაციას აღწევს. 50-იანი წლებიდან კი თეკერეის სატირული რისხვა

ნელდება და მის ნაწერებში არსებულ სინამდვილესთან შეგუების ნოტები ჩნდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც მძაფრი სატირის კვალდაკვალ იუმორისტული თხრობაც შეინიშნება თეკერეის შემოქმედებაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მკითხველის მეხსიერებაში დიკენსი ძირითადად მაინც რჩება როგორც იუმორისტული, ხოლო თეკერეი — როგორც სატირული თხრობის ჩინებული ოსტატი.

დიკენსისა და თეკერეის კომიზმმა ქართული სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულში მიიპყრო. ამასთანავე მკვლევრები კომიკური თხრობის განხილვისას მათ შემოქმედებას ქართველი მწერლების შემოქმედებას უდარებდნენ და შეპირისპირებით ასპექტში აანალიზებდნენ მათ. ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილი ქართველი კრიტიკოსის კიტა აბაშიძის მოსაზრება. 1901 წელს იგი წერდა — „ერთის ხელით თუ გულს განგმირავს დ. კლდიაშვილი, მეორეს ხელით მალამოს წასცხებს, თუ გულის ამრევ სურათებს დაგიხატავთ, თანაც ამ სურათის სასაცილო მხარეს დაგანახვებთ, წარმოსადგენათ მომზადებულ ცრემლს თვალის გუბეში შეაჩერებს და ღიმილს გამოიწვევს, რომელიც ბოლოს სიცილად იქცევა, თუმც სიცილი აქ ყოველთვის ცრემლ ნარევია და ცრემლი სიცილის კარებთან შემდგარი. ეს გახლავთ ინგლისელ მწერალთა ირონიული მანერა წერისა, ანუ იუმორი, ეს ცრემლით შეზავებული სიცილი და სიცილით გაბრწყინებული ცრემლი სატირაა დიკენსისა და ტეკკერეისა და სულ არა ჰგავს აღშფოთებულ და ულმობელ სატირას ფრანგი მწერლებისას“ (74). აქ კიტა აბაშიძე პარალელს ავლებს დავით კლდიაშვილისა და ინგლისელი მწერლების მიერ კომიკური ეფექტის შესაქმნელად გამოყენებულ ერთ-ერთ ძირითად ხერხს — გამოხატვის ფორმისა და გამოსახატავის შინაარსის შეუსაბამობას შორის (ცრემლნარევი სიცილი და სიცილნარევი ცრემლი). დიკენსი ამ პრინციპის ორივე მხარეს თანაბრად იყენებს. განსაკუთრებული სერიოზულობით მოგვითხრობს მწერალი პიკვიკის „მეცნიერულ“ აღმოჩენაზე, ყინულზე ციგურაობის, თუ პიკვიკის რომანტიკული თავგადასავლის შესახებ... ასე რომ, რიგ შემთხვევაში პათეტიკური, მეცნიერული ტრაქტატის, თუ ოქმების ტონით, სავსებით სე-

რიოზული, დინამიური თხრობითა და რთული სინტაქსური წყობით დიკენსი მარტივ აზრსა და უმნიშვნელო მოვლენას გადმოგვცემს. ხოლო სხვა შემთხვევებში იუმორისტული თხრობა ეხმარება მას XIX საუკუნის ინგლისის რეალისტური ტილოს დახატვაში. თავისი დროის მწვავე პრობლემებზე (საპარლამენტო არჩევნებსა და არჩევნების ცრუ დემოკრატიზმზე, სასამართლოსა და მის მოხელეებზე) ლაღად, მსუბუქად და მხიარულად ყვება.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ ლუარსაბისა და დარეჯანის სავსებით სერიოზულად გამართული დიალოგები ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ იქნება ეს ბუზების დათვლისას თუ ჯამა-სმის პრობლემაზე. კომიკური ეფექტის შესაქმნელად აკაკი წერეთელიც ხშირად მიმართავს მეტყველების ამაღლებულ სტილს ჩვეულებრივი ამბის გადმოცემისას.

მეფის ბიუროკრატიული აპარატის გაკიცხვისას კომიკური ეფექტის მისაღწევად გიორგი ერისთავი, ჩარლზ დიკენსის მსგავსად, ჩვეულებრივი საუბრის დროს ამაღლებულ სტილს, სასამართლოს უწყებრივ ენას იყენებს.

დავით კლდიაშვილის თხზულებებში იმერეთის გაღარიბებულ აზნაურთა ყოფა-ცხოვრების სურათებია ასახული. კომიკური თხრობის დროს, ჩარლზ დიკენსის მსგავსად, იგი ხშირად შინაარსისა და მისი გამოხატვის ფორმის შეუსაბამობის პრინციპს იყენებს. „უტყუარი კომიკური ეფექტის მისაღწევად დ. კლდიაშვილი რამდენიმე ურთიერთსაპირისპირო ვითარებას გადმოგვცემს... ცხოვრების ფაქტიურ ვითარებასა და იმ ინტერპრეტაციას შორის, რომელსაც პერსონაჟები იძლევიან, დიდი განსხვავებაა, მოვლენათა რეალურ მიმდინარეობასა და მოქმედ პირთა მიზნებს შორის აშკარა შეუსაბამობაა“ (67, 403) ასეთი შეუსაბამობის პრინციპზეა აგებული მოთხრობა „სოლომან მორბელაძე“. იგი მკითხველის ღიმილს იწვევს იმდენად, რამდენადაც კომიკურადაა გადმოცემული სოლომანის მდგომარეობა. თვით ამბავი კი, რომელიც მასშია აღწერილი, მეტად მძიმე და სერიოზულია. მთელი მოთხრობის კომპოზიციური ხაზი სოლომანის განზრახვასა და მისი გამოვლენის ფორმის კონტრასტზეა აგებული.

ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობის პრინციპის გამოყენება შეინიშნება არა მარტო იუმორისტული, არამედ სატირული

თხრობის დროსაც. უილიამ თეკერეის რომანის „ამაოების ბაზრის“ მოქმედი გმირი რებეკა შარპი საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან ურთიერთობს. მისი დიალოგები ბურჟუაზიული თუ არისტოკრატიული წრის წარმომადგენლებთან ხშირად სწორედ ამ პრინციპითაა აგებული.

მოთხრობაში „ჭრიჭინა ღუმელზე“ ჩარლზ დიკენსს დახატული აქვს დოყლაპია მსახური გოგოს — ტილი სლოუბოის სახე, რომელიც ამ მოთხრობის პატარა, მაგრამ მშვენიერი დეტალია. იმის მიუხედავად, რომ მას ძალიან მცირე ადგილი უჭირავს ნაწარმოებში, სავსებით დასრულებული მხატვრული სახეა და ამასთანავე მეტად დასამახსოვრებელი. დიკენსი არაფერს ამბობს ტილის თვისებებზე, მაგრამ მისი გარეგნობის, ქცევის, მიხვრა-მოხვრის რამდენიმე შტრიხის მინიშნებით ავტორი საოცრად მეტყველ სახეს ძერწავს. ღიმილისმომგვრელია დიკენსის ხაზგასმული, სასაცილო სერიოზულობა, რითაც იგი ამ მოუქნელი გოგოს ამბავს ყვება. მკითხველიც გულწრფელად იცინის და ყურადღებით ელოდება ტილის გამოჩენას.

მსახური გოგოს ეს სახე ქართველი მკითხველის გონებაში აცოცხლებს ილია ჭავჭავაძის მიერ დიდი ოსტატობით დახატული მსახურის პორტრეტს, პორტრეტს იმ ცხოველისას, რომელსაც დარეჯანი „ლამაზისეულს“ ეძახდა.

რიგ შემთხვევაში კომიზმის გამომწვევი მიზეზი არის მოქმედ პირთა ჩაყენება საგანგებოდ შერჩეულ სიტუაციაში. ამგვარი სიტუაციური კომიზმის უამრავ მაგალითს ვხვდებით მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“. მოხუცი ბეკინა წარსული ცხოვრებით ცხოვრობს, პლატონი კი ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის გავლენას განიცდის. იგი ვერ ეგუება თავისი საარსებო წყაროს — მიწის შემცირებას და შიშით შესცქერის მომავალს. მწერალი კომიკურ სიტუაციებში აგდებს თავის პერსონაჟებს და ისე აგვიწერს მათ წინააღმდეგობრივ ცხოვრებას. მოთხრობა „ქამუშაძის გაჭირვების“ არაერთი ეპიზოდია აგებული სიტუაციური კომიზმის პრინციპზე. მართებულად მიუთითებს კლდიაშვილი თავის ერთ-ერთ გმირზე — „ეს კაცი კიდევაც შეგეცოდებოდა, რომ ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო“.

სიტუაციური კომიზმის შესანიშნავი ნიმუშია ვირების დევნის სცენა დიკენსის რომანში „დავით კოპერფილდი“. „აქამდის არ ვიცი, რა უფლება ჰქონდა მის ბეტსის ამ მწვანე მინდორზე მისი სახლის წინ. ასე იყო თუ ისე, ერთადერთი შეურაცხყოფა, რომელიც აუცილებელ შურისძიებას მოითხოვდა, ეს იყო ვირების შემოსვლა ამ აკრძალულ საზღვარს აქეთ. რა საქმეშიც არ უნდა ყოფილიყო გართული მის ბეტსი, როგორი საინტერესო ბაასიც არ უნდა ჰქონოდა სასტუმრო ოთახში, ვირი იმწამსვე არღვევდა მის აზრთა მსვლელობას და გაშმაგებით მივარდებოდა ხოლმე თავის მტერს: წყლით სავსე ჯურჯელი ყოველთვის მზად ჰქონდა ფარულ ალაგას — მტრის შემოსევის მოლოდინში. ტალანში, კარებს უკან, წვეტიანი ჯოხები იყო დამალული...“ „...ვირი თავგამოდებით იცავდა თავს ოთხივე ფეხით, როდესაც ჯენეტა აღვირით მას უკან მიათრევდა და მისტერ მორდსტონი კი წინ მიერეკებოდა“ (75; 165—172).

დიკენსი ხშირად აყენებს მისის ნიკლბის კომიკურ სიტუაციაში. საკმარისია თუნდაც რომანტიკული ეპიზოდების გახსენება მისის ნიკლბისა და მოკლეშარელიან მეზობელ ჯენტლმენს შორის და მისის ნიკლბის სერიოზული დამოკიდებულება ამ ამბისადმი.

სიტუაციურ კომიზმთან ხშირად გვაქვს საქმე გიორგი ერისთავის პიესებში („ძუნწში“, როდესაც კარაპეტა ფულით სავსე პარკებს ეალერსება; კარაპეტასათვის კუბოს დაკვეთა ივანიკას მიერ; „გაყრაში“ გაბრიელის ოცნება ვარშაველ იულიაზე და სხვა მთელი რიგი სიტუაციები, რომლებსაც მიკირტუმას ოჯახში ქალიშვილის სათხოვნელად დიდებულიძეთა მისვლა ასრულებს).

გარკვეულ შემთხვევებში ერთსა და იმავე ნაწარმოებში იუმორი სატირასთან არის შერწყმული. ინგლისურ სატირასა და იუმორზე მსჯელობისას მ. მოროზოვი აღნიშნავდა, რომ არ შეიძლება იუმორზე საუბრისას სრულიად გამოვყოთ იგი სატირისაგან. გარეგნულად ისეთი სათნო და მხიარული ნაწარმოებიც კი, როგორიც დიკენსის „პიკვიკის კლუბია“, სატირული იუმორითაა გაჟღენთილი (76, 199). ასევეა რომანში „ნიკოლას ნიკლბი“. სკოლის ცხოვრებით გამოწვეული საშინელი აღშფოთება გახდა დიკენსისთვის იმ სატირული ინტონაციის მიზეზი,

რომელიც მან სკვირსის „აკადემიის“ დახატვისას გამოიყენა. სატირულ ფერებში აღწერა მწერალმა დოთბოის ჰოლი და მისი მკვიდრნი, სწავლა-აღზრდის საქმე, ამ „აკადემიის“ შინაგანი თადარიგი და გატანჯულ მოწაფეთა როგორც გარეგნული ფორმა, ასევე მათი გონებრივი საზრდო. ღიმილისმომგვრელი გროტესკითაა გადმოცემული მისის სკვირსის სახე, როდესაც იგი „დედობრივ მზრუნველობას“ იჩენს აღსაზრდელთა მიმართ კვების დროსაც. ასე რომ, აქაც იუმორი კომიზმის სხვა ფორმებთან არის შეზავებული.

სატირისა და იუმორის, ზოგჯერ კი ტრაგიკულისა და იუმორისტულის ერთგვარი შერწყმა და მათი მონაცვლეობა არც კლდიაშვილის ნაწარმოებებისთვისაა უცხო. „დ. კლდიაშვილის მოთხრობებში გვხვდება თანაზომიერი შენაცვლება ტრაგიკული ინტონაციებისა და სასაცილო სიტუაციებისა“ (77, 13). მოთხრობაში „ქამუშაძის გაჭირვება“ სიტუაციური კომიზმის გვერდით სატირულ ეპიზოდებსაც ვხვდებით. სატირული ინტონაციითაა გადმოცემული დავა ეკალას გამო, ხოლო ძაღლისა და მისი პატრონის ურთიერთდამოკიდებულება გროტესკის მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენს. „ძაღლით ვრჩები, იმ ზომამდის მივაღწიე პატიოსანმა აზნაურმა და ცოცხალი გადამირჩება, ვინც მას ხელს მიხლებს?“, აცხადებს სერაპიონი. სატირულ პერსონაჟთა გალერეას ამშვენებენ პორფირ ბიაშვილი და ბეგლარ ჯინჯარაძე.

სატირაზე საუბრისას კიტა აბაშიძე წერს: „ი. ჭავჭავაძეცა და დ. კლდიაშვილიც სატირასა ხმარობენ, მაგრამ პირველი სატირა მკაცრია და შეუბრალებელი, ეს ვოლტერის სასტიკი სატირაა, ხოლო კლდიაშვილის სატირა სანტიმენტალური სატირაა, დიკენსისებური“ (78). შესაძლოა კლდიაშვილისა და დიკენსის შემოქმედებაში „სანტიმენტალური სატირის“ გამოვლენა სადავო იყოს, ხოლო მათი კომიკური თხრობის ერთ სიბრტყეზე გააზრება მართებულად მიგვაჩნია. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის სატირას, ის, ცხადია, მკაცრია. ილიამ თავის სატირულ პროზაში დასცინა ბევრ მავნე ჩვევას, რაც მის თანამედროვე საზოგადოებას ახასიათებდა. მსგავსი ხერხები აქვს გამოყენებული უილიამ თეკერეისაც. სატირულია თუნდაც ლუარსაბ თათქარიძისა და ჯოზეფ სედლის გარეგნული პორტრეტები. ჯოზეფ სედლი სხვა მხრივაც ჰგავს ლუარსაბს — „საუცხოოა! ბრძან-

ჯოზეფმა ინდურ კერძზე, რომელსაც პირი გამოტენილი ჰქონდა ამ საჭმლით, სახე კი სულ გაჭარხლებოდა ხარბად თქვლეფის საამური საქმიანობით“ (79, წ. 1, 50—51). ასეთი მაგალითები მრავლადაა რომანში. მართალია, ჯოზეფ სედლი ბურუჟაზიული წრის წარმომადგენელია, ხოლო ლუარსაბ თათქარიძე თავადაზნაურულის, მაგრამ უზრუნველყოფილმა ცხოვრებამ ორივე მუქთახორებად ჩამოაყალიბა და ამით დაამსგავსა ისინი ერთმანეთს, რასაც შეუბრალებლად დასცინა როგორც ინგლისელმა, ასევე ქართველმა მწერალმა. ცნობილია, რომ ფრანსუა რაბლემ თავისი „მწვავი სატირა-რომანით“, როგორც მის „გარგანტუა და პანტაგრუელს“ უწოდებდა ილია ჭავჭავაძე, სატირის იარაღი მიმართა ადამიანური ბუნების ერთ-ერთი მახინჯი და მანკიერი მხარის — გაუმაძღრობის წინააღმდეგ. ეს ე. წ. „პანტაგრუელიზმი“ ისეთი ზოგადი ხასიათის მოვლენაა, რამაც არ იცის დროითი და სივრცითი საზღვრები და ყოველ დროში შეიძლება იქცეს მხატვრის დაცინვის საგნად. აღსანიშნავია ისიც, რომ ი. ჭავჭავაძის სატირულ ნაწარმოებებში, ისევე როგორც უ. თეკერეის „ამაოების ბაზარში“ ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს ირონიას, როგორც დაცინვის სახეობას.

უილიამ თეკერეის მსგავსად გიორგი ერისთავმაც თავის კომედიებში ერთმანეთს დაუპირისპირა არისტოკრატია და ბურჟუაზია. თუ „გაყრისა“ და „დავის“ კომედიურ საფუძველს უპირველესად ქართველი არისტოკრატის დახასიათება წარმოადგენს, „ძუნწში“ ახლადაღმოცენებული ბურჟუაზიის ჩვენებით იქმნება კომიზმი.

უილიამ თეკერეი სატირულ ფერებს არ ზოგავდა, როდესაც თავის შეხედულებებს გამოთქვამდა მის წინამორბედ თუ თანამედროვე მწერლებზე. აკაკი წერეთელმაც არაერთი კრიტიკული სტრიქონი უძღვნა ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების დახასიათებას. მან შექმნა ალექსანდრე ორბელიანის, ივანე კერესელიძის, ნიკო ნიკოლაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, გიორგი წერეთლის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვათა პორტრეტები. ამ უკანასკნელის მიმართ სატირაც გამოიყენა. აკაკი მათი პიროვნული თვისებებიდან ყველაზე დამახასიათებელს გამოყოფდა და კომიკურად წარმოაჩენდა მას.

კომიკურ თხრობაზე საუბრისას არ შეიძლება ყურადღება არ შევაჩეროთ ენობრივ საშუალებებზე. ორიგინალური, მოქნილი ენა კომიკური თხრობის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. გმირთა მდგომარეობა, მათი მოქმედება კომიკურ სიტუაციას ქმნის, სიტყვიერი მასალა კი უფრო აძლიერებს მას.

რთული სინტაქსი ხელს არ უშლის დიკენსს აზრის სხარტად გადმოცემაში. მკითხველისათვის დაუვიწყარია სხაპასხუპით მოლაპარაკე ჯინგლის, სამუელ უელერისა და მისი მამის მეტყველება, რომლის კომიკური ეფექტი წმინდა ენობრივ საშუალებებს ემყარება. დიკენსის გმირები მკითხველს მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გამოთქმებით, დიალექტებით, ჟარგონებით ამახსოვრდება.

როდესაც მწერალი ქალაქის გარკვეული წრის ცხოვრებას ეხება, შეუძლებელია ყურადღება არ გაამახვილოს ამ წრის ჟარგონზე. ენობრივი მხარე ნაწარმოებს მეტ კოლორიტს, კომიკურ თხრობას კი მეტ სიმძაფრეს ანიჭებს. ასეა გიორგი ერისთავის შემოქმედებაშიც. მან გაამდიდრა ქართული სალიტერატურო ენა მასში ხალხური გამოთქმების, ფრაზეოლოგიის, თავისებური სინტაქსის შეტანით. აი რას წერდა პლატონ იოსელიანი გიორგი ერისთავის პიესის „გაყრა“ წინასიტყვაობაში: „...მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირედთა სხვათა, არ იყო ჩვეულებითის საუბარისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა. დამწერმან ამან პირველისა ქართულსა ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთავმან, დაბადა ენა ახლისა გვარისა მწერლობისათვის“ (80).

გიორგი ერისთავი კომიკური ეფექტის მისაღწევად სიტყვების დამახინჯებას, კუთხურ ან საერთოდ არქაულ მეტყველებას, არასწორ სინტაქსურ წყობას მიმართავს. ყოველივე ეს ეხმარება მწერალს მეფის ბიუროკრატიული ინსტიტუტის გაკიცხვაში, გარდა ამისა, გამოხატავს თავის სკეპტიკურ დამოკიდებულებას მოძველებული ქართული ენისადმი. დამახინჯებულად მეტყველებენ თეკერეის გმირებიც — ჯიმაიმა, სერ პიტი, ქალბატონი ო'დაუდი, მსახურები...

იგივე შეიძლება ითქვას აკაკი წერეთელზეც. მის თხზულებათა უმრავლესობაში ვლინდება მწერლის უბადლო სატირულ-

იუმორისტული ოსტატობა. მისი პროზა სავსეა დახვეწილი, ხატოვანი თქმებით, შედარებებითა და ეპითეტებით. იგი ხალხურ მეტყველებას იშველიებს, იქიდან იღებს მასალას და ერთგვარ დინამიურობას ანიჭებს მათ. როგორც მის პროზაში, ასევე დრამატურგიაში კომიკური თხრობის ერთ-ერთ საფუძველს ენობრივი დამახინჯება წარმოადგენს. ისევე როგორც დიკენსი თავის პერსონაჟებს დიალექტებით ალაპარაკებს, აკაკი წერეთელსაც შემოაქვს თავის ნაწარმოებებში კუთხური კილო კომიკური მიზნით. გარდა ამისა, მისი გმირები ქართულ მეტყველებაში ხშირად ხმარობენ რუსულ გამოთქმებს.

აკაკი წერეთელი და გიორგი ერისთავი, ჩარლზ დიკენსისა და უილიამ თეკერეისაგან განსხვავებით, ენობრივ დამახინჯებებს სხვა მიზნითაც იყენებენ — ისინი ამით დასცინიან ყოველგვარ ენობრივ უზუსტობას, არქაულ მეტყველებას. ამ შემთხვევაში კომიკური ეფექტი მათ ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლაშიც ეხმარება. მოძველებული ენისადმი თავისი სატირული დამოკიდებულების მხატვრული ილუსტრაცია მოგვცა ილია ჭავჭავაძემ მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“.

დავით კლდიაშვილის ენა კი იმ განუმეორებელ კოლორიტს ქმნის, რომლითაც ასე დასამახსოვრებელია მისი „შემოდგომის აზნაურები“ და საერთოდ მთელი მისი შემოქმედება. იმერეთის აზნაურთა ჩვეულებრივი, ყოველდღიური სასაუბრო ენა კლდიაშვილის ნაწერებში თავისებურ სტილურ ხერხადაა ქცეული, რომლის საშუალებითაც მკითხველი სრულად შეიცნობს მათ ყოფა-ცხოვრებას.

აღნიშნული მიმდინარეობის მწერლები თავის გმირებს რაიმე დამახასიათებელ, საგნის ან მოვლენის აღმნიშვნელ სახელებს არქმევენ. ეს სახელები ზოგჯერ მათი ქცევის გამომხატველია, პერსონაჟის გარეგნული ფორმის, ან შინაგანი სამყაროს მაჩვენებელია, ან კიდევ სახელი შეიძლება მოქმედი გმირის სრული ანტიპოდი იყოს. ესეც ერთ-ერთი ხერხია კომიკური განწყობილების შესაქმნელად (მაგ., ლამაზისეული „კაცია-ადამიანში?!“, ვზიატკინი, ლომისეული „დავაში“, ჯინგლი, უინქლი „პიკვიკის კლუბში“, კროული, ტროტერი „ამაოების ბაზარში“...).

ამგვარად, ინგლისელი და ქართველი მწერლები კომიკურ თხრობას თავიანთი თანამედროვე ყოფის მრუდი მხარეების

სწორად წარმოჩენისათვის იყენებენ. ამით ისინი დასცინიან საზოგადოებაში არსებულ ნაკლოვანებებს, იქნება ეს სოციალური, პოლიტიკური თუ ეროვნული ხასიათის. ცხადია, გადმოცემის იმ ხერხებს შორისაც ბევრი მსგავსების მიგნება შეიძლება, რომელსაც XIX საუკუნის რეალიზმის ინგლისელი და ქართველი წარმომადგენლები მიმართავენ სატირისა თუ იუმორის შესაქმნელად. ისინი კომიზმის მისაღწევად ძირითადად შინაარსისა და მისი გამოხატვის ფორმის შეუსაბამობის პრინციპს იყენებენ. მაგ. შემოქმედებაში სიტუაციური კომიზმის ბევრი მაგალითი მოიძებნება. მსგავს სოციალურ გარემოში მოხვედრილი ინგლისელი და ქართველი პერსონაჟებიც კი ემსგავსებიან ერთმანეთს ზოგიერთი საერთო ნიშან-თვისების გამო. ბუნებრივია ბევრი მათგანი სრული ინდივიდუალობითაც გამოირჩევა. ყველაზე მკვეთრად გამოხატული განსხვავება ისეთ კომიზმს ახასიათებს, რომელიც ენობრივი საშუალებებით არის გამოხატული (დიალექტი, ჟარგონი, დამახინჯებული ან ნარევი მეტყველება...). ჩარლზ დიკენსის, უილიამ თეკერეის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, გიორგი ერისთავის დამახასიათებელი ენა განუმეორებელ ელფერს ანიჭებს მათ შემოქმედებას და ეხმარება ამ მწერლებს კომიკური ეფექტის შექმნაში. განსხვავება ასევე შეიმჩნევა იქ, სადაც მწერალი ძალიან დამახასიათებელ ეროვნულ სიტუაციას აღწერს. ვთქვათ, კლდიაშვილის მიერ დახატული გუდამშიერი იმერელი აზნაურების ცხოვრება, ცხადია, უფრო ახლობელი და მარტივად აღსაქმელია ქართველი მკითხველისათვის. სწორედ ეს მსგავსება-განსხვავებანი ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ეროვნული ლიტერატურა ლოკალიზებულად არ არსებობს. მათი მთლიანობა მსოფლიო ლიტერატურას ქმნის.

ნაწილი მეხუთე

დამატებანი

წიგნის ეს ნაწილი ერთგვარ ლიტერატურულ დამატებას წარმოადგენს. იგი სხვადასხვა ხასიათის ნაშრომს აერთიანებს. აქ ქართულ თარგმანშია წარმოდგენილი ოლივერ უორდროპის ქალიშვილის, ნინო უორდროპის დოკუმენტური ნარკვევი „მარჯორი და ოლივერი“, ჩარლზ დიკენსის შვილთაშვილის, დევიდ დიკენსის მოგონება „ჩარლზ დიკენსი და დიკენსების ოჯახი“, ელან უოტსის ჩანაწერი „ჰანს ქრისტიან ანდერსენის ვიზიტი ჩარლზ დიკენსთან“. აქვეა ორი ლიტერატურული ესე — „ქეთრინ ვივიენის პორტრეტისათვის“ და „კენტერბერის კონფერენციის პანორამა“. თითოეულ მათგანს თავისი შექმნის ისტორია აქვს.

1991 წლის აპრილში ფინეთში ჩატარდა რუსთველოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელზეც მიწვეულები იყვნენ ქართველი მეცნიერები შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტიდან და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ოლივერ უორდროპის ქალიშვილმა ნინომ ამ დროისათვის დაწერა ნარკვევი თავისი სახელოვანი მამისა და მამიდის შესახებ და დევიდ ბარეტის ხელით გაგზავნა ფინეთში. ბარეტმა ეს წერილი გადასცა პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძეს, რომელიც მონაწილეობდა ამ სიმპოზიუმის მუშაობაში. მან ნინო უორდროპის მოგონება ჩამოიტანა თბილისის უნივერსიტეტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში. მე მერგო პატივი მეთარგმნა ეს ნარკვევი.

რაც შეეხება ქეთრინ ვივიენის ლიტერატურულ პორტრეტს, ამით მინდოდა გამომეხატა ჩემი უღრმესი მოწიწება და პატივისცემა ამ დიდებული ქალბატონის მიმართ.

1990 წლის ივლისში პირველად ვიღებდი მონაწილეობას დიკენსოლოგთა 84-ე საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში კენტერბერიში. მოგვიანებით აღვწერე იქაური შთაბეჭდილებები. კონფერენციაზე ბევრი მეცნიერი გავიცანი. მონაწილეთა შორის იყვნენ ჩარლზ დიკენსის ორი შვილთაშვილი — დევიდ და სედრიკ დიკენსები. მათთან ჩემი მეგობრობა დღემდე გრძელდება. იმხანად დევიდი დიკენსის საზოგადოების როჩესტერის ფილიალის პრეზიდენტი იყო, 1994 წლიდან კი დიკენსის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტია. მან ჩემი თხოვნით სპეციალურად ქართველი ხალხისათვის დაწერა პატარა მოგონება ჩარლზ დიკენსისა და მისი ოჯახური გარემოს შესახებ. ამ მოგონებიდან ვიგებთ რა ბედი ეწიათ დიდი კლასიკოსის შთამომავალთ.

ამავე კონფერენციაზე გავიცანი დანიელი ლიტერატურათმცოდნე, ანდერსენის საზოგადოების მდივანი ბირგიტ ნერლანდი და 1991 წელს ანდერსენის საზოგადოების მიწვევით ვიმყოფებოდი დანიაში ანდერსენის დღეებში მონაწილეობის მისაღებად. იქ არაერთხელ იყო გამახვილებული ყურადღება ანდერსენისა და დიკენსის ურთიერთობაზე. 1995 წლის ივლისში მიუნხენში დიკენსოლოგთა სემინარზე დიკენსის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ელან უოტსმა მისახსოვრა თავისი წიგნი „დიკენსი გედს ჰილში“, სადაც ერთი თავი აქვს დათმობილი ანდერსენის ვიზიტს დიკენსთან. მასში მსუბუქი იუმორითაა ასახული ამ ორი დიდი შემოქმედის ხასიათის თავისებურება და მათი ოდნავ დაძაბული ურთიერთობა. ავტორს გამოყენებული აქვს დოკუმენტური მასალაც. ქვემოთ გთავაზობთ ამ ჩანაწერის ჩემს მიერ შესრულებულ თარგმანს.

ნინო უორდროპი

მარჯორი და ოლივერი

ჯონ ოლივერი და მარჯორი იყვნენ უფროსი და უმცროსი იმ სამი შვილიდან, რომლებიც თომას კოლდუელ უორდროპსა და მის მეუღლეს — მარჯორი კამერონ სკოტს შეეძინათ. ოლივერი 1864 წელს დაიბადა. მისი მომდევნო ძმა თომასი — 1867 წელს,

ხოლო ნაბოლარა — მარჯორი 1869 წელს. უორდროპების ოჯახი მიდლოთიანსში (დასავლეთ კოლდერი) სახლობდა, სადაც მათ დაქირავებული ჰქონდათ სლეითჰიუდ წოდებული პატარა ფერმა. ჯონისა და აგნესის (ქალიშვილობის გვარი კოლდუელი) მეორე ვაჟი თომასი 1836 წელს იყო დაბადებული. იგი დურგლობას სწავლობდა და ედინბურგში გადავიდა. თომასი წმ. მერჩისტონში სამშენებლო ფირმაში გაერთიანდა და ცოლად შეირთო მარჯორი კამერონ სკოტი (დაბადებული 1837 წ.) — იმ პანსიონის მეპატრონის ქალიშვილი სადაც იგი ცხოვრობდა. ცოლქმარი ედინბურგიდან ლონდონის სამხრეთით გადასახლდა. იქ თომასი სხვა მშენებელს — ბატონ ჰარისს შეუამხანაგდა და ფირმა „ჰარისი და უორდროპი“ ერთად აშენებდენ ეკლესიებს, მუნიციპალურ შენობებსა და სახლებს იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ სტილში. შემდგომში ოჯახი ლონდონის ისტ ენდში დასახლდა. იქ შეეძინათ მათ სამივე შვილი.

ხუთი წლის ოლივერი, საკმაოდ სუსტი აგებულების ბავშვი, ჯანმრთელობის გაკაჟებისა და, დედამისის აზრით, კარგი შოტლანდიური განათლების საფუძვლების მიღების მიზნით ოთხი წლით გაგზავნეს შოტლანდიაში დიდედასა და პაპასთან ფერმაში, დასავლეთ კოლდერში. იგი იქ ადგილობრივ სკოლაში სწავლობდა. ოლივერი მარტო გაემგზავრა ლონდონიდან ედინბურგს. რკინიგზის სადგურზე კისერზე იარლიყშებმული პატარა ფიგურა იჯდა თავის ბარგზე, სადაც მას ბიძამისი დახვდა. ოლივერმა ოთხი ბედნიერი წელი გაატარა ფერმაში, ცხრა წლისა დაბრუნდა ლონდონში და სწავლა განაგრძო კუპერის ძველი კომპანიის სკოლაში, სტეპნიში 1880 წლამდე.

ამ დროისათვის ოჯახი უელინგტონ როუდ ბოუს 15-ში ცხოვრობდა, მაგრამ 1882 წლის ივლისში ჩიზლჰერსტში გადავიდნენ (ლოუერ კამდენის 14). ამჯერად კი მარჯორი გაგზავნეს ბიიჩი ლეიდის კოლეჯის პანსიონში, ისტბორნში, სადაც ჩვეულებრივ საგნებთან ერთად იგი სწავლობდა ფრანგულს, გერმანულს და ლათინურს. 1885 წელს ოჯახმა კვლავ შეიცვალა ბინა, მაგრამ კვლავ ჩიზლჰერსტის მახლობლად, კამდენ ვუდ კოტეჯში, სამხრეთ ჰილში. მარჯორიმ დაიწყო სიარული ქ-ნ ამოსის ადგილობრივ სკოლაში „Coed Bell“. „აქ ისწავლა ინგლისური, ფრანგული, მუსიკა, ხაზვა და ძერწვა“, — წერდა იგი ოლივერს

(15.1.1886), „მე ვიმედოვნებ, რომ ლათინურს მომავალ სემესტრში ვისწავლი“. იგი მუსიკასაც სწავლობდა და ამბობენ, რომ საკმაოდ ტკბილი ხმა ჰქონდა.

1880 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორც ჩანს, ოლივერი იწყებს ევროპაში მოგზაურობას და არსებობს ცნობები მისი მოგზაურობის შესახებ ბისკაის ყურეში, ალბათ პორტუგალიაში. 1880—1881 წლებში იგი თავის ძმა ტომთან ერთად ექვსი თვის განმავლობაში სწავლობდა სკოლაში პარიზში, ერთხანს კი გერმანიაში (დისსენში) დადიოდა სკოლაში. 1885 წლიდან კი იგი კვლავ პარიზშია და ამჯერად გადის კურსს სორბონაში 1886 წლამდე. სწავლის პერიოდში იგი ლონდონის სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობდა, მაგრამ კონტინენტზე მოგზაურობას თვითონაც და მისი მშობლებიც მისი შემდგომი განათლების ფრიად აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ. 1886 წლის შემოდგომაზე ოლივერი პირველ დიდ მოგზაურობას შეუდგა, მოგზაურობას, რომელმაც მომდევნო წელს იგი საქართველომდე მიიყვანა. თავდაპირველად ოლივერი იტალიაში ჩავიდა, რომში გაატარა სამი თვე და იქ ესწრებოდა ლექციებს უნივერსიტეტში. შემდეგ მან იმოგზაურა ეგვიპტეში, პალესტინაში, სირიასა და თურქეთში. და ბოლოს 1887 წლის აპრილში მიაღწია საქართველოს და ივლისამდე იქ დარჩა. საქართველოში ჩასვლამ საფუძველი ჩაუყარა მის დიდ სიყვარულს ამ ქვეყნისადმი და მიაწოდა მას მასალა წიგნისთვის „საქართველოს სამეფო“, რომელიც 1888 წელს გამოიცა.

უორდროპებს ძალიან შეკრული და მოსიყვარულე ოჯახი ჰქონდათ. ხუთი წლის განსხვავების მიუხედავად, ოლივერსა და მარჯორის ყოველთვის განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდათ და ეს სიახლოვე მათ ბევრ საერთო ინტერესთან ერთად უფრო და უფრო იზრდებოდა. 1909 წელს 40 წლის მარჯორის უდროოდ გარდაცვალებამდე ოლივერი მისი ერთგული დარჩა. იგი მარჯორის გმირი იყო ღრმა ბავშვობიდან. ფაქტობრივად ოლივერს მთელი ოჯახი თაყვანს სცემდა მისი გონებამახვილობის, სიბრძნისა და გულკეთილობისთვის, მაგრამ მარჯორი მას ნებას არ აძლევდა, რომ ეს თაყვანისცემა თავში ავარდნოდა და თავისი რბილი იუმორით ყველაფერში ინარჩუნებდა ზომიერების გრძნობას. ოლივერი ყოველთვის ძლიერ ენატრებოდათ, რო-

დესაც სახლიდან იყო წასული: „განა საჭიროა თქმა", — წერდა მარჯორი [1], როდესაც მისი ძმა პირველად მოგზაურობდა ახლო აღმოსავლეთში, „როგორ მოუთმენლად ველით ჩვენ ყველანი შენს დაბრუნებას". „როდესაც დაბრუნდება ჯონი" ოჯახში ყოველდღიურ გამოთქმად არის ქცეული. თუ რომელიმე ჩვენგანი ისეთ რამეს იტყვის, რაც საეჭვოდ იქნება მიჩნეული, სკეპტიკოსები უმალვე ფარხმალს ყრიან, როცა ეტყვიან: „ჯონიმ ასე თქვა". მას ყველაფერში ენდობოდნენ, თვით მოლოხიც[2] კი.

განშორებისას ოჯახის წევრები ერთმანეთს წერილობით უკავშირდებოდნენ. მარჯორი და ოლივერი ზოგჯერ კვირაში რამდენჯერმე წერდნენ ერთურთს. როდესაც მარჯორი გაიზარდა და თან ახლდა ოლივერს საზღვარგარეთ ბრიტანეთის კონსულად მუშაობის დროს, მას ასევე ძალიან ხშირი მიმოწერა ჰქონდა თავის მშობლებთან და ტომთან. ადრეული წერილები გვიჩვენებენ, თუ რა მნიშვნელოვანი იყო მათთვის ეპისტოლარული ურთიერთობა. „ყველაზე სასიამოვნო ამ კვირაში შენთვის წერილის მოწერა იყო, წერდა ოლივერი 16 წლის მარჯორის. მარჯორი შეშფოთებულ წერილებს აგზავნიდა სკოლიდან ერთი წერილის დაგვიანების გამო, რაც ჩიზლჰერსტში მათი ოჯახის ერთი სახლიდან მეორეში გადასვლით იყო გამოწვეული. „ყველანი დაიხოცეთ, თუ სტუმრად წახვედით ქვეყნიერების დასალიერში? ფოსტის ყოველი მოსვლისას თქვენს წერილს ველოდები — მე უკვე სამი წერილი მოგწერეთ და პასუხი არ მიმიღია".

მარჯორი არ იყო მთლად ჯანმრთელი. მას ოც წლამდე აწუხებდა სუსტი მხედველობა, მაგრამ მის ახლომხედველობას წარმატებით უმკურნალა თვალის სპეციალისტმა. შემდეგ იგი მთელი ცხოვრების მანძილზე სათვალეს ატარებდა. სახლში სიცოცხლით საესე მარჯორი, ოჯახის გარეთ ძალიან მორცხვი და თავშეკავებული იყო, დიდად არ ზრუნავდა სოციალურ მოვალეობებზე და იშვიათად დადიოდა წვეულებებზე. მიუხედავად ამისა, მან გაიჩინა მეგობრები, რომლებთანაც მთელი ცხოვრება

---

[1] „დიდებული", „კარგი" და „ჯკვიანი" ესაა ტერმინები, რომელსაც ხშირად იყენებდა მარჯორი ოლივერისადმი მიწერილ წერილებში.

[2] მოლოხი — ოლივერის მამა (მეტსახელი ოჯახში).

ჰქონდა ურთიერთობა, განსაკუთრებით საქართველოში. სამი ბავშვიდან ტომი ყველაზე მეგობრული იყო, დადიოდა ცეკვებზე, კონცერტებზე, სწავლობდა სიმღერას და თამაშობდა გოლფს; კარიერა საქონლის საფონდო ბირჟაზე შეიქმნა.

როდესაც ოლივერი მარტოდმარტო შეუდგა პირველ დიდ მოგზაურობას 1886 წლის 1 ოქტომბერს, მარჯორიმ და დედამისმა სანთელი დაანთეს კამდენ ვუდ კოტეჯის ფანჯარაში, რათა მატარებლით გავლისას ოლივერს დაენახა. მისი პირველი წერილი ოჯახისადმი ძალიან ნოსტალგიური და სევდიანია: „მე არასოდეს მიგრძვნია განშორება ისე ძლიერ, როგორც ეხლა... სამხრეთ-აღმოსავლეთ რკინიგზის კომპანიის მატარებელი ლიანდაგიდან რომ გადავარდნილიყო და რომელიმე კიდური მომეტეხა, მე არ ჩავთვლიდი ამას უბედურებად, ვინაიდან ეს კვლავ შინ დაბრუნების შესაძლებლობას მომცემდა“. მართალია, მოგზაურობისას მისი სულიერი განწყობილება მალე ამაღლდა, მაგრამ დროდადრო მაინც იჩენდა ხოლმე თავს მარტოობის გრძნობა. „ჩემი მარტოდმარტო ხეტიალი არ არის დიდად სასიამოვნო, მაგრამ ეს აუცილებელია, მე უნდა ვნახო ეს ქვეყნები, სანამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ“ (ქაირო, 10. 2. 1887). იგი დიდ ინტერესს იჩენდა ყველაფრისადმი, რასაც ხედავდა და განიცდიდა, დიდად აფასებდა რომში ყოფნას, მაგრამ ეს იყო მხოლოდ საქართველოში ჩასვლამდე. იქ სიამოვნების განცდამ ყოველივე დაფარა. გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, მან ეს ქვეყანა შეიყვარა. მისი შთაბეჭდილებანი აღწერილია წიგნში „საქართველოს სამეფო: ჩანაწერები მოგზაურობის შესახებ ქალების, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში“. 1955 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტში წაკითხულ მოხსენებაში დევიდ ლენგი ოლივერის მოგზაურობის შესახებ აღნიშნავდა: „ბათუმიდან უორდროპი მატარებლით ქუთაისს გაემგზავრა, კოლხეთის კუტაიაში, საიდანაც იაზონმა მოიტაცა მედეა და ოქროს საწმისი. სურამის უღელტეხილზე შთამბეჭდავი მოგზაურობის შემდეგ, იგი ჩადის ტფილისში, აღფრთოვანებულია მისი მშვენიერი ხიდებით, ძველი ციხე-სიმაგრიდან დანახული ხედებით, წმინდა დავითის ეკლესიით მთაწმინდაზე და ამ ნახევრადევროპული და ნახევრადაზიური სატახტო ქალაქის ბევრი სხვა თავისებურებებით. ტფილისში მან შეძლო „ტროიკის“ დაქირავება კავკასიონის მთავარ

ქედზე გადავლით ვლადიკავკაზში ჩასასვლელად და უკან დასაბრუნებლად. დარიალის ხეობის გავლისას იგი მოიხიბლა ყაზბეგის მყინვარწვერით, ავიდა მის ახლოს მდებარე წმინდა სტეფანეს მონასტერში... ამ მოგზაურობის შემდეგ უორდროპი ერთხანს აღმოსავლეთის პროვინციაში — კახეთში — მის ბაღ-ვენახებისა და მდინარეების წიაღში გაჩერდა, იმ ადგილებში, რომლებმაც შთააგონეს გრიბოედოვს დაეწერა აღფრთოვანებით სავსე ლექსები, რომლებშიც აირეკლა გოეთეს Kennst du das Land? ბოდბეში საქართველოს განმანათლებლის წმ. ნინოს სამარხის ნახვის შემდეგ უორდროპი სტუმრად მიიღო კახეთის ორი წამყვანი თავადის ოჯახმა... კავკასიაში სტუმრობა საწინდარი გახდა უორდროპის სიყვარულისა იმ ცივილიზაციისადმი, რომლის შესწავლასაც მან 60 წელი უძღვნა; მას შესაძლებლობა ჰქონდა დამეგობრებოდა ქართველ საზოგადოებას და ეს მეგობრობა მთელი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდა"[1]. ამ წარმტაცი ქვეყნით აღფრთოვანებული ოლივერი „საქართველოს სამეფოში" მოგვითხრობს ალაზნის მხარეში ცხენით მოგზაურობის შესახებ: „პატარა სოფელში, თითქმის ნახევარ გზაზე სიღნაღსა და ბაკურციხეს შორის, როდესაც ორმა ჩვენგანმა დანარჩენები უკან ჩამოვიტოვეთ, ჩემი თანამგზავრის ცხენს ნალი მოძვრა, ასე დავტოვე იგი გზად მდებარე სამჭედლოში, მე კი მარტომ გავაგრძელე გზა. ზაფხულის მცხუნვარე მზე მაღლა იყო ასული ზეცის ლურჯ თაღში; ჩემს მარცხნივ ვაზით დაფარული ფერდობები იყო; მარჯვნივ კი მდინარის მიღმა მთების თეთრი მწვერვალების კედელი აღმართულიყო ჩემსა და ევროპას შორის. მე ყველაფერი დამავიწყდა — მოდგმა, ქვეყანა, კაცობრიობა, მე და ჩემი ცხენი ერთსულოვნად შევუერთდით ცხოვრების იმ დიდ ცოცხალ ოკეანეს, რომელსაც ჩვენი დედამიწა ჰქვია. ჩემი მაჯა ბუნების ჰარმონიულად ძგერდა მოჩუხჩუხე ნაკადულებისა და მთრთოლვარე ხეების ფოთლებზე მობერილი ნიავის ჩურჩულთან რიტმში. მე შევედი ნეტარ ნირვანაში, სადაც „მე"-ს მთელი ცნობიერება შთანთქმულია მსოფლიოს სულში".

---

[1] იხ. დევიდ ლ ე ნ გ ი, ოქსფორდის სლავური წერილები, ტ. VI, ოქსფორდი, 1955 (ინგლისურ ენაზე).

მისი წიგნი კარგად იქნა მიღებული. მიმომხილველი აღნიშნავს: „ბატონმა უორდროპმა თავის ნაშრომს დაურთო საქართველოს ისტორიის, ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი აღწერა, ძვირფასი ბიბლიოგრაფიით“.

საქართველოდან ოლივერი მოსკოვს გაემგზავრა, სადაც იგი თითქმის ორი თვე დარჩა და კონტაქტებს ამყარებდა ბრიტანეთის საელჩოსთან. შინ დაბრუნებამდე მან გაიარა სტოკჰოლმი და ქრისტიანია და ბოლოს ჩავიდა შოტლანდიაში, სადაც მოინახულა თავისი ნათესავები. ჩიზლჰერსტში კი ოქტომბრის დასაწყისში, გამგზავრებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1887 წელს დაბრუნდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მარჯორი მშვიდად ცხოვრობდა თავის სახლში და დადიოდა ქ-ნ ამოსის სკოლაში. ოლივერისადმი მიწერილ წერილებში ოდნავი გაცრუებისა და მოგზაურობაში მასთან ერთად ყოფნის დიდი სურვილი გამოსჭვივის. „მე ძლიერ მოხარული ვიქნები შენი დაბრუნებით, ასე მგონია, რომ ეს ახალი სამყაროს აღმოჩენა იქნება ჩემთვის. მე არ შემიძლია საინტერესო წერილის მოწერა, ვინაიდან არაფერი მაქვს სათქმელი. აქ ძალიან ცოტა რამ ხდება მნიშვნელოვანი და მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ არ გაინტერესებს ჩიზლჰერსტის ჭორების მოსმენა“.

შემდეგ წელს პროფესორ ბრაისის მიერ გამხნევებული (შემდგომში ლორდ ბრაისი)[1] ოლივერი უკვე საკმაოდ გვიან წავიდა ოქსფორდში, რათა დაესრულებინა განათლების მიღება ბეილიოლის კოლეჯში. მაშინ იგი 24 წლის იყო. მან პირველი ადგილი დაიკავა თანამედროვე ისტორიაში, ენების შესწავლის დიდი ნიჭის წყალობით მოიპოვა ტეილორის სტიპენდია სწავლის სამი წლის განმავლობაში, ყოველ წელს სხვადასხვა ენაში. ოქსფორდში ისტორიის კურსის გავლისას იგი აგრძელებდა რუსულის[2] და ქართულის სწავლას და ცდილობდა წერილობით მუდმივად ჰქონოდა კავშირი თავის მეგობრებთან საქართველოში. მისმა გატაცება მალე მარჯორისაც გადაედო და მანაც დაიწყო

---

1 ლორდ ჯეიმს ბრაისი — იხ. (ცნობარი: „ვინ ვინ იყო“).

2 1890 წ. მან ჩააბარა არმიის თარჯიმნის გამოცდები რუსულად და თარჯიმნის თანამდებობა მიიღო ტერიტორიულ არმიაში.

ქართულის შესწავლა ოლივერის ხელმძღვანელობით, რომელიც იძენდა წიგნებს და დას უგზავნიდა. 1890 წლის ოქტომბერში მარჯორი წერს: „ქართული ლექსიკონი ამ დილით მოვიდა. მე ძალიან გამეხარდა მისი მიღება, ის შენი რუსული ლექსიკონის მსგავსადაა აკინძული და ძალიან მძიმე უნდა იყოს... ბოლოში ბევრი კარგი ინფორმაციაა გრამატიკაზე. ამგვარად მე ვიმედოვნებ, რომ საქმე კარგად წავა. როცა მომწერ წერილს, არ ახსენო ეს საგანი, რადგან არ მინდა, რომ ოჯახის სხვა წევრებმაც იცოდნენ ამის შესახებ“. რამდენიმე დღის შემდეგ იგი წერს (19.10.1890): „ქართულის სწავლა მართლაც რომ ძალიან ნელა მიიწევს წინ. როგორც ჩანს, ერთ საათში ძალიან ცოტას ვასწრებ და უცნაური ისაა, რომ სიტყვების უმრავლესობა სწრაფად მავიწყდება. ლექსიკონი ძალიან კარგია, ხოლო რაც შეეხება ფრანგულს, ჩემი შეუჩვეველი თვალითაც კი ვხვდები, რომ მეტისმეტად ელემენტარულია... მე ვხვდები, რომ ამ ენის შესწავლისთვის საჭიროა შეუპოვრობა და ყურადღება და ვშიშობ, იმედი არ გაგიცრუვდეს, როდესაც ნახავ, რომ ვერ გავამართლე შენი მოლოდინი. ვფიქრობ, რომ ჩემს გონებას უფრო ნაკლების გაკეთება შეუძლია, ვიდრე შენ და მე გვინდა, მაგრამ მე ძალიან ვეცდები... რასაკვირველია, საკმაოდ ბევრია ისეთი სიტყვა, რომელსაც ლექსიკონში ვერ ვპოულობ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვისწავლი ორიოდე ზმნას, საქმე უფრო ადვილად წავა“. შემდეგი წერილი ოდნავ იმედიანია (27.10.1890); „ქართული ცოტა უფრო ადვილი მეჩვენება, მაგრამ ვშიშობ, რომ ძალიან ნელი ვარ—ფაქტიურად გონებაჩლუნგი“. შემდეგ იგი კვლავ გულგატეხილობაში ვარდება (3.11.1890): „ბუნებამ ძლიერ უბრალო თიხიდან გამომძერწა და ერთი ნათელი სხივიც კი არ ჩაბერა ამ გონებაჩლუნგ მიწის ბელტში. ქართული წიგნები უკვე რამდენიმე დღეა თაროზე აწყვია, ვინაიდან მე გამიტყდა სათვალის ჩარჩო და იძულებული ვიყავი ლონდონში გამეგზავნა შესაკეთებლად, მაგრამ ახლა უკვე ხელთ მაქვს“.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანი გახდა მისთვის და ოლივერისთვის სწავლა, ასახულია მარჯორის წერილში (7.11.1890). „ვიმეღოვნებ, რომ არ იდარდებ და არ გაგიცრუვდება იმედები იმის გამო, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, და ვიცი, რომ არ გაბრაზდები — მე ვფიქრობ, რომ ქართულის სწავლას შევწყვეტ შობის

შემდეგ პერიოდამდე და დავიწყებ ახალ წელს. ახლა, როცა უკვე გითხარი ეს, არცთუ ისეთ დიდ საშინელებად მეჩვენება, მაგრამ რამდენიმე დღე ძალიან ვწუხდი და განვიცდიდი, რადგან შეიძლება ამან გაგანაწყენოს. მე არ დავღლილვარ, შემიძლია მთელი დღის განმავლობაში ჯდომა, დრო უფრო სწრაფად გარბის სწავლისას, ვიდრე სხვა საქმის კეთებისას და მე გადავწყვიტე ენის კარგად შესწავლა, მაგრამ მეჩვენება, რომ ახლა უფრო ადვილად მტკივდება თავი. ადრე არასოდეს მქონია თავის ტკივილები. რასაკვირველია აუტანელი ტკივილები არა მაქვს. შენ არ იფიქრო, რომ რაღაც ცუდი მჭირს. მხოლოდ კითხვის დროს ოდნავ მტკივდება ხოლმე". თვალების გამო წუხილმა, რაც ალბათ მხედველობის დაძაბვით იყო გამოწვეული, კვლავ იჩინა თავი. მიუხედავად ამისა, 1891 წლის აგვისტოსთვის, როგორც ჩანს, მარჯორიმ დასძლია ყოველგვარი გულგატეხილობა და წერს (27.8.1891): „დრო არ მქონდა რაიმე გამეკეთებინა ქართულში გასული კვირიდან, მაგრამ მე ვფიქრობ, დღეს უკვე შევძლებ. საკმაოდ ვწუხვარ ხოლმე, როდესაც არ მაქვს თავისუფალი დრო ახალი სიტყვების მოსაძებნად. მე ხომ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ვიცი".

1891 წლის 29 დეკემბერს, როდესაც მარჯორი მოუთმენლად ელოდა წიგნების ჩამოსვლას ტფილისიდან, იგი იმედიანად წერს: „დედაჩემი სოფელში წავიდა სტუმრად თავისიანებთან და ამგვარად მე მარტო დავრჩი, ისე რომ არავინ მიშლის ხელს. სანამ დედა წასულია, ვცდილობ ვთარგმნო „ვეფხისტყაოსანი", მე-12 საუკუნის დიდი ეპიკოსის შოთა რუსთველის სახელგანთქმული პოემა". მარჯორის წერილიდან (22.5.1892) ვიგებთ, რომ ოლივერმა შოტლანდიაში მოაწესრიგა თავისი იქაური ნათესავების საქმეები, ხოლო მარჯორი კი ჩოგბურთში ოსტატდებოდა ჩიზლჰერსტში, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ქართულის სწავლაში. „მე ახლა 510 სიტყვა მაქვს ჩემს ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში", — იგი კვლავ წერს ოლივერს სანქტ-პეტერბურგში (31.10.1892), სადაც ოლივერმა მიიღო თანამდებობა ბრიტანეთის საელჩოში სერ რობერტ მორიერის ქვეშევრდომობაში: „გასულ კვირას 108 სტრიქონი ვთარგმნე „ვეფხისტყაოსნიდან" და ვხედავ, რომ ერთი საათის, ან მაქსიმუმ საათ-ნახევრის განმავ-

ლობაში 40 სტრიქონის თარგმნა შემიძლია, მაგრამ ვწუხვარ ზოგიერთი ადგილის ზერელედ თარგმნისთვის, რაც იდიომატური გამოთქმების არცოდნითაა გამოწვეული, თუმცა ვფიქრობ, რომ ვახერხებ ძირითადი აზრის პოვნას და, როდესაც საფუძვლიანად გადავხედავ მთელ თარგმანს ხელმეორედ (რასაც მალე გავაკეთებ), შესაძლებელი იქნება უკეთესად გავიაზრო გაუგებარი ადგილები. მე უკვე 520 სტრიქონი ვთარგმნე. როდესაც 650 სტრიქონს გადავთარგმნი, ისევ თავიდან დავიწყებ". მუდმივი სრულყოფის სურვილით აღვსილი მარჯორი აგრძელებს გულმოდგინე მუშაობას, თან ეჯვი შეაქვს თავისი ცოდნის უკმარისობასა და მხატვრულ ოსტატობაში. „მე ძალიან მოხარული ვარ, რომ გაიცანი პროფესორი ცაგარელი"[1], — წერს მარჯორი (14.11.1892), „თუმცა მრცხვენია ჩემი ცუდად შესრულებული თარგმანის გაგზავნა. მე გადმოვწერე 40 სტრიქონი, ის რაც დღეს უნდა გამოგეგზავნო, მაგრამ წერის დროს ვიგრძენი თარგმანში გაპარული უზუსტობანი. ინგლისური ტექსტი ძალიან უფერული და უშნოა, მაგრამ, ვფიქრობ, ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან უპირველესად მე აზრის სწორად გადმოცემას ვაძლევ უპირატესობას. დარწმუნებული ვარ, ჩემი თარგმანი შეცდომებითაა სავსე, მაგრამ იმედს ნუ გაიცრუებ, როდესაც გეტყვიან, რომ იგი ცუდია. სიტყვათა მარაგს ყოველდღიურად ვიღრმავებ, მაგრამ დღითიდღე უფრო მეზიზღება თავი სიტყვების მნიშვნელობის არასაკმარისად გაგების გამო. ეს ძალიან მდიდარი ენაა და ბევრია ისეთი სიტყვა, რომლებიც იძულებული ვარ ან გამოვტოვო ან კონტექსტით მივხვდე მის მნიშვნელობას. ჩემი შეზღუდული უნარისა და ჩემი თავისადმი დაუკმაყოფილებლობის შეგრძნების მიუხედავად, მე უფრო და უფრო მეტი ხალისით ვიესები ჩემი სამუშაოსადმი. სიძნელეები ბევრია, ნეტავ კი შევძლებდე თანდათანობით მათ გადალახვას. გავაგრძელო თარგმნა და დროდადრო გამოგეგზავნო? ვშიშობ, პროფესორი ცაგარლისთვის ეს ძალიან დიდი სამუშაო იქნება. მაინც ვფიქრობ, რომ მე არ გამაჩნია საკმარისი უნარი ამ საქმის კარგად შესასრულებლად".

---

[1] ა. ა. ცაგარელი — პროფესორი მეგრული კვლევების განხრით, სანქტ-პეტერბურგი.

მარჯორი დღეში საშუალოდ სამ საათს უთმობს ქართულს და „ვეფხისტყაოსნის თარგმნა მას სულ უფრო იტაცებს“. 1892 წლის 3 დეკემბერს იგი მე-1000 სიტყვას წერს თავის ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში. სწორად შემდრკალი, მაგრამ დაუმარცხებელი მარჯორი უკმაყოფილებას გამოთქვამს (6. 2. 1893): „მე მგონია, რომ რუსთველის თარგმნასთან დაკავშირებით საქმე ძალიან ნელა მიიწევს, მაგრამ მე უკვე ვთარგმნე 1050 სტრიქონამდე და გარკვეულ კმაყოფილებას განვიცდი იმის გამო, რომ ათასებში ვარ. დღეში 50 სტრიქონი რომ ვთარგმნო, წელს დავასრულებ თარგმნას, მაგრამ საუბედუროდ ისე ხშირად ვწყვეტ მუშაობას, რომ ერთ დღეს თუ 50 სტრიქონს ვთარგმნი, ზოგჯერ ორი-სამი დღის განმავლობაში არანაირი საშუალება აღარ მაქვს, რომ განვაგრძო მუშაობა“.

მარჯორი საქართველოს თანამედროვე პოეტებითაც დაინტერესდა. იმ დროის გამოჩენილი პოეტისა და პატრიოტის ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებმა მარჯორიმდე 1893 წლის დასაწყისში მიაღწია. მომავალ წელს მან პოეტს ქართულად მისწერა წერილი და მისი პოემის „განდეგილის“ თარგმნის ნებართვა სთხოვა. ამ წერილმა დიდი გამოხმაურება პოვა საქართველოში. მარჯორი რუსთველზე ნაკლებად რთული ძეგლების თარგმნაზე გადადიოდა. 1894 წელს მან გამოსცა თავისი პირველი თარგმანი — „ქართული ხალხური ზღაპრებისა“, „როგორც ერთგვარი დასვენება ამ შრომატევადი მეცადინეობიდან“, — წერს იგი ამ პატარა წიგნის წინასიტყვაობაში (ამ წიგნმა ფოლკლორისტებისთვის ბევრი საინტერესო მასალა წარმოაჩინა).

მიუხედავად იმისა, რომ მარჯორი ოჯახში ბედნიერად ცხოვრობდა, ფართო ჰორიზონტების მოთხოვნილებანი უფრო ნათელი გახდა მის განვითარებასთან ერთად. დიდი წინსვლის მიუხედავად, მისი ამ პერიოდის წერილები სავსეა საკუთარი თავისა და საქმიანობის მიმართ გამოთქმული უკმაყოფილებით. თუ იმ ეპოქის კონტექსტში განვიხილავთ, იგი უკმაყოფილოა ქალის ხვედრით და ემანსიპაციის უქონლობით. „სამწუხაროა, — წერს იგი 1892 წელს, თავისი დაბადების დღის შემდეგ, — 23 წლისა ვარ და ამ ხნის განმავლობაში ჯერ ძალიან ცოტა მაქვს გაკეთებული, გარდა ცუდისა. მე ნამდვილად უნდა ვეცადო შევავსო გაცდენილი დრო, ვინაიდან ჩემი ცუდი ჩვევები მეტისმეტად მომე-

ძალნენ და ვშიშობ, რომ იმ კარგს, რაც ჩემს ბუნებაშია, მალე სარეველები დაფარავს. და ეს სიმართლეა, თუმცა მე ვიცი, შენ ფიქრობ, რომ მე არცთუ ისე ცუდი ვარ სხვებთან შედარებით!" რამდენიმე კვირის შემდეგ (6.1.1893) თავისი თარგმანის შესახებ იგი წერს: „ვგრძნობ, რომ რაც უფრო მეტს ვმუშაობ მასზე, უფრო მეტ ცოდნას ვიძენ, მაგრამ მე ძალიან ნელი ვარ და თან სულ უფრო მეტ უკმაყოფილებას განვიცდი ჩემი თარგმნის მეთოდის გამო. ზოგადი აზრიც კი არა მაქვს სწორად გადმოტანილი, თან ვიცი, რომ ამ ენაში არის სიმდიდრე და სილამაზე, რომლის მიხვედრაც კი არ შემიძლია, მაგრამ თუ წავედი ტფილისში!" მას თანდათან ეუფლებოდა იმედი, რომ ერთ დღეს ოლივერს გაჰყვებოდა საზღვარგარეთ მოგზაურობაში, განსაკუთრებით საქართველოში. 1893 წლის 22 აგვისტოს მარჯორი წერს: „მე სერიოზულად ველაპარაკე დედას შენთან ერთად წამოსვლის შესახებ და დარწმუნებული ვარ, იგი წინააღმდეგი არ წავა, თუმცა გული დაწყდება, ორივეს ერთად რომ დაგვშორდება. ძალიან ვიმედოვნებ, რომ მალე დავიწყებ აქტიურ ცხოვრებას და ვეცდები რაიმე გავაკეთო. მჯერა, რომ თუ ასე უსაქმურად ვიქნები დიდხანს, სრულიად გამოუსადეგარი გავხდები — ამჟამად ჩემგან დიდი სარგებლობა არაა".

სანქტ-პეტერბურგში ელჩის პირადი მდივნობის ვადის გასვლის შემდეგ, 1893 წლის გაზაფხულზე ოლივერი ინგლისში დაბრუნდა. იგი აგრძელებს ქართულზე მუშაობას. ორბელიანის ნაწარმოების „წიგნი სიბრძნე სიცრუისას" (მე-18 საუკუნის ქართული მოთხრობები) მისეული თარგმანი უილიამ მორისმა დაბეჭდა კელმსკოტის გამომცემლობაში 1894 წელს.

ამავე წელს იგი მიდის მეორე მოგზაურობაში—ახლო აღმოსავლეთში, ახლა უკვე არა მსოფლიოს სანახავად, არამედ საქართველოში, ან მისი მახლობელი რომელიმე ქვეყნის საკონსულოში სამუშაოს საძებნელად, სადაც მარჯორისათვის შესაძლებელი იქნებოდა მასთან ერთად ყოფნა და სადაც მათ თარგმანზე ერთად მუშაობის საშუალება ექნებოდათ. ეს იყო გაურკვეველობებით სავსე მოგზაურობა. მან თან წაიღო რწმუნების სიგელები, წიგნი „საქართველოს სამეფო", თავისი ნაწერები და სერ რობერტ მორიერის მიმართვა. მას დაგეგმილი ჰქონდა ჩასულიყო კონსტანტინოპოლში, შეხვედროდა და ესაუბრა ბრი-

ტანეთის ელჩთან იმ იმედით, რომ მსოფლიოს იმ მხარეში შეძლებდა სამუშაოს შოვნას. იგი სოფიიდან იწერება (19.9.1894): „შენ ვერ წარმოიდგენ, თუ როგორ გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ კონსტანტინოპოლში ელჩთან შეხვედრა შედეგს გამოიღებს. მე ვოცნებობ იმ ბედნიერ დღეზე, როდესაც კვლავ ერთად ვიქნებით. რანაირი თანამდებობაც არ უნდა შემომთავაზონ, იმდენ თანხას კი მივიღებ, რომ კომფორტაბელურად ვიცხოვრო აღმოსავლეთში“. მოგვიანებით (23. 9. 1894) ოლივერი წერს: „თუ იგი ვერაფერს გამიკეთებს, მე არ ვიცი რას ვიზამ, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, რომ მოიძებნება ჩემთვის რაიმე ადგილი. შემდეგ ტომს წერს კონსტანტინოპოლიდან (12.10.1894): „ჩემი ყველა იმედი მომავალ კვირა საღამოზეა დამყარებული. მე თუ უმნიშვნელო სამუშაოს შოვნას მაინც შევძლებ, ძლიერ მოხარული ვიქნები, მაგრამ ყველა სიძნელეს წინასწარ ვხედავ“. ბოლოს როდესაც ყველაფერი დაკარგულად მიაჩნია, იგი მარჯორის წერს (16.10.1894): „დიდი მადლობა შენი სასიამოვნო სურვილებისთვის ჩემს დაბადების დღეზე. მე ვამჯობინებდი, შეუმჩნეველად გასულიყო თარიღი, რომელმაც ჩემი ახალგაზრდობა დაასრულა (იგი მაშინ 30 წლისა იყო); განსაკუთრებით იმიტომ, რომ მან სწორედ იმ დროს მომისწრო, როდესაც საზოგადოებისთვის გამოუსადეგარი წევრი ვარ და არანაირი პერსპექტივა არა მაქვს, რომ ქვეყნად რაიმეს გაკეთებას შევძლებ. მე ძალიან ვღელავ მომავალზე, აწმყო კი სრულიად აუტანელია“.

რადგან კონსტანტინოპოლში მისი იმედები გაცრუვდა, ოლივერმა გადაწყვიტა საქართველოში წასვლა. „თუ ვერაფრის მიღება ვერ შევძელი მათგან (საელჩოსაგან), საქართველოში წავალ. ძალიან მაწუხებს კითხვა, თუ რას გავაკეთებ..., მე კარგად მესმის, რომ უნდა შევეგუო უშენობას, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს იგი. თუ კავკასიაში წავალ, იქ შევძლებ საკმაოდ იაფად ვიცხოვრო და მოვახერხებ, რომ დროდადრო ხმა მივაწვდინო საგარეო საქმეთა სამინისტროს. იმედს არ ვკარგავ, რომ ოდესმე ბათუმში ვიშოვი სამუშაოს“ (20.10.1894). რამდენიმე დღის შემდეგ იგი საქართველოსკენ გაემგზავრა.

ამ წერილისადმი მარჯორის რეაქცია მღელვარებით, სრული გულის გატეხვით გამოიხატა, რაც მის თავშეუკავებელ წერილში აისახა: (ბრაიტონი, 27.10.1894): „გუშინ ნაშუადღევს მივი-

ღე შენი წერილი, 20 ოქტომბრით დათარიღებული, და დღეს ტომმა მოიტანა დეპეშა, სადაც წერია: „მისამართი: ბათუმის ბრიტანეთის საკონსულო“. ბუნებრივია, მე ძალიან ვწუხვარ, რომ შენთან ერთად არა ვარ, როდესაც საქართველოში მიემგზავრები. სიბრაზისგან მხოლოდ შემიძლია ვიტირო, როდესაც ვფიქრობ, რომ მე მხოლოდ საზიზღარი ქალი ვარ, ნაცვლად იმისა, რომ ვიყო მამაკაცი. მე უნდა დავრჩე სახლში და არაფერი არ უნდა ვაკეთო, როდესაც მე შემიძლია ვიცხოვრო, ვისწავლო და ვიმუშაო. მე რომ მამაკაცი ვყოფილიყავი, დიდი ხნის წინათ გავიქცეოდი და მსოფლიოს მოვიელიდი. ვერ წარმოიდგენ, თუ როგორ მეამბოხურად ვარ ხშირად განწყობილი ჩემი ახლანდელი მდგომარეობის მიმართ, მაგრამ არანაირი საშველი არ არის: ქალს არ უნდა გააჩნდეს ძლიერი გრძნობები. თავი უნდა დავიჭირო ისე, თითქოს კმაყოფილი ვარ ჩემი ბედნიერი ყოფით. როგორც ჩანს, არავის ესმის რომ სულს, ან, რადგან მხოლოდ ქალი ვარ, ვფიქრობ, უნდა ვთქვა — გულს სწყურია და მიილტვის უფრო მეტისკენ, ვიდრე კარგად აშენებული სახლი და კარგი საჭმელი, მამობრივი და დედობრივი სიყვარული და რამდენიმე პატივცემული ნაცნობია. მე არ ვფიქრობ, რომ შენ უფრო მეტად განიცდი მარტოობის გრძნობას შორეულ აღმოსავლეთში, ვიდრე მე საკუთარ სახლში. მე არ ვიცი რა მინდა, და ვიტანჯები იმისთვის, რასაც არასოდეს მივიღებ. ერთადერთი, რაც ყველაფერს ასატანს და ნათელს ხდის, არის ჩემი უძვირფასესის სიყვარული და თანაგრძნობა. ვიცი, რომ ეს ყოველთვის ჩემთანაა და ამისთვის ვცოცხლობ... ორშაბათს, ნაშუადღევს ჩიზლჰერსტში ვაპირებთ წასვლას. ჩვენი აქ ყოფნა ძალიან სასიამოვნო იყო, მაგრამ მე მენატრება სახლი და ჩემს ქართულთან დაბრუნება. ჩემი სამუშაოს გარეშე სრულიად უბედურად ვგრძნობ თავს... ჩემი ქართული ბიბლიოთეკა იზრდება: მე კმაყოფილებით გავაგრძელებდი მუშაობას, რომ შემძლებოდა საქართველოში ჩამოსვლა. მე რომ მამაკაცი ვიყო, ჩამოვიდოდი! მე სულ შენზე ვფიქრობ და ყოველთვის ჩემს ფიქრებში იქნები. ჩემი ორი სიყვარული ერთადაა:უძვირფასესი და საქართველო. თავს კარგად მოუარე და ყველაფერი გააკეთე, რომ აიცილო ციება და მალარია.

მე არ ვიცი, რატომ არ შემიძლია საქართველოს გარდა სხვა რამეზე ფიქრი: მე ვფიქრობ, რომ ამაღამ აქ უნდა შევწყვიტო წერა, რადგან ისეთი ძლიერი გრძნობები მომეძალა, ვშიშობ, რომ ამას შენც ხვდები. მე ბედნიერი ვარ, რომ შენ მანდ ხარ, მაგრამ ოჰ! ნეტავი შენთან ვიყო".

მომდევნო დღეს მარჯორი სინანულით წერს (28.10.1894): „ვწუხვარ, რომ გუშინ გამოგზავნილი წერილი ცოტაოდენ სევდიანი ტონით იყო დაწერილი. ასე რომ, ახლა მე ვწერ ანტიდოტს. გამოგზავნის შემდეგ ძალიან შევშფოთდი, რატომ უნდა გამეხადე ჩემი ცუდი გუნება-განწყობილების მონაწილედ? არ იფიქრო, რომ ჩემ მიერ მოწერილი სტრიქონების გამო უბედური ვარ, რადგან ეს არასწორი იქნებოდა. მე ვშიშობ, ეს უფრო შურით იყო გამოწვეული, შურით, რომ შენ საქართველოში ხარ, მე კი პროზაულ, არარომანტიულ ბრაიტონში. არა უშავს, ჩვენ მანდ როდისმე ერთად ვიქნებით. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ბატონი სტივენი — ვფიქრობ, ეს ბათუმის კონსულის სახელია — მიიღებს დაწინაურებას, რასაც იგი ეჭვგარეშეა იმსახურებს, და ჩვენ დაგვიტოვებს თავისუფალ ადგილს — იმ ერთადერთ თანამდებობას, რომელიც ჩვენ ასე გვსურს". უბრუნდება რა თავის ქართულს, იმავე წერილში იგი წერს: „ძალიან კარგია, რომ ასე მამხნევებ „განდეგილის" თარგმნისთვის და რადგან ფიქრობ, რომ თარგმანი დამაკმაყოფილებელია, მე გავაგრძელებ მეორე ნახევარს იმავე ლექსთწყობით და ცოტაოდენი დასვენების შემდეგ დავიწყებ მის უფრო მსუბუქ სალექსო ზომაში გადაყვანას. შემდეგ კი ვნახოთ, რომელი უკეთესად წაიკითხება".

საქართველოს ყველა კუთხეში ოლივერი აღფრთოვანებითა და სტუმართმოყვარეობით მიიღეს. მისი და მარჯორის პირველი თარგმანები უკვე გამოცემული იყო ინგლისში. იმ დროის მწერლებმა, პოეტებმა და დიდმა მოაზროვნეებმა იგი თავიანთ სახლებში მიიპატიჟეს. მარჯორის წერილმა თავად ილია ჭავჭავაძისადმი იმ დროისათვის მიაღწია პოეტამდე და მასზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ილიამ მისი ტექსტი, როგორც ქართული პროზის სტილის ნიმუში, თავის გაზეთ „ივერიაში" დაბეჭდა 1894 წლის 8 სექტემბერს. იმავე გაზეთში ილიამ მარჯორის წერილს მოწინავე სტატია მიუძღვნა. ამ ფაქტით განცვიფრებული მარჯორი მისთვის ჩვეული მორიდებით

წერს ოლივერს: მათ ნამდვილად დაბეჭდეს ჩემი წერილი ჯავჯავაძისადმი! მე ვშიშობ, რომ ქართველებს ძალიან ცუდი წარმოდგენა შეექმნებათ ჩემი ქართული გრამატიკის ცოდნაზე. აი, შესავალი, რომელიც მათ ჩემს წერილს წაუმძღვარეს:

„ქვეით ჩვენ ვბეჭდავთ ქალბატონის მარჯორი ვარდროპის წერილსა, რომელიც ამ საპატიო ინგლისელმა ახალგაზრდა მანდილოსანმა გამოუგზავნა „განდეგილის“ ავტორს.

ჩვენ ვერ ვნახეთ შესაძლებლად, რომ ეს მშვენიერი წერილი ინგლისელი ქალისა, რომელსაც ქართული წერა-კითხვა შეუსწავლია ძველი წიგნების საშვალებით თავის კაბინეტში, დაგვემალა და არ გაგვეზიარებინა საზოგადოებისათვის ის ჭეშმარიტი სიამოვნება, რომელიც ჩვენ იმის წაკითხვის გამო ვიგრძენით.

ქალბატონი ვარდროპი კარგა ხანია ვიცოდით, რომ მოყვარული იყო ჩვენი ქვეყნისა. მაგრამ ეს საპატიო ქალი ახლა თვისის პირით აღიარებს ამ ძვირფასს ჩვენთვის გრძნობას, რომელსაც უეჭველია ყველა კარგი ქართველი ჩინებულად დააფასებს.

როგორც წერილიდან ჩანს, ეს დიდად ჩვენთვის სიმპატიური ასული დიდებულის ქვეყნისა მალე გვესტუმრება და იმედია, დარწმუნდება, რომ ქართველი ხალხი არ არის უმადური და სიყვარულის და მეგობრობის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ დაგვიმტკიცა ამ სამაგალითო ქალმა, ქართველს კარგად ესმის“.

საპასუხო წერილში ილია ჭავჭავაძე წერდა:

„სახელოვანმა ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დასდგომია განათლების მტრებს — ბარბაროზებს.

ყოველს ქართველს თავ-მოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულს ძმას ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგინებებიათ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით და გულისტკივილით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს და რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან ჩაგრულთათვის. დიდებულმა და ძლიერმა ერმა ინგლისისამ სასურველია იცოდეს, რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძერის გული ადამიანურად, რომ აქაცა აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი; რომ აქაც არის

თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან.

ყოველივე ეს ზედ-დაჩნეული აქვს ჩვენს მწერლობას, რამოდენადაც-კი გაჭირვებული მდგომარეობა ნებას იძლევა. ამიტომაც გადაღება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა გადაღებაა ჩვენის გულის-ცემისა, ჩვენის გულითადის ნატვრისა, ჩვენის ჭირისა და ლხინისა, ჩვენის გონების და გრძნობის ძალ-ღონისა საყოველთაო საცნობელად.

ამ მხრით, თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმანისათვის დიდ ღვაწლად მიჩნეულ იქმნება ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მადლობას თქვენდამი საზღვარი არ ექმნება.

ჩემი „განდეგილი“ მომირთმევია თქვენთვის და, როგორც გენებოთ, ისე იმსახურეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთესს პატრონს ვერ ავუჩენდი.

გვპირდებით ჩვენში მობრძანებას. სიხარულით დაგიხვდებით და უმორჩილესად გთხოვთ წინადვე გვაცნობოთ, როდის და რა გზით ინებებთ მობრძანებას. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა“.

მარჯორის წერილმა ჭავჭავაძისადმი, როგორც მას უწოდებდნენ, „საშინელი პოლემიკა“ გამოიწვია. დაიწყო განსეთქილება და საგაზეთო ბრძოლა მანდილოსნებსა და მამაკაცებს შორის: „ჩვენს მანდილოსებს უნდა რცხვენოდეთ, რომ უცხოელმა ქალბატონმა უკეთ იცის მათი ენა, ვიდრე მათ თვითონ იციან, — წერდნენ მამაკაცები, რომლებსაც მანდილოსნებმა უპასუხეს დაბრალებით, რომ მამაკაცებმა თვითონ არ იციან თავიანთი მშობლიური ენა“, „არდადეგების სეზონი გამოაცოცხლა მძაფრმა ბრძოლამ“. ბრძოლის ასეთ კონტექსტში ხმარება შეიძლება გავიგოთ განურჩეველი რუსიფიკაციის ფონზე. რაც იმ პერიოდის ქართული კულტურული ცხოვრების მიმართ ტარდებოდა.

ამასობაში გულკეთილობითა და ყურადღებით გაოგნებული ოლივერი ტფილისში აფართოებს თავისი ნაცნობების წრეს და

აუმჯობესებს თავის ქართულს. „მალე ქალაქის მთელი მოსახლეობა ნებაყოფლობით ჩაებმება ჩემს სამსახურში, როგორც მოხალისე რეპეტიტორები, ყველა ცდილობს მომიძებნოს შესაფერისი ბინა", — წერს იგი მარჯორის თავის პირველ წერილში დედაქალაქიდან (25.10—6.11. 1894). „ჩემი აქ ყოფნის ერთადერთი გამართლება, — დასძენს იგი, — მდგომარეობს იმაში, რომ მე შენი ნათესავი ვარ. შენი პოპულარობა უზარმაზარია და მე ვსარგებლობ მისი ბრწყინვალე ანარეკლით. ყველა მთხოვს შენს აქ ჩამოყვანას, მე ვშიშობ, რომ გულუხვი მასპინძლობით სიკვდილის პირამდე მიგიყვანენ". ორი დღის შემდეგ, თავად ჭავჭავაძის მიერ გამართული სადილიდან დაბრუნებული, იგი წერს: „ნუ გაგიკვირდება, როდესაც გაიგებ, რომ ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე ლამაზი ქალის სადღეგრძელო ორჯერ შეისვა უდიდესი აღტაცებით, მე კი სიამაყისა და სხვა ემოციებისაგან უხერხულად ვწითლდებოდი. ჭავჭავაძისადმი შენი წერილის წაკითხვამ, რომელიც აქ ყველამ ზეპირად იცის და არ იღლებიან მისით, ისეთი აპლოდისმენტები გამოიწვია, რომელიც ალბათ მდინარის მეორე მხარეს ისმოდა. შენ წარმოდგენაც კი არა გაქვს, თუ რაოდენი სიყვარული აქვთ ქართველებს შენს მიმართ. ყველანი მევედრებოდნენ, რომ დაგიყოლიო აქ ჩამოსვლაზე".

რამდენადაც მარჯორისთვის საქართველოში ჩამოსასვლელად სხვა, უფრო ხელსაყრელი დრო არ ჩანდა, ოლივერი თავის მშობლებს სწერდა (1—13.11.1894): „ჩამოსვლის შემდეგ, მე ძალიან დაკავებული ვიყავი სხვადასხვა საქმეებით და დარწმუნებული ვარ, რომ აქ ყოფნა მრავალმხრივ წარმატებული და იღბლიანი იქნება და საკმაო გავლენას მოახდენს ჩემს მომავალ კარიერაზე. მე გაცილებით უფრო იმედიანად ვარ, ვიდრე აქამდე ვიყავი.

ამაღამ გადავდივარ ჩემს ახალ ბინაში, გადამდგარი გენერლის ბარათაშვილის სახლში. მისი მეუღლე შესანიშნავი ქართველი სწავლულია. იქ მე ვილაპარაკებ მხოლოდ ქართულად. არის ადგილი კიდევ ერთი მდგმურისთვის. სახლი კეთილმოწყობილია და იქ ცხოვრება დაჯდება დაახლოებით 30 შილინგი კვირაში. თუ ორნი ჩავსახლდებით, გადასახადი კიდევ უფრო ნაკლები იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, მე ძალიან მომხრე ვარ იმ აზრის, რომ თუ მოახერხებთ, მისცეთ მარჯორის საშუალება

რამენაირად ერთი თვით მაინც ჩამოვიდეს. მას არასოდეს ექნება უკეთესი შესაძლებლობა გაეცნოს ქართველ ხალხსა და მათ ლიტერატურას, რითაც ასე ღრმად არის დაინტერესებული. იგი იმსახურებს იმ ქებითა და ქათინაურებით სავსე მიღებას, რომელსაც მისი ნიჭი და შრომისმოყვარეობა მოუტანდა მას". ოლივერი ურჩევს დედას წამოყვეს მარჯორის და ორივე ერთად გემით გამოემგზავრონ კონსტანტინოპოლიდან ბათუმამდე.

ოჯახი ოლივერის წერილს სწრაფად გამოეხმაურა და ძალიან მალე მათი გეგმებიც შედგა.

„ჩემო უძვირფასესო, — წერს გახარებული მარჯორი ოლივერს (22.11.1894), — მე მოვდივარ საქართველოში: არ გეჩვენება, რომ ეს იმდენად კარგია, რომ თითქმის დაუჯერებელიცაა? როდესაც შენი ბოლო წერილი მოვიდა შაბათს, მე გადავწყვიტე, რომ ჩამოვიდოდი. დედა და მამა ძალიან ადვილად დავითანხმე. ეს პრაქტიკულად გასულ შაბათს, ღამით დაახლოებით 12 საათისთვის გადაწყდა. დედა ჩემთან ერთად მოდის და ტომი მარსელამდე ჩამოგვყვება, რათა ნახოს, რომ გემზე უვნებლად ავედით. ძალიან გვიხარია, რომ მასაც შეუძლია წამოსვლა. შემდეგ დედა და მე გამოვყვებით მესაჯერის გემს 1 დეკემბერს და ჩამოვალთ ბათუმში 13 დეკემბერს, სადაც ალბათ შენ დაგვხვდები. შესანიშნავია, არა? მე მგონია დედა სულ ჩვენთან დარჩება. ის ფიქრობდა ნახევარ გზაზე გამოვეცილებინე, მაგრამ მგონი შენმა წერილმა და მამამ გადააფიქრებინა... ვგრძნობ, რომ ბევრის წერა აღარ შემიძლია, საკმაოდ აღელვებული ვარ... მე ძალიან მსიამოვნებს, რომ ქართველებს კარგი აზრი აქვთ ჩემს შესახებ და მხოლოდ ვისურვებდი, რომ გავამართლო იგი: მე საკმაოდ საცოდავად ვგრძნობ თავს, ვინაიდან ვშიშობ, რომ გაცრუებულნი დარჩებიან ჩემი გაცნობის შემდეგ. ვიმედოვნებ, რომ შენ ეტყვი მათ, რომ მე არცთუ ისე კარგი ვარ, როგორც ისინი ფიქრობენ. ალბათ კიდევ მოგწერ მალე... ბუნებრივია, ჩვენ ახლა ძალიან დაკავებულები ვართ..." ამ დროიდან მოკიდებული, საქართველოში ჩასვლამდე, მის წერილებში მეტწილად ხალისიანი განწყობილება და შიში ენაცვლება ერთმანეთს. „რომ არ ვიცოდე, რომ მე შენ და საქართველოს გიახლოვდებით, ძალიან საცოდავი ვიქნებოდი", — წერს იგი მოგზაურობისას. — მე მშიშარა ვარ, ვგრძნობ, რომ საკმაოდ ვნერვიულობ ჩამოსვლაზე და

თუ რაიმე ხელისშემშლელი მოხდება, გული გამისკდება. ვშიშობ, რომ ყველა გაცრუებული იქნება, როდესაც დამინახავენ და გამიცნობენ... გეთაყვა, განსაკუთრებით მანდილოსნებს გადაეცი ჩემი კეთილი სურვილები. ვიმედოვნებ, რომ ისინი არ შემიძულებენ იმ განხეთქილების გამო, რომელიც მე უნებლიეთ გამოვიწვიე.

საიდანაც კი შევძლებ გამოგიგზავნი წერილებს (27.11.1894)... ისე აღელვებული ვარ საქართველოში ჩამოსვლით, ფიქრიც არ შემიძლია. ეს ყველაფერი იმდენად კარგია, რომ ვერ ვიჯერებ და ვცხოვრობ როგორც სიზმარში... ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ჩამოსვლა აურზაურს არ გამოიწვევს. ქართველებს უნდა ახსოვდეთ ბატონი ვაზიანის[1] სტატია, რომელშიც იგი მათ ეუბნება, რომ მე ძალიან მორცხვი ვარ! მე ისეთი აღელვებული ვიქნები სიამოვნებისა და სიამაყისგან მათ ქვეყანაში სტუმრობითა და მისი მაცხოვრებლების ნახვით, რომ ეს ჩემთვის საკმარისი იქნება". 30 ნოემბრისთვის ისინი მარსელში იყვნენ და მომდევნო დღეს ტომის ხელშეწყობით უვნებლად ავიდნენ ორთქლის გემ „ერიმანტიზე", რომელმაც ისინი ბათუმისკენ წაიყვანა.

მათი პირველი შეჯახება ქარიშხალთან ხმელთაშუა ზღვაში აშკარად ჩანს მარჯორის მომდევნო წერილებში: „საბერძნეთის ნაპირებთან, „ერიმანტი". ჩემო უძვირფასესო მამა, ბოლოს და ბოლოს როგორც იქნა ვიკრებ სიმამაცეს, რომ მოგწერო ჩვენ საშინელი დრო გამოვიარეთ მას შემდეგ, რაც მარსელი დავტოვეთ. დიდი ქარიშხალი ამოვარდა, რომელიც გუშინ შუადღემდე გაგრძელდა და ყველანი ცუდად ვიყავით. ჩვენ ღრმა სასოწარკვეთილებაში ჩავცვივდით. რადგანაც ამ გემზე ძალიან ცუდი პირობებია, დედამ შემომთავაზა ათენში ჩამოსვლა და შინ გამობრუნება, ისე საშინლად გრძნობდა თავს, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. დღეს ბრწყინვალე ამინდია. ჩვენ ახლოს ვართ საბერძნეთის ნაპირებთან, ცა მოწმენდილია და წყალზე მხოლოდ სუსტი ტალღებია, რომლებიც პოეტურ მომხიბვლელობას ამლევენ ჩვენი პატარა ჯუჯყიანი გემის მოძრაობას".

---

[1] ბატონი ვაზიანი — ვარლამ ჩერქეზოვი (ჩერქეზიშვილი) ემიგრანტი ინგლისში და მარჯორის ქართულის მასწავლებელი, გაზეთ „ივერიის" კორესპონდენტი.

იმავე დღეს ის წერს ოლივერს: „მე აღფრთოვანებული ვარ, რომ საქართველოსკენ მოგზაურობის დიდი ნაწილი არასასიამოვნო განცდებით უკან დარჩა. ფიქრი იმის შესახებ, რომ მე უფრო და უფრო გიახლოვდებოდით შენ და საქართველოს, მასალისებს და კელავ სიამოვნებით ავიტანდი ტანჯვას... დღეს მშვენიერი ამინდია. ზღვა ტბასავით მშვიდია, მოშორებით კაშკაშა, ცისფერი ზოლივით საბერძნეთის სანაპიროა გადაჭიმული. ცა ოდნავ მოღრუბლულია, მაგრამ ეს მხოლოდ გორაკებს აძლევს ელფერს და ზღვა უფრო მშვენიერია. ღამე კაშკაშა და მთვარიანია. საცოდავ პატარა დედიკოს თითქმის არ დაუძინია მას შემდეგ,რაც მარსელი დავტოვეთ, მაგრამ დღეს ის ძალიან მხიარულადაა. მას ეგონა, რომ ღამით ჩვენი გემი იძირებოდა. მართლაც, რაღაც შემაშფოთებელი რამ მოხდა — სალონში ფაიფური იმსხვრეოდა და გემი თითქოს უნდა გადმობრუნებულიყო მარჯვენა მხარეზე. ოთხი ბავშვი შეუწყვეტლად ტიროდა, ორ მათგანს ყივანახველა ჰქონდა. შეგიძლია წარმოიდგინო რაიმე ამაზე უარესი? საბედნიეროდ ჩვენ ცალკე კაიუტა გვქონდა, თუმცა ეს არ არის მაინცდამაინც სატრაბახო, რადგან ჩვენ აქ შემოტრიალების საშუალებაც არა გვაქვს... მე ჯერ კიდევ არ მჯერა, რომ ასე შორს ვარ სამშობლოდან. უცნაურად მეჩვენება, რომ მე და პატარა დედიკო ვსერავთ ზღვებს საბერძნეთის მშვენიერ სანაპიროსთან. ყველაფერი ნაპირივით ბუნდოვანია“.

სანამ მარჯორი ზღვებს სერავდა, ქართველები ბათუმში მის შესახვედრად ემზადებოდნენ. „ქართველები, — წერს ოლივერი მამასა და ტომს, — დიდ სამზადისში არიან იმ ქალბატონის მისაღებად, რომელმაც ამდენი რამ გააკეთა მათი ლიტერატურისათვის. როცა ნაპირზე გადმოვა, აქ მაჯის ყველაზე უფრო გავლენიანი მცხოვრებლების დეპუტაცია დახვდება. ძველ სატახტო ქალაქ მცხეთაში ის შეხვდება თავად-აზნაურთა წარმომადგენლების მეორე ჯგუფს, ერის თავკაცის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ტფილისში მას ბევრი ხალხი ელოდება. მე ვცდილობდი, რომ ყოველივე ეს წინასწარ მომზადებულ დემონსტრაციებს არ დამსგავსებოდა, მაგრამ მე უძლური ვარ ამის წინაშე. ეს მოსაგონებლად ყოველთვის საინტერესო განცდა იქნება ძვირფასი გოგონასათვის. მას შემდეგ, რაც უკანასკნელად მოგწერეთ, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მარჯორის ჩამოსვლის მო-

ლოდინმა ყველაფერი დაჩრდილა. ბათუმი უღიმღამო, ჭუჭყიანი ადგილია, მაგრამ მისი უპირატესობაა ზომიერი ჰავა. აქ საკმაოდ თბილა იმისათვის, რომ გარეთ მოხერხებულად დაჯდე, მაშინ როდესაც ტფილისში, როცა ის დავტოვე, ყინავდა. ზღვა ისეთი გლუვია, როგორც გუბურა. ვფიქრობ, რომ ტფილისში სამი კვირის ყოფნის შემდეგ ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა ქუთაისში წასვლა. ის ბევრად უფრო წყნარი ქალაქია, კლიმატიც უკეთესია და მოსახლეობა მთლიანად ქართულია. ჩვენ მიგვიწვიეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსანახულებლად და ალბათ ზოგიერთ მიპატიჟებას მივიღებთ. მე დეპეშით შეგატყობინებთ გემის ჩამოსვლას".

სამწუხაროდ, მარჯორის არც ერთი წერილი არ არსებობს საქართველოში ჩასვლისა და მისი განცდების შესახებ. შიში, რომ ქართველებს იმედი გაუცრუვდებოდათ, სწრაფად გაუქრა, რადგან მისი მოგზაურობა უფრო და უფრო ტრიუმფის ხასიათს იღებდა. ოლივერი აღწერს მათ ჩასვლას ქუთაისში (28.12.1894). „ტფილისიდან დაიგზავნა დეპეშები, რომლებიც ჩვენს ჩასვლას იტყობინებოდა, მაგრამ რასაკვირველია, ისინი 24 საათში ვერ ჩავიდა. მიუხედავად ამისა, ბაქანი, მოსაცდელი ოთახები და მთელი სადგური სავსე იყო ქუთაისის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლებით, საუცხოო ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი ბრწყინვალე თაიგულებს ჩუქნიდნენ მარჯორის და ირგვლივ დიდი ხალისი სუფევდა. დეპეშები რომ დროზე მიეღოთ, მთელი მოსახლეობა გამოვიდოდა ჩვენს დასახვედრად. გუშინ მუნიციპალიტეტმა გამოგვიგზავნა ოთხცხენიანი ეტლი გელათის და მოწამეთას მონასტრების მოსანახულებლად, რომლებიც ამ მშვენიერი ქვეყნის ფრიად საინტერესო ნაგებობებია. ჩვენ მიგვიწვიეს სადილზე ღია ცის ქვეშ და დიდებულთა წესისამებრ გვიმასპინძლეს.

თავადაზნაურთა წინამძღოლი და ქალაქის მერი ყველა შესაძლებელ ზომებს იღებენ, რომ ჩვენმა აქ ყოფნამ წარმატებით ჩაიაროს. ისინი მოითხოვენ ჩვენს დაბინავებას ყოველგვარი ხარჯების გარეშე და ერთადერთი სიძნელე საუკეთესო სახლის შერჩევაში მდგომარეობს, ყოველ მათგანს თავისი უპირატესობა აქვს. რამდენიმე დღეში მარჯორის პატივსაცემად დიდი ბანკეტი

უნდა გაიმართოს. თქვენ არ უნდა შეშინდეთ, რომ ასეთი პატივისცემა ზედმეტად აღელვებს ახალგაზრდა ქალს; ის სრულიად მშვიდადაა და ქართველებს ის ქვეყნის დედოფლად რომ ეღიარებინათ, მე არ მგონია, რომ გაოცება, ან სხვა რაიმე ემოცია გამოეხატა. მთელი სიმპათიები ჩვენი მასპინძლების — მდიდრებისა თუ ღარიბების, ახალგაზრდებისა და მოხუცების მხარესაა, რომლებიც ახალგაზრდა ინგლისელ ქალს, რომელიც მათ ენაზე საუბრობს, უყურებენ როგორც რომელიმე ქალღმერთს, რომელიც მათთან ზეციური სამყაროდან ჩამოვიდა".

მარჯორის რეალური განცდების დასანახად ჩვენ უნდა მოვიშველიოთ მისი ხალისიანი მოგონება ამ მოგზაურობაზე — „ჩანაწერები საქართველოში 1894—95 წწ. მოგზაურობის შესახებ", რომლის ხელნაწერი ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში ინახება. მისი კითხვისას ჩვენ შევიგრძნობთ იმ ღრმა შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა საქართველოს პირველად ხილვამ მარჯორი უორდროპზე, მის სიყვარულს ქართველი ხალხისა და მათი ქვეყნისადმი და მის ძლიერ გულისწყრომას განურჩეველი რუსიფიკატორული პოლიტიკის მიმართ, რომელსაც იმ დროს ჰქონდა ადგილი „ქართულ სკოლებში, ეკლესიებსა და საერთოდ კულტურულ ცხოვრებაში" (დევიდ ლენგი — ნაწყვეტი ოქსფორდში 1955 წელს წაკითხული ლექციიდან).

ქუთაისიდან, სადაც მათ გადაწყვიტეს ცოტა დრო დაეთმოთ თარგმანებზე მუშაობისთვის, ოლივერი წერს (28.12.1894): „ქალაქი ქუთაისი არის საოცრად მხატვრული და ლამაზი. რაც შეეხება კლიმატს, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჩამოსვლის შემდეგ ცა უღრუბლო და ცისფერია, ყვავილები გაფურჩქნილია. თუ ხელს არაფერი შეგვიშლის, ჩვენ შეგვეძლება აქ მთელი თვე სასიამოვნოდ გავატაროთ და კარგად ვიმუშაოთ. როცა ჩვენ დავბრუნდებით ტფილისში, დარწმუნებულები ვართ, კარგად მიგვიღებენ. აქ ხალხი დიდად დაინტერესებულია, რომ სახლებში მიგვიღონ და ჩვენ ვითვლებით მთელი ერის სტუმრებად. გამომშვიდობების წინა დღეს მიგვიპატიეს ჯავჯავაძეების მიერ მოწყობილ სადილზე, სადაც ჩვენს შესახვედრად გამოჩენილი ადამიანები მოიწვიეს. საღამოს კი ქართული ვახშამი მოეწყო სხვა პოეტის სახლში, სადაც ჩვენ ასევე ბევრ ხალხს შევხვდით. ეს ნაკლებად დამღლელია, ვიდრე შენ შეგიძლია წარმოიდგინო,

თუმცა მაჯის ხანგრძლივი საუბარი უწევს". ტფილისიდან გაგზავნილ წერილში (24.12.1894) მარჯორი ავსებს მთელ სურათს. ამ წერილიდან ვიგებთ მისი გადატვირთული მიწვევების განრიგს სტუმრად წასვლისა და სტუმრების მიღებისას, მათ შორის ერთ სტუმრობას ტფილისის ძველ ეკლესიაში, სადაც ქართველმა მღვდელმა ისინი მადლიანი ქართულით დალოცა. იქ მათ იხილეს წმინდა ნინოს ჯვარი, მისივე თმით შეკრული. ქართველებმა მათ ბევრი წიგნი გაუგზავნეს და აჩუქეს „და ჩვენ უკვე გვაქვს დიდი ბიბლიოთეკა". „ჩვენ ძალიან მოწადინებული ვართ, შესაძლებლობა მოგვეცეს კლევითი მუშაობისათვის", — წერს ოლივერი, — როდესაც ქუთაისში ვიქნებით, ჩვენ შეგვეძლება დღის პირველ ნახევარში ვიკითხოთ წიგნები. ვშიშობ, რომ საღამოები გართობას დაეთმობა. დიდად მოხარული ვიქნებოდი, რაიმე ცნობას რომ მივიღებდე ჩვენი მთავრობისგან. არა მგონია, რომ დიდი ხნით დააყოვნონ ჩემთვის მოცემული რიგი დაპირებების შესრულება, თუმცა მაქსიმალურად ხელმოჭერილნი იქნებიან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი აქ ყოფნა, როგორც ჩანს, სასარგებლო იქნება. ეს ჩვენ უხვი ლიტერატურული მასალით მოგვამარაგებს, რაც მრავალ წელს გვეყოფა სამუშაოდ".

იანვრის დასაწყისში ნანატრი დეპეშა მოვიდა საგარეო საქმეთა სამინისტროდან, რომელიც ოლივერს სთავაზობდა ვიცე-კონსულის პოსტს ქერჩში, შავ ზღვაზე. მან მიიღო ეს შემოთავაზება, მაგრამ უორდროპებმა გადაწყვიტეს საქართველოში დარჩენა კიდევ რამდენიმე კვირით, სანამ ოლივერი ახალი სამუშაოს შესრულებას შეუდგებოდა. „...სამწუხარო იქნება ამ ქვეყნის დატოვება ჩვენი მიზნის მიუღწეველად — სასაუბრო ენის თავისუფლად დაუფლების გარეშე. ჩვენ ორივემ გავიუმჯობესეთ მეტყველება, მაგრამ ჯონი ჩემზე გაცილებით უკეთესად ლაპარაკობს, — წერს მარჯორი მამას" (7. 1. 1795). ამასობაში ისინი კვლავ ქართველების გულუხვი მასპინძლობით სარგებლობდნენ ქუთაისის ლურჯი და უღრუბლო ცის ქვეშ. „ამ კვირას ჩვენ ბევრი ვერაფერი გავაკეთეთ გარდა რამდენიმე ვიზიტისა", — განაგრძობს იგი თავის წერილში. — „ხუთშაბათს საღამოს აკაკი წერეთელი, ერთ-ერთი უდიდესი ცოცხალ პოეტთაგანი, — ბევრს იგი ყველაზე დიდ პოეტად მიაჩნია, — მოვიდა ჩვენს სანახავად. იგი არის ლამაზი გარეგნობის მამაკაცი და ძალიან მხიარული...

შუადღისას ჩვენ წავედით სასადილოდ აქაური მსახიობის, მესხის სახლში. სტუმრებს ძირითადად მისი ნათესაობა შეადგენდა, მისი მეუღლე და მრავალრიცხოვანი და-ძმანი. ეს ძალიან მუსიკალური ოჯახია და ჩვენ ქართული სიმღერებით გვართობდნენ. შენი და ტომის სადღეგრძელოები დალიეს და დედას შესთავაზეს, რომ რადგან სამშობლოში ორი ნათესავი ჰყავდა, შეუძლია დანარჩენ ორს ნება მისცეს სამუდამოდ აქ დარჩნენ!

ამაღამ ჩვენ ქუთაისელ ექიმთან მივდივართ სახლში სტუმრად. ცოტა არ იყოს ძნელია ბრიტანელისათვის შუაღამისას აქაური ვახშმის ჭამა, რომელიც სხვადასხვა სახის უცხო კერძებისგან შედგება. მაგრამ აქ ასეთი წესია და საოცარია, როგორ კარგად ვუძლებთ ამას".

მათ დედა გააცილეს ინგლისში გემით ბათუმიდან 9 იანვარს. მარჯორი წერს: „ბევრი ხალხი მოვიდა ქუთაისის სადგურში გამოსამშვიდობებლად. 8 თუ 10 კაცი გემზე ავიდა, რათა მისთვის კეთილი მგზავრობა ესურვებინათ. ჩვენ ძალიან შეგვაწუხა პატარა დედიკოსთან განშორებამ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის უფრო ბედნიერად იგრძნობს თავს, როცა შინ დაბრუნდება. აქ აუცილებელია გარკვეულად შეეგუო კომფორტის ნაკლებობას ყოველდღიურ ცხოვრებაში. უნდა ვაღიარო, რომ მიუხედავად ჩემი დიდი სიყვარულისა ყოველივე ქართულის მიმართ, ზოგჯერ მენატრება ინგლისის კომფორტი და განსაკუთრებით სახლი. პატარა დედიკო იძულებული იყო დღის დიდი ნაწილი ჩუმად ყოფილიყო და ეს ძალიან მოსაწყენი იყო მისთვის. ყველას შეუყვარდა იგი და ცდილობდნენ ინგლისურის სწავლას იმისთვის, რომ მასთან ლაპარაკი შეძლებოდათ, მაგრამ ეს ამოცანა უფრო რთული იყო, ვიდრე ისინი ფიქრობდნენ.

რამდენიმე დღის წინ მე მივიღე დიდი წერილი მოსკოვში მცხოვრები ქართველი სტუდენტებისგან. ჩემთვის ეს ძალიან სასიამოვნო იყო· შენ გაოცდები, როცა გაიგებ, რომ აქაური ჩვეულებისამებრ მე ყველა სახელით მომმართავს — „მარჯორი" — კაცებიც კი!"

ისინი ეწვივნენ გურიას, სადაც თავად მაჭუტაძის სახლში გაჩერდნენ. მას ცოლად ჰყავს ინგლისელი ქალბატონი, რომელიც აღმზრდელად მუშაობდა ტოლსტოის ოჯახში. ქუთაისში დაბრუნებამდე უორდროპებმა რამდენიმე დღე გაატარეს გურიის

თავადთან. ყველგან, სადაც კი მიდიოდნენ, მათ გულუხვად მასპინძლობდნენ და უჩვენებდნენ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქვეყნის ნაწილებს. ოლივერი წერს (25.1.1895): „მაჯუტაძეებთან წინა ოთხშაბათამდე დავრჩით. იმ დღეს ჩვენ ცხენებით წავედით ერთ ძველ მონასტერში, რომელსაც ჯუმათი ჰქვია. აქ გურიის დედოფალია დაკრძალული. აქედან ულამაზესი ხედია და ქვეყნის ყველა მხარეს გადასცქერის: დასავლეთით მოჩანს შავი ზღვა, ბათუმიდან შორს, ფოთის ჩრდილოეთამდე, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი და სამხრეთით აჭარის მთებია — ორივე თოვლით დაფარული, შუაში კი დაბალი ტყიანი გორაკები და სოფლებით მოფენილი დიდი დაბლობია, რომელსაც ორი მდინარე და რკინიგზა კვეთს. ჩვენ თან გვახლდა ორი კაცი და ერთი ახალგაზრდა ქალბატონი ნიგოითიდან. სადილად მიგვიპატიჟა მღვდელმა, რომელიც იმ ადგილებში ერთადერთი სასულიერო პირია. ამ მიდამოებში მოგზაურობა მხოლოდ ცხენით იყო შესაძლებელი. ჩვენ ხუთი საათის განმავლობაში ვისხედით უნაგირზე და ვშიშობდი, ეს მაჯისთვის საკმაო დრო იყო, მაგრამ ის არავიზე უარესად არ იჯდა ცხენზე და მისთვის ჩვეულ ჯანზე იყო. ლანჩხუთის სადგურიდან ჩვენ მატარებლით წავედით სუფსაში, სადაც გურიელების სტუმრები ვიყავით. ისინი 1841 წლამდე ამ მხარის გამგებელნი იყვნენ. ჩვენ მათთან დავრჩით ოთხშაბათს ღამით და პარსკევს 1 საათზე წამოვედით ქუთაისში, სადაც დილის 5 საათზე ჩამოვედით... ამინდი კვლავ მშვენიერი და ზომიერია; ხალხი ამბობს, ეს იმიტომ, რომ მაჯი აქ არისო“.

31 იანვარს ისინი კვლავ ტფილისში არიან. მარჯორი წერს: „ქუთაისი სამშაბათს ნაშუადღევს დავტოვეთ და აქ დაახლოებით 10 საათზე ჩამოვედით. საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა ჩვენს გასაცილებლად. ყველანი ამბობდნენ, რომ ძალიან წუხდნენ ჩვენი გამგზავრების გამო[1]... ტფილისში არავინ იცოდა, რომ ჩვენ იმ მატარებლით მოვდიოდით. ასე რომ, საშუალება მოგვეცა მშვიდად ჩამოვსულიყავით... გუშინ ბევრგან ვიყავით და წიგნები შევიძინეთ... ამ დილით ვაპირებთ ვიორგი წერეთელთან წასვლას, რომ კვლავ შევხვდეთ აკაკის“. საბოლოოდ, ერთი კვი-

[1] ქალები მე მკოცნიდნენ, რადგან ჯონის კოცნას ვერ ბედავდნენ.

რის საზოგადოებრივი შეხვედრების შემდეგ მარჯორი წერს ტომს (2.2.1895): „ჩვენ ვფიქრობთ ტფილისიდან წასვლას სამშაბათს დილით და ბარგის ბათუმში წაღებას“. მათი მიზანი იყო ქერჩში ჩასვლა და იქ დასახლებამდე ინგლისში გამგზავრება. „ჩვენ განზრახული გვაქვს სამი-ოთხი დღე გავატაროთ გურიაში, ვეწვიოთ გურიელის ოჯახის სხვადასხვა წევრებს. გურიელები ამ მხარის ძველი თავადები იყვნენ. ჩვენ საკმაოდ ბევრი ხალხისგან მივიღეთ დაბეჯითებითი მიწვევები. ბაქოდან ვიღაც ჩამოვიდა და გვთხოვა რამდენიმე დღით მათ ქალაქში გაჩერება. ჩვენ ვეუბნებით მათ, რომ მალე კვლავ დაბრუნების იმედი გვაქვს.

გუშინწინ „ივერიაში“ დაიბეჭდა პოემა, რომელიც შენს ულირს დას ეძღვნებოდა. იგი დაწერილია ქალბატონის მიერ, რომელიც ძალიან ლამაზად წერს. მან ჩემი ჩამოსვლა შორი ქვეყნიდან იმ მერცხლის მოფრენას შეადარა, რომელიც გაზაფხულის მოახლოებას გვამცნობს. ჩვენ თანდათან ვავსებთ ჩვენი ქართული წიგნების ბიბლიოთეკას. ჩვენს კოლექციას მრავალი ტომი დავუმატეთ აქაც და ქუთაისშიც. ბევრ წიგნს დაგვპირდნენ ავტორები და გამომცემლები“.

ოლივერი და მარჯორი ქერჩში შვიდ წელიწადს დარჩნენ. მათ კვლავ იმოგზაურეს საქართველოში 1896 წელს, მაგრამ ეს მათი უკანასკნელი სტუმრობა იყო ერთად. ისინი მიიღეს იმ დროის გამოჩენილმა მწერლებმა და პოეტებმა, მათთვის იქართებოდა ბანკეტები, მათ პატივსაცემად თხზავდნენ ოდებს. ამ სტუმრობის შედეგად მათ ახალი მეგობრები გაიჩინეს და მათ შორის ფართო მიმოწერა დაიწყო ქართულად რაც მარჯორის სიკვდილამდე გაგრძელდა. ის თან ახლდა ოლივერს საზღვარგარეთ ყველა თანამდებობაზე ყოფნისას. ისინი მტკიცედ და შეხმატკბილებულად განაგრძობდნენ ქართულ თარგმანებზე მუშაობას. მარჯორი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 40 წლისა. მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე დაიწყო მან ქართული წიგნების დიდი ამანათის კატალოგიზირება. „მისი ამქვეყნიდან წასვლა გამოიგლოვეს საქართველოში, როგორც ეროვნული უბედურება. დიდსა თუ პატარას ის მიაჩნდა საქართველოს ჯეშმარიტ მეგობრად საზღვარგარეთ“ (დ. მ. ლენგი).

„ვეფხისტყაოსანი“ მარჯორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, რადგან მას თავისი თარგმანი არასოდეს მიაჩნდა სრულყოფილად. ოლივერმა მისი სიკვდილის შემდეგ გაგზავნა თარგმანი დასაბეჭდად. მისი პატივისცემა მარჯორის ცხოვრებისა და ნაღვაწის მიმართ გადმოცემულია ნაწარმოების შესავალში.

„მან ქართულის სწავლა თავისი წინამორბედის მ ფ. ბროსეს[1] მსგავსად ანბანითა და სახარებით დაიწყო. მას შემდეგ რაც გარკვეული წარმატება მოიპოვა, მან პირველად გამოიყენა ბროსეს გრამატიკა და ლექსიკონი. ოცი წლის გოგონამ ეს აირჩია როგორც თავისი ცხოვრების არსი... ილია ჭავჭავაძისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც იგი ნებართვას ითხოვს „განდეგილის“ სათარგმნად, დაიბეჭდა ილიას გაზეთში, როგორც სტილის ნიმუში და ამან ვააღვიძა ინტერესი ახალგაზრდა თაობაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის მიმართ. 1894 წლის დეკემბერში ამიერკავკასიაში ჩასული მარჯორი აღფრთოვანებით მიიღეს, ხოლო მოგზაურობებმა მისი მეორე ვიზიტის დროს ის მოსახლეობის ყველა ფენასთან დააახლოვა. მან ბევრი ხანგრძლივი მეგობრობა დაამყარა და დაიწყო მიმოწერა ქართულ ენაზე. კავკასიის დასავლეთში ძნელად თუ მოიძებნება ოჯახი, სადაც მის სახელს არ იცნობენ. სხვებსაც უსწავლიათ ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, მაგრამ ამას გარდა, მარჯორიმ შეიყვარა ეს ერი, ყოველთვის ინფორმირებული იყო ყოველივე იმის შესახებ, რაც ამ ქვეყნის კეთილდღეობას შეეხებოდა და ზოგჯერ, როდესაც საშუალება ეძლეოდა, უხმაუროდ უწევდა კარგ დახმარებას[2]. ის იყო ერთგული მეგობარი და ნუგეშისმცემელი საზღვარგარეთ მყოფი უიღბლო თანამემამულე ქალებისა, რომელთა გაცნობის დიდი შესაძლებლობა ჰქონდა. მისი დაკარგვა ძალზე მძიმე იყო მათთვისაც, ვინც მას თუნდაც შორიდან იცნობდა. ფიზიკურად სუსტი და სათუთი მარჯორი სხვებისთვის არასდროს ზოვავდა თავს. ის ისეთი სიტყვაძვირი

---

[1] მარი ფელისიტე ბროსე (1802—80), ფრანგი მეცნიერი. მუშაობდა რუსეთში და მეცნიერულ საფეხურზე დააყენა ქართულისა და სომხურის შესწავლა.

[2] იმ საშინელ დროს, რომელიც რუსეთის 1905 წლის რევოლუციას მოჰყვა, ისინი ძალღონეს არ ზოგავდნენ და ქართველი ერისა და საქართველოსათვის დახმარების კომიტეტი ჩამოაყალიბეს.

იყო საკუთარ მიღწევებზე, რომ იმათგან, ვინც იცოდა მისი მომხიბვლელობისა და შინაგანი ღირსების შესახებ, ძალიან ცოტა ვინმემ უწყოდა, რომ იგი მთელ თავისუფალ დროს გონებრივ შრომას უძღვნიდა. მარჯორი მშვიდად, მხნედ და დახმარების ხელით ხვდებოდა ეპიდემიას, ომსა და სხვა საშიშროებებს. იმ სამ ადგილას, სადაც იგი ერთიმეორის მიყოლებით ცხოვრობდა — პორტ-ო-პრენსში (1902), სანქტ-პეტერბურგში (1905), ბუქარესტში (1907), მას ესმოდა ზარბაზნების სროლა სამოქალაქო ბრძოლებში და იმ ხალხების ხიფათს, მხიარულებასა და მწუხარებას იზიარებდა, ვის წიაღშიც ცხოვრობდა".

მარჯორის ნაშრომებია: Georgian Folk Tales, 1894; The Hermit, 1895; Life of St. Nino, 1900; The Man in the Panther's Skin, 1912.

ქართული წიგნებისა და ხელნაწერების ძვირფასი კოლექცია, რომელსაც იგი მრავალი წლის მანძილზე აგროვებდა, გადაეცა ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკას. მარჯორის ხსოვნის უკვდავსაყოფად 1910 წელს ოლივერ უორდროპმა ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის შემსწავლელთა წასახალისებლად იქ დააარსა მარჯორი უორდროპის ფონდი.

საზოგადოებრივი სამსახურიდან ოლივერი 1910 წელს გადადგა. 1912 წელს მან ცოლად შეირთო ნორვეგიელი ქალი და სამი შვილი შეეძინათ. 1914 წლის ომის დაწყებისას იგი საკონსულო სამსახურს დაუბრუნდა და დაინიშნა ბერგენში. 1917 წელს, ბოლშევიკური რევოლუციის პიკის პერიოდში, ის გენერალური კონსული იყო მოსკოვში. 1919 წელს, მას შემდეგ რაც კავკასიის რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, იგი დაინიშნა ბრიტანეთის მთავარ კომისრად საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

„როდესაც საქართველოში სამი წლით კვლავ მოიპოვეს დამოუკიდებლობა, 1917 წლის რევოლუციის შემდეგ,—წერს ოლივერის ვაჟი ენდრიუ, „საქართველოს სამეფოს" მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, — მამაჩემი დაინიშნა ბრიტანეთის უმაღლეს კომისრად თბილისში. 1921 წელს ორჯონიკიძის მეთაურობით საქართველოს დაპყრობამ წითელი არმიის მიერ ძალიან მძიმედ იმოქმედა მასზე. მამაჩემსა და ლორდ კერზონს შორის

მიმოწერა ნათელს ხდის მამაჩემის გულწრფელ და მუდმივ ინტერესს და სიყვარულს ქართველი ხალხის მიმართ".

მარჯორი უორდროპის თარგმანებია:

Georgian Folk Tales; London, 1894, Published by David Nutt. The Hermit, Legend by Prince Ilia Chavchavadze, London, 1895, Published by Bernard Quaritch.

The Man in the Panther's Skin; A Romantic Epic by Shota Rustaveli; London, 1912, Oriental Translation Fund.

ოლივერ და მარჯორი უორდროპების თარგმანია — Life of St. Nino; Oxford 1900, Clarendon Press.

ოლივერ უორდროპის თარგმანებია: The Book of Wisdom and Lies, a Book of Traditional Stories from Georgian, in Asia; 1894. Kelmscott Press; Visramiani. The Story of the Loves of Vis and Ramin; London, 1914, Oriental Translation Fund.

ოლივერის ორიგინალური ნაშრომია: The Kingdom of Georgia. Travel in Land of Women, Wine and Song, London, 1888, Sampson Low, Marston, Searle and Revington. Reprinted 1977, Luzac and Company Ltd.

ოქსფორდი

1991 წ. იანვარი.

ქეთრინ ვივიენის პორტრეტისათვის

ქეთრინ ვივიენის სახელი ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ძალიან ახლობელი გახდა ქართველებისათვის. ჩვენში მას უპირველესად იცნობენ როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელს.

Curriculum Vitae

ქეთრინ ვივიენი დაიბადა 1917 წლის ოქტომბერში.
იქორწინა ენტონი ეშტონზე 1939 წელს.

ჰყავთ ორი ქალიშვილი — ტესი და ვივიანი; სამი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი. დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი ფრანგული ცივილიზაციის განხრით.

ქართული ენის სემინარები გაიარა პროფესორ დევიდ მარშალ ლენგის ხელმძღვანელობით ლონდონის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკისა და აფრიკათმცოდნეობის ინსტიტუტში.

სორბონის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჟურნალისტად; მეორე მსოფლიო ომის დროს კი ბელგიის საელჩოში (ლონდონში).

ომის შემდეგ გააგრძელა ფრანგული და ინგლისური ლიტერატურისა და ფილოსოფიის შესწავლა; თარგმნიდა ფრანგულიდან; წერდა ლექსებსა და პიესებს; სამოცდაათიანი წლებიდან დაიწყო ქართველოლოგიური მოღვაწეობა.

ქეთრინ ვივიენი იგონებს, რომ „ვეფხისტყაოსნით“ და საზოგადოდ ქართული ლიტერატურით მორის ბაურას ნაშრომის

„შთაგონება და პოეზია“ გაცნობის შემდგომ დაინტერესდა. წაიკითხა პოემის მარჯორი უორდროპისეული თარგმანი, რის შემდეგაც გადაწყვიტა ქართული ენის შესწავლა და „ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე ინგლისური თარგმანის შესრულება. ქართული ენის დაუფლება მან დამოუკიდებლად დაიწყო. მისი თქმით, თავდაპირველად დიდად დაეხმარა თამარ და ისიდორე გვარჯალაძეების ლექსიკონი. ქართული ენის შესწავლის შემდეგ, სამოციანი წლების მიწურულს ქეთრინ ვივიენმა დაიწყო პოემის თარგმნა. 1972 წელს, თარგმანზე მუშაობის პერიოდში იგი პირველად ეწვია საქართველოს — ჩამოვიდა თბილისში და თან ჩამოიტანა თარგმანის სამუშაო პირი. ჩამოვიდა, რათა დაეთვალიერებინა რუსთველის სამშობლო, გაეცნო ქართველი ხალხი და ქართველ მეცნიერთა დახმარებით ორიგინალთან შეეჯერებინა ინგლისური ტექსტი. ინგლისელი მთარგმნელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა. მას კონსულტაციებს უწევდნენ ალექსანდრე ბარამიძე, სერგეი სერებრიაკოვი, მანანა გიგინეიშვილი, ციალა კარბელაშვილი. საქართველოში პირველი სტუმრობის შესახებ ქეთრინ ვივიენი წერდა, რომ ამ მეტად საინტერესო ვიზიტმა მას გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა საქართველოსა და ქართველებზე. შემდგომმა ვიზიტებმა კი კარგად გააცნო საქართველოს წარსული და აწმყო, დააახლოვა და დაამეგობრა ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებთან. ზოგიერთი მათგანი მწერალს მოხსენიებული ჰყავს „ვეფხისტყაოსნისა“ თუ სხვა გამოცემათა წინასიტყვაობებში — ალექსანდრე ბარამიძე, მარიამ ღორთქიფანიძე, მზექალა შანიძე, ელენე მეტრეველი, ლევან მენაბდე და მისი ქალიშვილი დარეჯანი, ნიკო ყიასაშვილი და მისი მეუღლე მერი ციციშვილი, არიანე ჯანტურია, მამია მალაზონია, ელგუჯა ხინითიბიძე, რომელთანაც განსაკუთრებით ახლო მეგობრობა აქვს და თითქმის ყველა საკითხზე, იქნება ეს სამეცნიერო თუ ყოფითი, უყვარს მათთან დათათბირება. ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ პიროვნებებისა, რომლებთანაც ქეთრინ ვივიენი მეგობრობდა და მეგობრობს. მე არაერთხელ გავხდი მოწმე იმისა, თუ რა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მას საინტერესო შეხვედრები, იქნებოდა ეს კორნელი სანაძის სახელოსნოში, ისიდორე გვარჯალაძის ოჯახში თუ რუსთაველის თეატრის კული-

სებში... ჩემმა მეხსიერებამ ნათლად აღბეჭდა და შემოინახა, რაოდენ ამაღელვებელი იყო თანამედროვეობის ორი ღვაწლმოსილი მთარგმნელის, ვენერა ურუშაძისა და ქეთრინ ვივიენის შეხვედრა... და ვფიქრობ, რომ სწორედ ნაცნობებისა და მეგობრების ამ წრემ შეუქმნა ინგლისელ მეცნიერს ცოცხალი წარმოდგენა ქართულ ხასიათზე, ქართულ ტრადიციებზე, ამ გარემომ შეაყვარა მას საქართველოს ისტორია და კულტურა, წარსული და თანამედროვეობა. ისტორია როგორც ჩანს გარკვეული ფორმით მეორდება ხოლმე. ერთი საუკუნის წინათ, 1894 წელს ჩამოვიდა საქართველოში მარჯორი უორდროპი. არაერთგზის დაიწერა იმის შესახებ, რომ იმ დროის წარჩინებულმა საზოგადოებამ, რომელთანაც მარჯორი მეგობრობდა, დიდად შეუწყო ხელი ინგლისელი ქალის სიყვარულს საქართველოს მიმართ და მის დაინტერესებას ქართული ლიტერატურით. ერთი საუკუნის შემდეგაც სწორედ ამ გარემომ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი კიდევ ერთი ინგლისელი მანდილოსნის დამეგობრებაში. სწორედ პიროვნულმა ურთიერთობებმა ბევრად განსაზღვრა ქართულ-ინგლისური კონტაქტების შემდგომი განვითარება. შემთხვევითი არ იყო, რომ საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმის დათვალიერებისას ლევან მენაბდემ ქეთრინ ვივიენს თანამედროვეობის მარჯორი უორდროპი უწოდა. 1981 წლის შემოდგომაზე თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მოწვევით ქეთრინ ვივიენი მეორედ ჩამოვიდა თბილისში. ამჯერად მან ჩამოიტანა ლონდონში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანი და „ქართლის ცხოვრების“ ნაწილის ინგლისური თარგმანის სამუშაო პირი, რომლის დასაზუსტებლად მას კონსულტაციებს უწევდნენ მარიამ ლორთქიფანიძე და არიანე ჯანტურია. იგი ერთი თვე დარჩა თბილისში, შემოიარა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, ზედაზნის სავანიდან გადმოჰყურებდა მცხეთასა და მის შემოგარენს, გატაცებით ათვალიერებდა ბორჯომის ხეობას (ვარძიის ხილვის წადილი იმჯერად აუხდენელი დარჩა. ვარძიაში გამგზავრება მხოლოდ 1990 წლის ზაფხულში მოხერხდა), გელათს, ბაგრატის ტაძარს, შემოქმედს, შუამთას, იყალთოს, ალავერდს, წინანდალს... და საქართველოში კვლავ ჩამოსვლის სურვილით მიემგზავრებოდა სამშობლოში. მე მქონდა ბედნიერება, მთელი თვის

მანძილზე მეგზურობა გამეწია ქეთრინ ვივიენისათვის. ეს იყო ღრმა შინაარსითა და ხალისით დატვირთული ერთი თვე. მისმა პიროვნებამ სრულიად ახალი და ძალიან ლამაზი სამყარო გადამიშალა. ქალბატონი ქეთრინი თავის თავში დიდ ინგლისურ კულტურას ასახიერებს. მას ძალზე მომხიბლავი და დახვეწილი გარეგნობა, დიდი ინტელექტი და არაჩვეულებრივად ზუსტი ლიტერატურული ალღო აქვს, შემკულია განუმეორებელი იუმორის გრძნობით, კლასიკური ინგლისური თავდაჭერითა და ახალგაზრდული სულით. მას შემდეგ ჩვენ თანამოაზრენი და მეგობრები გავხდით.

სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ქეთრინ ვივიენს არ გამოუტოვებია არც ერთი მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური ფორუმი, იქნებოდა ეს ინგლისში, საქართველოში თუ ევროპის ქვეყნებში, რომლის მუშაობაში მონაწილეობა არ მიეღოს. მის მოხსენებებს „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო, შუასაუკუნეების ქართული კულტურის შესახებ, თარგმანის საკითხებზე ისმენენ სხვადასხვა ქვეყნის სწავლულები ქართველოლოგის დღეებზე ლონდონში, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე ბარიში (იტალია), რუსთველოლოგიურ სიმპოზიუმზე ტურკუში (ფინეთი), ათონის ივერთა ლავრის ათასი წლისთავისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე თბილისში, თბილისის უნივერსიტეტში ჩატარებულ სამ ქართველოლოგიურ სიმპოზიუმზე, ბირმინგემის უნივერსიტეტში ბიზანტინისტთა შეკრებაზე, პრესტინის ინსტიტუტში... ქეთრინ ვივიენს ნათარგმნი აქვს ქართული საისტორიო ძეგლები (კ. სალიას „ქართველი ერის ისტორია“ და ლაშა-გიორგის პერიოდი „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემიდან). ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (1977 წ.) და „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ (1982 წ.).

1994 წლის დეკემბერში ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ნაყოფიერი და დაუღალავი ქართველოლოგიური მოღვაწეობისათვის ქეთრინ ვივიენს მიენიჭა მარჯორი უორდროპის პრემია. მოგვიანებით იგი თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად იქნა არჩეული.

ქეთრინ ვივიენის პორტრეტი სრული არ იქნება, თუ არ აღვნიშნავთ, რომ იგი არის შესანიშნავი მოთხილამურე, შესანიშ-

ნავი მოცურავე და ასევე შესანიშნავი დიასახლისი; ვერცხლის მედალი აქვს მიღებული შოტლანდიურ ცეკვებში. ქეთრინი და მისი მეუღლე ენტონი ეშტონი, რომელიც არის ძალიან ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის, თ. ს. ეშტონის შვილი, პენსიაზე გასვლის შემდეგ დასახლდნენ ინგლისისა და უელსის საზღვარზე პრესტინის მახლობლად ულამაზეს ადგილას, რომელსაც Quarry Field უწოდეს. ქეთრინის და ენტონის ოჯახში ხშირად იკრიბებიან მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები და ტკბილ ოჯახურ გარემოში ატარებენ დროს. მე ამ ოჯახური თავყრილობის დამსწრე გავხდი 1989 წლის შემოდგომაზე, როდესაც ქეთრინ ვივიენმა მიმიწვია თავისთან. მაშინ ის და მისი მეუღლე თავიანთი დიდი ოჯახისა და მეგობრების ფართო წრეში ოქროს ქორწილს იხდიდნენ. ქეთრინმა ჩინებული მასპინძლობა გამიწია. მრავალ საინტერესო მოგზაურობასა და შეხვედრებთან ერთად მან არაერთ ინგლისელ სწავლულთან დამაკავშირა...

1997 წ.

კენტერბერის კონფერენციის პანორამა

კენტერბერი შუასაუკუნეების პატარა ქალაქია ულამაზესი ტაძრით, ვიწრო ქვაფენილიანი ქუჩებითა და ისტორიული ნაგებობებით. დადიხარ ქალაქის ძველ უბანში და ფაქტობრივად შუასაუკუნეების ინგლისში მოგზაურობ პილიგრიმებთან ერთად, ხვდები ჩოსერის პერსონაჟებს, ისმენ „კენტერბერიულ მოთხრობებს". ინგლისელები სათუთად უფრთხილდებიან წარსულს. ამ ზაფხულს ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა და რვა-ცხრა საუკუნის წინანდელი სუნთქვა ისმოდა. კენტერბერის განაპირას პატარა მთიდან კი ძველ ქალაქს ახალგაზრდა უნივერსიტეტი დასცქეროდა. იგი ოცდახუთი წლის წინ დაარსდა. კენტის უნივერსიტეტი ოთხი კოლეჯისაგან შედგება — ჩარლზ დარვინის, ტომას ელიოტის, ლორდ კეინის და ლორდ რაზერფორდის. სწორედ რაზერფორდის კოლეჯში ტარდებოდა 1990 წელს ჩარლზ დიკენსისადმი მიძღვნილი კონფერენცია. დიკენსის საერთაშორისო საზოგადოება 1902 წელს შეიქმნა. მისი ცენტრი მდებარეობს ლონდონში დოთი სთრითზე, დიკენსის სახლ-მუზეუმში. მის ირგვლივ შემოკრებილნი არიან დიკენსის შემოქმედების სიყვარულით გამსჭვალული ადამიანები, მისი რომანებისა და „ბუხართან ჩაფიქრებული გმირების" ცნობილი მკვლევრები, რომლებიც არასდროს ღალატობენ თავის პროფესიულ მოვალეობას, რითაც დიდად უწყობენ ხელს დიკენსის შემოქმედების უკვდავებას. საზოგადოებას ბევრი ფილიალი აქვს როგორც ინგლისის სხვადასხვა ქალაქში, ასევე მსოფლიოს ორმოცდაათამდე ქვეყანაში. იგი აერთიანებს და კოორდინირებას უწევს მსოფლიო დიკენსოლოგთა საქმიანობას. დიკენსის ექსპერტები ზედმიწევნით ზუსტად სწავლობენ დიდი მწერლის ბიოგრაფიის ყოველ დეტალს, მის ხასიათს, ოჯახურ გარემოს, მეგობრების წრეს, ცდილობენ სწორად აღადგი-

ნონ, დიკენსის დროის ინგლისის სოციალური თუ პოლიტიკური ცხოვრების სურათები, ფილიგრანული ოსტატობით შეისწავლონ დიკენსის გმირთა გალერეა, მეცნიერული სიზუსტითა და სიღრმით დაამუშაონ მწერლის მიერ დასმული საკითხები, განსაზღვრონ მისი რომანების ჟანრები და თხრობაში რეალისტური ნაკადის ხარისხი, გამოავლინონ დიკენსის ენის თავისებურება, კომიკური თხრობის ნიუანსები, დიკენსისა და სხვა ინგლისელ თუ უცხოელ მწერალთა შემოქმედება შედარებით ლიტერატურათმცოდნეობის ასპექტში განიხილონ, გლობალური პრობლემების გვერდით გამოავლინონ ე. წ. „წვრილმანები“, დიკენსის შემოქმედებითი მემკვიდრეობის დეტალები და მკითხველის თვალისთვის ზოგჯერ შეუმჩნეველ ელემენტებზე ფუნდამენტური გამოკვლევები ააგონ. ასე რომ, დიკენსის შემოქმედების კვლევის თანამედროვე დონე მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და ფართო მასშტაბისაა.

დიკენსის საზოგადოება ძალზე მოქმედი საზოგადოებაა. მისი ხელშეწყობით გამოდის უახლესი სამეცნიერო აპარატურით აღჭურვილი მწერლის ტომეულების ახალ-ახალი რედაქციები, ცალკეული გამოცემები შესაბამისი გამოკვლევებით. 1905 წლიდან საზოგადოება გამოსცემს ჟურნალს „Dickensian“, ხელნაწერ საინფორმაციო-პოპულარულ ჟურნალს „Mr. Dicks Kite“; მართავს დიკენსისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ ფესტივალებსა და საერთაშორისო კონფერენციებს ინგლისის სხვადასხვა ქალაქში. წელს როჩესტერის ფილიალი 27 ივლისიდან 2 აგვისტომდე მასპინძლობდა დიკენსოლოგთა 84-ე საერთაშორისო კონფერენციას. დიკენსის საზოგადოების და უშუალოდ მისი გენერალური მდივნის ელან უოტსის მოწვევით ვმონაწილეობდი ამ კონფერენციის მუშაობაში. მასზე ჩამოსული იყვნენ მეცნიერები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ავსტრალიიდან, ჩინეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, კანადიდან, შვეიცარიიდან. გარდა ლიტერატურათმცოდნეებისა, კონფერენციას ესწრებოდნენ დიკენსის მოყვარულები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და რაც ძალზე სასიამოვნო იყო, იქ გავიცანი ჩარლზ დიკენსის ორი შვილთაშვილი — დეივიდ და სედრიკ დიკენსები.

კონფერენციის გახსნის დღეს შედგა საქმიანი შეხვედრა, რომელზეც დაიგეგმა დიკენსოლოგთა შემდგომი კონფერენციების

ჩატარების პერიოდი და გეოგრაფიული წერტილები. (1991 წ. — ლივერპული, 1992 წ. — ჰარლემი, 1993 წ. ბრისტოლი, 1994 წ. — ედინბურგი). განსაკუთრებული ინტერესით მოელიან დიკენსოლოგები 1992 წლის. კონფერენციას, რომლის ჩატარებაც ნიდერლანდების ქალაქ ჰარლემში ივარაუდება. შეირჩა ასევე მისი თემა — დიკენსის აღქმა კონტინენტზე.

კენტერბერის კონფერენციაზე მოსმენილ იქნა ათი მოხსენება. მომხსენებლები იყვნენ — დიკენსის საზოგადოების პრეზიდენტი, ლონდონის უნივერსიტეტის დოქტორი მაიკლ სლეთერი, ტეხასის უნივერსიტეტის დოქტორი რობერტ ბლიდსოუ, კენტის უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი იან სტოუნი, დიკენსის საზოგადოების გენერალური მდივანი ელან უოტსი, ლონდონის უნივერსიტეტის დოქტორი ენდრიუ სანდერსი, ჟურნალ „დიკენსიანის“ რედაქტორი მარგარეტ რეინოლდსი, მელბურნის უნივერსიტეტის დოქტორი ელან დილნოთი, ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორი სკოტ ფოლი, კენტის უნივერსიტეტის დოქტორი მალკოლმ ენდრიუსი. მათი მოხსენებები დიკენსის შემოქმედების სხვადასხვა მხარეს ეხებოდა. ეს იყო ძალზე მაღალი მეცნიერული დონის მოხსენებები და გამოირჩეოდა პრობლემის დასმისა და მისი კვლევის სიახლით.

ჩემი მოხსენების თემა გახლდათ „ჩარლზ დიკენსი ქართულ ლიტერატურაში“. შესავალ ნაწილში შევეხე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა აღმოცენებასა და განვითარებას, ევროპული ლიტერატურის ათვისების მდგომარეობას და ამ ფონზე დიკენსის შემოქმედების რეცეფციას საქართველოში, რასაც თითქმის საუკუნენახევრის ისტორია აქვს. საუბარი მქონდა დიკენსის თხზულებათა ქართულ თარგმანებზე, დიკენსის შემოქმედების შეფასებაზე ქართული სალიტერატურო კრიტიკის მიერ, დიკენსის ქართულ ინსცენირებებზე, დიკენსისეული სამყაროს აღქმაზე ქართული პოეზიის მიერ. სასიამოვნო განცვიფრება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ დიკენსს საქართველოში მის სიცოცხლეშივე იცნობდნენ. მოხსენებამ დააინტერესა კონფერენციის მონაწილენი იმდენად, რამდენადაც ეს იყო მათთვის სრულიად უცნობი მასალა და მსმენელთა უმრავლესობამ ძალიან ცოტა რამ იცოდა საერთოდ ქართული ლიტერატურისა და კულტურის შესახებ. დამისვეს ბევრი შეკითხვა არამარტო

მოხსენების ირგვლივ, არამედ ქართული ენის, დამწერლობის, რელიგიის, კულტურის ისტორიის შესახებ.

სამეცნიერო სხდომების გარდა კონფერენციის პროგრამა ძალიან საინტერესო კულტურულ ღონისძიებებს ითვალისწინებდა. კონფერენციის ორგანიზატორებმა დაგვათვალიერებინეს კენტის მხარეში მდებარე დიკენსის მემორიალური ადგილები როჩესტერში, დოუერში, ბროდსტერში. ინგლისელებმა დაბეჯითებით იციან რომელ ნაწარმოებში რომელი ქუჩა ან სახლი აქვს აღწერილი მწერალს. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა როჩესტერში მის ჰევიშემის სახლმა და განსაკუთრებით იმ ოთახმა, სადაც დღემდე გაშლილია „დიდ იმედებში“ აღწერილი საქორწინო სუფრა, სავარძელზე გადაკიდებულია ჰევიშემის საქორწინო ტანსაცმელი, ისმის მისი მონოლოგი. ბროდსტერში დიკენსის სახლ-მუზეუმში ზღვის სანაპიროს გადასცქერის. სანაპიროზე ახლაც დასეირნობენ ვირებით. ექსკურსიამძღოლი გატაცებით ყვებოდა, რომ „დევიდ კოპერფილდში“ აღწერილი მის ბეტსის მიერ ვირების დევნის სცენები სწორედ იმ სახლიდან იყო დანახული. სასლის მარცხნივ, იოდნავ მოშორებით მოსჩანს დიდი ნაცრისფერი შენობა. ეს ის „ცივი სასლია“, გვიხსნიდნენ ინგლისელები. საღამოობით მსახიობები კითხულობდნენ ნაწყვეტებს და გვიჩვენებდნენ დიკენსის ნაწარმოებთა ინსცენირებებს. კენტერბერის კათედრალურ ტაძარში ჩატარდა დიკენსის სულის მოსახსენიებელი წირვა. კონფერენციის გახსნის დღეს როჩესტერის ფილიალმა მოგვიწყო მიღება. გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე კი კონფერენციის ყველა მონაწილე გამოწყობილი იყო დიკენსის ეპოქის ტანსაცმელში, ან განასახიერებდა დიკენსის რომელიმე გმირს. პლენარულ სხდომაზე ამირჩიეს დიკენსის საერთაშორისო საზოგადოების წევრად.

1990 წ.

დევიდ დიკენსი

ჩარლზ დიკენსი და დიკენსების ოჯახი

საიდან დავიწყოთ? თქვენ ალბათ უკვე ბევრი რამ გეცოდინებათ იმ ამბებიდან, რაზეც უნდა მოგითხროთ.

ჩარლზ დიკენსი — საცოდავი და მარტოხელა ბავშვი. იგი ადანაშაულებს მშობლებს უგულობასა და უყურადღებობაში. ყოველივე ეს დაღს ასვამს მთელ მის ცხოვრებას. ბავშვების უბედურება და მათი უგულებელყოფა დიკენსის რომანების ერთ-ერთი ძირითადი თემათაგანია. ამ რომანებში სწორედ თვითონაა ის ბავშვი. რომელი ერთი დავასახელოთ — ოლივერ ტვისტი, სმაიკი, პატარა ნელი, პოლ დომბი, ფლორენს დომბი, დევიდ კოპერფილდი, ესთერ სამერსონი, ჯო, პიპი, პაწია დორითი, ართურ ქლენემი, ჯონ ჰარმონი, ჯენი რენი...

როგორ ეპყრობოდა ის თავის საკუთარ ბავშვებს? „ნიკოლას ნიკლბის“ ფინალში ასე ტოვებს იგი ნიკოლასს: „დრო გაღიოდა და მის ირგვლივ თანდათან იკრიბებოდა მშვენიერი ბავშვების ჯგუფი.“ ფიქრობდა კი ის მაშინ, რომ მასაც იგივე გადახდებოდა თავს?

1836 წელს იქორწინა ქეთრინ ჰოგარტზე. შვილები: ჩარლი დაიბადა 1837 წელს, მემი — 1838 წელს, ქეითი — 1839 წელს, უოლტერი — 1841 წელს, ფრენკი — 1844 წელს, ალფრედი — 1845 წელს, სიდნი — 1847 წელს, ჰენრი ფილდინგი — 1849 წელს, დორა — 1850 წელს (იგი პატარა გარდაიცვალა), ედუარდი — 1852 წელს. იყო რამდენიმე უიღბლო შემთხვევაც. ამას

ეძახდა ის „თანდათანობით“??!! საცოდავმა ქეთრინმა 15 წელი ფეხმძიმობაში გაატარა. ამ თხუთმეტი წლის ბოლოს ჩარლზი წერს ფორსტერს: „საწყალი ქეთრინი და მე აღარაფერს წარმოვადგენთ ერთმანეთისთვის“. ამის აღმოჩენა მას უფრო ადრეც შეეძლო!

ბავშვობის ადრეული წლები უფროსი შვილებისათვის საკმაოდ ბედნიერი იყო დოთი სთრითზე და დევონშირის ტერასაზე, როგორც აღნიშნავდა მემი (ის ფიქრობდა, რომ მამამისი წმინდანი იყო — თუმცა ეს ალბათ მართლაც შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ მემი არ იყო მაინცდამაინც სანდო მოწმე). სიძნელეები მაშინ იწყება, როცა ბავშვები წამოიზრდებიან ხოლმე.

ჩ ა რ ლ ი. თექვსმეტი წლისა ამთავრებს სკოლას. არანაირი განსაზღვრული მიზანი. მოსინჯა სხვადასხვა სამუშაო და თითქმის ყველგან წარუმატებლობა განიცადა. ვარდება ვალებში. ცოლად თხოულობს ბესი ევანსს, რომელსაც ჩარლზ დიკენსი იწუნებს. როგორც ჩანს, მას თვითონ არ შესწევს ფეხზე დადგომის უნარი და ოცდაათი წლის ასაკში მამამისი აწყობს დაბალ თანამდებობაზე პერიოდულ გამოცემაში „მთელი წლის განმავლობაში“.

უ ო ლ ტ ე რ ი. თექვსმეტი წლისას აგზავნიან ინდოეთში. არავითარი სურვილი ან მიდრეკილება იქაური ცხოვრებისადმი. ოცდაერთი წლისა გარდაიცვალა ინდოეთში ისე, რომ სახლში ერთხელაც არ ჩასულა. სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველამდე ვალებში იყო ჩაფლული თავისი ექსტრავაგანტურობის გამო.

ფ რ ე ნ კ ი. ვერანაირ საქმეს ვერ ჰკიდებს ხელს. საშინელი ენაბლუ. ისიც ასევე ინდოეთში იგზავნება. კრახს განიცდის საქმეში. საბოლოოდ გადადის კანადაში საცხენოსნო პოლიციაში. ვაჟკაცურია და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ ცნობილია როგორც საშინელი მსმელი. ჩარლზ დიკენსის სიცოცხლეში სახლში არ დაბრუნებულა.

ა ლ ფ რ ე დ ი. ჩაიჭრა სამხედრო სამსახურში გამოცდების ჩაბარებისას. საბოლოოდ მკვიდრდება ავსტრალიაში.

ცხოვრობს მშვიდად და სერიოზულად (მისტერ მიქობერის მსგავსად). სახლში საერთოდ აღარ დაბრუნებულა ჩარლზ დიკენსის სიცოცხლეში.

ს ი დ ნ ი. შედის ბრიტანეთის სამეფო ფლოტში. ექსტრავაგანტურია. ვარდება ვალებში. ამის გამო ჩარლზ დიკენსი უკრძალავს გედს-ჰილში მისვლას. ახალგაზრდა კვდება.

ჰ ე ნ რ ი ფ ი ლ დ ი ნ გ ი. მე მას კვლავ დავუბრუნდები, ვინაიდან იგი წარმოადგენს ამ ნარკვევის ძირითად ფიგურას.

ე დ უ ა რ დ ი. საცოდავი, სევდიანი, მარტოხელა. ვერ ეგუება ვერც სკოლას და საერთოდ ვერაფერს. საკმაოდ უიმედოდ მიდის ავსტრალიაში. ყველაფერში მარცხს განიცდის. განქორწინების შემდეგ გალოთებული კვდება. არასოდეს დაბრუნებულა შინ.

ამგვარად დიკენსის ვაჟიშვილების ისტორია არ არის სახარბიელო. ჩარლზ დიკენსი გრძნობდა, რომ მათ ყველას აკლდა მიზანსწრაფვა, რაც, როგორც თვითონ ამბობდა, დედისგან გამოჰყვათ.

ქლეირ თომალინი წერს: „დიკენსის აკვიატებული სურვილი, რომ მისმა ვაჟებმა დამოუკიდებლად იცხოვრონ, : დამატებითი შეხსენებაა მისი სიმკაცრისა და მბრძანებლობისა, რასაც ის ჯეორჯინას მიმართ იჩენდა...“

თხრობამ ქეთრინთან მიგვიყვანა. თქვენ რა თქმა უნდა, იცით ფაქტები. ოჯახი ბევრ უბედურებას გადაეყარა მრავალი წლის განმავლობაში. ჩარლზ დიკენსი და ქეთრინი 1858 წელს განქორწინდნენ. ამ დროისათვის შვილები ასეთ ასაკში იყვნენ: ჩარლი ოცდაერთის, მეში ოცის, ქეითი ცხრამეტის, უოლტერი ჩვიდმეტის, ფრენკი თოთხმეტის, ალფრედი ცამეტის, სიდნი თერთმეტის, ჰენრი ცხრის და ედუარდი ექვსის. ისინი დედას დააშორეს და გადაიყვანეს საცხოვრებლად ახალ სახლში — გედს-ჰილში ჯეორჯინასთან ერთად. რა აზრისა იქნებოდა თანამედროვე ბავშვთა ფსიქოლოგი, როგორი გავლენა ექნებოდა ყოველივე ამას განსაკუთრებით მოზარდებსა და პატარებზე? განა საკვირველია, რომ ისინი გადარეული ბავშვების გუნდს დამსგავსებოდნენ? ამ გარემოებამ ყველაზე მძიმედ საწყალ პატარა

ედუარდზე იმოქმედა და მან ვეღარასდროს შესძლო თავისი განცდების დაძლევა. ალბათ იფიქრებთ, რომ ჰენრისაც, რომელიც მაშინ ცხრა წლისა იყო, მათნაირი ბედი უნდა სწეოდა, მაგრამ არა!

ჰ ე ნ რ ი ფ ი ლ დ ი ნ გ ი. ეს იყო ერთადერთი შვილი, რომელსაც უსიამოვნება არასდროს მიუყენებია ჩარლზ დიკენსისათვის. ის ბედნიერი იყო გედს-ჰილში ჯეორჯინასთანაც. მუდამ კარგად სწავლობდა სკოლაში, უნივერსიტეტში მხოლოდ ის შევიდა და იქაც კარგად სწავლობდა, გამოვიდა იურისტი და წარმატებას მიაღწია ამ პროფესიაში. იგი სერ ჰენრი დიკენსი გახდა, იცხოვრა ხანგრძლივი და გამორჩეული ცხოვრებით, ვიდრე ბოლოს 1933 წელს მოტოციკლეტის დაჯახების შედეგად არ დაიღუპა ლონდონის ერთ-ერთ ქუჩაში (მე მაშინ 8 წლისა ვიყავი და იმ ღღეს ბებიასთან ვატარებდი, როცა ეს საშინელი ამბავი მოგვიტანეს). როდესაც ქორწინების დრო დაუდგა, ვერ ვიტყვი, რომ ჰენრი ფილდინგს თავისი ოჯახის სახით მისაბაძი მაგალითი ჰქონდა. მან ცოლად შეირთო ფრანგი მარი როშე, რომელიც მეტად ძლიერი და მიზანდასახული პიროვნება იყო. ის მბრძანებლობდა თავის ქმარს და შვილებს (შვილიშვილებსაც, მე ეს კარგად მახსოვს), ამასთანავე ეთაყვანებოდა თავის მეუღლეს და მასაც ძალიან უყვარდა იგი. მათი ქორწინება უბედნიერესი იყო 57 წლის განმავლობაში. ისიც შემოქმედთა ოჯახიდან გახლდათ — მუსიკოსებისა და მხატვრების. მისი პაპა იყო ბეთჰოვენის მოწაფე და მეგობარი. როდესაც დაქორწინდნენ, ფიცი დადეს (წერს მარი თავის მემუარებში), რომ ეცდებოდნენ ოჯახური ცხოვრება აეგოთ სიყვარულსა და მოთმინებაზე. ასეც მოიქცნენ! იმ ოჯახის წევრებს (მამაჩემის თაობას) საოცრად თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ. ისინი აღმერთებდნენ ერთმანეთს და მთელი ცხოვრება სიახლოვეში გაატარეს. ეს ოჯახი, რამდენადაც მე მახსოვს, სილაღით, იუმორითა და ხალისით გაჟღორჩეოდა. ჩვენ, შვილიშვილებს მათგან გადმოგვეცა მხიარულება და მათი შეხედულება ცხოვრებაზე. ჩვენ ყოველთვის ვიყავით და ახლაც ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან.

როდესაც ჩარლზ დიკენსის შვილებზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ჰენრი ფილდინგმა გადასცა შვილებს

დიკენსის გვარი. მას შვიდი შვილი ჰყავდა, მათ შორის ოთხი ვაჟი. ერთი (სედრიკი) 1914—18 წლების ომში დაიღუპა. დარჩა სამი — ჰოლი, ჯერალდი და ფილიპი.

ჰ ო ლ ი. ისიც იურისტი გახდა. იქორწინა გერმანელ გოგონაზე, რომელიც სიმშვენიერით თავის დედამთილს არ ჩამოუვარდებოდა. მათთან სტუმრობა ჩვენ ყველაზე სასურველად მიგვაჩნდა. ის სახლი სავსე იყო სიყვარულით, სიდარბაისლითა და სიხარულით. მათი ვაჟი სამეფო ფლოტში მსახურობდა და ზღვაზე გარდაიცვალა (სიდნის მსგავსად). საშინელი ტრაგედიაა. მისი შვილი ქრისტოფერი კი მამის სიკვდილის შემდეგ დაიბადა. ჰოლს ორი ქალიშვილი ჰყავდა — დორისი და მონიკა. ამ უკანასნელის შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ თანდართულ ნეკროლოგში *. დორისი არის მეუღლე და დედა. იგი ახლა ჩვენი ოჯახის მატრიარქია. დორისი ყველას გვიყვარს. მასთან ჩვენი პრობლემებისა და სულიერი ტკივილების გასაზიარებლად და გასაქარვებლად მივდივართ ხოლმე. მას დედისა და მამისგან სიყვარულის უნარი, სიკეთე და გამტანობა აქვს გაზოყოლილი. სამი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი ჰყავს. ყველა ნიჭიერი და სულით ხელოვანი. მისი ნიკოლასი (დენბი) აღიარებულია თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩენილ ორღანისტად.

ჯ ე რ ა ლ დ ი — მაჟაჩემი. ჯერ კიდევ ბიჭი შევიდა ბრიტანეთის სამეფო ფლოტში. დიდი და გამორჩეული კარიერა ჰქონდა. გახდა ადმირალი სერ ჯერალდ დიკენსი, სამი ვაჟიშვილის — პიტერის, ქლაუდისა და დევიდის (ჩემი!) მამა. პიტერი და ქლაუდი ორივენი სამეფო ფლოტში შევიდნენ. პიტერმა თავი გამოიჩინა

———————

* ნარკვევთან ერთად დევიდ დიკენსმა გამომიგზავნა წერილი. რომელშიც იტყობინებოდა, რომ მისი ბიძაშვილი მონიკა შობა დღეს, 1992 წლის 25 დეკემბერს, გარდაცვლილიყო. მას დართული ჰქონდა საგაზეთო ნეკროლოგი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მონიკას გამოცემული აქვს 30 ტომზე მეტი — რომანები, ავტობიოგრაფია, საბავშვო, ნაწარმოებები, ჟურნალისტური ჩანაწერები, სალიტერატურო კრიტიკა. ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობა მის შესახებ წერდა, რომ მონიკას ნაწერები აღვილად შესაცნობია თავისი კეთილგანწყობილებითა და იუმორით. ისინი ინტერესით იკითხება. მან ინგლისური მწერლობა საკუთარი მნიშვნელოვანი მემკვიდრეობით გაამდიდრა. მონიკა დიკენსი გარდაიცვალა 77 წლისა.

მეორე მსოფლიო ომში, რამდენიმე მედალი მოიპოვა ვაჟკაცობისათვის. ქლაუდიც ფლოტში მსახურობდა ომის დროს. მანაც ბევრჯერ ისახელა თავი, მაგრამ პიტერისათვის არ უჯობნია. მეც (ბევრად უმცროსი) შევედი სამეფო ფლოტში და ზღვაზე ვმსახურობდი, მაგრამ ვიდრე რაიმეს გაკეთებას მოვასწრებდი, ომიც დასრულდა. პიტერი და ქლაუდი ფლოტში დარჩნენ. ამჟამად არც ერთი აღარაა ცოცხალი. მე დავტოვე ფლოტი და დავიწყე საბეცნიერო წიგნების გამოცემა. პიტერს ერთი ვაჟი — მარკი დარჩა. მას თავის მხრივ სამი ვაჟი ჰყავს — რობერტი, ჯონათანი და ოლივერი. ქლაუდს არ ჰყავდა შვილები (მაგრამ იშვილა ორი). მე ორი ვაჟი მყავს — იანი და ჯერალდი. იანი ერთი ბიჭის — მიშელის მამაა. ჯერალდი ჯერ არ დაქორწინებულა.

ჩემი ბავშვობისას მამაჩემი საკმაოდ „საშიში“ სამხედრო ფიგურა იყო. მან მთელი თავისი აქტიური ცხოვრება ფლოტს მიუძღვნა. მაგრამ გარდა ამისა სახელი მოიხვეჭა როგორც ნიჭიერმა მხატვარმა. შესანიშნავია მის მიერ ფანქარში, კალმითა და მელნით შესრულებული ნამუშევრები თუ ოფორტები. ყოველი ჩვენგანის სახლი მოფენილია მისი მშვენიერი სურათებით. როდესაც მას ამოსუნთქვის საშუალება მიეცემოდა და ადმირალის მოვალეობისაგან თავისუფლდებოდა, სრულად ავლენდა იუმორისა და შემოქმედებით უნარს. ჩვენი ოჯახური ცხოვრებაც სიცოცხლითა და ხალისით ივსებოდა.

ფ ი ლ ი პ ი (პიპი). სედრიკის მამა. უმჯობესი იქნებოდა სედრიკს დაეწერა. მე მოკლედ ვიტყვი: არმიაში იყო გაწვეული 1914—18 წლების ომის პერიოდში. ცოლიანია. ჰყავს ოთხი შვილი — სედრიკი, ქეთრინი, ჰეიზელი, ჰარი. მეუღლე ტრაგიკულად დაეღუპა, როდესაც ბავშვები პატარები იყვნენ. იქორწინა მეორედ. სედრიკი ფლოტში მსახურობდა მეორე მსოფლიო ომის დროს. ასევე ჰეიზელიც. ქეთრინი — საჰაერო ძალებში. ჰარი ძალიან ახალგაზრდა იყო ომში მონაწილეობისთვის, მაგრამ მოგვიანებით შეუერთდა პალესტინის პოლიციას და მოვალეობის შესრულებისას რამდენჯერმე დაიჭრა. სედრიკს ერთი ვაჟი ჰყავს — ჯონი. ჰარისაც ერთი ვაჟი დარჩა — ადამი (მისი უფროსი ვაჟი ჯულიანი სამი წლისა გარდაიცვალა ლეიკემიისაგან).

არა მგონია დიკენსის შვილთაშვილების ბავშვობის მოგონებები განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. ჩვენი ოჯახის მთავარი ფიგურა, ოჯახის მზე იყო ბებია. ჰენრი ფილდინგი ძალიან წყნარი, თავშეკავებული და სიტყვაძუნწი კაცი, ფიზიკურად პატარა იყო (ჩარლზ დიკენსის მსგავსად). მან თავისი იურიდიული კარიერა დიდი წარმატებით წარმართა. როდესაც ჩვენ ის გავიცანით, უკვე გამოჩენილი მოსამართლე იყო და საზოგადოებაში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მაგრამ ყოველივე ეს ზედმეტი სიამაყის საბაბს არ აძლევდა. საინტერესოა ერთი ფაქტი: ჩარლზ დიკენსის შვილებს შორის ის იყო ერთადერთი, რომლის მეტსახელსაც ბავშვობაში პრეტენზიული ჟღერადობა არ ჰქონია. მას „ჰარის“ სახელით იცნობდნენ. ასე რომ, მის პიროვნებაში იყო ისეთი რამ, რაც მას დაეხმარა გადარჩენოდა ჩარლზ დიკენსის ოჯახის საერთო სენს. იგი საკუთარი ძალით გამოვიდა საზოგადოებაში და ავტორიტეტი მოიპოვა.

ჩემს ბებიას, რომელმაც შემდეგი თაობები უზრუნველყო ბრწყინვალებითა და ენერგიით, ნებისმიერი ენის მიმართ ჰქონდა ახირება, მაგრამ ის ძალიან, ძალიან ფრანგი ლედი იყო! ჩვენ ყველას ფრანგულად უნდა გველაპარაკა, გვეკითხა ფრანგული წიგნები, გვეთამაშა ფრანგული თამაშები, უნდა მოვქცეულიყავით ფრანგულად. ხშირად ჩავდიოდით საფრანგეთში. ამდენად ჩვენ ორი კულტურა მივიღეთ მემკვიდრეობად. ჩარლზ დიკენსის წმინდა ინგლისური ფონისა და ბებიას წმინდა ფრანგული ფონის ერთიანობა თითქოსდა რაღაც ელექტრულ მუხტს ქმნიდა და მან დიკენსების ოჯახში ისევ ის ნაპერწკალი დაანთო, რომელიც ჩარლზ დიკენსის შემდეგ თითქმის ჩამქრალიყო.

თვითონ ჩარლზ დიკენსი ოჯახში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ჩვენმა ბებიამ და პაპამ ნათლად გვაგრძნობინეს, რომ დიკენსის სახელის გამოყენების უფლება არცერთს არ გვქონდა.

ჩარლზ დიკენსი ისტორიას ეკუთვნოდა. იგი გარდაიცვალა. ჩვენი ცხოვრება კი წინ იყო და თვითონ უნდა გაგვეკვლია გზა. ლიტერატურული კარიერისათვის ამ სახელით სარგებლობა სასტიკად იკრძალებოდა. მონიკა მეტად გააკრიტიკეს უფროსებმა, როდესაც მან დიკენსის სახელის გამოყენებით დაიწყო წერა.

როდესაც წარსულს გადავავლებთ თვალს, ძალიან სასიამოვნოა იმის გახსენება, რომ ოჯახის რამდენიმე წევრმა მართლაც თავისით გაიკაფა გზა ცხოვრებაში, წარმატებებს მიაღწია და დიკენსის სახელს მეტი ბრწყინვალება შემატა: ჰენრი ფილდინგი — სერ ჰენრი დიკენსი, ცნობილი მოსამართლე; მამაჩემი — ადმირალი სერ ჯერალდ დიკენსი; ჩემი ძმა პიტერი — ერთ პერიოდში მთელი ინგლისელი ერი ისმენდა მის სახელს რადიოთი თუ ხვდებოდა პრესაში თითქმის ყოველდღე. ომის დროს იგი თავის ტორპედოს კატერებს უძღვებოდა და გერმანულ საბადრაგო გემებს შეებრძოლა ინგლისის სრუტეში; მონიკა — სახელმოხვეჭილი მწერალი. ცხადია იყვნენ სხვებიც, რომლებსაც ასევე წარმატებული კარიერა ჰქონდათ და კარგი ცხოვრებით იცხოვრეს, მაგრამ მათ დიდების სხივი არ დანათოდათ.

ერთი მცირედი დაკვირვებაც. საინტერესოა, რომ ჩემს მონათხრობში არაერთხელ იყო ნახსენები ბრიტანეთის სამეფო ნავიგაცია. პირველ რიგში ჩარლზ დიკენსის შვილი სიდნი; მამაჩემი; ჰოლის ვაჟი; პიტერი, ქლაუდი და მე; სედრიკი და ჰეიზელი; და ახლა პიტერის ვაჟიშვილი მარკი. სულ ცხრანი. ექვსი ჩვენთაგანი ომში იღებდა მონაწილეობას.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი *

———————

* როგორც დევიდ დიკენსი გვპირდება, შეიძლება ამ მოგონებებს მოჰყვეს გაგრძელებაც, ანუ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „შესაძლოა ახალი დასაწყისიც“.

1993 წ.

ელან უოტსი

ჰანს ქრისტიან ანდერსენის ვიზიტი ჩარლზ დიკენსთან

(ივნისი–ივლისი, 1857)

დიკენსი ლედი ბლესინგტონის ოჯახში შეხვდა პირველად დანიელ მეზღაპრეს ჰანს ქრისტიან ანდერსენს. მან დაპატიჟა იგი თავისთან დევონშირის ტერასაზე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს სტუმრობა ვერ შედგა. სამაგიეროდ, 1847 წლის ზაფხულში, როდესაც დიკენსები ბროდსტერში იმყოფებოდნენ, მაშინ მიიწვიეს ანდერსენი სადილად. მეორე დღეს დიკენსმა გააცილა იგი რამსგეიტამდე და უცქეროდა, ვიდრე სხვა მგზავრებთან ერთად მშვიდობით ავიდოდა გემზე, რომელსაც კურსი ოსტენდისაკენ ეჭირა. იმავე წლის ბოლოს ის წერდა ანდერსენს დანიაში „მალე კვლავ ჩამოდი ინგლისში!“ მხოლოდ ათი წლის შემდეგ განახორციელა ანდერსენმა დიკენსთან ვიზიტი და თავისი ვარაუდით ორიოდე კვირით ესტუმრა გედს ჰილში. დიკენსმა განუმარტა:

„ჩვენ მხოლოდ ივნისის პირველ კვირას ვიქნებით ლონდონში, შემდეგ გავემგზავრებით სოფელში, ჩემს პატარა სახლში, ოცდაშვიდი მილის მოშორებით. ეს არის რკინიგზის ხაზის გასწვრივ, ლონდონიდან საათნახევრის სავალზე კენტის ულამაზეს ადგილას. თქვენ გექნებათ ოთახი მშვენიერი ხედით და იქ იცხოვრებთ ისევე მშვიდად და უხიფათოდ, როგორც კოპენჰაგენში. იქ ყოფნისას თუ მოისურვებთ ლონდონში ღამისთევით წასვლას, ეს სახლი (ე. ი. სახლი ტავისტოკის მოედანზე, რომელსაც ტავისტოკის სახლს ეძახდნენ, სადაც დიკენსი ცხოვრობდა იმხანად და საიდანაც ამ წერილს წერდა) ნებისმიერ დროს სხვენიდან

სარდაფამდე თქვენს განკარგულებაში იქნება... ორი პატარა გოგონა, რომლებიც თქვენ ბროდსტერში ნახეთ, ახლა უკვე ახალგაზრდა ქალები არიან და ჩემი უფროსი ვაჟი ოც წელს გადასცილდა, მაგრამ ჩვენ ყველა ასაკის ბავშვი გვყავს და მათ ძალიან უყვარხართ. ჩვენი სახლი სავსეა თქვენი თაყვანისმცემელი და მოსიყვარულე მეგობრებით".

ანდერსენი 11 ივნისს ჩავიდა ინგლისში. მას არც მასპინძელი დახვედრია, არც მეჯინიბე და არც ფაეტონი. მხოლოდ სადგურის მოხელე იყო გაფრთხილებული და მანაც სიამოვნებით მოიგდო ზურგზე ანდერსენის ბარგი და შეუდგა დიკენსის სახლისაკენ მიმავალ ერთნახევარი მილი სიგრძის აღმართს. დიკენსმა იგი ძალიან გულთბილად მიიღო და მიიწვია თავისთან და ქეთრინთან ერთად სასაუზმოდ. შემდეგ ისინი ბაღში სეირნობდნენ და საუბრობდნენ.

პირველი შთაბეჭდილებები ანდერსენმა დასავით ახლობელ მეგობარს მის ჰენრიეტა ვულფს ასე აღუწერა:

„მე საკმაოდ თბილად მიმიღეს. დიკენსმა მომხვია ხელები და ჩამიკრა; მოგვიანებით მისი ცოლი და ბავშვები მოვიდნენ. დამაბინავეს მშვენიერ ოთახში. ჩემი ფანჯრიდან გადავცქერი ჰიგჰემსა და გემებით სავსე ტემზას. დიკენსი უკვე სოლიდურ ასაკშია და საარსებო წყაროც გააჩნია. მე მიმაჩნია, რომ მისის დიკენსი ღღესდღეობით მშვენივრად გამოიყურება. უფროსი ქალიშვილი მერი მას ჰგავს, ხოლო მეორეს, ქეითს, მამის სახის ნაკვთები აქვს. შენ ხომ გინახავს დიკენსის პორტრეტი; მათი სამი ვაჟი ბულონიაშია, დანარჩენი ოთხი კი სახლში. ყველაზე უმცროსი — ედუარდ ლიტონ ბულვერ დიკენსი ხუთი წლისაა. ყველა ბავშვს მწერლების სახელები ჰქვია. უფროსი ჩარლზ დიკენსია, მეორე — უოლტერ ლენდორი (ის ოთხ კვირაში მიემგზავრება კალკუტაში შვიდი წლით. აპირებს, რომ ოფიცერი გახდეს). დანარჩენი შვილები — ფრანსის ჯეფრი, ალფრედ ტენისონი, სიდნი სმითი ბულონში არიან, აქ სახლში კი ორი უმცროსი ბიჭია, ჰენრი ფილდინგი და ედუარდ ბულვერი. მათ შორის პირველი პატარა ჰენრი იყო, ვინც მიჩვენა სითბო და სიკეთე".

ანდერსენმა გააგრძელა ოჯახური ცხოვრების სურათის აღწერა გედს ჰილში ისე, როგორც მან ის დაინახა:

„ოჯახური ცხოვრება ერთობ ჰარმონიული ჩანს და ახალგაზრდა მის ჰოგარტი (ის მაშინ ოცდაათი წლის იყო, ა. უ.), რომელიც წლების მანძილზე ამ სახლში ცხოვრობს, გვისხამს ჩაის ან ყავას, ეთამაშება მის დიკენსს და ჩანს, რომ არის ძალზე კეთილი და კულტურული ლედი. თვითონ დიკენსი მისივე წიგნების საუკეთესო პერსონაჟს მაგონებს. ის არის მეტად მოსიყვარულე, სიცოცხლით სავსე, მხიარული და გულთბილი. მე მას საუბრის დაწყებისთანავე ძალიან კარგად ვუგებდი და ახლა, ჩემი ჩამოსვლიდან ზუსტად რვა დღის შემდეგ ის ამბობს, რომ მე გასაოცარი წინსვლა მაქვს ინგლისურში და მას ყოველ საათს ვაუმჯობესებ. მერე და მერე მე უშიშრად ვილაპარაკებ, უკვე პატარებსაც კი ესმით ჩემი. კვირას ეკლესიაში ვიყავი მის ჰოგართთან, უოლტერსა და ჰენრისთან ერთად. წირვა დიდხანს გაგრძელდა. ეკლესიამდე ფეხით ვიარეთ ნახევარი დანიური მილი და უკანაც ფეხით დავბრუნდით. მღვდლის ენა სრულიად არ მესმოდა, მაგრამ საეკლესიო გალობას ვუერთდებოდი“.

ჩასვლის მეორე დღიდანვე ანდერსენმა მეტად გააღიზიანა დიკენსის უფროსი ბიჭები. იგი მოელოდა, რომ მას საწოლში მოემსახურებოდნენ და მოახლე იქ მიართმევდა ტანსაცმელს, დარწმუნებული იყო, რომ წვერსაც არ გააპარსინებდნენ თავისი ხელით. ანდერსენმა მოიხმო ჩარლი დიკენსი და დაბეჯითებით მოსთხოვა გაეპარსა მისთვის წვერი. გასაკვირი არაა, რომ ერთი წლის შემდეგ ჰარი თავის მოგონებებში ლაპარაკობდა „ბიჭების საშინელ აღშფოთებაზე“. იმ დღეს ბიჭებს თავიანთი გეგმები აერიათ, ვინაიდან ჩარლი იძულებული გახდა მანქანით წაეყვანა ანდერსენი სოფელში სამი მილის დაშორებით, სადაც იმედოვნებდნენ, რომ იპოვიდნენ დალაქს, მაგრამ ეს მოგზაურობა უშედეგოდ დასრულდა. პარასკევს იგი მისის დიკენსთან, ჯეორჯინასთან, მის ბარდეთ ქოუტსსა და მის კომპანიონ ჰენა ბრაუნთან ერთად როჩესტერს გაემგზავრა. ანდერსენმა იქ დალაქიც იპოვა.

ანდერსენი დიკენსის ოჯახს ართობდა თავისი ხელოვნებით. იგი ქაღალდისგან ჭრიდა სხვადასხვა ფიგურებსა და ორნამენტებს. მაკრატლის ოსტატურად ხმარება (ანდერსენს საკმაოდ დიდი მაკრატელი ჰქონდა და მინიატურულ ფიგურებსაც იმით ჭრიდა, მ. ო.) იმდენად შთამბეჭდავი იყო ბავშვებისათვის, რომ

მოგვიანებით თავიანთ მოგონებებში საგანგებოდ აღნიშნავდნენ ამ ფაქტს.

მისი ჩამოსვლის შემდეგ შაბათს იგი ქეთრინთან, ჯეორჯინასა და ფლორნთან ერთად გაემართა სასეირნოდ გედს ჰილის ირგვლივ მდებარე სოფლებში. მას დიკენსივით როდი უყვარდა ფეხით სიარული. გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ მიასწრო დიკენსებს მათ სასლთან ყველაზე ახლოს მდებარე ძეგლამდე მისვლა. თავის დღიურებში ანდერსენს ჩანიშნული ჰქონდა ამ სეირნობისას ფლორნმა რომ ჩაავლო ხელი ხელში, აცეკვდა მის გარშემო და ყოველ წვრილმანზე ეკითხებოდა, როგორ გამოითქმოდა იგი დანიურად. სადილის შემდეგ მის ქოუტსმა თავაზიანად მიიპატიჟა იგი თავისთან. შემდეგ სამშაბათს ისინი ერთად უნდა გამგზავრებულიყვნენ მანქანით და ერთი ღამე ქოუტსის სახლში უნდა გაეტარებინათ. უოლტერს დაევალა მეგზურობა გაეწია მისთვის.

კვირას ჰიგჰემში წმინდა მერის ეკლესიაში წირვას უნდა დასწრებოდნენ. ეკლესიის წინამძღვარი იყო ჯოზეფ ჰინდელი (შემდგომში გედს ჰილის მფლობელი). ჰიგჰემის ეკლესია ყველაზე ახლოს მდებარეობდა დიკენსის სახლიდან. მართალია, უფრო ახლოს წმინდა ჯონის ტაძარი იყო, მაგრამ 1862 წლამდე არ უკურთხებიათ და ამდენად იმ დროს ჯერ არ იყო მოქმედი. საწყალი ანდერსენი უკიდურესად დაიღალა და უკანა გზაზე სულ ბარბაცებდა.

დაღლილობას სასიამოვნო ^განცდები ენაცვლებოდა. კვირა საღამოს ფორსტერი და მისი მეუღლე იყვნენ სადილად. ორშაბათს დიკენსმა წაიყვანა ანდერსენი ლონდონის დასათვალიერებლად. ისინი დილით ადრე გავიდნენ სახლიდან, რომ როჩესტერში დალაქთან მოესწროთ მისვლა. ჯერ მატარებლით იმგზავრეს. ტავისტოკის სახლიდან სიდენჰემში კი მანქანით ჩავიდნენ. იქ ქრისთალ ფელისში ჰენდელის „მესიას“ დადგმას ღაესწრნენ. საღამოთი ლონდონში კიდევ ერთი სპექტაკლი ნახეს. დღის ბოლოს ანდერსენი სრულიად ძალაგამოცლილი იყო. ის ღამე ტავისტოკის სახლში გაატარეს. მეორე დილით, გამოღვიძებისთანავე ანდერსენი დიკენსთან ერთად ჟურნალ „ჰაუსჰოლდ უორდზ“-ის ოფისში წავიდა. საღამოს ექვს საათზე ის და უოლტერი გაემართნენ მის ქოუტსის სახლისაკენ, პიკადილიზე. ანდერსენის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ჩანს, რომ ეს არის საარა-

კოდ მდიდარი მანდილოსანი. მისი სახლის წინ დაცვის ჯიხურია, ჰყავს კარისკაცები, სახლის კიბეზე მეფური ხალიჩაა დაგებული". და მან, მეწაღისა და მრეცხავის ვაჟმა, აღმოაჩინა, რომ ეძინა საოცრად დიდებულ და მეტად დახვეწილი გემოვნებით მორთულ საწოლ ოთახში, რაც მას ოდესმე ენახა. ოთახში, „საკუთარი აბაზანითა და ტუალეტით, დანთებული ბუხრით, შესანიშნავი ნახატებით კედელზე და ქანდაკებებით იატაკზე". მას უადვილდებოდა მის ქაუტსთან ურთიერთობა, მაგრამ მოკრძალებასა და შიშს გვრიდნენ მსახურები.

ასე გრძელდებოდა ანდერსენის სტუმრობა და მოგზაურობა გედს ჰილსა და ლონდონს შორის. ამ დროს დიკენსი საკმაოდ დაკავებული იყო. იგი ყველანაირად ცდილობდა, რომ დუგლას ჯეროლდის ქვრივისთვის ფული მოემატებინათ. ამ საქმეზე სირბილს დიდი დრო მიჰქონდა. ასე რომ, ოჯახის დანარჩენ წევრებს უხდებოდათ სტუმრის გართობა, რასაც ისინი ყოველთვის კარგად ვერ ახერხებდნენ. ერთხელაც, ივნისის ოცდაორს, ორშაბათ დღეს, ჩარლი თავის ორ მეგობართან ერთად მანქანით წავიდა ქალაქში. ამ სიტუაციას ანდერსენი ასე აღწერს: „მის ჰოგარტმა მითხრა, რომ ჩემთვისაც იქნებოდა ადგილი, თუმცა დიდი ბარგი მიჰქონდათ. მე გავყევი მათ, მაგრამ როგორც შევატყვე, ჩარლზს არ ესიამოვნა. ამიტომ მე ერთობ უხასიათოდ დავბრუნდი და ვერც შევძელი ამის დაფარვა. ეს იყო პირველი უსიამოვნო დღე ინგლისში".

დიკენსთან ერთად ანდერსენი მეტად ბედნიერად და მხიარულად გრძნობდა თავს, მაგრამ დიკენსის ბავშვები აღიზიანებდნენ მას. ის უფრო კმაყოფილი იყო ბენტლის ოჯახში, სადაც მოკლე ხნით ჩერდებოდა ხოლმე. იგი წლის საუკეთესო დროს იყო ინგლისში, მაგრამ ამინდი მონაცელეობდა, ხან ძალიან ცხელოდა, ხან ძალიან ციოდა. როდესაც ბენტლიმ წაიყვანა ანდერსენი, რომ ენახა, როგორ გადასცემდა დედოფალი მედლებს ყირიმის გმირებს, ანდერსენს გული უღონდებოდა სიცხისაგან. ივლისის პირველ კვირაში კი სიცივისგან იყო შეწუხებული.

26 ივნისი ანდერსენმა ბენტლის სახლში გაატარა და დაბრუნდა გედს ჰილში. ჰიგჰემის სადგურზე მან დაინახა უოლტერ დიკენსი და ევანსის ბიჭები, მაგრამ მათ ისე დაიჭირეს თავი, თითქოს ვერ შეამჩნიეს ანდერსენი, რამაც იგი ააღელვა. ისინი

გრეევსენდიდან მოდიოდნენ. როდესაც გადმოვიდნენ მატარებლიდან, „არც ერთ მათგანს არ გამოუჩენია იოტისოდენა ყურადღება და არც უფიქრიათ, რომ მომშველებოდნენ ბარგის წამოღებაში. ისინი წინ მიდიოდნენ ფეხით... სადილის შემდეგ დაღლილი ვკითხულობდი „ეთენეუმს“, განერვიულებულს ჩამეძინა. რვა საათზე დამიძახეს ჩაიზე. თავი ძალიან დამძიმებული მქონდა, ისევ დაღლილი და შეშფოთებული ვიყავი და ისეთი განცდა დამეუფლა, რომ არავის ვესიმპათიურებოდი. მისის დიკენსსა და და მის ჰოგარტს ვუთხარი, რომ საშინლად მოვიქანცე და წავედი დასაძინებლად 9 საათზე“.

მხოლოდ ადამიანები კი არ იყვნენ მის მიმართ უსიმპათიოდ განწყობილნი. პრესამ („ეთენეუმმა“) სასტიკად გააკრიტიკა მისი ახალი წიგნი „ყოფნა არყოფნა?“ ეს მძაფრი კრიტიკული მოსაზრებები ანდერსენმა ძალიან ახლოს მიიტანა გულთან. 28 ივნისს, როდესაც დიკენსი დაბრუნდა სახლში, მან ყველაფერი გააკეთა, რომ დაერწმუნებინა თავისი სტუმარი, არ მიექცია ყურადღება და არავითარი მნიშვნელობა არ მიენიჭებინა საგაზეთო კრიტიკისათვის. „არასოდეს მისცე თავს ნერვების აშლის უფლება იმაზე, რასაც გაზეთები წერენ. მათ ერთ კვირაში ივიწყებენ, შენი წიგნი კი დროს გაუძლებს და იცოცხლებს“. იმ საღამოს დიკენსი და ანდერსენი სასეირნოდ წავიდნენ. გავიდნენ თუ არა, დიკენსმა ფეხით დაწერა ქვიშაზე — „ესაა კრიტიკა“. შემდეგ ფეხითვე წაშალა და თქვა — „ამგვარად გაქრა“. სადილზე ვიღაცამ ჰკითხა ანდერსენს, რამდენ ხანს აპირებდა ინგლისში დარჩენას. მას თავისი ზუსტი პასუხი დღიურში არ ჩაუწერია, ჩაინიშნა მხოლოდ რაც დაურთო — „მისტერ დიკენსისათვის ხანგრძლივად, ჩემთვის კი ხანმოკლედ“.

ორშაბათს, 29 ივნისს, ანდერსენი დიკენსსა და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად წავიდა ლონდონის ხიდზე მდებარე სადგურზე. მან როგორღაც სხვებისაგან განცალკევებულად იგრძნო თავი და გადაწყვიტა ეტლის დაქირავება ტავისტოკის სახლამდე. „მეეტლემ ისეთი ღარიბი კვარტლები გამატარა, შევეჭვდი, ავი ზრახვები ხომ არ გაუჩნდა-მეთქი, მაგრამ მშვიდობით მიმიყვანა სახლამდე. მის ჰოგარტი სრულიად არ არის ყურადღებიანი. ასეთივე არიან დიკენსის ვაჟიშვილებიც; მოკლედ, დიდი განსხვავებაა მთელ ოჯახს, დიკენსსა და მის ცოლს შორის“.

დიკენსს მის ქაუტსთან საუბრისას უთქვამს: „ჩვენ საკმაოდ გაწვალებულები ვართ ანდერსენისაგან“, ხოლო როდესაც ანდერსენი სახლში გაისტუმრა, ჰიპერბოლიზებულად უყვებოდა უილიამ იერდენს: „ლონდონში ჩამოსვლისთანავე ის საშინლად დააბნია ეტლებმა და შერიმ. როგორც კი შინ ბრუნდებოდა, იწყებდა ხარ-ხარი ფიგურების გამოჭრას ქაღალდისაგან და ტყეში აგროვებდა ძალზე უცნაურ პატარა თაიგულებს. საუცხოო იყო მისი გაურკვეველი ლექსიკონი. ერთობ უცნაურად ჟღერდა მისი ფრანგული, იტალიური თუ ინგლისური. ჩემი უფროსი ბიჭი იფიცებოდა, რომ ადამიანი ვერაფერს გაუგებდა მის გერმანულს. მთარგმნელი გამოუტყდა ბენტლის, რომ მას არც დანიურად შეეძლო ლაპარაკი! ერთ დღეს იგი მივიდა ტავისტოკის სახლში ფეხზე კოჟრისაგან განაწამები, რომელიც ორ საათში გამოუვიდა. აღმოჩნდა, რომ მეეტლემ იგი ცენტრიდან ახალი, მშენებარე უბნებით წამოიყვანა. გზაში ანდერსენი დარწმუნდა, რომ მეეტლეს გადაწყვეტილი ჰქონდა მისი გაქურდვა და მოკვლა, ამიტომ მან ფეხსაცმელებში ჩაიწყო საათი, ფული, უბის წიგნაკი, ფანქრის სათლელი დანა, წყვილი მაკრატელი, ორი წერილი და კიდევ სხვა საკუთრებანი“.

ის ძალიან ადვილად და კარგად ურთიერთობდა ქეთრინთან. მასთან ერთად ერთი-ორჯერ თეატრშიც იყო. ანდერსენი უკმაყოფილო დარჩა უოლტერ დიკენსის ქცევის გამო. მან თავის დღიურში მოკლედ ჩაინიშნა „ახალგაზრდა უოლტერ დიკენსი სულელია“.

ოჯახის სხვა ახალგაზრდა წევრებიც ვერ გადაურჩნენ მის კრიტიკას. „ჩემი პატარა მეგობარი (მუსიკის გენიოსი) დაუღევრად მექცევა“. ეს ალბათ ჰარის უნდა ეხებოდეს. იგი დიკენსის ბავშვებს სულ ბენტლის შვილებს ადარებდა და ჩაიწერა კიდეც დღიურში, რომ „ისინი ძალიან კეთილნი, მეგობრულები და სიმპათიურები არიან დიკენსის ბავშვებთან შედარებით“.

ანდერსენის გამგზავრების წინა დღით საშინლად ჩამოცხა. იგი ქეთრინთან ერთად მანქანით წაიყვანეს თავის დალაქთან. გედს ჰილში დაბრუნებისას მან დაინახა, რომ ოჯახის მეგობრებს კრიკეტის თამაში გაეჩაღებინათ. სამწუხაროდ, მატჩის დროს მისის ფრენსის კარ ბერდის ბურთი მოხვდა სახეში და თვალიც ჩაუშავდა.

მეორე დღეს დიკენსმა წაიყვანა თავისი სტუმარი მეიდსტოუნში და ჩასვა ფოლკსტოუნისაკენ მიმავალ მატარებელში, სადაც იგი უნდა გადამჯდარიყო პატარა გემზე საფრანგეთის მიმართულებით. მისი გამგზავრების შემდეგ დიკენსების ოჯახს დიდი ტვირთი მოეხსნა. დიკენსმა ეს იმით აღნიშნა, რომ ტუალეტის მაგიდაზე, რომელსაც ანდერსენი ხმარობდა, პლაკატი ჩამოკიდა წარწერით: „ჰანს ქრისტიან ანდერსენს ეძინა ამ ოთახში ხუთი კვირის განმავლობაში. ეს დრო ოჯახს საუკუნეებად მოეჩვენა“.

1995 წ.

ON THE HISTORY OF GEORGIAN-ENGLISH LITERARY CONTACTS

Summary

The object of my study is Georgian-English literary contacts and perceptions. An attempt is made to show the type of contacts these two literatures have, and how Georgian literature adopted and interpreted its English counterpart, and vice versa. More or less systematic Georgian-English literary contacts began from the second half of the 19th century. The study of these contacts and perceptions began approximately at the same time. This process continues at present: on the one hand, Georgian-English literary contacts are intensifying, and on the other, the study of those contacts and relationships within these two literatures is being placed on a firm scholarly footing.

Georgian-English literary contacts constitute a two-way process, involving both Georgian and English writers, translators and literary critics. They endeavour to widen literary and scholarly contacts, assuming different form of literary ties. As for the scholarly sphere, two trends can be singled out here: on the one hand, study of Georgian literary processes by English scholars and study of English literary monuments by Georgian scholars, and on the other, research into the history of Georgian-English literary relations and the comparative-literary study of Georgian and English literatures.

The area of British Kartvelologists is mainly concerned with the study of the processes in Georgian litera-

ture while Georgian scholars in addition to studying various aspects of the history of English literature also do research on the Georgian-English literary contacts, considering both literatures from the point of view of comparative literary study.

I have tried to complete the history of Georgian-English literary contacts on the basis of the material already studied, and by bringing to light new facts and phenomena and analyzing these contacts in a novel way.

დამოწმებული ლიტერატურა

მეთოდური შენიშვნები ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის კვლევისა და სწავლებისათვის

I, ი. ჭავჭავაძე, აი ისტორია, წიგნში: რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 12—117.

2. ნ. გაფრინდაშვილი, მ. ოძელი, ნარკვევები ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ისტორიისა და თეორიის საკითხებზე, თბ., 1987.

3. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. I, თბ., 1976.

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების ისტორიულ-ფილოლოგიური წანამძღვრები

I. კ. კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განაწილების საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში, წიგნში: კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1956, გვ. 168—182.

2. ნ. ქაჯაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თ.ბ., 1992.

3. Bartholomaeus Anglicus, De proprietatibus rerum, Apud A. Koburgen, Nurenbergi, 1492.

4. მ. შენგელია, უძველესი კოლხ-იბერიული მედიცინა, თბ., 1979.

5. გ. კუტალია, XIII საუკუნის ინგლისელი ქრონისტების ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ, მაცნე (ისტორიის სერია), 1981, № 2, გვ. 86—93.

6. Rojer Bacon, The Opus Majus, vol. I, Oxford-London, 1897.

7. Mathei Parisiensis, Chronica Majora, Rolls Series, N 57, vol. III, London, 1876.

8. В. Матузова. Английские средневековые источники IX-XIII вв., М.. 1979.

9. Petri Episcopi Sebastopolitani Epistola ad Archiepiscopos et Episcopos Angliae, წიგნში: J. B. Telfer. The Crimea and Transcaucasia, in two volumes, vol. II, London, 1876.

10. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ,, 1902.
11. ვ. კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989.
12. ფ. კუნსტმანი, მარინო სანუტო უფროსის შესწავლისათვის, ბავარიის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო განხრის თხზულებანი, ტ. VII, მიუნჰენი, 1855 (გერმანულ ენაზე).
13. ვ. კიკნაძე, საქართველოს საგარეო ურთიერთობების ისტორიიდან, მნათობი, 1982, № 9.
14. E. Smith And H.O.G. Dwight, Missionary Researches in in Armenia including a journey though Asia Minor into Georgia and Persia..., London, 1834,
15. ლ. ასათიანი, ინგლისი და საქართველო, წიგნში: ლ. ასათიანი, ლიტერატურული წერილები, ნარკვევები, თბ., 1974, გვ. 64—70.
16. ო. უორდროპი, „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა, კრებულში: „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში", თბ., 1976, გვ. 334—344.
17. Сравнительные словари всех языков и наречий, собранные десницею всевысочайшей особы. Часть I. СПБ. 1787.
18. Н. Орловская, Сведения о грузинском языке в работах по востоковедению. В кн.: Орловская Н. К., Грузия в литературах Западной Европы XVII—XVIII веков. Тб., 1965, с. 220—234.
19. ნ. ყიასაშვილი, ერთი უნიკალური წიგნის შესახებ, ლიტერატურული საქართველო, 1963, 26. 07.
20. G. Ellis, Memoir of a map of the countries comprehended between the Black Sea and the Caspian; with an account of the Caucasian nations, and the vocabularies of their languages, London, 1788, (Wardr. 10. 150).
21. The Oxford Companion to English Literature. Compiled and edited by Sir Paul Harvey, Oxford, 1967.
22. D. R. Peacock. Original Vocabularies of Five West Caucasian Languages (Georgian, Mingrelian Laz, Swanetian and Abkhazian). In the Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland, vol. XIX, London, 1883 (Ward. 16. 2. (1).
23. J. B. Telfer, Words in the Dialect o! Swanny, წიგნში: J. B. Telfer, The Crimea and Transcaucasia, in two volumes- v. II, London. 1876.
24. The Dictionary of National Biography. Founded in 1882 by George Smith, Oxford, 1966.
25. Chambers' Etimological Dictionary of the English Language: A New and Thoroughly Revised Edition. Edited by A. Findlatter (Interleaved copy, with ms. notes by M. S. Wardrop

for an Engiish-Georgian dictionary), London, 1884. Wardr. 5. 29.
26. ნ. უორდროპი, მარჯორი და ოლივერი. მაცნე. ელს, 1992, № 2, გვ. 31—48. თარგმნილი ინგლისურიდან მარიკა ოძელის მიერ.
27. M.S. Wardrop. Georgian-English Word-List, compiled by M. Wardrop (unfinished), 1895. MS. Wardr. c. 1(10).
28. O. Wardrop. English-Svanetian vocabulary, in the Journal of the Royal Asiatic Society, vol. XVI, London, 1911. Wardr. 5. 98.
29. E. Cherkesi, Georgian-English Dictionary, Oxford, 1950.
30. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია 6 ტომად, ტ. I, თბ.. 1960.
31. გ. ციციშვილი, ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი სხვა ქრებთან და მათი შესწავლა ჩვენს დროში. წიგნში: ეპოქა და ლიტერატურა, თბ.. 1981, გვ. 85—148,
32. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, თბ., 1980.
33. ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982.
34. ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმნილი ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ. თბ., 1935.
35. დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, წიგნში: დ. ლაშქარაძე, ლიტერატურული მერიდიანები, თბ., 1988.

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტებისა და მათი კვლევის ისტორიისათვის

I. ქართულ-ინგლისური ლიტერატურული და სამეცნიერო კონტაქტები

1. A. Olrik, Ragnarök die Segen vom Weltuntergang, Berlin und Leipzig, 1922.
2. შ. რევიშვილი, ნარკვევები გერმანულ-ქართულ ლიტერატურულ კავშირებზე, თბ., 1987.
3. ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ. 1949.
4. გ. გამყრელიძე, შოთას „ვეფხისტყაოსანზე" და მის მკვლევარებზე, კრებული, ნიუ-იორკი. 1957, გვ. 19—31.
5. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., თბ., 1960.
6. Н. Орловская, Тема Иберии в романе Филипа Сидни „Аркадия". В кн.: Орловская Н. К., Вопросы литературных связей Грузии с Западом, Тб., 1986.

7. Н. Орловская, Пьеса Бомонта и Флетчера об Иберии, в кн.: Орловская Н. К. Вопросы литературных связей Грузии с Западом, Тб., 1986.

8. ნ. ორლოვსკაია, იბერიის თემა ალორძინების ეპოქის ინგლისურ ლიტერატურაში, „ლიტერატურათმცოდნეობა II", რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ,, 1987.

9. A Letter Relating the Martyrdom of Ketcban, Mother of Teimurases Prince of the Georgians, with all a Notable Imposture of the Iesuites Upon that Occasion. Sent from Gregorius Monke and Priest, Agent for the Patriarke of Antioch into the Most Holy and Learned Abbot Sophronius. Written first in Greeke and now done in English, Oxford. Printed by John Lichield, An. D. 1633.

10. ა. გაწერელია, უცნობი „წერილი" ქეთევან დედოფალზე, წიგნში. ა. გაწერელია, ლიტერატურული წერილები, თბ., 1954.

11. ი, კენჭოშვილი, ინგლისური წიგნი ქეთევან დედოფალზე, მნათობი, 1961, № 1.

12. Н. Орловская, Грузинская тематика в „Восточных эклогах" Вильяма Коллинса, в кн.: Орловская Н. К., Грузия в литературах Западной Европы XVII—XVIII веков, Тб., 1965.

13. Н. Орловская, Грузия в поэме Томаса Мура „Лалла Рук", в кн.: Орловская Н. К., Вопросы литературных связей Грузии с Западом, Тб , 1986.

14. დ. გაწერელია, ქართული თემა ბაირონის შემოქმედებაში, ლიტერატურული საქართველო, 1973, № 46.

15. ი. მერაბიშვილი, ბაირონი და საქართველო, ლიტერატურული საქართველო, 1991, № 2.

16. ი. მერაბიშვილი, შეხვედრა ლორდ ბაირონთან, თბ., 1998.

17. М. Полиевктов. Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935 (т. I), 1946 (т. II).

18. E. Effendi, Travels in Europe, Asia and Africa in Seventeenth Century. Translated from Turkish by J. von Hammer, London, 1846.

19. Baron Von Thielmann, Journey in the Caucasus. Translated by Dr. C. Hemeage, London, 1875.

20. A. Olearius. The voyages and Travels of the Ambassadors sent by Frederick, Duke of Holstein, to the Great Duke of Muscovy and the king of Persia... in 1633—1639; translated from the Duch by J. Davies (in 2 volumes) London, 1662.

21. P. Palas, Travels through the Southern Provinces of Russian Empire, in the year 1793 and 1794, 4 vol., London, 1802—1803.

22. I. Reinegg s, Beschreibung des Kaukasus Gotha 1796—97. Translated by Ch. Wilkinson, London, 1807.

23. J. Chardin, The Travels of Sir John Chardin into Persia, London, 1686.
24. O. Wardrop, The Kingdom of Georgia, Travel in Land of Women, Wine and Song, London, 1888.
25. D. Freshfield, The Exploration of Caucasus, London, 1902.
26. D. Barrett, Catalogue of the Wardrop Collection and of other Georgian Books aud Manuscripts in the Bodleian Library, Oxford, 1973.
27. Н. Орловская, Английские путешественники начала XIX века о Грузии, в кн.: Орловская Н. К., Вопросы литературных связей Грузии с Западом, Тб., 1986, с. 168—180.
28. მ. სურგულაძე, ინგლისური ცნობები საქართველოს შესახებ XII საუკუნიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე, თსუ შრომები, ტ. 184, თბ., 1977, გვ. 170—188.
29. В. Марков, Россия. Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966.
30. ა. ჩხეიძე, ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში, თბ., 1973.
31. ე. ბურჯულაძე, საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა, თბ., 1953.
32. K. Vivian, Western Georgia—Shemokmedoba, Britain-USSR, London, 1982, № 62, p. 5—6.
33. K. Vivian, A, Guest in Georgia.—Travels. Kent, 1983, p. 18—24.
34. D. M. Lang. Georgian Studies in Oxford, Oxford Slavonic Papers, vol. VI, 1955. იხ. აგრეთვე დ. მ. ლანგი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ცისკარი, 1957, № 4, გვ. 139—151.
35. A. N. Malan, Solomon Caesar Malan, D. D.: memorials of his life and writings, London, 1897.
36. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 1985.
37. შ. გოზალიშვილი, ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები, თბ., 1973.
38. Н. Орлинская, Работы У. Р. Морфилла в области грузинской филологии, в кн.: Орловская Н. К., Вопросы литературных связей Грузии с Западом. Тб., 1986.
39. ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, თბ. 1965.
40. გ. შარაძე, ბედნიერებისა და სათნოების სიტყვა, თბ., 1984.
41. I. Chavchavadze, Works, Tbilisi. 1987.
42. გ. შარაძე, საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე, თბ., 1986.
43, Baddelley Letters, MS Wardr. d. 29/2.
44. J. Baddelley, The Rugged Flanks of Caucasus. Oxford, 1940.

45. ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ.. 1982.
46. D. M. Lang, St. Euthymius the Georgian and the Barlaam and Ioasaph Romance; BSOAS, 1955, XVII/2.
47. D. M. Lang, The Life of the Blessed Iodasaph; a new Oriental Christian Version of the Barlaam and Ioasaph Romance; BSOAS, 1957, XX.
48. გ. მახვილაძე, დ. მ. ლენგი და მისი კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიაში, კრებული, ნიუ-ორკი, 1957.
49. მ. ოძელი, რაზე წერს „კრებული", თბილისი, 1989, № 241.
50. K. Vivian, Tradition in Georgia, 1992, ხელნაწერი ინახება ჩემს პირად არქივში.
51. D. M. Lang, G. M. Meredith-Owens Amirandarejaniani, A Georgian Romance and its English Rendering, BSOAS, London, 1959, vol. XXII.
52. ნ. ანდრონიკაშვილი, რობერტ სტივენსონის ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 1988.
53. რ. თურნავა, ჯორჯ ჰიუიტი და მისი თარგმანები, ლიტერატურული საქართველო, 1987, № 51.
54. ჯ. ნ. ბერძოლი, „ვამოცხადების" ექვთიმე ათონელის თარგმანი, თსუ შრომები, ლიტერატურათმცოდნეობა, № 261, თბ., 1986.
55. Anthology of Georgian Poetry. Translated by Venera Urushadze. Tbilisi, 1958.
56. Ch. Amirejibi, Data Tutashkhia. Translated by A. Bouis, M., 1985.
57. N. Dumbadze. I, Grandmother, Iliko and Ilarion. Translated by R. Bobrova, M., 1985.
58. K. Gamsakhurdia, The Hand of a Great Master. Translated by V. Eristavi, M., 1969.
59. The Land of the Vine: Stories ty Georgian Writers, M., 1990.
60. N. Natadze, S. Tsaishvili, Shota Rustaveli and His Poem-Translated by I. Petrova. L. Gamsakhurdia, Tb., 1966.
61. G. Natroshvili, Nicoloz Baratashvili. Translated by I. Petrova, Ts. Topuridze, Tb,, 1968.
62. A. Baramidze, The Lord of the Panther-Skin, A Georgian Perspective.—Shota Rustaveli. The Lord of the Panther-Skin, A. Georgian Romance of Chivalry. Translated by R. H. Stevenson, New-York, 1977.
63. E. Khintibidze, A. Surguladze, V. Minashvil.,The Development of Socio-Philosophical and Literary Thought in Georgia, and Ilia Chavchavadze. Translated by A. Tchanturia, Tb., 1987.
64. ზ. გაჩეჩილაძე, ჯეფრი ჩოსერი, თბ., 1988.
65. ზ. გაჩეჩილაძე, ჩოსერიდან შექსპირისკენ, თბ., 1991.

66. ზ. ჭარუმიძე, პ. შევარდნაძე. თ. კობახიძე, პოეტური ხატის მემკვიდრეობითობა: ჯონ დონი, უ. ბ. იეიტსი, ტ. ს. ელიოტი, თბ., 1984.
67. გ. გაჩეჩილაძე, შექსპირიდან გოლზუორთამდე, თბ., 1967.
68. ვ. ჭელიძე, ძვირფასი სილუეტები, თბ., 1989.
69. ნ. ორლოვსკაია, „რობიზონ კრუზოს" ქართული თარგმანები, ცისკარი, 1961, № 1.
70. გ. შარაძე, „ჰაჯი-ბაბა ისპაანელის" ქარული თარგმანის გამო, წიგნში: საიუბილეო კრებული ალ. ბარამიძის დაბადების 70 წლისთავზე, თბ., 1974.
71. ნ. ყიასაშვილი, „ცნობიერების ნაკადის" ლიტერატურა ინგლისში, მნათობი, 1966, № 4.
72. თ. კობახიძე, ტ. ს. ელიოტი, პოეზია და მითოსი, თბ., 1991.
73. ზ. გაჩეჩილაძე, დილან ტომასის პოეზია, თბ., 1984.
74. ლ. კერესელიძე, ედუარდ ბონდი: სოციალური დრამის ნიღაბი, წიგნში: თანამედროვე დასავლური დრამა—ჟან ჟიროდუ, ედუარდ ოლბი, ედუარდ ბონდი, თბ., 1989.
75. Д. Каранадзе. Англо-грузинские литературные взаимосвязи в 20-е годы XX века. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тб., 1990.

II. შოთა რუსთველი ინგლისურ ლიტერატურაში

1. W. Morfill, The Language and Literature of Georgia, The Academy, 1888, № 846.
2. M. S. Wardrop, Preface.—Georgian Folk Tales. Translated by M. Wardrop, London, 1894.
3. The Academy, 4. 08. 1894, № 1161.
4. The Athenaeum, 9. 03. 1895. № 3515.
5. W. Morfill, Georgische Dichter. Übersetst von A. Leist, The Journal of the Royal Asiatic Society, London, 190 , p. 562—566
6. ლ. მენაბდე, რუსთველი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, თბ. 1990.
7. მ. ოძელი, რუსთველოლოგიური სიმპოზიუმი ფინეთში, თბილისის უნივერსიტეტი, 1991, № 17.
8. ნ. უორდროპი, მარჯორი და ოლივერი, მაცნე, ელს, 1992, № 2, გვ. 31—48, თარგმნილი ინგლისურიდან მარიკა ოძელის მიერ.
9. Shota Rustaveli, The Knight in the Panther's Skin. Translated from Georgian by Venera Urushadze, Tbilisi, 1968. Introduction by D. M. Lang (p. 9—12). Preface by V. Urushadze (p 7—8).

10. Shota Rustaveli. The Knight In Panther Skin A Free Translation In Prose by Katharine Vivian, London, 1977. Foword by David Lang (p. 9). Preparatory Note by A. G. Baramidze (p. 10). Introduction by K. Vivian (p. 11—33).
11. ჭ. ვივიენი, თარგმნის ოსტატობა, მოხსენება წაკითხული 1982 წლის ოქტომბერში თბილისის უნივერსიტეტში ათონის სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე. მოხსენების ხელნაწერი ინახება ჩემს პირად არქივში.
12. ნ. ყიასაშვილი, სკილასა და ქარიბდას შორის, თბ., 1992.
13. K. Vivian, Some Problems in Translating Vepkhistqaosani, 1981, ხელნაწერი ინახება ჩემს პირად არქივში.
14. ჭ. ვივიენი, „ვეფხისტყაოსნის" თარგმის ზოგიერთი პრობლემა, თსუ შრომები, ლიტერატურათმცოდნეობა, № 261, თბ., 1986,
15. მ. ოძელი, „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურად მთარგმნელი ქალები, სამშობლო, 1983, № 5.
16. R. Stevenson, On Translating Rustaveli. Bedi Kartlisa, 1960 № 34—35, 1961, № 36—37.
17. ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965.
18. ნ. ანდრონიკაშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანები, თბ., 1984.
19. ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის" სტივენსონისეული თარგმანი, მაცნე, ელს, 1982, № 2, № 4.
20. ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი" ინგლისურ ენაზე, თბ., 1984.
21. რ. სტივენსონი, პასუხი „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანის კრიტიკაზე, მაცნე, ელს, 1984, № 2. გვ. 177—186.
22. K. Vivian, The Answer to Z. Gamsakhurdia, 1983, ხელნაწერის ასლი ინახება ჩემს პირად არქივში.
23. The Man in the Panther's Skin, A Romantic Epic by Shotha Rusthaveli, a Close Rendering from the Georgian. Attempted by Marjory Scott Wardrop, London, 1912. Preface by O, Wardrop. p. III—XV.
24. ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორია, ტ. I. თბ., 1970.
25. Shota Rustaveli, The Lord of the Panther-Skin. A Georgian Romance of Chivalry. Translated by R. H. Stevenson, New York 1977. Introduction (p. XIII—XXIX), Appendix A (p. 201—202) Appendix B (p. 203—204) by R. Stevenson. Afterword—The Lord of the Panther-Skin, A Georgian Perspective by A. Baramidze (p. 221—240).
26. გ. გაჩეჩილაძე, „ვეფხისტყაოსნის" ახალი ინგლისური თარგმანი, ლიტერატურული საქართველო, 1966. 21 ოქტომბერი

27. M. Bowra. Inspiration and Poetry, London, 1952, pp. 45—67.
28. W. Morfill, Das Georgische Volk, geschildert von A. Leist, The Journal of the Royal Asiatic Society. London, 1904, p. 152—154.
29. D. M. Lang, Popular and Courtly Elements in the Georgian Epic, Bedi Kartlisa, vol. XXVII, Paris. 1970, p. 143—160.
30. O. Wardrop, The Kingdom of Georgia, Travel in Land of Women, Wine and Song, London. 1888.
31. W. Allen, The History of Georgian People From the Beginning Down to the Russian Conquest in the Ninteenth Century, London, 1932. (Georgian Literature—p. 308—320).
32. K. Vivian, Vephkhistqaosani: Elements from Eastern and Western Cultures, Bedi Kartlisa, vol. XXXIX, Paris, 1981, p. 216—221.
33. R. Stevenson, A Georgian Amour Courtois. Proceedings of the twenty-third International Congress of Orientalists, Cambridge. 21st—28th August, 1954.
34. D. M. Lang, The Georgians, London—New-York, 1966.
35. K. Vivian. Vephkhistqaosani: Elements from Eastern and Western Cultures, Bedi Kartlisa. vol, XXXIX, Paris, 1981, p. 216—221.
36. M. Bowra, Heroic Poetry, London, 1952.
37. T. Margvelashvili, The Georgian Epic: The Man in the Panther's Skin, Georgica, London, 1936. p. 24—43.
38. R. Stevenson. Rustaveli and Ariosto. Bedi Kartlisa. vol. VI—VII, Paris, 1959, p. 26—28.
39. P. Dronke, Medieval Latin and the Rise of European Love-Lyric, I, Oxford, 1965.
40. K. Vivian, Sufic Traces in Georgian Literature, Kent, 1982, ინახება ჩემს პირად არქივში.
41. П. Берков, О композиции „Витязя в тигровой шкуре", Литературная Грузия, 1966, № 9—10, с. 70—84.
42. А. Барамидзе, Реплика по поводу статьи проф. П. Н. Беркова. Литературная Грузия, 1967, № 2, с. 74—76.
43. ი. სურგულაძე, ტახტის მემკვიდრეობის საკითხი „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, თსუ საიუბილეო კრებული შოთა რუსთველს, თბ., 1966 გვ. 92—118.
44. კ. ეკაშვილი, ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის კრებულში: „შოთა რუსთველი", (ხელნაწერთა ინსტიტუტის საიუბილეო კრებული). თბ., 1966, გვ. 227—275.
45. გ. წერეთელი, ჯვარი, 1898, № 23.
46. ს. იორდანიშვილი, წინასიტყვაობა „რამაზანას" ქართული გამოცემისათვის. მთარგმნელი რ. გვეტაძე. თბ., 1951.

47. D, Barrett. Vepkhistqaosani: trying to make sense of the Prologue, 1990. ხელნაწერი ინახება თსუ ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ს/კ ლაბორატორიაში.
48. ე. ხინთიბიძე, რუსთველის მსოფლმხედველობა და შუასაუკუნეების რელიგიურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული აზრის განვითარების პროცესი, წიგნში: ე. ხინთიბიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში", თბ., 1993. გვ. 207—231.
49. S. Shimanski, The Inextensible Jug (A Sketch of Shota Rustaveli, the Georgian Shakespeare), Life and Letters Today 1942, XXXV, NO2, p. 12—16.
50. I. Javakhishvili. Personality and Outlook of Shota Rustaveli; G. Leonidze, The Popularity and Influence of Shota Rustaveli, Georgica, Autumn, 1937.
51. G. Gvazava, Rusthaveli and His Poem, Georgica, Autumn 1937
52. ჭ. ქროსლი-ჰოლანდი, „ვეფხისტყაოსანი" ტემზის ნაპირებზე, კომუნისტი, 1966, № 173.
53. ჭ. ქროსლი-ჰოლანდი. ვინ მოყვარესა არ ეძებს, კომუნისტი, 1966, № 293.
54. დ. ლენგი, ვამაყობთ, კომუნისტი, 1966, № 219.
55. D. Lang, Georgia's Great Bard—Shota Rustaveli: 1166—1966, The Anglo-Soviet Journal, 1966, № 27, p. 19—23,
56. ჯ. ოლდრიჯი, უნიკალური ნაწარმოები, კომუნისტი, 1966, № 219. ღვაწლი, კომუნისტი, 1966, № 221 და სხვა.

III. უილიამ შექსპირი ქართულ ლიტერატურაში

1. ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1945.
2. Н. Орловская, Первый грузинский перевод Шекспира, в кн.: Грузинская Шекспириана, т. 4. Тб., 1975.
3. ნ. ორლოვსკაია. დიმიტრი ყიფიანი—შექსპირის მთარგმნელი, წიგნში: ქართული შექსპირიანა, ტ. II, თბ., 1964, გვ, 89—101.
4. ნ. ყიასაშვილი, შექსპირის პირველი ქართული თარგმანის ხელნაწერი, წიგნში: ნ. ყიასაშვილი, სკილასა და ქარიბდას შორის, თბ.. 1992.
5. უ. შექსპირი, ჰამლეტი, პრინცი დანიისა, დრამა ხუთ მოქმედებად, თარგმანი ლ. არდაზიანისა, ცისკარი, 1858, № 5, 6, 7, 8.
6. უ. შექსპირი, იულიუს ცეზარი, თარგმანი მ. ყიფიანისა, ცისკარი 1867, № 1, 2.

7. უ. შექსპირი. ორი ვერონელი აზნაური, თარგმანი დ. ყიფიანისა, ცისკარი, 1867, № 4, 5.
8. უ. შექსპირი, ვენეციელი ვაჭარი, თარგმანი დ. ყიფიანისა, მნათობი, 1872, № 3, 4.
9 უ. შექსპირი, მეფე ლირი. ინგლისურიდან გადმოღებული ფ. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძის მიერ, ტფ., 1877.
10. Н. Николадзе, Наши современники, Д. И. Кипиани, Тифлисский вестник, 1875, № 132.
11. გ. წერეთელი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კრებული. 1872, № 6—9, გვ. 382—387.
12. დროება, 1874, № 438.
13. ვ. ჭელიძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა თბ., 1963.
14. მ. ოძელი, თარგმნის ორი ტენდენციის მიმართების საკითხი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, თსუ შრომები, ლიტერატურათმცოდნეობა, № 269, თბ., 1987, გვ. 147—155.
15. ი. გრიშაშვილი, ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი, წიგნში: ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1952.
16. ნ. ყიასაშვილი, შექსპირის პერსონაჟთა სახელების ქართული დაწერილობა. წიგნში: ქართული შექსპირიანა, ტ. III, თბ., 1972.
17. სიყმე შექსპირისა. გ. დიდებულიძის თარგმანი რუსულიდან. ცისკარი, 1862, № 2, 3.
18. ნ. არღუთაშვილ-მხარგრძელი, ვილიამ შექსპირი, ცისკარი, 1865.
19. ვილიამ შექსპირი, ბიოგრაფიული ცნობები, ივერია, 1893, № 139.
20. ვილიამ შექსპირი, თარგმანი რუსულიდან ს. ღ.-ძისა. კვალი, 1893, № 36.
21. ნ. დუბროვსკი, ვილიამ შექსპირი, სახალხო ფურცელი, 1916, № 558.
22. ღვიმელი, ჩვენი დროის მწერლებს, ცისკარი, 1865, № 4.
23. ნ. ყიასაშვილი, შექსპირის შესწავლის საკითხი თანამედროვე ინგლისში, მნათობი. 1964. № 4.
24. ნ. ყიასაშვილი. შექსპირის ბიოგრაფიის შესწავლის თანამედროვე ეტაპი, წიგნში: ქართული შექსპირიანა. ტ. II, თბ., 1964.
25. ნ. ყიასაშვილი, შექსპირის ცხოვრება და შემოქმედება, წიგნში: უილიამ შექსპირი, თხზულებანი სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. I, თბ., 1983.
26. ნ. ყიასაშვილი, შექსპირის ბიოგრაფიის შესწავლის თანამედროვე ეტაპი, წიგნში: ნ. ყიასაშვილი, სკილასა და ქარიბდას შორის, თბ., 1992.
27. ნ. ყიასაშვილი, შექსპირი, თბ., 1959.

28. ნ. ყიასაშვილი, შექსპირის სამყაროში, თბ., 1968.
29. ნ. ყიასაშვილი, შექსპირი—ტრადიცია და ნოვატორობა, წიგნში: ქართული შექსპირიანა, ტ. III, თბ., 1972, გვ. 13—50.
30. ს. მარი, შექსპირი და უძველესი მითები. წიგნში; ქართული შექსპირიანა, ტ. III, თბ., 1972.
31. ლ. კერესელიძე, ახალი ადამიანის პრობლემა შექსპირის კომედიაში „ამაო გარჯა სიყვარულისა", წიგნში: ქართული შექსპირიანა. ტ. V, თბ., 1978.
32. R. A. Brower, Hero and Saint, Shakespeare and Greaco-Roman Heroic Tradition, Oxford, 1971.
33. მ. ხვედელიძე. კორიოლანუსის სამი სახე (პლუტარქე—შექსპირი—ბრეხტი), წიგნში: ქართული შექსპირიანა, ტ. V, თბ., 1978.
34. ზ. ჯარხალაშვილი, სოფოკლე. შექსპირი. ბრეხტი: საბჭოთა ხელოვნება, 1968, № 7.
35. Л. Кереселидзе, Ренессансная концепция комедии и „Бесплодные усилия любви" Шекспира. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тб., 1980.
36. გ. გაჩეჩილაძე, შექსპირის შემოქმედების ხალხურობის საკითხისათვის, წიგნში: ქართული შექსპირიანა, ტ. I, თბ., 1959.
37. Н. Кикасашвили, Традиция Шекспира и некоторые проблемы английской литературы XX века. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора филологических наук, Тб., 1973.
38. Э. Топуридзе, О макбетовском заглавии романа Фолкнера „Шум и ярость", в кн.: Грузинская Шекспириана, т. IV, Тб., 1975.
39. Р. Вейман, Новая критика и развитие буржуазного литературоведения, М., 1965.
40. თ. კობახიძე, შექსპირი და ტომას ელიოტის ლიტერატურული ტრადიცია, წიგნში: ქართული შექსპირიანა, ტ. V. თბ., 1978.
41. Т. Кобахидзе, Проблема „литературной традиции" в творчестве Т. С. Элиота двадцатых годов. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тб., 1981.
42. Н. Кикасашвили, Образ Фальстафа в творчестве Шекспира. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук. Тб., 1960.
43. ნ. ყიასაშვილი, ფოლსტაფის სახე შექსპირის შემოქმედებაში, წიგნში: ქართული შექსპირიანა, ტ. I, თბ., 1959.
44. ფ. გოკიელი, არისტოტელეს „კათარზისი" და ჰამლეტის ტრაგედია, წიგნში: ქართული შექსპირიანა ტ, III, თბ. 1972.

45. მ. ნათაძე, „ჰამლეტის სტილი", წიგნში: ქართული შექსპირიანა. ტ. II, თბ., 1964, გვ. 25—49.
46. ლ. გამსახურდია, ჰამლეტის მხატვრული სახის ინტერპრეტაცია და მისი გამოხატვის ენობრივი საშუალებანი, წიგნში: ქართული შექსპირიანა, ტ. V, თბ., 1978.
47. ალ. ცაგარელი, ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში, დროება, 1870, № 2, 3, 5, 6, 7.
48. ვაჟა-ფშაველა, კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი, წიგნში: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1990, გვ. 406—416.
49. ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და „ეეფხის-ტყაოსანი", წიგნში: ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, ობ., 1986, გვ. 148—160.
50. შ. რევიშვილი, უცხოელი მწერლები იღია ჭავჭავაძის კონცეფციაში, თსუ შრომები, № 69, თბ., 1958.
51. როგორ გვიხატავს ლიტერატურა დამნაშავეთ? ივერია, 1896, № 70—71.
52, ი. გომართელი, რა არის კრიტიკა, ივერია, 1905, № 132.
53. ი. გედევანიშვილი, დონ-კიხოტი და ჰამლეტი. სახალხო ფურცელი, 1916, № 558.
54. კ. კაპანელი, ჰამლეტი და ფაუსტი. ქართული მწერლობა, 1927, № 6—7.
55. ვ. ჭელიძე, შექსპირი და სერვანტესი. კომუნისტი, 1946, 23. 104.
56. ვაჟა-ფშაველა რამე-რუმე. წიგნში: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1990, გვ. 417—422.
57. ლ. გუგუნავა, ჰამლეტის სახე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, კრიტიკა, 1989, № 6.
58. И. Кенчошвили, Концепция дружбы в поэме Руставели и сонетах Шекспира, в кн.: Грузинская Шекспириана, т. IV, Тб.. 1975.
59. ე. ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, თბ., 1975.
60. K. Vivian. Tradition in Georgia 1992, ხელნაწერი ინახება ჩემს პირად არქივში.
61. W. Diheius, Zur Stoffgeschichtedes Titus Andronicus. Jahrbuch der Deutschen Shakespeare-Geselschaft, 48. 1912.
62. შ. ბადრიძე. ი. კენჭოშვილი, „ტიტუს ანდრონიკუსი"—თამარი თუ ტამორა, წიგნში: ქართული შექსპირიანა. ტ. III, თბ., 1972.
63. მ. ნათაძე. შექსპირის ოსტატობა, თბ., 1965.
64. N. Kiasashvili. Shakespeare in Georgia, Anglo-Soviet Journal London, vol. XXI, 1960, № 4.
65. N. Kiasashvili, Shakespeare Quarterly, vol. 31. 1980 № 3.
66. კ. ყიფიანი, სახალხო ფურცელი, 1916, № 557.

67. ი. გრიშაშვილი, ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი. წიგნში: ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1952.
68. ა. ოთაროვა, ც. გენძეხაძე, ლ. გუგუნავა, ქართული შექსპირიანა-ბიბლიოგრაფია. წიგნში: ქართული შექსპირიანა, ტ. II თბ., 1964.
69. ა. ოთაროვა, ქართული შექსპირიანას ბიბლიოგრაფია. ნაწილი მეორე, წიგნში: ქართული შექსპირიანა, ტ. III, თბ., 1972.
70. А. Отарова, Грузинская Шекспириана Библиография, часть третья, в кн.: Грузинская Шекспириана, т. IV, Тб., 1975.
71. ლ. გუგუნავა, შექსპირი საქართველოში, წიგნში: ქართული შექსპირიანა ტ. II, თბ. 1964.
72. ლ. გუგუნავა, შექსპირი საქართველოში, წიგნში: ქართული შექსპირიანა, ტ. III, თბ., 1972.
73. ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თ.ბ., 1949.
74. ქ. ვივიენი, თარგმნის ოსტატობა. მოხსენება წაკითხული 1982 წლის ოქტომბერში თბილისის უნივერსიტეტში ათონის სამეცნიერო საგანმანათლებლო კერის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე. მოხსენების ხელნაწერი ინახება ჩემს პირად არქივში.

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კავშირები: ლიტერატურათმცოდნეობითი ძიებანი

I. ინგლისური რომანტიზმი ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და თარგმანებში

II. სიყვარულის განცდის ტიპოლოგიური მიმართებისათვის ქართულ და ინგლისურ რომანტიზმში

1. Н. Бердзенов, Грузинская литература. Кавказ, 1859, № 42.
2. Н. Бердзенов, Грузинская литература, Кавказ, 1859, № 3.
3. А. Пурцеладзе, Литературный листок, 1864, № 3.
4. ალ. ცაგარელი. ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში, დროება 1870, № 2, 3, 5, 6, 7.
5. ი. ჭავჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე. წიგნში: ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი III, თბ., 1986, გვ. 177—208.
6. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტომი I, 1954.
7. მ. ვეზირიშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია, იმერია, 1889, № 247, 251.
8. ივ. კერესელიძე, ცისკარი, 1871 № 2, გვ. 129.
9. ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1967.

10. ნ. ნიკოლაძე, იულიან შმიდტის „XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვა". წიგნში: ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. I, თბ.. 1982, გვ. 216-224.
11. ნ. ნიკოლაძე, ჩვენი მწერლობა, კრებული 1872, №10—12.
12. Дж. Байрон, Дон Жуан, М., 1868.
13. ს. ალექსი-მესხიშვილი, უსტარი ანტიკვარული, ცისკარი, 1861, № 6.
14. მ. კუჭუხიძე, ბაირონი და XIX საუკუნის ქართული მწერლობა, თბ., 1992.
15. კ. აბაშიძე, ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან, ძიამბე, 1898, № 5.
16. ი. ჭავჭავაძე, ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის" თარგმანზედა, წიგნში: ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1986, გვ. 7—25.
17. თ. ნუცუბიძე, ქართული რომანტიზმის ტიპოლოგიის საკითხები. თბ., 1981.
18. ც. ბენაშვილი, ინგლისელი რომანტიკოსი პოეტები ქართულ პოეზიაში, რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის „ლიტერატურათმცოდნეობა III" თეზისები, თბ., 1989,
19. ც. ბენაშვილი, ინგლისური რომანტიკული პოეზია და XX საუკუნის ქართული ლიტერატურა. სადისერტაციო მაცნე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა, თბ., 1994.
20. ნ. კოპალეიშვილი, მერი შელი და ფილოსოფიურ-ფანტასტიკური რომანის პრობლემა, თბ., 1980.
21. М. Гелашвили, Особенности творческого метода С. Т. Кольриджа. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тб., 1983.
22. გ. ასათიანი, როგორ უყვარდათ საქართველოში, წიგნში: გ. ასათიანი, თანამდევი სულები, თბ., 1983.
23. ე. ხინთიბიძე, შეუსაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში", თბ., 1993.
24. ნ. ტაბიძე, გალაკტიონი, თბ., 1982.
25. თ. ჭილაძე, ვარდისფერცლობის ნიშანი, თბ., 1984.
26. Стендаль, О любви, Собрание сочинений в пятнадцати томах, т. IV, М., 1959, с. 357—574.

III. XIX საუკუნის ინგლისური რეალიზმის რეცეფცია საქართველოში

IV. კომიკური თხრობის საკითხისათვის XIX საუკუნის ქართულ და ინგლისურ მწერლობაში

1. М. Туманишвили, Михако и Нина. Грузинская идиллія М. Ливенцова Кавказъ, 1852, № 41.
2. კ. აბაშიძე, ცხოვრება და ხელოვნება, ცნობის ფურცელი, 1901, № 1378.
3. დ. აბდუშელიშვილი, ივერიის შაშანდელი iV და ამა წლის I წიგნები. იმედი, 1881 № 1.
4. Н. Орловская, Первые сведения о Диккенсе в грузинской прессе, в кн.: Орловская Н. К., Вопросы литературных связей Грузии с Западом. Тб., 1986.
5. ნ. ორლოვსკაია, დიკენსი რევოლუციამდელ ქართულ პრესაში, უცხოური ენები სკოლაში 1970, № 4.
6. Ч. Диккенс, Смерть пьяницы. Пер. И. Маннова, в кн.: Приходские очерки. М., 1884.
7. Ч. Диккенс, Рождественская сказка. Переделка съ англійскокого М., 1887.
8. Ч. Диккенс. Рождественская песня в прозе. Святочный разсказ Чарльза Диккенса, пер. С Долгова, М., 1891.
9. Ч. Диккенс. Давид Копперфильд, в сокращенномъ переводе Л. Щелгуновой, С—П., 1901.
10. Ч. Диккенс, Давид Копперфильд, пер. И. Введенского, М—Л., 1929.
11. Ч. Диккенс, Уэник Бастилии, отрывок из „Повести о двух городах", пер. И. Жилкина, М—Л., 1930.
12. Н. Эфрос, Сверчок на печи, инсценированный разсказъ Диккенса, П., 1918.
13. მ. ოძელი, ჩარლზ დიკენსი და უილიამ თეკერეი ქართულ ლიტერატურაში, თბ, 1989.
14. ა. წერეთელი, უბრალო საუბარი, აკაკის თვიური კრებული 1898, № 8, გვ. 3—15.
15. ნ. ნიკოლაძე, დიკენსი და თეკერე, დროება, 1870, № 25.
16. დროება, 1869, № 6.
17. მწერალთა უცნაურობანი, მოამბე, 1905, № 1.
18. უცხოთა შორის, ივერია 1897, № 173.
19. ე. მესხი, ჩარლზ დიკენსის ცხოვრება. ჯეჯილი 1912, №3.
20. ე. გაბაშვილი, ჩარლზ დიკენსი, ჯეჯილი, 1912, № 3.
21. ო. ფარეიშვილი, ჩარლზ დიკენსი, ბათუმი, 1982.

22. ო. ჩხეიძე, შრომისა და კაპიტალის ურთიერთობის საკითხი ჩარლზ დიკენსის შემოქმედებაში. დისერტაციის ავტორეფერატი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1949.

23. ე. ჰელიძე, მეოცნებე დიდ სიკეთეზე, კომუნისტი 1962, № 32.

24. ვ. ჰელიძე ჩარლზ დიკენსი, წიგნში: ვ. ჰელიძე, წერილები, ლიტერატურული პორტრეტები, თბ., 1971.

25. გ. გაჩეჩილაძე, სახლ-მუზეუმი დოთი სტრიდზე, ლიტერატურული გაზეთი, 1962, № 8.

26. გ. გაჩეჩილაძე. პროზის თარგმნის საკითხები, ლიტერატურული გაზეთი, 1957, № 11—12.

27. მ. ოძელი, ჩარლზ დიკენსის ფრაზეოლოგიის ქართული ეკვივალენტები, უცხოური ენები სკოლაში, 1981, № 1.

28. ნ. ყიასაშვილი, დიკენსი ქართულად, ახალგაზრდა კომუნისტი, 1955, № 11.

29. ე. მაღრაძე. კარგი თარგმანი, მნათობი, 1955, № 3.

30. ც. თოფურიძე, დიკენსის „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები" ქართულ ენაზე, მნათობი, 1960, № 4.

31. მ. კობახიძე, დიდი იმედების მსხვრევა, თეატრალური მოამბე, 1979, № 2.

32. ჯ. პირსონი, დიკენსი, თბ., 1974. თარგმნა ე. სირბილაძემ.

33. ჯ. ჩესტერტონი, ცხოვრებისეულობა დიკენსისა, წიგნში: ესეები, თბ., 1989. ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა.

34. ნ. უბილავა, ინგლისური ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX საუკუნის მეორე ნახევარში, წიგნში: ევროპული ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979.

35. ნ. უბილავა-ანდრონიკაშვილი, ინგლისური ლიტერატურის ქართული თარგმანები (1920—1980). წიგნში: ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი საბჭოთა პერიოდში, თბ., 1981,

36. ა. გამყრელიძე, უ. თეკერეის „ამაოების ბაზრის" ქართული თარგმანის ბოლოსიტყვაობა, წ. II, 1964.

37. ა. გამყრელიძე, თეკერეი და მისი „ამაოების ბაზარი", წიგნში: ალ. გამყრელიძე, წერილები, თბ., 1982,

38. Н. Бадриашвили, Некоторые художественные особенности романа Теккерея „Ярмарка тщеславия". Труды Тбил. гос. пед. института им. А. С. Пушкина, т. 17, Тб., 1963.

39. Н. Орловская, Сатира в ранних произведениях Теккерея. Труды ТГУ, т. XI, 1950.

40. ე. მაღრაძე, უილიამ თეკერეი, წიგნში: ე. მაღრაძე, გულითა მართლით, თბ., 1979.

41. Н. Орловская, Исторический роман Теккерея. Диссертация на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тб., 1964.
42. ე. მესხი, ჩარლზ დიკენსის ცხოვრება, „ჯეჯილი", 1912, № 3.
43. ე. გაბაშვილი, ჩარლზ დიკენსი, „ჯეჯილი", 1912, № 3.
44. В. Иващенко, Чарльз Диккенс, Заря Востока, 1950, № 121.
45. ნ. გიორგობიანი, მე მის წინაშე მოწიწებით ვიყარი მუხლს. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1957, № 18.
46. Р. Дудучава. Чарльз Диккенс, Вечерний Тбилиси, 1962, № 32.
47. Е. Туняева, Великий английский гуманист, Молодежь Грузии, 1962, № 16.
48. Н. Орловская, Великий реалист, Вечерний Тбилиси, 1970, № 133.
49. მ. ოძელი, დიკენსი უყვართ საქართველოში (დიდი მწერლის დაბადების 170 წლისთავი). „თბილისი", 1980, № 15.
50. ე. მაღრაძე, უ. თეკერეის დაბადებიდან 150 წლისთავის შესრულების გამო, „ცისკარი" 1961, № 7.
51. მ. ჯაფარიძე, უილიამ თეკერეი, დაბადების 150 წლისთავის გამო, „ახალგაზრდა კომუნისტი", 1961 № 83.
52. ნ. ორლოვსკაია, ნიკო ნიკოლაძე თეკერეის შესახებ, „ლიტერატურული საქართველო", 1963, № 52.
53. ვ. ივაშევა, სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, „თბილისი", 1963, № 299.
54. ი. გემაზაშვილი, შარლოტა ბრონტე (მე-19 საუკუნის ინგლისელი რომანისტი), „საქართველოს ქალი", 1961, № 7.
55. ე. მაღრაძე, შარლოტა ბრონტე, წიგნში: ე. მაღრაძე, გულითა მართლითა, თბ., 1979.
56. ი. ნაკაშიძე, ჩ. დიკენსის „სკრუჯი და მარლეის" ქართული თარგმანის წინასიტყვაობა, თბ., 1910,
57. ნ. ორლოვსკაია, ჩ. დიკენსის „პიკვიკის კლუბის ჩანაწერების" ქართული თარგმანის წინასიტყვაობა, თბ., 1959.
58. ვ. ჭელიძე, ჩ. დიკენსის „ნიკოლას ნიკლბის" ქართული თარგმანის ბოლოსიტყვაობა, თბ., 1967.
59. ა. გამყრელიძე, უ. თეკერეის „ამაოების ბაზრის" ქართული თარგმანის ბოლოსიტყვაობა, წ. II, თბ., 1964.
60. ე. მაღრაძე, შ. ბრონტეს „ჯეინ ეარის" ქართული თარგმანის წინასიტყვაობა, თბ., 1964.
61. გ. ტაბიძე, დიდი იმედები, დღიურები. № 196.
62. მ. ოძელი, ჩარლზ დიკენსი და უილიამ თეკერეი ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1989.

63. M. Odzeli, The Artistic World of Charles Dickens in Georgian Literature, Tb.. 1991.
64. M. Odzeli. Charles Dickens in Georgian Translations and Literary Criticism, მოხსენება წაკითხული დიკენსოლოგთა 84-ე საერთაშორისო კონფერენციაზე (კენტერბერი, კენტის უნივერსიტეტი, 1990 წ. 27 ივლისი—4 აგვისტო)
65. M. Odzeli, Charles Dickens in Galaktion Tabidze's Poetry, მოხსენება, წაკითხული დიკენსოლოგთა 85-ე საერთაშორისო კონფერენციაზე (ლივერპული, ლივერპულის უნივერსიტეტი, 1991 წ., 12—17 ივლისი).
66. M. Odzeli, Concerning Comic Narration in English and Georgian Nineteenth Century Fiction. მოხსენება წაკითხული ვიქტორიანული ჟურნალ „პანჩის" დაარსების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე (ლონდონი, ლონდონის უნივერსიტეტი, 1991 წ., 10—12 ივლისი).
67. გ. ქიქნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ., 1972.
68. В. Ивашева, Теккерей – сатирик. М., 1958.
69. И. Палта, Диккенс—юморист, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, М., 1960.
70. А. Бельский, Сатира в социальных романах Ч. Диккенса (1849—1857). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, М., 1954.
71. Я. Ельсберг, Вопросы теории сатиры, М, 1957.
72. J. Pristley, English Humour, London, 1929,
73. L. Cazamian, The Development of English Humor, North Carolina, 1952.
74. კ. აბაშიძე, ცხოვრება და ხელოვნება, ცნობის ფურცელი, 1901, № 1378.
75. ჩ. დიკენსი, დავით კოპერფილდი, თბ., 1934.
76. М. Морозов, Об английском юморе и сатире, Интернациональная литература, 1942, № 1—2, с. 197—200.
77. ს. ჭილაია, წინაპრები და მეგობრები, თბ., 1964.
78. კ. აბაშიძე, ცხოვრება და ხელოვნება, ივერია, 1895 № 150.
79. უ. თეკერეი, ამაოების ბაზარი, წ. I, თბ., 1951; წ., II., თბ., 1964.
80. პ. იოსელიანი, წინასიტყვა წიგნისა გაყრა, კომედია თავადის გიორგი დავითის ძის ერისთავისაგან.

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ჯამარჯაშვილი
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი
კორექტორი ე. კასრელიშვილი

გადაეცა წარმოებას 21.10.97. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.05.98.
საბეჭდი ქაღალდი 54×84 1/16 პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 16,69. სააღრ.-საგამომც. თაბახი 13,48.
ტირაჟი 300. შეკვეთის № 468.

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ჯამარჯაშვილი
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი
კორექტორი ე. კასრელიშვილი

გადაეცა წარმოებას 21.10.97. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.05.98.
საბეჭდი ქაღალდი $54\times84^{1}/_{16}$ პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 16,69. სააღრ.-საგამომც. თაბახი 13,48.
ტირაჟი 300. შეკვეთის № 468.

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.